სივრცე
საზოგადოება
პოლიტიკა

N3

2015

სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Social and Political Sciences

SPACE, SOCIETY, POLITICS

Scientific Works

№3

3rd International Scientific Conference

25-27 June, 2015

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა

სამეცნიერო შრომების კრებული

№3

III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

25-27 ივნისი, 2015

სამეცნიერო რედაქტორები:

რევაზ გაჩეჩილაძე

თამარ დოლბაია

კორნელი კაკაჩია

რევაზ ჯორბენაძე

მანანა შამილიშვილი

Editors:

Revaz Gachechiladze

Tamar Dolbaia

Kornely Kakachia

Revaz Jorbenadze

Manana Shamilishvil

ტექნიკური რედაქტორი

ნინო აბესაძე

Technical Editor

Nino Abesadze

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

ISSN 2346-7959

ISBN 978-9941-693-1 (pdf)

შინაარსი

ამირან ბერძენიშვილი, ნათელა დონაძე
ქსელური სოციალურობა ინფორმაციულ საზოგადოებაში 7

თინათინ გვენეტაძე
ქართული არარეგულირებადი შრომითი მიგრაციის
სივრცითი ტრანსფორმაციის თავისებურებები 21

ზურაბ დავითაშვილი
ქართული ნაციონალიზმი საბჭოთა პერიოდში 42

ეკა დარბაიძე
საქართველოს საერთაშორისო ტურისტული იმიჯი დასავლეთის
სახელმწიფოების სამთავრობო ვებგვერდების მიხედვით (2006-2014) 71

ვალერიან დოლიძე, ავთანდილ ტუკვაძე
პოლიტიკური სტაბილურობა და სოციალური მობილობა 84

გიორგი კვინიკაძე, ლუიზა აბაზაძე
გეოეკონომიკური სტრატეგიები ცივი ომის კონტექსტში 112

ნათია კუპრაშვილი
საკითხის აქტუალობის მობილობა დროსა და სივრცეში –
საქართველოში სირიის კრიზისის გაშუქების მაგალითზე 125

ნონა კუპრეიშვილი
ეკონომიკური კონცეპტები ილიას პროზაში 131

მალხაზ მაცაბერიძე
კავკასია გეოპოლიტიკის კონტექსტში (ვიქტორ ნოზაძის კონცეფცია).... 145

გიორგი მელიქიძე
საარჩევნო ანგარიშვალდებულება:
საქართველოს პარტიული სისტემის ანალიზი 156

ადა ნემსაძე, ანა ლეთოდიანი
გლობალიზაციის პირველი ტალღა საბჭოური პერიოდის ქართულ
ხელოვნებასა და ლიტერატურაში (XX საუკუნის 70-80-იანი წლები)..... 168

ნანული ტალახაძე
ეროვნული პოლიტიკისა და ლიტერატურის ორგანო „გუშაგი“ 181

ალექსანდრე წურწუმია
ერთიანი ევროპული სივრცე (ინტეგარციის სირთულეები) 199

Contents

Amiran Berdzenishvili, Natela Donadze
Network Sociability in the Information Society……7

Tinatin Gvenetadze
The Paculiarities of Spatial Transformation of the Georgian
Irregular Labour Migration……..21

Zurab Davitashvili
Georgian Nationalism in Soviet Era……42

Eka Darbaidze
Internation Touristic Image of Georgia according to the Governmental
Websites of the Western Countries (2006-2014)…… 71

Valerian Dolidze, Avtandil Tukvadze
Political Stability and Social Mobility in the Post-Soviet Georgia……..…84

Giorgi Kvinikadze, Louisa Abazadze
Geo-economic Strategies in the Context of the "Cold War"…… 112

Natia Kuprashvili
Mobility of Urgent Character of the Issue in Time and Space –
on the Example of Highlighting of Syria Crisis in Georgia ……125

Nona Kupreishvili
"The literature economy" concepts in Ilia's prose……..131

Malkhaz Matsaberidze
Caucasus in the Context of Geopolitics (Conception of Vicktor Nozadze)…… 145

Giorgi Melikidze
Electoral Accountability: Analyze of Georgian party system…… 156

Ada Nemsadze, Anna Letodiani
First Wave of Globalization in the 20th Century Georgian Arts and Literature
(1970s-1980s)…… 156

Nanuli Talakhadze
Emigrant Journal "GUSHAGI" –
"Georgian National Politic and Literature Body" ……181

Alexander Tsurtsumia
The United European Space (Difficulties of Integration) ……199

ამირან ბერძენიშვილი
პროფესორი, თსუ

ნათელა დონაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ქსელური სოციალურობა ინფორმაციულ საზოგადოებაში

ინტერნეტი სოციალური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი საშუალებაა. ინფორმაციული საზოგადოების წარმოშობამ ინდივიდი იმ მრავალი ყოველდღიური საქმიანობისა და ცრურწმენისგან გაათავისუფლა, რომლებიც ტრადიციული ურთიერთობების დროს იჩენს თავს. ინტერნეტი სივრცის „ნაკლს“ ამცირებს, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ურბანული გარემოს დამსახურებაა. გარკვეულ დისტანციაზე ურთიერთობის დასამყარებლად დრო და ფულია საჭირო. ამ „ნაკლის“ გამოსწორების შედეგად, ნებისმიერი ადამიანისათვის სამყაროს დიდი ნაწილი, განსხვავებული კულტურა ხელმისაწვდომი ხდება. ეს აადვილებს იმ ურთიერთობების დამყარებას, რომლებიც ადრე შეუძლებელი იყო. დღეს სოციალური კავშირების მოსაძიებლად და დასამყარებლად საჭიროა არა საერთო საცხოვრებელი ტერიტორია, არამედ მხოლოდ საერთო ინტერესები. მოცემულ სოციალურ კონტექსტში ინტერნეტის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების დიფუზიის, ფორმისა და კულტურული სპეციფიკის დადგენის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ინტერნეტის მეშვეობით სოციალურ სტრუქტურას, სოციალურ ქცევასა და მნიშვნელობათა მინიჭებას შორის დამყარებული ურთიერთქმედება სოციალური ტრანსფორმაციის იმ პროცესს გამოხატავს, რომელიც ტექნოლოგიების, კულტურისა და საზოგადოების ერთმანეთთან ინტერაქციის/ურთიერთქმედების შედეგია. ქართულ საზოგადოებაში ინტერნეტი სოციალური კაპიტალისა და ერთობების განმტკიცების საფუძველი ხდება, მაგრამ, როგორც ბოლო წლების გამოკვლევები ადასტურებს, ქართველი ინტერნეტმომხმარებელი ორიენტირებულია არა იმდენად სოციალური აქტივობების გაძლიერებაზე, რამდენადაც „ინფოგართობაზე“. ინტერნეტის გავრცელება სოციალურ სტრუქტურაზეა დამოკიდებული. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარი პრობლემაა ის, რომ ინტერნეტი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი არ არის. არსებული მდგომარეობა ციფრულ განხეთქილებას განაპირობებს და ქართული საზოგადოების განვითარებაზე არასახარბიელოდ აისახება.

კომპიუტერულ ქსელზე დაფუძნებული კომუნიკაციის განვითარება-გაფართოება ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალ ტექნოლოგიებს, ეს ტექნოლოგიები კი გთავაზობენ სოციალური ურთიერთობების ისეთი ახალი ვირტუალური თემის (ერთობის) მოდელს, რომელიც პირის-პირ (face-to-face) ურთიერთობებისგან ძირეულად განსხვავდება. კლასიკური სოციალურ-კომუნიკაციური ურთიერთობა დროისა და სივრცის ერთსა და იმავე არეალში მიმდინარეობს. მისგან განსხვავებით, ვირტუალური ურთიერთობები დროისა და სივრცის ფაქტორისგან თავისუფალია.

„ვირტუალური თემის“ ცნება ამერიკელმა სოციოლოგმა ჰოვარდ რაინგოლდმა დაამკვიდრა 1993 წელს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური ურთიერთობების ამ ახალ ფორმას სხვა სახელებიც აქვს, მაგალითად: კიბერ სივრცე (გიბსონი), კიბერია (რუშკოვი), გლობალური სოფელი (მაკ ლუჰანი) და ა.შ. ჰ. რაინგოლდმა ე.წ. ვირტუალური სამყარო შექმნა. მისი აზრით, ეს იყო იმ დემოკრატიული, თანაბარუფლებიანი და სუვერენული ინდივიდების ერთობა, რომლებიც ეფექტურად ურთიერთქმედებდნენ და ერთმანეთს ემოციურ მხარდაჭერასა და თანადგომას სთავაზობდნენ. ჰ. რაინგოლდი მიიჩნევს, რომ ვირტუალური თემის მზარდი მოთხოვნილების საფუძველს, სავარაუდოდ, ის ფაქტი წარმოადგენს, რომ რეალურ სამყაროში ჩვეულებრივი სოციალური კონტაქტები თანდათან ქრება. ვირტუალური სამყარო თავშესაფრად გადაიქცა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ცოცხალი სოციალური კონტაქტების დამყარება უჭირთ. რეალური თემისაგან (ერთობისგან) განსხვავებით, რომელიც ნათესაურ და სამეზობლო კავშირს წარმოადგენს, ვირტუალური თემი საერთო ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი ქსელური სამყაროა.

საზოგადოებაში კომპიუტერისა და ინტერნეტის მოხმარების ზრდამ სოციალურ ურთიერთობებში კომპიუტერით (ინტერნეტით) გაშუალებული კომუნიკაციების გავლენით გამოწვეული ცვლილებების თაობაზე მძაფრი დებატები გამოიწვია. პესიმისტებს მიაჩნიათ, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაში, სადაც ინტერნეტი შრომაზე, დასვენებასა და სოციალურ კავშირებზე დიდ გავლენას ახდენს, ადამიანებმა შეიძლება საერთოდ უარი თქვან იმგვარ სოციალურ კავშირებზე, რომლებიც ყოველგვარი ქსელური კავშირის (ინტრენეტი, მობილური და ა.შ.) გარეშე ფიზიკურ ურთიერთობას გულისხმობს. მეტიც, ურთიერთობები, რომლებიც ინტერნეტთან მჭიდროდაა დაკავშირებული, შეფასებულია, როგორც უფრო ნაკლებად შინაარსიანი და სრული, ვიდრე ტრადიცული, ადამიანური სოციალური კონტაქტები. კულტურის კრიტიკოსები ვირტუალურ თემს ანტისოციალურ ფსევდოსაზოგადოებას უწოდებენ. მათი აზრით, ის, ვინც განმარტოებით მონაწილეობს ონლაინფორუმებში, გაურბის რეალურ სამყაროს, თავს არიდებს სოციალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობებს და შემოიფარგლება მხოლოდ იმ ტელეკონტაქტებით, რომლებსაც, საბოლოოდ, ადამიანური სულიერების გაღატაკებასთან მივყავართ.

ოპტიმისტები კი ფიქრობენ, რომ ახალი ტიპის ინტერნეტსაზოგადოების – „ვირტუალური თემის“ (ერთობის) – შექმნით, რომელიც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა, ინტერნეტს შესაძლებლობა ეძლევა, ჩაანაცვლოს ისეთი ტრადიციული საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, როგორიცაა, მაგალითად, კაფეები, ბარები და სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი დაწესებულებები. ფაქტია, რომ „ინტერნეტი ყოველგვარ გეოგრაფიულ საზღვრებს შლის და, ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, საშუალებას გვაძლევს, სხვადასხვა ჯგუფსა და ორგანიზაციაში გავწევრიანდეთ, რაშიც ჩვენი საცხოვრებელი ადგილი სრულებითაც არ გვიშლის ხელს“ (Hampton, K., 217).

პირველ რიგში, აუცილებელია, თავად „ვირტუალური თემის“ ცნების განსაზღვრა. თანამედროვე აქტუალური და გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ვირტუალური თემი წარმოადგენს საერთო ინტერესების მქონე იმ ადამიანების გაერთიანებას, რომლებიც კომპიუტერის დახმარებით რეგულარულად ცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას და ამყარებენ ურთიერთობებს.

თავად ჰ. რაინგოლდი აღნიშნავს: „ვირტუალური თემი ესაა სოციალური გაერთიანებები, რომლებიც ქსელში იქმნება, როცა ადამიანების საკმარისი რაოდენობა საკმაოდ ხანგრძლივადაა ჩართული საჯარო დისკუსიებში და საკუთარ ემოციებს იმგვარად გამოხატავს, რომ კიბერსივრცეში ურთიერთობების ქარგა იქმნება“ (http://www.rheingold.com/vc/book/intro.html).

ამგვარად, ვირტუალური თემი საერთო ინტერესების მქონე ადამიანების გაერთიანებას, იმ ადგილს წარმოადგენს, სადაც ახალი ვირტუალური ურთიერთობების ჩამოყალიბება და რელევანტური თუ მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გაცვლა ხდება. ვირტუალური თემი არაა დამოკიდებული დროსა და სივრცეზე, რაც თემის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლის უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური სოციალური თემისგან განსხვავებით, ვირტუალურ თემს მოქმედების უფრო ფართო არეალი და დიდი რაოდენობის წევრთა ინტეგრაციის უნარი აქვს. ვირტუალურ თემში ურთიერთქმედების მედიუმს, მეტწილად, კომპიუტერი წარმოადგენს, კერძოდ, ტექსტზე დაფუძნებული კომუნიკაცია, ე.წ. ტექსტური შეტყობინებები. კომპიუტერით განხორციელებულ კომუნიკაციაში გამოყოფენ ორ ფორმას: ასინქრონულ (დროში აცდენილ) და სინქრონულ (ერთდროულ) კომუნიკაციებს. ტერიტორიული შეზღუდვებისგან გათავისუფლება ინტერნეტის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, აღმოაჩინონ ინდივიდის იდენტობა და ინტერესები, რაც წარსულში იგნორირებული იყო (Hampton, K., 2004, 226).

დღეს უკვე შესაძლებელია, თემი ტერიტორიული სიახლოვის-ერთობის გარეშე ჩამოყალიბდეს, მაგრამ ეს ტერიტორიულ სიახლოვეზე დაფუძნებული სოციალური კავშირების არსებობას კი არ გამორიცხავს, არა-

მედ, უბრალოდ, ამტკიცებს, რომ საერთო ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დასახლების საერთო არეალი.

„ვირტუალურმა თემმა“ დაგვანახა, რომ სოციალური ურიერთობების დამყარებას გეოგრაფიული სივრცე უკვე აღარ უშლის ხელს. ოპტიმისტების თქმით, მრავალჯერადი მოხმარების დომენები და გრაფიკული სამყაროები საჯარო ურთიერთობის ახალ სფეროებს ქმნიან. უამრავი კვლევა არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ვირტუალურ სამყაროს, ხელი შეუწყოს საერთო ინტერესის მქონე ახალი თემების ჩამოყალიბებას. მათგან განსხვავებით, ზოგიერთს მიაჩნია, რომ საზღვარი „რეალურ და ვირტუალურ, ანიმაციურ და არაანიმაციურ“ სამყაროებს შორის ნელ-ნელა ქრება.

კვლევების მიხედვით, ინტერნეტის მომხმარებლების უდიდესი ნაწილისთვის ვირტუალური ურთიერთობები მათი ცხოვრების დომინანტურ კომპონენტს ჯერ კიდევ არ წარმოადგენს. ადამიანთა გარკვეული რაოდენობა რეგულარულად არის ჩართული ინტერნეტთემებში. ძირითადად, ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც უკვე დიდი ხანია მოიხმარენ ინტერნეტს ან ისინი, რომლებმაც ახალ ტექნოლოგიებს ადვილად აუღეს ალღო. როდესაც ასე მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც აქტიურად ეწევიან ვირტუალურ ცხოვრებას, როგორ დავეთანხმოთ უტოპისტების აზრს იმის შესახებ, რომ მალე საჯარო სივრცეს ელექტრონული სივრცე ჩაანაცვლებს?!

თუ ჩვენ თემის ძებნას ერთ სივრცესა და დროში დავიწყებთ, მაშინ მხარდაჭერაზე ორიენტირებულ თემურ ურთიერთობებს ვერასოდეს ვიპოვით. როდესაც განვმარტავთ „ვირტუალურ თემს“, როგორც მკაფიოდ განსაზღვრული და დისკრეტული საზღვრების მქონე გარემოს, ვივიწყებთ, რომ ინტერნეტში აღმოცენებული სოციალური ურთიერთობები შეიძლება მის გარეთაც გაგრძელდეს. სოციალური ქსელები მრავალმხრივნი და ურთიერთგადამკვეთნი არიან. იმისათვის, რომ ურთიერთობები შეინარჩუნონ, ადამიანები კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებას – პირდაპირ, ინტერპერსონალურ კონტაქტებს, ტელეფონს, ფოსტას, ელექტრონულ ფოსტას, ჩატებსა და სხვ. – იყენებენ. ურთიერთობა, რომელიც სათავეს ინტერნეტში იღებს, შეიძლება მის გარეთაც გაგრძელდეს, უკვე არსებული მეგობრობა და ნათესაობა კი შეიძლება შენარჩუნდეს ან, საერთოდ, უფრო გაღრმავდეს. მხოლოდ იმაზე დაკვირვება, თუ როგორ ვიყენებთ ინტერნეტს ყოველდღიურ ცხოვრებაში, გვიჩვენებს, როგორ წარმოშობს იგი სოციალურ კონტაქტებს და როგორ გვინარჩუნებს თემურ ურთიერთობებს.

ფიქრობენ, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაში ადამიანები ფიზიკურ კონტაქტზე დაფუძნებულ სოციალურ ურთიერთობებზე უარს იტყვიან. კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით კი, იკვეთება ტენდენცია, რომ ინტერნეტში წამოწყებული ურთიერთობები ხშირად რეალ-

ობაშიც ინაცვლებს. როცა სოციალური კავშირები ყალიბდება ქსელში და არა ჯგუფში, როცა ინტერნეტი ურთიერთობის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს, კომპიუტერული ურთიერთობები უფრო დიდი, უფრო მრავალფეროვანი სოციალური ქსელებისა და სათემო ორგანიზაციების წარმოქმნას უჭერენ მხარს. ინტერნეტს მიაკერეს იარლიყი, თითქოს იგი არასრულ და არასაკმარის სოციალურ კავშირებს განაპირობებს, სინამდვილეში კი, ეს ყველაფერი ჩვენი რეალური ცხოვრების ნაწილია.

კომპიუტერული ურთიერთობები გვეხმარება, გადავლახოთ დაბრკოლებები, რომლებსაც ურთიერთობათა დამყარებისას ვაწყდებით. რა დრამატულადაც არ უნდა განვითარდეს ჩვენი ცხოვრება, ინფორმაციულ საზოგადოებაში შექმნილი ახალი ტექნოლოგიები დაიხვეწება და ჩვენს ურთიერთობებსა და კოორდინაციის უნარს გააძლიერებს. ინტერნეტს შეუძლია, ლოკალური ჩართულობის ბარიერები დაამსხვრიოს და ფიზიკურ სიახლოვეზე დაფუძნებული ინტერაქციებისთვის ახალი შესაძლებლობები შექმნას. „თუ ჩვენ პუტმანისა და სხვა მკვლევართა მონაცემებს დავუჯერებთ, აღინიშნება პრივატიზმის ზრდა, საჯარო აქტივობებში მონაწილეობა კი ნელ-ნელა მცირდება და ეს ყველაფერი უკვე ბოლო 25 წლის მანძილზე მიმდინარეობს – მალე კი ინტერნეტი შესაძლოა, უკვე არსებული ტენდენციების უკან დამხევი მთავარი, ცენტრალური ძალა გახდეს“ (Hampton, K., 2004, 217).

შესაბამისად, ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ინფორმაციონალიზმის პარადიგმისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებისა, იგი ორიგინალური კულტურის მქონე საზოგადოების თარგზე იჭრება და მის თავისებურებას განაპირობებს.

ჩვენ თანამიმდევრულად გამოვარკვევთ, აქვს თუ არა გავლენა სოციალური სტრუქტურის პოზიციას ინტერნეტის მოხმარება-არმოხმარებაზე, ქსელურ სოციალურობასა და სოციალურობის ნიმუშებს შორის არსებულ ინტერაქციაზე, ინტერნეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში მოხმარებაზე, კულტურული იდენტობის კონსტრუქციაზე. იმ კვლევის საფუძველზე, რომელიც 2011-2013 წლებში ჩატარდა – „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში: რეალური ვირტუალურის ძალაუფლება?“ – შეიძლება გავაანალიზოთ, თუ როგორ იყენებენ ქართული საზოგადოების წარმომადგენლები ინტერნეტს ყოველდღიურ ცხოვრებაში, შესაბამისად, გავიგებთ, თუ რა მიმართება აქვს ქსელურ სოციალურობას რეალურ სოციალურ ურთიერთობებთან.

„ინტერნეტს რესპონდენტები, ძირითადად, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობისთვის იყენებენ; ამასთან, არა ახალი ნაცნობობის დასამყარებლად, არამედ ძველი ნაცნობობისა თუ კავშირების შენარჩუნებისა და გამყარებისთვის;

ინტერნეტის მოხმარების რიგით მეორე, ყველაზე ხშირი მოტივი მამაკაცებისთვის გართობა, ქალბატონებისთვის კი ახალი ამბების გაცნობაა;

მომხმარებლის ასაკისა და განათლების დონის ზრდა ნეგატიურ კორელაციაშია ინტერნეტის გართობის მიზნით გამოყენებასთან; მომხმარებლის ასაკის ზრდა პოზიტიურ კორელაციაშია ინტერნეტის ახალი ამბების გასაცნობად გამოყენებასთან.

სოციალური მედია საქართველოში სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობის გაზრდის, ასევე შემეცნებითი ინფორმაციის გავრცელების ფუნქციას ნაკლებად ასრულებს და, უმეტესად, „ინფოგართობაზეა" ორიენტირებული" (წულაძე, ლ., 2013, 138).

ინტერნეტაქტივობა, რომელსაც ქართველი მომხმარებლები არ სწყალობენ, სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობაა, რაც თანაბრად არაპოპულარულია მამაკაცებშიც და ქალებშიც (გამოკითხული მამაკაცების მხოლოდ 1.1% და ქალბატონების 1.9% მონაწილეობს მასში), რაც საქართველოში სამოქალაქო კულტურის დაბალი განვითარების ერთ-ერთი ინდიკატორი უნდა იყოს. ამის ერთ-ერთ დასტურია მსოფლიო ტენდენციაც, რომ ზოგადად სამოქალაქო აქტივობებში ვირტუალური ჩართულობის დონე უფრო მაღალია და ეს ტენდენცია საქართველოშიც ფიქსირდება. ჩვენს რეალობაშიც, თუ ინტერნეტით განხორიელებულ აქციაში ათასობით ადამიანი მონაწილეობს, რეალურ ცხოვრებაში შესაბამის აქციაზე შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე ათეული მონაწილე ჩაერთოს. რესპონდენტების ნაწილი, რომელიც, ერთი შეხედვით, სხვებზე უფრო კეთილგანწყობილია ინტერნეტით განხორციელებული სამოქალაქო აქტივობების მიმართ, უმაღლესი განათლების მქონე დაქორწინებული ადამიანები არიან. თუმცა, როცა შეკითხვა ეხება უშუალოდ მათ სამოქალაქო აქტივობას ინტერნეტით, მიღებული მონაცემები სხვა სოციალური ჯგუფების მონაცემებისგან არსებითად არ განსხვავდება. უფრო მეტიც, რესპონდენტთა თითქმის 80%-ის აღიარებით, მათ არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა ინტერნეტით განხორციელებულ რაიმე სამოქალაქო აქციაში. აღმოჩნდა, რომ 18-22 წლის ახალგაზრდებს, უმეტესად სტუდენტებს, სხვებზე უფრო ხშირად მიუღიათ მონაწილეობა ინტერნეტით განხორციელებულ სამოქალაქო აქტივობებში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა (მაგალითად, ბოლო საპარლამენტო არჩევნებმა) გვიჩვენა, რომ სტუდენტები საკმაოდ აქტიურად ერთვებოდნენ საპროტესტო აქციებში როგორც სოციალურ ქსელებში, ისე ქუჩაში. კვლევის მონაცემებიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს უფრო ერთჯერადი მოვლენაა და სტუდენტები ინტერნეტის მეშვეობით სამოქალაქო აქტივობებში აქტიურად მონაწილე ჯგუფად ვერ ჩაითვლებიან.

ერთი შეხედვით, სოციალური ქსელების საკმაოდ მაღალი მოხმარების მიუხედავად, სოციალურ ქსელში რესპონდენტთა ვირტუალური სოციალური კაპიტალის ანალიზისას იკვეთება, რომ სოციალური ქსელები ვიწრო წრესთან საკონტაქტოდ გამოიყენება; სავარაუდოდ, რეალური ნაცნობების წრის ვირტუალურ სივრცეში გადატანა ხდება. ამას ადასტურებს

სოციალური ქსელების გამოყენების მიზანი, რაც 88.7%-ის შემთხვევაში ძველ მეგობრებსა და ნაცნობებთან ურთიერთობაა. უფრო მეტიც, რესპონდენტთა უმეტესობა არა მხოლოდ სოციალურ ქსელებს, არამედ, ზოგადად, ინტერნეტსაც კი მეგობრებთან/ნაცნობებთან ურთიერთობის მიზნით იყენებს (71.5%). თუმცა, რეალური ნაცნობების წრის „ონლაინ“ სივრცეში გადატანას თავისი დადებითი მხარეებიც აქვს. როგორც ბოიდი და ელისონი აღნიშნავენ, სოციალური ქსელების უნიკალურობა ის კი არაა, რომ ისინი საშუალებას აძლევენ ინდივიდებს, გაიცნონ უცნობები, არამედ ხილული გახადონ და მათი სოციალური ქსელების არტიკულირება მოახდინონ (Boyd & Ellison, 2008). „კვლევები ადასტურებს, რომ გამონაკლისების არსებობის მიუხედავად, არსებულ სოციალურ ქსელთა უმრავლესობა უკვე დამყარებულ სოციალურ კავშირებს განამტკიცებს; ავტორები ამტკიცებენ, რომ ფეისბუქი არსებული „ოფლაინ“ კავშირების შესანარჩუნებლად და გასამყარებლად გამოიყენება და არა ახალი ნაცნობობის დასამყარებლად. ეს კავშირები, შესაძლოა, სუსტი იყოს, მაგრამ მათ, ჩვეულებრივ, საერთო „ოფლაინ“ ელემენტი უდევს საფუძვლად, მაგალითად, ნაცნობების საერთო წრე“ (წულაძე, ლ., 2013, 153). როდესაც თვისებრივი კვლევისას ექსპერტები ვირტუალურისა და რეალურის მიმართებაზე საუბრობდნენ, აღნიშნავდნენ, რომ ძალიან ბევრი ადამიანისთვის ის, რაც ინტერნეტსივრცეში ხდება, ისეთივე რეალურია, როგორც „რეალური“ რეალობა. თუმცა, მეორე მხრივ, მათ პრობლემად ესახებათ, რომ ხშირად ვირტუალური აქტივობების განხორციელება აღიქმება, როგორც აქტივობა რეალურად, რაც „რეალური აქტივობის“ იდენტური არ არის. როგორც ექსპერტული კვლევის შედეგებმა აჩვენა, ხშირ შემთხვევაში, სოციალური აქტივობა სოციალურ ქსელშივე რჩება და რეალობაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს. შესაძლოა, ადამიანები ბევრს აქტიურობდნენ სოციალურ მედიაში, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში საკმაოდ პასიურები რჩებიან. თუმცა, სხვა მხრივ, სოციალური მედია შეიძლება განვიხილოთ, როგორც აგორა, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის განსხვავებული პოზიციების გამოხატვაა შესაძლებელი, რაც, ვფიქრობთ, საზოგადოების შეხედულებებსა და აღქმებზე გავლენას ახდენს.

ციფრული უთანასწორობის (განხეთქილების) ისტორიული კონსტუქცია

ბოლო პერიოდში გამართულ დებატებში, მკვლევართა ნაშრომებში, სტატიებში, სამეცნიერო კონფერენციებში, პოლიტიკოსების მოხსენებსა და ასევე პოპულარულ პრესაში ტერმინი „ციფრულ უთანასწორობა“ ანუ ინტერნეტის, კომპიუტერისა თუ სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის პრობლემა სულ უფრო ხშირად გვხვდება.

შეუძლია კი თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიებით (ინტერნეტით) დაკავშირებული გლობალური მსოფლიოს რი-

გით მოქალაქეს, მთელი დღის მანძილზე არ გამოიყენოს ინტერნეტი და კომპიუტერი, თუკი მიუწვდება მათზე ხელი? რა თქმა უნდა, არა, რადგან ის ყოველდღიურად აქტიურად არის დაკავებული online-shopping-ით, online banking-ით, facebook-ით, youtube-ით, twitter-ით, აქვს საკუთარი ბლოგი, იწერს მუსიკას, ფილმებს, ეძებს, ტვირთავს ან ავრცელებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას. დღეს მსოფლიოში შვიდ მილიარდზე მეტი ადამიანია და მხოლოდ მილიარდ-ნახევარზე მეტს არ მიუწვდება ხელი ინტერნეტზე, კომპიუტერებსა და ციფრულ ტექნოლოგიებზე, რაც ციფრული უთანასწორობის არსებობის პირველი ნიშანია. ტერმინი „ციფრული უთანასწორობა“ ციფრული ტექნოლოგიების მფლობელებსა და არამფლობელებს შორის უთანასწორობას გულისხმობს. ის არსებობს განათლებულებსა და გაუნათლებლებს, ეკონომიკურ კლასებს, ქალაქებსა და გარეუბნებს, ხოლო გლობალურ დონეზე – განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ინტერნეტის გავრცელება სოციალური სტრუქტურის ძლიერ გავლენას განიცდის. ციფრული უთანასწორობა ფართო სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის მიზეზიცაა და შედეგიც. ციფრული უთანასწორობა სოციალურ სტრატიფიკაციასთან მჭიდრო კავშირშია. ტერმინი „ციფრული უთანსწორობა“ პირველად 1990-იან წლებში შემოიტანეს, რათა დაეფიქსირებინათ ის ფაქტი, რომ მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილის არ მიუწვდებოდა ხელი კომპიუტერსა და ინტერნეტზე. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შესახებ ჩატარებულ ემპირიულ კვლევებში დამოკიდებულ ცვლადებად შემოსავალი, ოჯახის ტიპი, განათლების დონე, რასა, ასაკი, გენდერი და ენა გვევლინება. ციფრული უთანასწორობა შეიძლება ასევე განვიხილოთ, როგორც ადამიანის ინფორმაციულ უნარებსა ან ციფრულ გამოცდილებებს შორის განსხვავება.

დღეს აშშ და ევროპა ინტერნეტიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების ფლობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან, მაგრამ ამ ქვეყნებში ციფრული უთანსაწორობა მაინც არსებობს. ჰოლანდიელი სოციოლოგი ჟან ვან დაიკი გამოყოფს ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ოთხ ტიპს:

1. ციფრული გამოცდილების ნაკლებობა, რისი მიზეზიც ახალი ტექნოლოგიების მიმართ ინტერესის არქონა და შიშია (მოტივაციური ხელმისაწვდომობა);
2. კომპიუტერის ან ინტერნეტის არქონა (მატერიალური ხელმისაწვდომობა);
3. ციფრული უნარ-ჩვევების ნაკლებობა, რაც მომხმარებლის არაადეკვატური განათლებით და სოციალური მხარდაჭერის არქონითაა გამოწვეული (უნარების არფლობა);
4. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის ნაკლებობა (თავისუფლად გამოყენების ხელმისაწვდომობა; Dijk, J., V. 2006. p.3).

თითოეული მათგანი დაწვრილებით განვიხილოთ ევროპის მაგალითზე:

პირველი – ციფრული გამოცდილების ნაკლებობა, რისი მიზეზიც ახალი ტექნოლოგიებისა მიმართ ინტერესის არქონა და შიშია. სწორი მოტივაცია კომპიუტერის გამოყენებისა და ინტერნეტქსელში ჩასართავად პირველი ნაბიჯის გადადგმაა. ბევრ ადამიანს მოტივაციის პრობლემა აქვს. ადრე ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ არა მხოლოდ „არ მაქვს“, არამედ „არ მინდა“ პრობლემაც არსებობს.

მეორე – მატერიალური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა. ციფრული თანასწორობისა-უთანასწორობის საკითხის შესწავლისას ამ ტიპის პრობლემას ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობენ. მატერიალური ტიპის ხელმისაწვდომობის განსახილველად აუცილებელია, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ფიზიკური ტიპის ხელმისაწვდომობა ანუ კომპიუტერის ფლობა და ქსელში ჩართვა სახლსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებაში და მატერიალური ხელმისაწვდომობა. მატერიალური ხელმისაწვდომობა კომპიუტერის, ინტერნეტის, პროგრამებისა და სერვისებისთვის საჭირო ყველა ტიპის დანახარჯს გულისხმობს.

მესამე – შესაბამისი უნარების არფლობა. შესაბამისი მოტივაციისა და ფიზიკური ხელმისაწვდომობის გარდა, ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარები და ცოდნა, რომ შესაბამისი პროგრამების ტექნიკურ-ტექნოლოგიური თავისებურებების გამოყენება მოახერხოს. აქ შეიძლება თავი იჩინოს შესაბამისი უნარებისა და ცოდნის ნაკლებობამ. ეს პრობლემა ცნობილია ტერმინებით: „კომპიუტერის, ინფორმაციისა და მულტიმედიური ტექნოლოგიების ცოდნა“, „კომპიუტერული უნარები“, „ინფორმაციული კაპიტალი“ და „ციფრული უნარები“, როგორც წინა სამი ტიპის უნარის მემკვიდრე, ანუ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის ყველაზე ბაზისური ოპერაციული უნარები.

მეოთხე – თავისუფლად გამოყენების ხელმისაწვდომობა. საბოლოო მიზანი ინტერნეტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობის არსებობაა. თუ ადამიანს საკმარისი მოტივაცია, ფიზიკური და მატერიალური ხელმისაწვდომობა და უნარები აქვს, ეს ციფრული მედიის გამოსაყენებლად აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი, პირობაა (Dijk, J., V. 2006. p.3).

თავისუფლად გამოყენების ხელმისაწვდომობას თავისი საფუძველი და დეტერმინანტები აქვს. ცვლადები მინიმუმ ოთხი სხვადასხვა გზით შეიძლება გაიზომოს:

1. გამოყენებისათვის საჭირო დრო;
2. გამოყენებული აპლიკაციების რაოდენობა და მრავალფეროვნება;
3. კომპიუტერის ფართო ან ვიწრო მიზნით გამოყენება;
4. მეტად ან ნაკლებად აქტიური და კრეატიული გამოყენება.

ციფრული უთანასწორობის სამ კატეგორიას გამოყოფენ:

1. გლობალური უთანასწორობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის;
2. სოციალური უთანასწორობა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ინფორმაციულად მდიდარსა და ღარიბს შორის;
3. დემოკრატიული უთანასწორობა ონლაინურთიერთობაში მყოფთა შორის, ვინც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისთვის, მობილიზებისა და მონაწილეობისთვის ციფრულ რესურსებს იყენებს ან არ (ვერ) იყენებს.

ციფრული უთანასწორობა არ არის მარტივი დიქოტომია ან განხეთქილება მფლობელსა და არამფლობელს შორის. ის, ტექნიკის გარდა, იმ უნარებსა და შესაძლებლობებს მოიცავს, რომელთა გამოც ადამიანთა ერთ ჯგუფს უკეთესი პოზიცია აქვს საზოგადოებაში (რადგან მას აქვს კულტურული, ინფორმაციული, სოციალური და ტექნოლოგიური კაპიტალი და ამ ცოდნასა და უნარებს ეკონომიკური კაპიტალის მეტად გასაზრდელად მოიხმარს), ვიდრე მეორე ჯგუფს, რომელიც ინტერნეტსა და ციფრულ ტექნოლოგიას მარტივი აპლიკაციებისათვის (მაგ., ფილმები, მუსიკა, თამაშები, სოციალური ქსელი და ა.შ.) იყენებს. „ახალი ინფორმაციული ერა ემყარება არა მექანიკურ ტექნიკას, არამედ „ინტელექტუალურ ტექნოლოგიას“, რაც საშუალებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და სოციალური ცვლილებების ახალ პრინციპზე, რომელიც უპირველეს და უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს თეორიულ ცოდნას, როგორც განახლების წყაროს და, შესაბამისად, ცვლის ტექნოლოგიური პროგრესის ბუნებას“ (Castells, M., 2010). ინტერნეტი ადამიანთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ყოველდღიურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

ციფრული უთანასწორობის კონცეფცია დიქოტომიური ტენდენციისაა – მოქალაქეებს ტექნოლოგიისადმი ხელმისაწვდომობა აქვთ ან არა აქვთ, ისინი ქსელში ჩართულები არიან ან არა. ამ პერსპექტივიდან თუ შევხედავთ ამ პრობლემას, მაშინ მისი განსაზღვრა და შემდეგ გადალახვაც მარტივია. ინფორმაციული საზოგადოებისაგან სარგებელს იღებს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ხელი მიუწვდება ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე და მისი გამოყენების შესაბამისი უნარები და ცოდნა აქვს.

ციფრული უთანასწორობის შესახებ მსოფლიო ბანკის ლიტერატურაში წერია: „ციფრული უთანასწორობა, თავის მხრივ, ხელს უშლის განვითარებას და ის თანდათანობით ვრცელდება“.

FCC-ის (The Federal Communications Commission) კვლევების თანახმად, 2001 წელს მსოფლიო მასშტაბით ინფორმაციას ინტერნეტით მხოლოდ 20% იღებდა, დღესდღეობით ტელევიზიების რეიტინგი ინტერნეტმა გადაფარა და ეს მაჩვენებელი 70%-ით განისაზღვრება.

საინტერესოა, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვის ზრდასთან ერთად, მისი მოხმარების სიხშირეც გაიზარდა. სავარაუდოდ, ამის მიზეზი გახდა ის, რომ კომპიუტერის გარდა, ინტერნეტის მოხმარება ტელეფონით, iPad-ით (Internet Protocol Adapter) დაიწყეს და უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა უკვე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გახდა შესაძლებელი.

საქართველოში არსებობს ციფრული უთანასწორობის პრობლემა, რისი აღნიშვნის საფუძველსაც ფიზიკური ან მატერიალური ხელმისაწვდომობა იძლევა.

ინტერნეტის მსოფლიო სტატისტიკის ოფოციალური ვებგვერდის (http://www.internetworldstats.com/) მიერ გამოქყვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა. 2000 წლისა და 2010 წლის მონაცემების შედარება გვიჩვენებს, რომ 2000 წელს ინტერნეტმომხმარებელი მხოლოდ 20 ათასი ადამიანი იყო, 2010 წლისათვის საქართველოში ინტერნეტით 1.300.000 ადამიანი სარგებლობდა, 2011 წლის მონაცემებით კი, ინტერნეტს საქართველოში უკვე 1 637 905 აბონენტი მოიხმარს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, 2010 წლის დეკემბრის მონაცემებით, ინტერნეტს თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში უკვე მოსახლეობის 50%-ზე მეტი იყენებდა. საქართველოს სხვა ქალაქებში მომხმარებელთა რაოდენობა შედარებით მცირე იყო.

ბოლო პერიოდში ინტერნეტზე საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 49%-ს მიუწვდება ხელი. თბილისის მოსახლეობის დაახლოებით 60%-ს და სხვა ქალაქების მოსახლეობის 51%-ს აქვს წვდომა ინტერნეტზე. სოფლის მოსახლეობა ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი ინტერნეტით და მისი მომხმარებლების 20%-საც კი არ შეადგენს. ინტერნეტში შესვლისას ინტერნეტმომხმარებელთა 50% ეძებს ინფორმაციას, 40% იყენებს სოციალურ ქსელებს, ხოლო 26% – „ფეისბუქს“.

დღეს საქართველოში ქსელში ჩართული მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობს, მაგრამ არსებული ციფრების მიხედვით ნათელია, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

ანალიტიკური კომპანია Socialbakers-ის 2013 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში Facebook-ის მომხარებლების რაოდენობამ უკვე ერთ მილიონს გადააჭარბა.

„კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ (CRRC) მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ინტერნეტს ყოველდღე მოსახლეობის 12% იყენებდა, ინფორმაციას კი მხოლოდ 3% იღებდა.

2011 წლის მონაცემებით, რეგიონებში გამოკითხულთა მხოლოდ 20%-ს ჰქონდა სახლში ინტერნეტი. დედაქალაქში ინტერნეტის არფლობის მიზე-

ზეთა ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელია თბილისში – 49%, ხოლო რეგიონში – 37%. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თბილისის მოსახლეობის 11%-ს არ სჭირდება ინტერნეტი მაშინ, როცა რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 2% აფიქსირებს იმავე მოსაზრებას. გარდა ამისა, ინტერნეტი არ ჰქონდა თბილისის მოსახლეობის 18%-ს, რადგან მათ ტერიტორიაზე ინტერნეტის ქსელი ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი, ასევე – რეგიონის რესპონდენტთა 33%-ს. რეგიონებში აქტიურად იყენებდნენ მობილურ ინტერნეტს. გამოკითხულთა 4%-ის აზრით, მხოლოდ მობილური ინტერნეტი სრულიად საკმარისია. ამის მიზეზად ისინი მობილური ინტერნეტის სისწრაფესა და უკეთეს ხარისხს ასახელებდნენ. იმ პერიოდში თბილისის გამოკითხული მოსახლეობის 70% და რეგიონების მოსახლეობის 71% ყველაზე ხშირად ინტერნეტს სოციალურ ქსელში არსებული აპლიკაციების მოსაძიებლად იყენებდა. თავისუფალ დროს ინტერნეტში ყოფნას ქალების 52% და მამაკაცების 48 % ირჩევდა.

წარსულში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართული ვებგვერდი, რომელსაც რეიტინგით მხოლოდ გასართობი ვიდეოპორტალები უსწრებს, „თბილისის ფორუმია“. ეს ის უნიკალური ადგილია, რომელიც ბევრი ინტერნეტმომხმარებლისთვის ინფორმაციის მიღების წყარო და სადისკუსიო სივრცე იყო.

თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის მთავარი პირობა სწორედ ქსელში ჩართულობაა.

ციფრული „უთანასწორობის“ პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებისას საინტერესოა „Freedom House“-ის 2011 წლის ანგარიში, რომლის მიხედვით, საქართველო ინტერნეტსფეროში ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნად დასახელდა. ანგარიშში ასახულია ის პრობლემები, რომელთა გამოც ქართული ინტერნეტსივრცე ნაწილობრივ თავისუფალად არის დასახელებული. ციფრული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში არსებული დემოკრატიულობის ხარისხი ანუ მოქალაქეების ქსელში თავისუფალი ჩართულობაა, რაც აუცილებელი პირობაა გამოცდილების საფუძველზე შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების პრობლემის დასაძლევად, ქსელში ჩართვის მოტივაციის გასაზრდელად და ა.შ.

პროფესორ ვან დაიკის მიერ შემოთავაზებული ხელმისაწვდომობის ორი ტიპის მიხედვით, საქართველოში, პირველ რიგში, მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემა არსებობს. ინტერნეტის დაფარვის ზონა მთელ ქვეყანას არ მოიცავს. მეორე და არანაკლებ მნიშველოვანი, უნარ-ჩვევებისა და ციფრული გამოცდილების პრობლემაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი მხოლოდ სოციალურ ქსელსა და გასართობ აპლიკაციებს იყენებს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად პრობლემებისა, საქართველოში ინტერნეტიზაციის პროცესი სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, რაც იმის საწინდარია, რომ ქვეყანაში ციფრული „უთანასწორობის-განხეთქილების“ პრობლემა სიმწვავეს თანდათანობით დაკარგავს. რაც შეეხება

ინტერნეტის მოხმარების კრეატიულობას, სოციალური კაპიტალისა და მის საფუძველზე დამკვიდრებული სოციალური ერთობების სოლიდარულ, მხარდამჭერ ფუნქციებს, ისინი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, რადგან ქართველი ინტერნეტმომხმარებლის აბსოლუტური უმრავლესობა, ძირითადად, ინტერნეტს მხოლოდ „ინფოგართობისთვის“ იყენებს.

ბიბლიოგრაფია
References

ლია წულაძე, ამირან ბერძენიშვილი, ფლორა ესებუა, ირაკლი კახიძე, ნანა მაჭარაძე, ანა კვინტრაძე, დავით კლდიაშვილი, სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში – რეალური ვირტუალურის ძალაუფლება?, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

Boyd, D. M., Ellison, N. B. (2008). Social network sites: Definition, history, and scholarship. Journal of Computer-Mediated Communication, 13, 210-230.

Castells, M. (2004) The Netvork Society, A Cross-cultural Perspective. Edward Elgar Publishing Limited. USA.

Castells, M. (2010). The Rise of the Network Society (2 ed.).Oxford: Wileyblackwell.

Ellison, N. B., Steinfield, C., Lampe, C. (2007). The Benefits of Facebook “Friends”: Social Capital and College Students’ Use of Online Social Network Sites. Journal of Computer-Mediated Communication, 12, 1143–1168.

Dijk, J., V. (2006). The Network Society. SAGE Publications Ltd.

Hampton, Keith N. Networked Sociability Online, Off-line. In Castells, M. (2004) The Network Society, A Cross-cultural Perspective. (ed) Manuel Castells. 2004. Edward Elgar Publishing Limited. USA.

Kim, A. J. (2000). Community building on the web. Secret strategies for successful online communities. Berkley: Peachpit.

Meyer, T. (2002). Media Democracy: How the Media Have Colonized Politics. Oxford: Polity.

Miller, J., Glassner B. (2004). The ‘Inside’ and the ‘Outside’ – Finding Realities in Interviews (125-139). Silverman, D. (ed.). Qualitative Research: Theory, Method and Practice (2nd ed.), London: Sage Publications.

Prensky, M. (2011). Digital Natives, Digital Immigrants (3-11). Bauerlein, M. (ed.). The Digital Divide. New York: Jeremy P. Tarcher/Penguin.

Steinfield, C., Ellison, N. B., Lampe, C. (2008). Social Capital, Self Esteem and Use of Online Social Network Sites. Journal of Applied Developmental Psychology, 29 (6), 434–445.

Official webpage. University of Twente http://www.utwente.nl/gw/vandijk/research/digital_divide/Digital_Divide_overigen/pdf_digitaldivide_website.pdf

Official webpage. London School of Economics and Political Science. LSE Research Online

http://eprints.lse.ac.uk/2576/1/Information_society_and_the_digital_divide_problem_in_developing_countries_(LSERO).pdf
Official webpage. Homepage Howard Rheingold. http://www.rheingold.com
El-version on: http://www.rheingold.com/vc/book/intro.html
Official webpage. Freedom House
https://freedomhouse.org/report/freedom-world/2011/georgia
Official webpage. Caucasus Research Resource Center. CRRC http://www.crrc.ge/

Amiran Berdzenishvili
Professor, TSU

Natela Donadze
Associate Professor, TSU

NETWORK SOCIABILITY IN THE INFORMATION SOCIETY

Summary

Internet today, in the second decade of the XXI century, has become one of the most powerful means of social communication in the world. Through the formation of the information society, a person has been released from versatile daily activities and false beliefs, existing during traditional relations. Internet decreases the “defect” of the space which is merit of the modern technologies and the urban environment. By means of the correction of this “defect” the major part of the world becomes available for everybody. This makes it easier to establish the relationship, hitherto impossible. Now social connections are mainly stimulated by common interests.

Internet, as one of the main ways of developing social relations, is assuming ever greater privileged position. In the given social context, using an internet in a daily life is an important indicator of defining diffusion, form and cultural specificity of the modern information society. The existing interaction, established by means of Internet, among social structure, social action and assigning meanings, demonstrates a special transformation process that is a result of the interaction of informational – communicational technologies, culture and society.

Spread of Internet depends on a social structure. One of the main issues of our country is that Internet is not accessible for the most of the population. The existing situation causes digital divide and has an unfavorable effect on the development of the Georgian society.

თინათინ გვენეტაძე
დოქტორანტი, თსუ

ქართული არარეგულირებადი შრომითი მიგრაციის სივრცითი ტრანსფორმაციის თავისებურებები

შესავალი

სივრცის ცნება განმსაზღვრელი და ძირეულია გეოგრაფიულ მეცნიერებაში. იგი მიემართება სხვადასხვა მოვლენასა თუ პროცესს, რომელიც მოიცავს საკმაოდ დიდ არეალს და ანიჭებს მას სივრცით განზომილებას.[1] აღნიშნულ ცნებას მრავალმხრივი დატვირთვა აქვს, დაწყებული ადგილის ფიზიკური მდებარეობიდან, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განზომილებებით დამთავრებული, მაგლითად: ახლო აღმოსავლეთი, ევროკავშირი, ბისეკის ქვეყნები, ტურისტულ-რეკრეაციული სივრცე, სამომხმარებლო სივრცე, საემიგრაციო/საიმიგრაციო სივრცე, ვირტუალური სივრცე, 'ჩაინა ტაუნი' ან 'პატარა იტალია' და ა.შ. თუმცა თითოეული სახელი სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებული სხვადასხვა სფეროს მოღვაწეთა მიერ. ამიტომ ყველა ეს ტერმინი საკუთარ ჩამოყალიბებულ განმარტებას მოითხოვს.

ცივი ომის შემდგომმა ცვლილებებმა სრულიად ახალი და განსხვავებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ფსიქოლოგიური სივრცე წარმოშვა. ბევრი აღმოსავლეთევროპული და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა აღნიშნულ პერიოდს გასაოცარი ოპტიმიზმითა და იმედებით შეხვდა. ქმნიდნენ რა ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს, დარწმუნებულნი იყვნენ თავად ქვეყნისა და საზოგადოების სწრაფ წარმატებაში.[2] თითქმის არავინ ფიქრობდა, რომ გარდამავალი პერიოდი ასეთი გაურკვევლი, მტკივნეული და ხანგრძლივი იქნებოდა. როცა პასუხისმგებლობის ცენტრმა სახელმწიფოდან რიგით მოქალაქეებზე გადაინაცვლა, სათანადო გამოცდილებას მოკლებული ადამიანები სრულიად დაუცველ სიტუაციაში [სივრცეში] აღმოჩნდნენ და ახალ რეალობასთან [სივრცესთან] ადაპტაცია არსებობის უმთავრეს პრობლემად იქცა.[3] ბევრისათვის

---

[1] Liszewski, S. (2006) *"Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World",* Tourism, ტ.16 No.2 გვ.7.

[2] Castles, S., & Miller J. M. (2003) *The Age of Migration: International population movements in the modern world,* გვ.1.

[3] დურგლიშვილი, ნ. (1997) *ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი,* გვ.7.

ასეთ გზად ემიგრაცია იქნა მიჩნეული, რამაც სამომავლოდ განსაზღვრა კიდეც მიგრანტთა და მათი ოჯახების არსებობის საკითხი.

პრობლემის დასმა, კვლევის მიზანი და მეთოდები

მოცემულ სტატიაში განხილულია პრობლემა, რომელიც თან ახლავს თანამედროვე არარეგულირებად შრომით ემიგრაციას საქართველოდან – აღქმა და ადაპტაცია საემიგრაციო სივრცისა, რომელმაც თითქმის მეოთხედი საუკუნეა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა როგორც თავად მიგრანტი, ასევე მისი ოჯახის წევრები და მნიშვნელოვნად განსაზღვრა მათი ტრანსფორმირებული რეალობა.

ჩვენს კვლევაში ვეყრდნობით პოლონელი გეოგრაფის სტანისლავ ლიშევსკის მოსაზრებას სამი ტიპის სივრცის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის გადაადგილებასთან გეოგრაფიულ სივრცეში სწავლის, შემეცნების, რეკრეაციის და მოგზაურობის მიზნით.[1] აღნიშნულ კონცეფციას სივრცის დაყოფისა და 'ათვისების/დაკავების' ('occupation of space') შესახებ ავტორი მოიაზრებს ტურიზმის სფეროში და მიუთითებს წარმოსახვით (imaginative), 'შეზღუდული ხელმისაწვდომობისა' ('access-restricted') და რეალურ (real) სივრცზე.

ემიგრაცია და ტურიზმი სხვადასხვა ფაქტორითაა მოტივირებული და, ცხადია, ხანგრძლივობითაც განსხვავდება. თუმც, თუკი მივიჩნევთ, რომ ორივე სოციალური მოვლენა გეოგრაფიულ სივრცეში ადამიანთა გადაადგილებას (მუდმივი საცხოვრებელი სივრცის მონაცვლეობას) და გარკვეული ხნით ახალ რეალობასთან შეგუებას გულისხმობს, პროფესორ ლიშევსკის მიერ შემოთავაზებული სივრცის დაყოფის განზოგადება მიგრაციის სფეროს მიმართაც შესაძლებლად მიგვაჩნია. ამ სქემის მიხედვით, *მიზნად* ვისახავთ აღნიშნული გენერალიზაციის განზოგადებას ქართველ შრომით მიგრანტთა საემიგრაციო სივრცესთან. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით (თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით – სიღრმისეული ინტერვიუ, ანკეტური და ონლაინგამოკითხვა – აშშ-ში მცხოვრები ქართველი შრომითი მიგრანტებისა და საქართველოში მცხოვრები ოჯახის წევრების) და მეორად წყაროებზე (სამთავრობო/არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეულ ექსპერტთა კვლევებზე) დაყრდნობით, დავადგენთ, თუ როგორ აღიქმება *არსებულ, დაბრუნებულ და პოტენციურ მიგრანტებთან* საემიგრაციო სივრცე და თავად მიგრაცია, როგორც სოციალური მოვლენა; ასევე ის, თუ რამდენად ჰომოგენური (ან ჰეტეროგენულია) ეს სივრცე და როგორ აღიქვამენ/ღებულობენ მას პროცესის მთავარი მონაწილენი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევის არეალი

[1] Liszewski, S. (2006) *"Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World",* Tourism, ტ.16, No.2, გვ.9.

მხოლოდ ერთი ქვეყნითაა წარმოდგენილი და რეპრეზენტატიულ ხასიათს არ ატარებს, მიღწეული შედეგების საფუძველზე, მაინც მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რიგი რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის შესახებ, რათა ემიგრაცია, როგორც ერთ-ერთი პრობლემური რეალობა ჩვენი ქვეყნისა, გახდეს მართვადი, ხელი შეუწყოს მიგრანტთა უფლებების დაცვას უცხოეთში და უზრუნველყოს პროცესის დარეგულირება, როგორც დღევანდელ მიგრანტთა, ასევე დაბრუნებულთა მხარდასაჭერად შრომითი რეინტეგრაციის მიზნით.

გვინდა დიდი მადლობა ვუთხრათ ჩვენს ექსპერტებს – თამარ გამილაღდიშვილს, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მრჩეველს და ნატალია ჩუბინიძეს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელს, გაწეული კონსულტაციებისათვის.

ჩვენი კვლევის მთავარი კითხვებია: რამდენად ჰომოგენურია თითოეული ემიგრანტის მიერ შექმნილი საემიგრაციო სივრცე? რა რაოდენობისა და როგორი სახის სივრცეები შიძლება შეიქმნას მიგრაციის როგორც დინამიკური პროცესის შედეგად? რომელია ეს სივრცეები და რომელი მათგანი განსაზღვრავს მიგრაციის როგორც ტრანზიციის არსს? საკითხის ამგვარად დასმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე ეხება არარეგულირებად ქართულ შრომით ემიგრაციას, სადაც არსებული სამართლებრივი სტატუსის გამო, ისედაც დარღვეულია მიგრანტთა შრომითი უფლებები, შეზღუდულია საკომუნიკაციო თუ კულტურული სივრცე და მისი აღქმა/მოაზრება ძალიან სუბიექტურ ხასიათს ატარებს. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რა სივრცეები აყალიბებს/განსაზღვრავს ქართველთა საემიგრაციო სივრცეს, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ სივრცის ცნება, რომელიც „შემოუსაზღვრავი და შეუზღუდავი არეალია, სადაც ადგილი აქვს ყველა ფიზიკურ მოვლენას“.[1] ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოცემული სტატიის მიზანია. ეს განმარტება უამრავ პროცესს მოიცავს. ჩვენი კვლევის მთავარი კითხვა კი მიემართება იმას, თუ რა ადგილი უჭირავს ამ სივრცეში მიგრაციას, როგორც დინამიკურ საზოგადოებრივ პროცესს, რა შინაარსს ატარებს ის და რა როლს ასრულებს თავად მიგრანტი მასში.

კვლევა და შედეგები

საბჭოთა სახელმწიფოში ქართველები არ გამოირჩეოდნენ მაღალი მობილობით. როგორც რ. გაჩეჩილაძე მიუთითებს, 1979 წლის აღწერის მიხედვით, ამ ეთნოსის მოსახლეობის 96.5% მუდმივად სამშობლოში ცხოვრობდა, რაც 1989 წლის აღწერის დროსაც თითქმის უცვლელი დარჩა (შემცირდა მხოლოდ 1,5%-ით).[2] დღეისათვის კი ჩვენი ქვეყნის 4,3 მილი-

[1] Liszewski, S. (2006) *“Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World”,* Tourism, ტ.16, No.2, გვ.8.

[2] გაჩეჩილაძე, რ. (1997) *მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები,* გვ.9.

ონი მოქალაქისაგან 1-1,2 მილიონმა საემიგრაციოდ პოსტსაბჭოთა რეს-პუბლიკებს, ევროკავშირის ქვეყნებს თუ აშშ-ს მიაშურა.[1] სივრცითი ცვლილების გარდა, ქართული შრომითი ემიგრაციისათვის დამახასიათებელია მიგრანტთა სტრუქტურული (პროფესიული) ტრანსფორმაცია, ნუკლეარული ოჯახის პარტნიორი წევრების დაცალკევება (თავიდან დროებით, თუმც როდემდე, არც თავად ემიგრანტმა და არც მისმა მეუღლემ იცის), ემიგრანტის ფულად გზავნილზე დამოკიდებული ბიუჯეტი და ერთმშობლიანი გარემო. ხშირად ოჯახის სხვა ან უფრო ხანდაზმული წევრი/წევრები იღებენ საკუთარ თავზე მშობლის ფუნქციას. ამ უკანასკნელი ტიპის ოჯახს კანადელი მეცნიერი ფულერ-ტომსონი „გამოტოვებული თაობის შინამეურნეობას“ (“skipped generation household“) უწოდებს.[2] ჩვენი კვლევის საგანი კი ის ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სივრცეა, სადაც აღნიშნული ტიპის შინამეურნეობის წევრებს უხდებათ მოღვაწეობა.

როდესაც ვსაუბრობთ ტრანსნაციონალური მიგრაციის შესახებ,[3] ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი მხოლოდ ქართულ რეალობას არ მიემართება. 1990-იანი წლების დასაწყისიდან ‘ოჯახის მხარდამჭერმა’ შრომითმა ნაკადებმა განვითარებულ და მესამე სამყაროს ქვეყნებში მუდმივი ხასიათი შეიძინა. ამდენად, ჩვენი ქვეყანა, როგორც ამ უკანასკნელი სივრცის ნაწილი, გამონაკლისი ვერ იქნება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთში ქართველთა ყოფნა, როგორც შრომითი მიგრანტებისა, დროებითია, ერთი მხრივ, მათი უმეტესობის არალეგალური სტატუსი და, მეორე მხრივ, სამშობლოში შრომითი საქმიანობის გაგრძელებისათვის ნაკლებად მიმზიდველი გარემო სრულიად გაურკვეველს ხდის მიგრანტთა დაბრუნების პერსპექტივას. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ საქართველოს დღემდე არ მოუხდენია შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული არც ერთი დოკუმენტის რატიფიცირება, საემიგრაციო პოლიტიკის ერთ-ერთი ინიციატივა კი პარტნიორ ქვეყნებს შორის სწორედ ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმებაა. რათა მსგავსი ტიპის ემიგრაცია უსასრულოდ არ გაგრძელდეს, მიგრანტებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლად მიმოსვლის საშუალება და დაცული იყოს მათი უფლებები. ამდენად, ჩვენს სტატიაში მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკასთან დაკავშირებული მიმდინარე სამთავრობო ღონისძიებების წარმოჩენა და ქვეყნის საემიგრაციო პოლიტიკის აუცილებლობის მხარდაჭერა.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენ მივყვებით პროფესორ ლიშევსკის სქემას მოსახლეობის მობილობის პირობებში რამდენიმე ტიპის სივრცის არ-

[1] მელაძე, გ. (2003) *“მოსახლეობის მოძრაობის ბუნებრივი დინამიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში”,* კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი, No.3, გვ.84.

[2] Fuller-Thomson, E. (2005) *“Canadian first nation grandparents raising grandchildren: A portrait in resilience”,* Aging and Human Development, ტ. 60, No.4, გვ. 331.

[3] Ho, E., & Bedford, R. (2008) *Asian transnational families in New Zealand: Dynamics and challenges* International Migration, ტ.46, No.4, გვ.43.

სებობის შესახებ, რომლის განზოგადებასაც მოცემულ სტატიაში მიგრაციის სფეროზე ვახდენთ.

პირველი, რაც მკვლევრის მიერ არის გამოყოფილი, ***წარმოსახვითი სივრცეა.*** ის პოტენციური მიგრანტის გონების მიერაა შექმნილი ადრე ნანახ, წაკითხულ, გადმოცემულ ან სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით. ადამიანის გონების ამგვარ მზაობას გარკვეული მოტივაცია განაპირობებს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მიგრაციის მამოძრავებელი – განმზიდავი და მიმზიდველი (push and pull factors) – ფაქტორები.[1] ერთ-ერთმა ჩვენმა რესპონდენტმა აშშ-ში აღნიშნა:

„წინასწარ რასაც ფიქრობ, ეს ყოველთვის ეიფორიაა. როგორი სწორი ინფორმაციაც არ უნდა მოგაწოდონ, მაინც ფიქრობ, რომ იქ უკეთესად იქნები. არადა, როცა რეალურად გიხდება უკვე ყველაფერთან შეხება, მერე ხვდები, რომ აქ ოცნებებით ჩამოხვედი, რომელიც თავზე გენგრევა, მაგრამ უკან ვეღარ იხევ, აღარ შეგიძლია...“[2]

ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თითქოს იცოდნენ ყველაფერი თავიანთი ემიგრანტი ოჯახის წევრის შესახებ, მაგრამ წარმოდგენები რეალურს არ დაემთხვა:

„დედაჩემთან რომ ჩავედი კვიპროსზე და ერთი წელი იქ დავრჩი სამუშაოდ, მას შემდეგ ძალიან შევიცვალე. ნეტა იცოდეთ, მანამდე მის გამოგზავნილ ფულს როგორ ვხარჯავდი, არ მენანებოდა, წარმოდგენაც კი არ მქონდა... ახლა მე და მამა სულ ვცდილობთ უმიზნოდ არ გავფლანგოთ, მერიდება საშინლად...“ [3]

ერთ-ერთმა პოტენციურმა მიგრანტმა კი ჩვენს შეკითხვაზე საბერძნეთში მისი უკვე დაგეგმილი წასვლის მიზნის შესახებ გვიპასუხა:

„ვიცი, რომ მონური შრომისა და დამცირებისთვის მივდივარ, მაგრამ ჩემს ოჯახს ეს სასიცოცხლოდ სჭირდება“.[4]

საბედნიეროდ, ეს უკანასკნელი იმ იშვიათ გამონაკლისს მიეკუთვნება, რომელმაც მართლაც მოახერხა დასახული მინიმალური მიზნის მიღწევა და სამ წელიწადში ოჯახს დაუბრუნდა:

„ჩემს შვილებს ახლა ისევე ჭირდებოდა ჩემი დაბრუნება, როგორც წასვლა თავის დროზე. მიხარია, რომ ეს შევძელი“.[5]

---

[1] Kuby, M., & Harner, J., *et al* (2004). *Human Geography in Action,* გვ.86.

[2] ბესო, 44 წლის, მძღოლი. *ინტერვიუ ჩაწერილია ი. იაშვილის მიერ 2010 წლის 14 აპრილს,* ქ. მონრო, აშშ.

[3] ლია, 21 წლის, სტუდენტი. *ინტერვიუ ჩაწერილია თ. გვენეტაძის მიერ 2009 წლის 15 ნოემბერს,* თბილისი, საქართველო.

[4] ლალი, 35 წლის, პედაგოგი. *ინტერვიუ ჩაწერილია თ. გვენეტაძის მიერ 2010 წლის 10 იანვარს,* ქუთაისი, საქართველო.

[5] ლალი, 38 წლის, პედაგოგი. *ინტერვიუ ჩაწერილია თ. გვენეტაძის მიერ 2013 წლის 19 დეკემბერს,* ქუთაისი, საქართველო.

წარმოსახვით სივრცეში ლიშევსკი მოიაზრებს ორ ქვესივრცეს – *ვირტუალურს (virtual)* და *აღქმულს (perceived)*. პირველი შედარებით ახალი ტერმინია და 'ხელოვნურ რეალობას' გულისხმობს.[1] ვირტუალური სივრცის კონცეფციის აქტუალობა ბოლო ორ ათწლეულში განვითარებულმა საინფორმაციო-საკომუნკაციო სისტემებმა და გლობალურმა ინტერნეტქსელმა განაპირობა.

არა მხოლოდ ქართველები, არამედ ზოგადად ტრანსნაციონალური მიგრანტები ქმნიან განსაკუთრებულ ვირტუალურ სივრცეს სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებთან და ეს ძირითადად სკაიპით ხდება. როგორც ეს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შესახებ ერთ-ერთ მცირემასშტაბიან კვლევაში[2] გამოჩნდა, არცთუ იშვიათია დედების ჩართულობა სკაიპგაკვეთილებისა და საშინაო დავალებების მომზადებაში. ზემოთ ნახსენებმა რესპონდენტმა გვითხრა:

> „საბერძნეთში 3-დან 6 საათმდე მკვდარი საათია, ამ დროს ყველა ისვენებს და შენც არაფრის კეთება მოგეთხოვება. მთელ ამ დროს სკაიპით ჩემი შვილების მეცადინეობას ვახმარდი. ამის შესაძლებლობა რომ არ მქონოდა, ის 3 წელიც ვერ დავრჩებოდი იქ".[3]

მეორე ***აღქმული*** ქვესივრცეა, რომელიც უკვე ნანახის, განცდილის შთაბეჭდილებას გულისხმობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალური სიტუაციის გავლენის/ეფექტის საზომია, რაც პიროვნების გონებაში დარჩა/ აღიბეჭდა.[4] ის თითოეული მიგრანტის საკუთრება, გამოცდილებაა, მაგრამ, იმავდროულად, ინფორმაცია და წყარო სხვა პოტენციური მიგრანტისათვის, რომელიც ამ უკანასკნელს წარმოსახვითი სივრცის აგებაში ეხმარება. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი კრიტერიუმების მიხედვით, საემიგრაციო გარემოსთან შეგუება განვსაზღვრეთ შემდეგი პარამეტრების მიხედვით: მიგრანტის მიერ არსებული მოვლენების აღქმა (დადებითი/უარყოფითი, ოპტიმისტური/პესიმისტური), თვითშეფასება, საკუთარი ჯანმრთელობის აღქმა, მიმდინარე პრობლემების გადაჭრის უნარი.[5]

ამერიკაში მცხოვრებ ქართველ მიგრანტებს მკვეთრად დადებითი დამოკიდებულება აქვთ ქვეყანაში არსებული წესრიგის მიმართ. ხშირად აღნიშნავენ, რომ კანონის უზენაესობა განსაკუთრებულ კომფორტს უქმნის მათ:

---

[1] Liszewski, S. (2006) *"Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World",* Tourism, ტ.16, No.2, გვ.11.

[2] Gvenetadze, T. & Samkharadze, M. (2012) *"Migration from Georgia: Families Left Behind (Summary),"* in van Krieken and ICMPD GOVAC project team (ed.), *Summer School Reader Building Training and Analytical Capacities on Migration in Moldova and Georgia (GOVAC) Project*, გვ. 22-23.

[3] ლალი, 38 წლის, პედაგოგი. *ინტერვიუ ჩაწერილია თ. გვენეტაძის მიერ 2013 წლის 19 დეკემბერს,* ქუთაისი, საქართველო.

[4] Podsiedlik, S. (1993) *"Persepcja przestrzeni turystycznej Polski przez studentov geografii",* Turyzm, 3/2, s.5-22, in Liszewski, S. (2006) *"Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World",* Tourism, ტ.16, No.2, გვ.12.

[5] დურგლიშვილი, ნ. (1997) *ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი,* გვ. 28.

„კანონის უზენაესობა აქ უპირველესია, ნეტავ, ეს ჩემს ქვეყანაში მანახა. მოძრაობის წესების დარღვევისათვის პოლიციელმა დამაჯარიმა... როცა ასე ხდება, მათ არასოდეს ვეკამათები, ტყუილად არ გამაჩერებს... და რაც ყველაზე მთავარია, ვიცი, რომ მე და ამერიკელი მძღოლი მისთვის თანაბარი ვართ კანონის წინაშე“.[1]

„რატომ ვარ აქ კომფორტულად? მობილიზებული და ორგანიზებული ვარ ისე, როგორც არასდროს. ჩემი თავის პატივისცემა მაქვს... სამუშაო მაქვს და მშვიდად ვარ. ჯანმრთელობის პრობლემები? ჰო, არის, მაგრამ საქრთველოში იგივე და სხვა პრობლემებიც მექნებოდა“. [2]

ევროპიდან დაბრუნებული ქართველი მიგრანტები იქ ყოფნის პერიოდს მოიხსენიებენ როგორც „დაგეგმილსა და უსაფრთხოს“.[3] ხოლო მიგრანტთა 70% მიიჩნევს, რომ ევროპაში მათ შეიძინეს მეტად მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები ორგანიზებული შრომისათვის.[4]

მ. ტუხაშვილი აღნიშნავს, რომ დაბრუნებულ მიგრანტებთან აღქმული სივრცე დაკავშირებულია შემდეგი უნარების ჩამოყალიბებასთან: პრობლემებზე სწრაფად რეაგირების და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, შემჭიდროებულ ვადებში მუშაობა, საქმისადმი პასუხისმგებლობით მიდგომა, ცოდნის დემონსტრირება. ისინი გახდნენ უფრო ენერგიულნი, მიზანსწარფულნი და პუნქტუალურები.[5]

ყველა აღნიშნული ტიპის სივრცე და მასთან კონტაქტი პრაქტიკულად უსასრულოა, რადგან მიგრაცია თავად გლობალური მასშტაბის მოვლენაა და მილიონობით აქტორი ჰყავს, თუმც ასე არ არის ყველა შემთხვევაში.[6] შესაძლებელია, საემიგრაციო სივრცე პროცესის მონაწილეთათვის თანაბრად ხელმისაწვდომი/შეღწევადი ვერ იყოს, ზოგჯერ კი შეუღწევადიც აღმოჩნდეს. როდესაც ლიშევსკი საუბრობს ***'შეზღუდული ხელმისაწვდომობის'*** სივრცის შესახებ ტურიზმში, მიიჩნევს, რომ შეიძლება გამოიყოს ***ბუნებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-***

---

[1] ზურა იმერეთიდან, 52 *წლის, მძღოლი. ინტერვიუ ჩაწერილია ი. იაშვილის მიერ 2010 წლის 14 აპრილს,* ქ. მონრო, აშშ.

[2] სოსო თბილისიდან, 48 წლის, მძღოლი. ინტერვიუ ჩაწერილია ი. იაშვილის მიერ 2010 წლის 15 აპრილს, ქ. მონრო, აშშ.

[3] Erlich, A., Vacharadze, K., et al. (2009) *Voices of Migration in Georgia, Qualitative Research on the Migrants and Their Communities in Georgia.* CRRC, გვ. 22
http://www.crrc.ge/store/downloads/projects/DRC-CRRC%20Voices%20of%20Migration_24MAR2009.pdf (ნანახია: 06/04/2014).

[4] Badurashvili I. (2012) *Integration of migrants from Georgia in countries of temporary residence and upon return to Georgia: What differences do Georgian migrants face in the process of adaptation to a new social environment.* Research report, გვ. 10.

[5] შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. (2012) მომზადებულია, ლტოლვილთა დანიის საბჭოს მხარდაჭერით, გვ. 119.

[6] Liszewski, S. (2006) *"Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World",* Tourism, ტ.16, No.2, გვ.12.

კულტურული ფაქტორით შეზღუდლი ქვესივრცეები.[1] პარალელის გავლება, ვფიქრობთ, საემიგრაციო სივრცესთანაც შეიძლება. აღნიშნული ფაქტორები, ცალკეულ შემთხვევებში, ლიმიტირებულს ხდის საემიგრაციო სივრცეში მიგრანტთა შეღწევას.

ოფიციალურ შემზღუდველ ***პოლიტიკურ*** ფაქტორად ვიზების გაცემის სისტემა/რეჟიმი შეიძლება ჩაითვალოს.[2]

დღეს საქართველოს მოსახლეობისათვის ერთ-ერთი ძნელად შეღწევადია რუსეთის სივრცე. 2006 წლის შემდეგ გამკაცრდა და შეიზღუდა ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებისთვის, ამასთანავე, დეპორტაციას დაექვემდებარა რამდენიმე ათასი პირი, კერძოდ, 2006 წელს – 3500;[3] ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებით, 2009-2012 წლებში რუსეთიდან გამოაძევეს 1260 მოქალაქე.[4]

მიუხედავად იმისა, რომ ვიზის პრობლემა მინიმალურია თურქეთთან, 2013 წლის პირველ ნახევარში საზღვარგარეთიდან გამოძევებულ 2935 მოქალაქის ძირითადი ნაწილი თურქეთიდანაა.[5] 2009-2012 წლებში ლიდერი ქვეყნები, ქართველთა დეპორტაციის მხრივ, არიან რუსეთი, თურქეთი, საბერძნეთი და პოლონეთი.[6]

2011 წლიდან საქართველო ჩართულია ევროკავშირთან დადებულ რეადმისიისა და ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებაში, რაც უცხოეთში არალეგალურად მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთა სამშობლოში დაბრუნებას გულისხმობს.[7] თუმცა აღნიშნული შეთანხმება, იმავდროულად, აიო-

---

[1] Liszewski, S. (2006) *"Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World",* Tourism, ტ.16, No.2, გვ.12.

[2] Liszewski, S. (2006) *"Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World",* Tourism, ტ.16, No.2, გვ.14.

[3] Visa Facilitation and Readmission: Visa Liberalization Prospect, 2012, გვ.75 in Chelidze, N. (2013) Readmission, Return and Reintegration in Georgia, CARIM-East Explanatory Note 13/25, CARIM-East – Consortium for Applied Research on International Migration, გვ. 4, http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2013-25.pdf (ნანახია: 01/04/2014).

[4] Chelidze, N. (2013) *Readmission, Return and Reintegration in Georgia, CARIM-East Explanatory Note 13/25,* CARIM-East – Consortium for Applied Research on International Migration, გვ. 4, http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2013-25.pdf (ნანახია: 01/04/2014).

[5] *დეკლარირებული და პასიური პოლიტიკიდან ემიგრანტთა დაბრუნების ეტაპობრივ პოლიტიკამდე* (2013), ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება, გვ.13.

[6] Chelidze, N. (2013) *Readmission, Return and Reintegration in Georgia, CARIM-East Explanatory Note 13/25,* CARIM-East – Consortium for Applied Research on International Migration, გვ. 4, http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2013-25.pdf (ნანახია: 01/04/2014).

[7] ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია. შემაჯამებელი კვლევა (2012), http://www.ei-lat.ge/images/stories/Documents/docs/Final_Report_-_Visa_Facilitation_and_Readmission_Georgias_Visa_Liberalization_Prospects_with_the_EU.pdf (ნანახია: 16/04/2014).

ლებს საქართველოს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეთათვის ევროკავშირის ქვეყნებში შეღწევას. 2011-2012 წლებში ყველაზე მეტი მოთხოვნა ქართველ მიგრანტთა რეადმისიის შესახებ იყო გერმანიიდან, ავსტრიიდან, საბერძნეთიდან, ნიდერლანდებიდან და ბელგიიდან. ამ ორი წლის განმავლობაში, აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში, სულ 232 არალეგალური მიგრანტი იქნა დაბრუნებული საქართველოში.[1] მიუხედავად იმისა, რომ სავიზო რეჟიმი მკაცრია აშშ-თან, ქვეყანაში შეღწევის შემთხვევაში, ქართველი რესპონდენტების მიერ ამერიკული სივრცე ყველაზე მეგობრულად მიიჩნევა. ისინი ამერიკას ემიგრანტების მიმართ კეთილგანწყობილ და ნაკლებად ბიუროკრატიულ ქვეყნად მიიჩნევენ, სადაც იოლია სამუშაოს მოძებნა არალეგალურ მიგრანტთათვის. ყველაზე დიდ სირთულეს ამ ქვეყნის ვიზის მიღება წარმოადგენს.[2] საემიგრაციო სივრცის პოლიტიკურ შეუღწევადობაში, ცხადია, ასევე მოიაზრება ქვეყნებს შორის პოლიტიკური დაპირისპირება, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა, კომუნიკაციური ბლოკადა და ა.შ. როგორც მ. ტუხაშვილი მიუთითებს, „რუსეთში ზოგადად გაღვივებულ მიგრანტო- და ეთნოფობიის ფონზე, 2008 წლის შემდგომ კი, უკვე სხვადასხვა პოლიტიკური ძალების და მედიის წაქეზებით, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში 'გრუზინოფობიამაც' იმძლავრა".[3] იმავე კვლევით, რემიგრანტთა შორის ყველაზე მაღალია რუსეთიდან, თურქეთიდან და საბერძნეთიდან დაბრუნებულთა წილი,[4] რაც, ერთი მხრივ, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და უმუშევრობის ზრდამ გამოიწვია, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ქვეყნებში ქართველთა მიმართ შექმნილმა არაკეთილგანწყობილმა გარემომაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა.

საემიგრაციო სივრცის *ეკონომიკური* განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიგრანტთა მიზიდვის დონეს. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები საქართველოსთან ყველაზე ახლო გეოგრაფიულ სივრცეს ეკუთვნიან, მიგრაციული ნაკადები მათი მიმართულებით ბევრად ნაკლებია, ვიდრე მაღალგანვითარებული დასავლეთ

---

[1] Implementation of the Agreement between European Union and Georgia on Facilitation of Issuance of Visas. Monitoring Report (2013), http://www.informedmigration.ge/en/index.php?about_TIG, January, 2013 in Chelidze, N. (2013) *Readmission, Return and Reintegration in Georgia, CARIM-East Explanatory Note 13/25,* CARIM-East – Consortium for Applied Research on International Migration, გვ. 3, http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2013-25.pdf (ნანახია: 01/04/2014).

[2] Erlich, A., Vacharadze, K., et al (2009), Voices of Migration in Georgia, Qualitative Research on the Migrants and Their Communities in Georgia. CRRC, გვ. 24 http://www.crrc.ge/store/downloads/projects/DRC-CRRC%20Voices%20of%20Migration_24MAR2009.pdf (ნანახია: 06/04/2014).

[3] *შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში* (2012), მომზადებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს მხარდაჭერით, გვ. 92.

[4] Ibid. გვ.93.

ევროპული ქვეყნებისა და შეერთებული შტატებისაკენ. რუსეთსა და საბერძნეთში ქართველ შრომით მიგრანტთა რიცხვის შემცირების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ექსპერტები სწორედ მსოფლიო ფინანსურ კრიზისსა და მით გამოწვეულ უმუშევრობის ზრდას განიხილავენ[1] მაშინ, როცა ეს ქვეყნები იწყებენ და ასრულებენ ქართული საემიგრაციო სივრცის პირველ ხუთეულს.[2] საქართველოსთან მიმართებაში, თუკი პირველ ადგილზე მყოფ რუსეთს გამოვრიცხავთ, სადაც ქართველ მიგრანტთა თავმოყრას, უპირატესად, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, სივრცის ნაცნობობა განაპირობებს, პირველ სამეულს ისრაელი, გერმანია და აშშ ქმნის.[3] ეკონომიკური ფაქტორის გავლენა განსაკუთრებით თვალშისაცემია ამერიკულ სივრცესთან მიმართებაში, სადაც მანძილი მიგრანტთათვის განმსაზღვრელ როლს ვეღარ თამაშობს და წინა პლანზე კონკრეტულად მიმზიდველი ეკონომიკური ფაქტორები გამოდის. უფრო მეტიც, 2011 წლის მონაცემებით, მიგრაციული ნაკადები მზარდია იტალიის, ესპანეთისა და აშშ-ის მიმართულებით.[4] ჩვენ მიერ ამერიკაში ჩატარებული კვლევისას გაირკვა, რომ მიგრანტთა 43%-მა აირჩია აშშ, რადგან შრომის ანაზღაურება აქ უფრო მაღალია, ვიდრე ევროპაში, 34%-ის წასვლა კი განაპირობა უკვე იქ არსებულმა სანაცნობო ქსელმა. უფრო მეტიც, როგორც დემოგრაფი გ. წულაძე მიუთითებს, აშშ-ს ქართული ემიგრაცია გამოირჩევა თბილისიდან წასულთა ყველაზე მაღალი წილით – 67% (შორი საემიგრაციო სივრცე) მაშინ, როცა დედაქალაქის მკვიდრთა ოდენობა ყველაზე დაბალია რუსეთში – 21.3% (ახლო საემიგრაციო სივრცე).[5]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველები არასოდეს გამოირჩეოდენენ მაღალი მიგრაციული აქტივობით, ანუ საკუთარ ისტორიულ-გეოგრაფიულ, ეთნოლინგვისტურ, სოციოკულტურულ და რელიგიურ სივრცეში ცხოვრობდნენ.[6] მხოლოდ *კულტურულ-რელიგიური შემზღუდველი ფაქტორით* უნდა აიხსნას ის, რომ მიმზიდველი ეკონომიკური გარემოს მიუხედავად, ქართველთა შრომითი ნაკადები მინიმალურია ისალმურ ქვეყნებში, თურქეთის გამოკლებით.

რაც შეეხება *შემზღუდველ სოციალურ ფაქტორს,* ჩვენ აქ ენის არცოდნას ანუ ამ სოციალური კაპიტალის ნაკლებობას ან უქონლობას ვგულისხმობთ, რაც ართულებს ჩვენს ემიგრანტთა ადაპტაციას უცხო

---

[1] Ibid.

[2] Migration facts Georgia, (2013) http://www.migrationpolicycentre.eu/docs/fact_sheets/Factsheet%20Georgia.pdf (ნანახია: 15/04/2014).

[3] Ibid.

[4] Ibid.

[5] წულაძე, გ. (2005) ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, გვ.106.

[6] გაჩეჩილაძე, რ. (1997) *მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები,* გვ.9.

გეოგრაფიულ სივრცეში. როგორც ი. ბადურაშვილი მიუთითებს, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა 57%-მა აღნიშნა, რომ ენის მცოდნე ემიგრანტისათვის უფრო იოლია სამუშაოს პოვნა, მხოლოდ 10%-მა მიმართა ენის შემსწავლელ კურსებს. რაც შეეხება აკადემიურ ცოდნას, რომელიც ქართველ ემიგრანტებს ჰქონდათ უცხო ქვეყანაში გამგზავრებამდე, მცირე გამონაკლისების გარდა, ისე ასევე გამოუყენებელ სოციალურ კაპიტალად დარჩა ევროპული და ამერიკული ბაზრებისათვის. ამიტომ ექსპერტები საქართველოდან ემიგრაციას არა 'ტვინების გადინებას' ('brain drain'), არამედ 'ტვინების გაფლანგვას' ('brain waste') უწოდებენ.[1] დაბრუნებულ მიგრანტთა მხოლოდ 3%-მა მიუთითა უცხოეთში შეძენილი კვალიფიკაციის შესახებ.[2]

რეალური საემიგრაციო სივრცე კომპლექსურია. იგი გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური თუ ეთნოკულტურული ქვესივრცეების ერთობლიობაა,[3] ხოლო მოტივაცია მის შესაქმნელად სამშობლოში დარჩენილი ოჯახების ფინანსური უზრუნველყოფაა.

პროფესორი ლიშევსკი მიუთითებს, რომ რეალური ტურისტულ-რეკრეაციული სივრცის შექმნა, პირველ რიგში, გეოგრაფიული სივრცის ათვისებას (occupation)[4] გულისხმობს. მიგრანტები იკავებენ არა მარტო მასპინძელი ქვეყნის საცხოვრებელ გეოგრაფიულ სივრცეს, არამედ თავიანთი სოციოკულტურული, რელიგიური თუ ფსიქოლოგიური ფასეულობებით იჭრებიან ლოკალური მოსახლეობის ანალოგიურ სივრცეებში. თუ როგორ აღიქმება ეს თანაარსებობა ადგილობრივი საზოგადოებების მიერ, კვლევის მრავალი მიმართულების ინტერესის სფეროა.

ყველაზე რეალური სივრცე მიგრანტთათვის *შრომითი აქტივობის სივრცეა,* რომელიც მათი ძირითადი სამოღვაწეო ასპარეზია და რომელსაც ყველაზე დიდი დრო ეთმობა. დამოკიდებულება იმიგრანტი შრომითი რესურსის მიმართ (განსაკუთრებით კი არარეგულარულად მომუშავეთა მიმართ, როგორიც ქართველთა უმეტესობაა) ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან მრავალგვარია. ამერიკელთა 60% მიიჩნევს, რომ არარეგულარული მიგრაცია ბევრად უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ლეგალური.[5] სხვა კვლევის მიხედვით, ამერიკელთა 61% მხარს უჭერს ლეგალური სტატუსის შემოღებას დროებით მიგრანტთათვის და არა მათ დეპ-

---

[1] Badurashvili I. (2012) *Integration of migrants from Georgia in countries of temporary residence and upon return to Georgia: What differences do Georgian migrants face in the process of adaptation to a new social environment.* Research report, გვ. 5.

[2] *შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში* (2012), მომზადებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს მხარდაჭერით, გვ. 120.

[3] Liszewski, S. (2006) *"Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World",* Tourism, ტ.16, No.2, გვ.16.

[4] Ibid.

[5] Pew Research Center for the People and Press/Pew Hispanic Center, *"America's Immigration Quandary: No Consensus on Immigration Problem or Proposed Fixes."* (2006) in Ilias, Sh., Fennely, K., *et al*, (2008) *"American Attitudes Toward Guest Worker Policies,"* International Migration Review, ტ. 42, No.4 გვ. 744.

ორტაციას არარეგულარული მიგრაციის შემცირების მიზნით.[1] ექსპერტები ასევე მიუთითებენ, რომ „ამერიკელებს შეიძლება ზოგადად აქვთ უარყოფითი დამოკიდებულება არალეგალურ მიგრანტთა მიმართ, მაგრამ სიმპათიით არიან განწყობილნი მათ მიმართ, ვისაც პირადად იცნობენ“.[2] ამერიკაში მცხოვრები ჩვენი რესპონდენტების ერთი ნაწილი ცხოვრობსპატარა ქალაქ მონროში (ნიუ-იორკის შტატი), რომლის მოსახლეობას, ძირითადად, ორთოდოქსი ებრაელები შეადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ შრომით მიგრანტთა უმეტესობას საქართველოში ებრაელ ეთნოსთან თანაარსებობის გამოცდილება ჰქონდა, დღევანდელი ურთიერთობა მასპინძლებთან მათგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. დამქირავებლები ზედმიწევნით იცავენ და, ხშირ შემთხვევაში, დიდ აქცენტსაც აკეთებენ საკუთარ ეთნორელიგიურ ფასეულობებზე, რომელთა დაცვას შრომითი ურთიერთობის დროს სხვისგანაც ითხოვენ, რაც საკმაო გამოწვევაა ქართველი ემიგრანტებისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება ქალთა კონტინგენტს, რომელიც უფრო ხშირად მომვლელებად, მზარეულებად ან დამლაგებლებად მუშაობს.

ქართველი მიგრანტები ქმნიან კიდევ ერთ რეალურ, ეთნოკულტურულ სივრცეს, რომელსაც ჩვენ *საკომუნიკაციო-რეკრეაციულს* ვუწოდებთ. ჩვენს რესპონდენტთა ნახევარს, თავისუფალი დროის პირობებში, ურთიერთობა აქვს მისივე ეთნოსის წარმომადგენლებთან, 24%-ს კი – სხვა ეთნიკურ ჯგუფებთანაც (მაგ., ქ. მონროში პოლონელ შრომით მიგრანტებთან), თუმც 20%-ს ასეთი სივრცე საერთოდ არ გააჩნია. რეალურ საემიგრაციო სივრცეს ვაკუთვნებთ ასევე *საკომუნიკაციო-კონფესიურ სივრცეს,* რომელსაც ქართველ მიგრანტთა 7% ქართულ ეკლესიაში ქმნის თავისუფალი დროის პირობებში, რაც ძლიერ ეხმარება მათ უცხო ქვეყანაში ადაპტაციის პროცესში. ჩვენი კვლევის დროს ამ სივრცეს ქართველი მრევლი ბრუკლინის ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში იყოფდა ადგილობრივ მრევლთან შეთანხმებით.

საქართველოს მიგრაციული პოლიტიკა: როდიდან ამოქმედდება ის?

ქართველი ემიგრანტები გარკვეული სივრცეების ნაკლებობასაც განიცდიან. ყველაზე ხშირად ეს არის საგანმანათლებლო სივრცე პროფესიული სრულყოფისათვის. ეს დეფიციტი დიდწილად განპირობებულია მათი არალეგალური სტატუსით და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ენის არცოდნით. თუმც, ჩვენი რესპონდენტების 15.7%-მა მაინც შეძლო პროფესიული

[1] Washington Post/ABC News, Washington Post/ABC News Poll. December 15-18, 2005, in Ilias, Sh., Fennely, K., *et al*, (2008) *“American Attitudes Toward Guest Worker Policies,”* International Migration Review, ტ. 42, No.4, გვ. 745.

[2] Espenshade T. J. and Calhoun C. A., (1993) *“An Analysis of Public Opinion Toward Undocumented Immigration,”* Population Research and Policy Review ტ. 12 გვ.189-224, in Ilias, Sh., Fennely, K., *et al*, (2008) *“American Attitudes Toward Guest Worker Policies,”* International Migration Review, ტ. 42, No.4, გვ. 745.

უნარ-ჩვევების შეძენა ან გაუმჯობესება. ჩვენი აზრით, ეს უფრო მიგრანტთა ის ნაწილია, რომელიც დღეისათვის აშშ-ში ლეგალური მიგრანტის სტატუსს (ე.წ. მწვანე ბარათს) ფლობს. მათი სამოღვაწეო სივრცეები ბევრად უფრო ჰეტეროგენულია, ვიდრე შრომითი მიგარნტებისა. ისინი ქართული სათვისტომოების აქტიური წევრებიც არიან და დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობენ დიასპორების მიერ გამართულ ეროვნულ დღესასწაულებსა და ფესტივალებში. ერთ-ერთ ასეთ ეთნოკულტურულ სივრცედ ევროპის ბევრ ქვეყანასა და აშშ-ში საკვირაო სკოლები მოიაზრება.

2011 წელს, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და განათლების სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით, აშშ-ში, პოსტსაბჭოთა სივრცისა და ევროპის 50 ქვეყანაში ფუნქციონირება დაიწყო ქართულმა საკვირაო სკოლებმა. სამი ასაკობრივი ჯგუფისათვის (6-დან 12 წლის ჩათვლით) შეიქმნა სასწავლო პროგრამა ქართულ ენაში, საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიაში. 2012 წლის მაისში დიასპორების კონფერენციაზე საქართველოს მთავრობის მიერ თბილისში მოწვეულ იქნენ ამ სკოლების პედაგოგები, რომელთაც ჩაუტარდათ კონსულტაციები სწავლებასთან დაკავშირებით. როგორც დიასპორების სამინისტროში გვითხრეს, ამჟამად იქმნება ერთიანი ვებგვერდი „თანამემამულე“, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება ელექტრონული (ონლაინ) სკოლა. პროექტი, რომლის მიზანია პირდაპირ რეჟიმში გაკვეთილების გადაცემა ქართულ ენაში (3 საფეხურად, მოსწავლეთა ენის ცოდნის დონის მიხედვით), ისტორიასა და გეოგრაფია-ეთნოგრაფიაში, უკვე დაფინანსებულია. გარდა ამისა, მზადაა ქართული ენის სასკოლო პროგრამა თურქეთის იმ რეგიონებისათვის, სადაც მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორაა. სწავლება დაიწყება მე-5 კლასიდან მეორე ენის სტატუსით. ელექტრონული სკოლა დაფარავს ბევრად დიდი სივრცეს, ვიდრე საკვირაო სკოლა. მათი კოორდინირებულად ფუნქციონირების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთობლივი გაკვეთილების ჩატარება.[1] ასეთი ინიციატივები ფრიად მისასალმებელია, მაგრამ ქმედითი საემიგრაციო პოლიტიკის არარსებობა, სამომავლოდ, საქართველოდან კვლავ ახალი მიგრაციული ნაკადების წარმოქმნას შეუწყობს ხელს.

არარეგისტრირებული მიგრანტის სტატუსია მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქართველ შრომით რესურსს ემიგრაციაში, ფაქტობრივად, არ აქვს ოჯახური სივრცე, ვერ ხერხდება ოჯახების გაერთიანება. ფიზიკური კავშირის ხანგრძლივად გაწყვეტა ოჯახთან ძლიერ აზარალებს ორივე მხარეს. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, ყველაზე დიდია იმ ქართველ მიგრანტთა წილი (23.3%), რომლებიც 6-9 წლის განმავლობაში ერთი ვიზიტითაც არ ჩამოსულან სამშობლოში (წულაძე, 2005, გვ. 107).[2]

---

[1] ინტერვიუ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველთან, თამარ გამილაღდიშვილთან. ჩაწერილია დიასპორის სამინისტროში 2014 წლის 7 აპრილს.

[2] წულაძე, გ. (2005) *ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით,* გვ.107.

არალეგალური სტატუსი განაპირობებს იმას, რომ ქართველი მიგრანტები ვერ თანამშრომლობენ ოფიციალურ სააგენტოებთან და ვერ აფორმებენ შრომით ხელშეკრულებას დამსაქმებელთან, ასეთ პირობებში კი, ყოველთვის შესაძლებელია მათი უფლებების უხეში დარღვევა. როგორც ექსპერტები მიუთითებენ, ქართველი მიგრანტები საშუალოდ კვირაში 58 საათს მუშაობენ.[1]

ქართველთა საემიგრაციო ქვეყანაში დარჩენა და გაურკვევლობა სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, ასევე მათ არალეგალურ სტატუსს უკავშირდება. აშშ-ში ჩვენი რესპონდენტების ნახევარი ფიქრობს, რომ ოჯახის წევრები მის დაბრუნებას ელიან; 32% თვლის, რომ ოჯახი შეეგუა მის არყოფნას; 24.5% კი მიიჩნევს, რომ სამშობლოში მისი ფინანსური დახმარება ჯერ კიდევ სჭირდებათ. ემიგრანტთა ნახევარი დაბრუნებას უახლოეს 5 წელიწადში აპირებს, 30.3% დაბრუნებას ჯერ არ გეგმავს, ხოლო 13%-სათვის ეს ჯერ გაურკვევლია.

რადგან საკითხი დაბრუნების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანია, თანაც, ერთი მხრივ, არსებობს მიგრანტის „გარანტირებული“ სამუშაო მასპინძელ ქვეყანაში და, მეორე მხრივ, „გარანტირებული“ ფულადი გზავნილები სამშობლოში, მიგვაჩნია, რომ რემიგრაციის პროცესი საკმაოდ ძნელად წარიმართება.

დაბრუნებულ მიგრანტთათვის უმნიშვნელოვანესია ის რეალობა, რომელიც მათ რემიგრაციის შემთხვევაში სამშობლოში ხვდებათ. როგორც საქართველოში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევა უთითებს, „მათ გადაატანეს კულტურული შოკი, როცა აშკარა ხდება იმ სოციალური და კულტურული გამოცდილების შეუსაბამობა, რაც ემიგრაციის წლებში შეიძინეს და რასთან ადაპტირებაც მათ ახლიდან უხდებათ სამშობლოში“.[2] გარდა ამისა, ჯერჯერობით საკუთარ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის არასაკმარისი შეასძლებლობები რემიგრანტებს უკან დაბრუნების სურვილს უჩენს.[3] ამიტომ საემიგრაციო პოლიტიკის შემუშავება საქართველოსათვის აუცილებელი რეალობაა.

დღეისათვის საქართველო ხელმომწერი და მონაწილეა არაერთი უმნიშვნელოვანესი ევროპული დოკუმენტისა, რომელიც ავალდებულებს ჩვენს ქვეყანას, შექმნას ღირსეული პირობები მიგრანტთა სამშობლოში დასაბრუნებლად. ამ პროცესში ჩართულია ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია, თუმც ბოლო დრომდე მათ, ფაქტობრივად, მუშაობა უხდებათ სა-

[1] Badurashvili I. (2012) *Integration of migrants from Georgia in countries of temporary residence and upon return to Georgia: What differences do Georgian migrants face in the process of adaptation to a new social environment.* Research report, გვ. 6.

[2] *დეკლარირებული და პასიური პოლიტიკიდან ემიგრანტთა დაბრუნების ეტაპობრივ პოლიტიკამდე* (2013), ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება, გვ.18.

[3] *შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში* (2012), მომზადებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს მხარდაჭერით, გვ. 121.

ხელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური ნების არქონის პირობებში.[1] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა მოქალაქეთა ინტენსიური გადინების კუთხით დამაფიქრებელია, ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის მიერთებული არც ერთ საერთაშორისო კონვენციას შრომითი მიგრაციის შესახებ და არც შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული რომელიმე ქვეყანასთან.[2] საერთაშორისო ორგანიზაციები აღნიშნავენ საქართველოს ოფიციალურ უწყებებში საკითხით დაინტერესებას, მაგრამ იქვე მიუთითებენ ამ უწყებებს შორის კოორდინირების არარსებობისა და ერთიანი ელექტრონული ბაზის არქონის შესახებ.[3] მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური წინსვლა ანელებს მოქალაქეების ქვეყნიდან გადინებას.[4] უდავოა, რომ ეს ფაქტორი საქართველოსთვისაც გადამწვეტი უნდა იყოს. მაგრამ რადგანაც ემიგრაცია დღევანდელი (და უახლოესი მომავლის) მწვავე რეალობაა და ის სპონტანურად ვერ შეჩერდება, როგორც პროგრამა მინიმუმი, საქართველომ უნდა მოახდინოს საკუთარი მოქალაქეების, ლეგალიზაცია შრომის საერთაშორისო ბაზარზე.

მას შემდეგ, რაც საქართველომ ხელი მოაწერა რეადმისიისა და ვიზის ფასილიტაციის ხელშეკრულებას,[5] ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით შექმნილი ახალი სამთავრობო სტრუქტურა – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო – პირველ ნაბიჯებს დგამს ცირკულარული მიგრაციის მიმართულებით. როგორც სააგენტოს ექსპერტები აღნიშნავენ, დღეის მდგომარეობით არსებობს ორი კონკრეტული ინიციატივა: ერთი ითვალისწინებს ტურიზმისა და სამედიცინო სფეროდან საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას გერმანიაში შესაბამის დაწესებულებებში შრომითი გამოცდილების მიღების მიზნით და მეორეა შეთანხმება საფრანგეთსა და საქართველოს შორის „კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“. შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისათვის საფრანგეთში ლეგალური შრომითი გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. ამჟამად, ხელშეკრულება გადის სარატიფიკაციო პრო-

---

[1] *დეკლარირებული და პასიური პოლიტიკიდან ემიგრანტთა დაბრუნების ეტაპობრივ პოლიტიკამდე* (2013), ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება, გვ.16.

[2] *Migration in Georgia: A country profile.* (2008). International Organization for Migration, გვ.26.

[3] *Review of Migration Management in Georgia. Assessment mission Report* (2007), International Organization for Migration, გვ.20.

[4] *Migration and Remitances: eastern Europe and the Former Soviet Union* (2006) Mansoor, A. and Quilin, B. (ed.), The World bank, გვ. 86-90.

[5] ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია: უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები შემაჯამებელი კვლევა ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი აპრილი, 2012 წელი, http://www.ei-lat.ge/images/stories/Documents/docs/Final_Report_-_Visa_Facilitation_and_Readmission_Georgias_Visa_Liberalization_Prospects_with_the_EU.pdf (ნანახია: 15/04/2014).

ცედურებს როგორც საქართველოს, ასევე საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პროექტის ციკლი მოიცავს უცხოეთში ლეგალურ გამგზავრებას, დასაქმებას თანმდევი უფლებების სრული დაცვით, უკან დაბრუნებასა და რეინტეგრაციას. ლეგალური შრომითი მიგრაციისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის ერთადერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით, სათანადო უწყებების მხრიდან, მიმდინარეობს დამატებითი მოსამზადებელი სამუშაოები საბერძნეთთან, რუმინეთთან, პოლონეთთან და თურქეთთან ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების ძიებისა და სათანამშრომლო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.[1]

2013 წლის 12 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონი“, რომელიც ევროპის საუკეთესო პრაქტიკას ეყრდნობა,[2] შეიძლება ერთ-ერთი ხელისშემწყობი ინიციატივა გახდეს რემიგრაციისათვის. კოოპერატივი საშუალებას მისცემს წვრილ გლეხურ მეურნეობებს (სამომხმარებლო მეურნეობა), გარდაიქმნან საშუალო ფერმერულ სასაქონლო წარმოებად. ამით კოოპერატივები უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებენ აგრარული სექტორის მოდერნიზაციასა და პროდუქციის მაღალი სტანდარტების დანერგვაში. მსგავს სტრუქტურებში შეიძლება მიგრანტთა ფულადი გზავნილების აკუმულირება, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს თემის კონსოლიდაციას, მეორე მხრივ კი – საერთო-სასოფლო პროექტების განხორციელებას სამთავრობო/არასამთავრობო მხარდაჭერით ისევ თემის სასიკეთოდ. როგორც დიასპორების სამინისტროში გვითხრეს, ზოგი ქვეყანა ადგილზე სთვაზობს კიდეც საქართველოს მოქალაქეებს (ემიგრანტებს) უფასო ტრენინგებს ამ კუთხით, მაგრამ კოორდინაცია ქართულ სახელმწიფოსთან ჯერჯერობით, ვერ ხერხდება.[3] სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ვერ ხერხდება დასავლეთში შეძენილი სოციალური კაპიტალის ტრანსფორმირება ფინანსური გზავნილისაგან განსხავვებით. როგორც ექსპერტები მიუთითებენ, „აუცილებელია მიგრანტთა ფულადი გზავნილების პოტენციალისა და მიზანმიმართულობის ამაღლება. ეს ის შემთხვევაა, როცა მიგრანტები თავად ხდებიან სამშობლოში ღირსეული დაბრუნებისათვის პირობების ფორმირების პროცესის მონაწილენი“. [4]

---

[1] მასალა მოგვაწოდა ნატალია ჩუბინიძემ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სპეციალისტმა. მასალა ელექტრონულად მიღებულია 2014 წლის 3 და 4 აპრილს.

[2] სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გზამკვლევი (2014), სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, გვ. 4.

[3] ინტერვიუ თამარ გამილაღდიშვილთან, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველთან. ჩაწერილია დიასპორის სამინისტროში 2014 წლის 7 აპრილს.

[4] *დეკლარირებული და პასიური პოლიტიკიდან ემიგრანტთა დაბრუნების ეტაპობრივ პოლიტიკამდე* (2013), ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება, გვ.19.

დასკვნები და რეკომენდაციები:

✓ საწყის ეტაპზე, რამოდენიმე ქვეყანასთან მაინც, ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება მნიშვნელოვნად შეამცირებს იმ ფსიქო-სოციალურ დანაკარგებს ოჯახის წევრების ხანგრძლივად დაშორებას რომ ახლავს თან; გარდა ამისა, საშუალებას მისცემს თავად ემიგრანტს, იცოდეს თავისი უფლებების შესახებ და იყოს დაცული, როგორც ლეგალური შრომითი რესურსი;

✓ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თვითმმართველობის სტრუქტურების აქტივობასა და თანამშრომლობას მოსახლეობასთან, აგრეთვე რემიგრაციისა და რეინტეგრაციის სფეროში საქართველოს პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის ღიაობასა და ხელმისაწვდომობას. მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობას ევალება საზოგადოებრივი აზრის შექმნა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების შექმნის შესახებ, სწავლება და ამ მიმართებით თემის მობილიზება. ერთი მხრივ, ეს ხელს შეუწყობს საშუალო ფერმერული მეურნეობის შექმნას და აზრს მისცემს მოღვაწეობას სოფლად, რაც ზოგ შემთხვევაში შეიძლება გახდეს სოფლის მცხოვრებთა რემიგრაციის მოტივი. მსგავსი გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს,[1] თუმც საქართველოს მოსახლეობას ჯერჯერობით, თითქმის არფერი სმენია ასეთი გაერთიანებების შესახებ;[2]

✓ აუცილებელია მსოფლიო გამოცდილების გაზიარება და არა 'ველოსიპედის თავიდან გამოგონება', „წარმატების ისტორიის, წარმატების ანატომიის"[3] ჩვენება. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შექმნას რეალური პირობები, რასაც შესთავაზებს მიგრანტებსა და მათი ოჯახის წევრებს. ამის შემდეგ, არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება იდეოლოგიას იმის შესახებ, რომ მათი დაბრუნება, მათ ქვეყანას სჭირდება.

ბიბლიოგრაფია
References

გაჩეჩილაძე, რ. (1997), მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. სადისკუსიო წერილების სერია. გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი.

[1] Faist, Th. (2008) *"Migrants as Transnational development Agents: An Inquiry into the Newest Round of the Migration-development nexus",* Population, Space and place, ტ.14, No.1, გვ.21-42.

[2] Erlich, A., Vacharadze, K., et al (2009) *Voices of Migration in Georgia, Qualitative Research on the Migrants and Their Communities in Georgia.* (CRRC), გვ.14
http://www.crrc.ge/store/downloads/projects/DRC-CRRC%20Voices%20of%20Migration_24MAR2009.pdf (ნანახია: 06/04/2014).

[3] დეკლარირებული და პასიური პოლიტიკიდან ემიგრანტთა დაბრუნების ეტაპობრივ პოლიტიკამდე (2013), ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება, გვ.23.

დეკლარირებული და პასიური პოლიტიკიდან ემიგრანტთა დაბრუნების ეტაპობრივ პოლიტიკამდე (2013), ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება, თბილისი.

დურგლიშვილი, ნ. (1997), ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი. სადისკუსიო წერილების სერია. გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი.

ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია. შემაჯამებელი კვლევა, (2012) http://www.ei-lat.ge/images/stories/Documents/docs/Final_Report_-_Visa_Facilitation_and_Readmission_Georgias_Visa_Liberalization_Prospects_with_the_EU.pdf (ნანახია: 16/04/2014).

მელაძე, გ. (2003), „მოსახლეობის მოძრაობის ბუნებრივი დინამიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“, კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი, No. 3.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გზამკვლევი (2014), სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.

შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში (2012), მომზადებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს მხარდაჭერით, თბილისი.

წულაძე, გ. (2005), ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით. CRRC, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი.

Badurashvili, I. (2012), Integration of migrants from Georgia in countries of temporary residence and upon return to Georgia: What differences do Georgian migrants face in the process of adaptation to a new social environment. Research report. Research report, CARIM-East – Consortium for Applied Research on International Migration, http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-2012-RR-39.pdf.

Castles, S., & Miller J. M. (2003). The Age of Migration: International population movements in the modern world. (3rd ed). New York London: The Guilford press.

Chelidze, N. (2013) Readmission, Return and Reintegration in Georgia, CARIM-East Explanatory Note 13/25, CARIM-East –Consortium for Applied Research on International Migration, გვ. 4, http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2013-25.pdf (ნანახია: 01/04/2014).

Erlich, A., Vacharadze, K. and Babunashvili, G. (2009), Voices of Migration in Georgia, Qualitative Research on the Migrants and Their Communities in Georgia. CRRC, http://www.crrc.ge/store/downloads/projects/DRC-CRRC%20Voices%20of%20Migration_24MAR2009.pdf.

Espenshade T. J. and Calhoun C. A., (1993) “An Analysis of Public Opinion Toward Undocumented Immigration”, Population Research and Policy Review, ტ. 12,

გვ. 189-224, in Ilias, Sh., Fennely, K., et al, (2008) "American Attitudes Toward Guest Worker Policies", International Migration Review, No. 42.

Faist, Th. (2008), "Migrants as Transnational development Agents: An Inquiry into the Newest Round of the Migration-development nexus", Population, Space and place, ტ.14, No.1.

Fuller-Thomson, E. (2005), "Canadian First Nation Grandparents Raising Grandchildren: A Portrait in Resilience", Aging and Human Development ტ.60, No.4.

Gvenetadze, T. & Samkharadze, M. (2012) "Migration from Georgia: Families Left Behind (Summery)", in van Krieken and ICMPD GOVAC project team (ed.), Summer School Reader Building Training and Analytical Capacities on Migration in Moldova and Georgia (GOVAC) Project, Austria, Viena.

Ho, E. and Bedford, R. (2008), "Asian Transnational Families in New Zealand: Dynamics and Challenges", International Migration ტ. 46, No 4.

Ilias, Sh., Fennely K., and M. Federico, Ch. (2008), "American Attitudes Toward Guest Worker Policies", International Migration Review, ტ. 42, No. 4

Kuby, M., & Harner, J., et al (2004). Human Geography in Action, John Willey &Sons Inc.

Liszewski, S. (2006) "Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World", Tourism, ტ.16, No.2.

Migration and Remitances: Eastern Europe and the Former Soviet Union (2006) Mansoor, A. and Quilin, B. (ed.), The World bank.

Migration facts Georgia, (2013) http://migrationpolicycentre.eu/docs/fact_sheets/Factsheet%20Georgia.pdf (ნანახია: 15/04/2014).

Migration in Georgia: A country profile (2008), International Organization for Migration.

Pew Research Center for the People and Press/Pew Hispanic Center, "America's Immigration Quandary: No Consensus on Immigration Problem or Proposed Fixes" (2006) in Ilias, Sh., Fennely, K., et al, (2008) "American Attitudes Toward Guest Worker Policies", International Migration Review, ტ. 42, No.4.

Podsiedlik, S. (1993) "Persepcja przestrzeni turystycznej Polski przez studentov geografii", Turyzm, 3/2, s.5-22, in Liszewski, S. (2006) "Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World", Tourism, ტ. 16, No.2.

Review of Migration Management in Georgia. Assessment mission Report (2007), International Organization for Migration.

Washington Post/ABC News, Washington Post/ABC News Poll. December 15-18, 2005, in Ilias, Sh., Fennely, K., et al, (2008), "American Attitudes Toward Guest Worker Policies", International Migration Review, No. 42.

Tinatin Gvenetadze
PhD Student, TSU

THE PECULIARITIES OF SPATIAL TRANSFORMATION OF THE GEORGIAN IRREGULAR LABOUR MIGRATION

Summary

The concept of space is fundamental in geographical research. It refers to a different phenomena taking place in a fairly large area, and assigns them the spatial dimension. The concept spans multiple units from the physical place of location to political, social-economic and cultural dimension, e.g. 'European Union', 'Middle East', 'emigration/immigration space', 'tourism-recreation space', 'virtual space', 'china town', 'little Italy', etc. However, all these definitions carry different notions in different fields of study. Hence, these terms require special and exact definitions. Our research is based on the concept of the Polish Geographer Dr. Stanislav Lishewski about the types of spaces that are formed during the movement of people or groups of people in geographical space for education, study, recreation, traveling, etc. purposes. Dr. Lishewski's concept of "occupation of space" concerns field of tourism where he identifies three types of spaces – imaginative, access-restricted and real. Migration and tourism are driven by different causes, and differ from each other by the length of time. However, if we consider that both social phenomena are connected to the movement of people within the geographic space (change of permanent place of residence temporarily or permanently) for adapting to the new circumstances/environment/reality, the abovementioned concept can be generalized to the migration processes as well. To follow Dr. Lishewski's approach, the goal of our survey is to study and research contemporary Georgian labour emigration space. By use of quantitative and qualitative methods (in-depth interviews with Georgian immigrants in the US and family members left behind, as well as online questioners on Georgian Diaspora site) and secondary data (surveys of international organizations and independent experts) we examine what is the perception of migration space among the current Georgian labour emigrants, return and potential migrants; is the space homogenous or heterogeneous and how it is perceived by the main actors of the process. Even though the survey is limited to only United States we believe, that according to our findings we can suggest some recommendations to the government of Georgia in the elaboration of migration policy in order that the separation of family members (spouses, parents and children) do not be as long and painful as it is now. No less of importance is the issue of management of the process – to ensure the protection of migrants' rights, support return migrants and provide their social and labour integration in the native country. The main question of the research refers to the emigration space created by the migrants. How homogenous is it? It is especially important when we speak about undocumented migrants, like most of the Georgians, where due to their illegal status the violation of human rights is common, the communication, social or cultural

spaces are very limited and their perception of the space/environment is very personal. In order to answer the question what makes and defines emigration space of Georgian emigrants, we should once again underline the definition of the space that is <what spreads all around, an unbounded and unrestricted three-dimensional area where all physical phenomena take place (Dubisz, (2003). Universal Dictionary of Polish). This definition entails many processes among which our interest refers to the identification of migration as a dynamic human phenomenon and the migrant as a main actor of the process in this space.

ზურაბ დავითაშვილი
პროფესორი, თსუ

ქართული ნაციონალიზმი საბჭოთა პერიოდში

საქართველოს გასაბჭოება: ნაციონალიზმის ფაქტორი

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება და ანექსია არა მარტო დიდი ტრაგედია იყო ქართველი ერის ისტორიაში, არამედ ქართული ნაციონალიზმის დიდი მარცხიც, რადგან მან ვერ შეძლო ერის ისე გამთლიანება და შეკავშირება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის გარშემო, რომ გაეძლო არცთუ ისე მრავალრიცხოვანი მტრული არმიის შემოტევისათვის.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია იყო არა მარტო რუსული იმპერიალიზმის გამოვლენა (ოღონდ უკვე ახალი მსოფლიო რევოლუციის სახელით), არამედ იმ იდეების თავისებური „რეალიზაცია“, რომლებსაც რუსი ბოლშევიკები ხმამაღლა აცხადებდნენ. პირველ რიგში, ეს ეხება ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

ბოლშევიკები, როგორც ყველა სხვა მიმართულების სოციალ-დემოკრატები, აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი პირველი დოკუმენტში – „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“ – აღიარებული იყო ნებისმიერი ხალხის უფლება, თვითონ განესაზღვრა თავისი ბედი, თვით დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით.

ბოლშევიკების ასეთი პოზიცია შეიძლება შემდეგი გარემოებით აიხსნას: ისევე, როგორც მთლიანად სოციალ-დემოკრატებს, ბოლშევიკებსაც მტკიცედ სწამდათ, რომ სოციალისტური რევოლუცია, ექსპლუატატორული კლასებისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება თავისთავად დაარეგულირებდა ნაციონალურ საკითხს. ნაციონალიზმი, ბოლშევიკების აზრით, მთლიანად ბურჟუაზიული ფენომენია ანუ „მუშებს არა აქვთ სამშობლო“ (მარქსი, ენგელსი, 1954, გვ. 63). ეროვნული ჩაგვრა ბურჟუაზიული სახელმწიფოს თანმდევი მოვლენაა, ხოლო ეროვნული მოძრაობა არის პასუხი, პროტესტი ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიერ ეთნიკური უმცირესობების მიმართ განხორციელებულ პოლიტიკაზე. ეთნიკური უმცირესობები იმიტომ იბრძვიან თავიანთი სახელმწიფოს შესაქმნელად, რომ ჩაგვრას განიცდიან ბურჟუაზიული სახელმწიფოს მხრიდან. სოციალისტურ სახელმწიფოში, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, სადაც

აღარ არის ბურჟუაზია, ისპობა ნაციონალიზმიც. ყველა ერი თანასწორია, ზეიმობს ინტერნაციონალიზმი და ერები მიისწრაფიან არა განცალკევებისაკენ, არამედ შეერთებისაკენ.

ეს უტოპიური მსჯელობა ბოლშევიკებისათვის ურყევი ჭეშმარიტება იყო. მათი ღრმა რწმენით, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის გატარება ხელს შეუწყობდა რუსეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოს დაშლას (რაც ბოლშევიკების ინტერესებში შედიოდა). თუმცა, როცა საკუთრივ რუსეთში სოციალისტური წყობილება დამყარდებოდა და მუშურ-გლეხური სახელმწიფო შეიქმნებოდა, სხვა ხალხები თვითონ მოისურვებდნენ პროლეტარულ სახელმწიფოში ცხოვრებას.

ძალიან მალე აშკარა გახდა, რომ ეროვნული გრძნობები უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებიდან, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, არავის გასჩენია სურვილი, უარი ეთქვა სუვერენიტეტზე და საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებულიყო. რუსმა კომუნისტებმა ამას თავისებური ახსნა მოუძებნეს: ყოფილი იმპერიის ეროვნული რაიონების მშრომელები ილტვიან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში რუსეთის დასაბრუნებლად, მაგრამ ამას წინ ეღობება ადგილობრივი ბურჟუაზია. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ამ ახალგამოცხობილ ბურჟუაზიულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებშიც გაიმარჯვოს სოციალისტურმა რევოლუციამ, რათა უპრობლემოდ მოხდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთ კავშირში გაერთიანება. ეს, ფაქტობრივად, რუსეთის აღდგენა იქნებოდა სხვა იდეოლოგიითა და სხვა სახელწოდებით. ამასთანავე, იმის გამო, რომ ამ ახალ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში პროლეტარიატი სუსტი იყო და დამოუკიდებლად ვერ დაამარცხებდა ექსპლუატატორ კლასებს, აუცილებელი იყო რუსეთის წითელი არმიის „ძმური“ დახმარება. ამას ითხოვდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ინტერესები და ამიტომ ნებისმიერი საბაბით სხვა სახელმწიფოში შეჭრა „მშრომელთა დასახმარებლად“ სრულიად გამართლებული და პროგრესული ნაბიჯი იქნებოდა. ზუსტად ეს სცენარი გათამაშდა საქართველოში.

ჯერ კიდევ 1918-1919 წლებში რუსი ბოლშევიკებისა და მათი ქართველი მარიონეტების მიერ ინსპირირებულ იქნა რამდენიმე შეიარაღებული აჯანყება. აჯანყებისათვის ის რეგონები შეირჩა, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად იყო დასახლებული. ცხადია, აფხაზებს, შიდა ქართლის ოსებს, ქვემო ქართლის (ლორეს) სომხებს ან მესხეთის მუსლიმანებს კომუნისტური იდეები და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი არ ამოძრავებდათ, როცა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ბოლშევიკებმა აქ მოხერხებულად გამოიყენეს ის მეთოდები, რომელსაც მეფის ხელისუფლება იყენებდა ანუ ეროვნული შუღლი გააღვივეს. ყველანაირი მეთოდებით ადგილობ-

რივ მოსახლეობაში ინერგებოდა აზრი, რომ საქართველოს ეროვნული სახელმწიფო დიდ საფრთხეს წარმოდგენს არაქართველებისათვის. ამუშავდა თავის დროზე იმპერიის მიერ შემუშავებული მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებდა არარუსულ რეგიონებში სხვადასხვა უცხო ეთნიკური ჯგუფების ჩასახლებას და მათ მხარდაჭერას ტიტულარული ერის წინააღმდეგ. კერძოდ, ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სომხურ მოსახლეობაში მეთოდურად ინერგებოდა აზრი, რომ ეს ტერიტორიები ისტორიული სომხეთია და ამიტომ გაუმართლებელია მათი ყოფნა საქართველოს შემადგენლობაში, აფხაზეთი ჩრდილოეთ კავკასიაა და აფხაზებს არაფერი აქვთ საერთო ქართველებთან, ხოლო ქართლის ის ტერიტორია, სადაც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ხიზანი ოსები სახლდებოდნენ, სამხრეთ ოსეთია და იგი ჩრდილოეთ ოსეთს უნდა შეუერთდეს.

ამგვარად „ინტერნაციონალისტმა“ ბოლშევიკებმა თავიანთი მიზნების მისაღწევად სწორედ ნაციონალიზმი გამოიყენეს. ეს მეთოდი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დიდი უმრავლესობა რუსეთის ხელისუფლების მიერ იყო საქართველოში ჩამოსახლებული, მისი მფარველობით სარგებლობდა და, ამდენად, მათ რუსეთში (თუნდაც ბოლშევიკურში) ცხოვრება ერჩიათ დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრებას. მეორეც, რუსული პოლიტიკის წყალობით, ქართველები და საქართველოში ცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა ერთმანეთისათვის უცხონი დარჩნენ და, ბუნებრივია, „უცხო“ საქართველოში (თუ იგი „მშობლიურ“ რუსეთს გამოეყოფოდა) ცხოვრება მათ არცთუ ისე მიმზიდველი ეჩვენებოდათ. ყოველივე ამის გამო, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უცირესობები ბოლშევიკების მხარდამჭერად და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოწინააღმდეგედ მოგვევლინენ. ამან უკიდურესად გააღიზიანა ქართველი მოსახლეობა და ეთნიკური მცირესობების წინააღმდეგ განაწყო. აგრესიული, ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც მანამდე თითქმის არანაირ როლს არ თამაშობდა ქართულ საზოგადოებაში, რეალურ ფაქტად იქცა და საკმაოდ სწრაფად და ფართოდ გავრცელდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ აფხაზეთის აჯანყებაც და შიდა ქართლში ოსების შეიარაღებული ბრძოლაც მიზნად ისახავდა ამ ტერიტორიების საქართველოდან ჩამოცილებას და რუსეთთან შეერთებას. საქართველოს ხელისუფლებამ სწრაფად ჩაახშო ეს ორივე გამოსვლა. განსაკუთრებით ბევრი მსხვერპლი მოჰყვა ოსების აჯანყებას. სავალალო კი ის იყო, რომ რაკი ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის სისხლი დაიღვარა, ამ ხალხებს შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა და ამან ურთიერთდაპირისპირებული, მტრული ფორმა მიიღო. აფხაზებისა და ოსებისათვის საქართველოს

დამოუკიდებელი სახელმწიფო მათი არსებობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა და, ამდენად, საქართველოში ცხოვრება მათ ფიზიკურ არსებობას აყენებდა ეჭვქვეშ, ქართველებმა კი აფხაზები და ოსები აღიქვეს საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებად, რუსეთის „მეხუთე კოლონად“, რომლის ნდობა არ შეიძლება და ყოველთვის საშიშროებას წარმოადგენდა საქართველოსათვის. ამგვარად, რუსეთის მიზანი მიღწეული იქნა, საქართველოში ეთნიკური დაპირისპირების მყარი საფუძველი შეიქმნა.

თვით საქართველოს ოკუპაციის საბაბად რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ნაციონალური საკითხი გამოიყენა. სომხებით დასახლებულ ლორეს პროვინციაში მოახდინა აჯანყების პროვოცირება და ამ „აჯანყებული მშომელების“ დასახმარებლად შემოიყვანა წითელი არმია. ადგილობრივი მოსახლეობის ეს „დამსახურება“ რუსეთმა ღირსეულად დააფასა და საქართველოს გასაბჭოებისთანავე ლორე სომხეთს გადასცა. „დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად“ გამოაცხადეს ასევე აფხაზეთი. ოსებს ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია უბოძეს და რაც მთავარია, ამ ავტონომიას „სამხრეთ ოსეთი“ დაარქვეს, საინგილო აზერბაიჯანს დაუკანონდა, ხოლო ართვინისა და არტაანის ოკრუგები (ისტორიული შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, კოლა-არტაანი, ტაოსა და ლაზეთის ნაწილი) 1921 წლის 21 მარტის მოსკოვის და იმავე წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით თურქეთს გადაეცა. საქართველოს ტერიტორია 93 ათასი კმ^2-დან 69,7 ათასამდე შემცირდა და თვით ამ ტერიტორიაზეც კი სამი პოლიტიკური ავტონომია დაფუძნდა: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და აფხაზეთის სამოკავშირო რესპუბლიკა, რომელიც 1931 წელს ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა (აფხაზეთი „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა ისეთი ნონსენსი იყო, რომ მის აბსურდულობას ბოლშევიკებიც მიხვდნენ და იძულებულნი გახდნენ, აფხაზეთი ისევ საქართველოსათვის დაებრუნებინათ). 1922 წლის მარტში საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ამიერკავკასიის ფედერაციად გაერთიანდნენ, ხოლო იმავე წლის დეკემბერში შექმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომლის ერთ-ერთი სუბიექტი ამიერკავკასიის ფედერაციაც გახდა. ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს ორი წლის მანძილზე (1921-23 წლები) საბჭოთა რუსეთის იმპერიის სუბიექტის სუბიექტად „ჩამოქვეითდა“.

პესიმიზმი და ნიჰილიზმი ქართულ ნაციონალიზმში

ქართული ეროვნული მოძრაობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ასეთმა მარცხმა უმძიმესი გავლენა იქონია ქართულ საზოგადოებაზე. პესიმიზმმა და უიმედობამ პიკს მიაღწია მას შემდეგ,

რაც 1924 წლის ეროვნულმა აჯანყებამ, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ყველა პოლიტიკური პარტიისა და გაერთიანების მხარდაჭერით სარგებლობდა, სასტიკი მარცხი განიცადა და, ფაქტობრივად, დაწყებამდე ჩაიშალა, ქართული ინტელიგენციის ნაწილმა საკუთარი ერის რწმენა დაკარგა და მთელ ქართველ ერს უარყოფითი, ნეგატიური შეფასება მისცა.

ნიკოლო მიწიშვილი 1926 წელს წერდა: „და როცა კვლავ ვუბრუნდები საქართველოს, მე მას ვერ ვხედავ... ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე... ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობს და ვერც აზრს საქართველოს წარსულში... საქართველო პასიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიისა, როცა მას ფეხს აჭირებენ). საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც. მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს. ამითაა, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა“ თუ ბერწობა. ამის შედეგია, ჩემი ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჭკუისა, განწირვა ქართული ხელოვნებისა, პოეზიისა. მე მგონია, ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუაგზაზე, დაუმთავრებელი, მიუღწეველი“ (ფიქრები საქართველოზე, 2006, გვ. 22)

ვფიქრობთ, საკუთარი ერის ასეთი შეფასება უკიდურეს იშვიათობას წარმოადგენს და „პირიქით ნაციონალიზმის“ მკაფიო ნიმუშია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ნიკოლო მიწიშვილი გამონაკლისი არ ყოფილა. სერგი დანელია არანაკლებ ნიჰილიზმს ამჟღავნებს ქართველი ერისა და მის ისტორიის მიმართ: „ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობები. ერთი დიდი ფართო ხაზი არ არის ჩვენს ისტორიაში. არის მხოლოდ ხაზი წამებისა, აწიოკებისა, რბევისა და ჩაგვრისა. მაგრამ აქ ქართველები ისტორიის სუბიექტები კი არ ვიყავით, არამედ ატომებივით მხოლოდ ობიექტები: საქართველოს აგურებით სხვისი ისტორია შენდებოდა. ვცხოვრობდით დაფანტულად, გათიშულად, ერთი მეორის არა გვესმოდა, როგორც ატომებს. ყველა თავისი პირადობისაკენ მიიწევდა და ერთი საზოგადო მიზანი არ ჩანდა. არ იყო ერი, რადგან გვარმა ვერ დასთმო თავი. დღესაც ქართველისათვის კაცი თავდება იქ, სადაც თავდება მისი გვარი. ვინც ჩვენი ნათესავი არ არის იმას კაცად არ ვთვლით. ის უცხოა და უცხოს სიყვარული არ არის ჩვენთვის სავალდებულო...

ქართველებს გვაქვს სიტყვა „სამშობლო“, რომელიც უდრის რუსულს “родина”, მაგრამ არა გვაქვს ის, რასაც ფრანგები ეძახიან “patrie”-ს, გერ-

მანელები Vaterland-ს, რუსები отечество-ს. სიტყვა „მამული“, რომლის პროპაგანდას ილია ჭავჭავაძე ეწეოდა, უდრის რუსულს вотчина-ს, ე.ი. მამის მიერ დატოვებულს კერძო საკუთრებას, პირადს ქონებას. „მამული“ არ არის – "отечество" და ქართველებსაც არ გვქონდა "отечество". შეიძლება ამასთან არის დაკავშირებული ისიც, რომ ქართველებს არ გვქონდა სიტყვა „სინდისიც“. „სინდისი“ ბერძნული სიტყვაა. ქართველებს იგი სხვებისაგან გვისესხებია. ნასესხები სინდისით კი ისტორია არ შეიქმნება; ისტორიულ ერს ის საკუთარი უნდა ჰქონდეს, ვინაიდან სინდისი არის დუღაბი, ურომლისოდაც ისტორიის კოშკი არ შენდება“ (ციტირებულია ა. ბაქრაძე, 1990, გვ. 205-206).

უფრო მძიმე სიტყვები ძნელი წარმოსადგენია, რადგან ერს, რომელსაც არც სინდისი და არც отечество არა აქვს, ძნელად თუ შეიძლება ერი ეწოდოს. აქვე გავიხსენებდით ცნობილ გამოთქმას – "только у свободного человека есть отечество, раб имеет лишь родину" და აშკარა გახდება სერგი დანელიას შეფასების შინაარსი – ქართველები მონების ერია.

არანაკლები სასოწარკვეთა ჩანს მეორე ქართველი ფილოსოფოსის კონსტანტინე კაპანელის 1926 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, სადაც ის ქართველეს ასე ახასიათებს: „ჩვენს ხასიათში არის რაღაც ისტორიულად შეძენილი თავხედობა, ერთგვარი პრანჭიაობა – „ნახალობა“; ქართველი ხშირად თავის თავს ძალას ატანს; ქართველს ყველაფერი ეჩქარება და ვერაფრის დამთავრებას იგი ვერ ახერხებს... ჩვენი ტემპერამენტი ქალური და ისტერიულია: ტრაგედიას ქართული სული არ იცნობს; რაც უნდა გაჭირვება იყოს, რაც უნდა ცუდად მიმდინარეობდეს ცხოვრება ჩვენ გარშემო, ჩვენ მაინც ოცნებებსა და იმედებში ვართ. ჩვენ ერს უფრო აფექტები ამოძრავებს, ვიდრე მოვალეობა: ჩვენი ნებისყოფა მუდამ მერყეობს, ჩვენ ორგანულად შეგრძნებული არა გვაქვს ჩვენი კულტურ-ტროპიზმი და ისტორიული მიმდინარეობა...

ჩვენი ფიზიოლოგიური ბუნების ხვეულებში დაძრწის ავადმყოფური, სადისტური წადილი, ვიყოთ ვინმეს მიერ ძალდატანებული, დაჭყლეტილი... ერთმანეთის ვჭამთ, ერთმანეთს დაბეზღებაში ვართ, ერთმანეთი გვძულს; სოციალური, კოლექტური არსებობისა და თვითშენახვის ინსტინქტი ჩვენში არ მოქმედებს; ქართველი პირადი ინტერესების თვალსაზრისით უყურებს ყოველგვარ საზოგადო საქმეს, ყოველგვარ ისტორიულ მოძრაობას.

არც ერთი ერის ისტორიაში იმდენი ღალატისა და ერთმანეთის მტრობის მაგალითები არ შეგხვდებათ, რამდენსაც ჩვენს წარსულში ჰქონდა ადგილი... საქართველოს მიწა-წყალი დაშლის, ბრძოლის, განგაშის არენაა... ქართველი საზოგადო მოღვაწე ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერია; ქართველი მწერალი ცრუ, კუდაბზიკა და ტრაბახაა; ქართული საზოგადო დაწესებულება ინტრიგებისა და ჭორების საზ-

იზღარი ბუდეა; ქართველი დილიდან საღამომდე სულ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ დაამციროს მეორე ქართველი: წახდება თუ არა ამით საერთო საქმე, ეს ქართველს არ აწუხებს.

ქართველი მუხანათი და ვერაგია თავისიანებში; უცხო ტომში გარეული, იგი კეთილშობილი და მორჩილი მოსამსახურეა; ქართველი საქმის სათავეში საზიზღარია: დაიკავებს თუ არა საპატიო ადგილს, მაშინვე თავხედურად გაიპრანჭება და ორლეანის ქალწულის პოზაში ჩადგება; ყოველგვარი გამბედაობა ქართველისა ყოველთვის ნახალობით თავდება. ჭორი, ინტრიგები, აფეთქებისა და მგრძნობელობის მსუბუქი აყოლა, უმიზეზო ისტორიული პათოსი, ერთმანეთის კუნთებისა და ბარძაყების შეყურება ჩვენი ეროვნულ-ისტორიული თვისებებია“ (კაპანელი, 1996, გვ. 327-328).

ზემოაღნიშნული პიროვნებები ეროვნული მოღვაწეები და საქართველოს დიდი პატრიოტები იყვნენ. მათი ასეთი განწყობა იმ დიდი გულისტიკივილის გამოხატულება იყო, რაც ქართულ საზოგადოებას დაეუფლა XX საუკუნის 20-იან წლებში, მაგრამ თუ მათი მიზანი (ილიას მსგავსად) ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილებით ერის გაჯანსაღება და ეროვნული აღორძიებისათვის ბრძოლა იყო, ბოლშევიკების ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკა „სოციალისტური ერების დაახლოებისა და შერწყმისაკენ“ იყო მიმართული. ამ გზაზე ყოველგვარი ეროვნულის გამომჟღავნება „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ გამოვლინებად აღიქმეოდა და სასტიკად იდევნებოდა.

საბჭოთა პოლიტიკა ეროვნულ საკითხზე საქართველოში

მაინც რას ნიშნავდა სოციალისტური ერების დაახლოება და შერწყმა? ერების შერწყმა თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა ერის გაერთიანებით ახალი ერთიანი ერის წარმოქმნას. როგორც ნებისმიერ ერს, ამ ახალ ერთიან ერსაც საერთო ენა და კულტურა უნდა ჰქონოდა. ძნელი გასაგები არ უნდა ყოფილიყო, რომელ ენაზე ილაპარაკენდა ერთ ერად „შერწყმული“ საბჭოთა სოციალისტური ერები და რომელ კულტურას უნდა ზიარებოდნენ ისინი. ამრიგად, რუსიფიკაციის პროცესი, რომელსაც მეფის რუსეთი ატარებდა არარუსი ეროვნებების მიმართ, „საბჭოთა ინტერნაციონალიზმის“ სახელწოდებით საბჭოთა კავშირის ოფიციალურ იდეოლოგიად და პოლიტიკად იქცა.

თუმცა, ბუნებრვია, ამ მიზნს მიღწევა იოლი არ იყო, იგი დიდ დროს და დახვეწილ მეთოდებს მოითხოვდა და ნელ-ნელა, ფარულად უნდა განხორციელებულიყო. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება ეროვნულ ენებზე სწავლას ვერ აკრძალავდა და ვერც შეზღუდავდა. პირიქით, ოფიციალური პოლიტიკა საყოვეთაო განათლებისაკენ და ნაციონალური კულტურებისათვის ზრუნვისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, მაგრამ განათლებისა და კულტურის სფეროდან უნდა ამოვარდნი-

ლიყო ყველაფერი, რაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული სიამაყის თუ გამორჩეულობის გრძნობებს გააღვივებდა. სამაგიეროდ, განათლებასა და კულტურას ხელი უნდა შეეწყო ახალი საბჭოთა ინტერნაციონალისტი ადამიანის აღზრდისათვის, რაც თავისთავად საკუთარ ეროვნებაზე უარის თქმას ნიშნავდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის მცირერიცხოვანი ხალხები, რომლებსაც საკუთარი დამწერლობა და ლიტერატურა არ ჰქონდათ და განათლებას რუსულ ენაზე იღებდნენ. ამით ისინი სავსებით წყდებოდნენ საკუთარ ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურას და გაურკვეველი ეროვნების რუსულენოვან პიროვნებად ყალიბდებოდნენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1989 წლის აღწერით, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები 16 მილიონი არარუსისათვის მშობლიური ენა რუსული იყო. ამას უნდა დაემატოს მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრები არარუსი ეთნიკური უმცირესობები, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღარც მშობლიური ენა იცოდა და არც იმ რესპუბლიკის ენა, სადაც ცხოვრობდა, ისინი შეადგენდნენ ე.წ. რუსულენოვან მოსახლეობას (русскоязычное население) და „ერთიანი საბჭოთა ხალხის“ კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენდნენ. „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური“ კულტურა სწორედ ერთიანი საბჭოთა (ე.ი. რუსი) ერის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა.

ამიტომ ეროვნულ რესპუბლიკებში და, განსაკუთრებით, საქართველოში ტაბუ ჰქონდა დადებული იმ პიროვნებების სახელებს, რომელთა მოღვაწეობა თუ შემოქმედება ნაციონალიზმთან ან ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ასოცირდებოდა.

ა. ბაქრაძე წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“ ჩამოთვლის იმ ქართველ მოღვაწეებს, რომელთა ხსენება საბჭოთა ხელისუფლების წლებში არ შეიძლებოდა ან, თუ ახსენებდი, მხოლოდ უარყოფითად უნდა დაგეხასიათებინა. თითქმის ყველას ერთი საერთო ნიშანი აერთიანებდა – საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს და რუსეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ: სოლომონ ლიონიძე, ალექსანდრე ბატონიშვილი, სოლომონ მეორე, ალექსანდრე ამილახვარი (მხოლოდ იმიტომ, რომ ერეკლე მეორეს ებრძოდა, ეს უკანასკნელი კი საქართველოს რუსეთთან შემაერთებლად მოიაზრებოდა). ალექსაბდრე ყაზბეგი რეაქციონერ მწერლად ითვლებოდა, რადგან რუსი ხალხის „დემოკრატიული სული“ ვერ დაინახა და თავის ნაწარმოებში არც ერთი დადებითი რუსი პერსონაჟი არ ჰყავს გამოყვანილი. არჩილ ჯორჯაძე ქართველებს ეროვნულ ღირსებას ახსენებდა და ამიტომ მისი წიგნების გამოცემა არაფრით არ შეიძლებოდა. 1921 წლის შემდეგ ემიგრაციაში წასული არც ერთი ქართველი მოღვაწის შესახებ არაფერი არ უნდა ყოფილიყო თქმული, საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობას ისინი არ უნდა სცოდნოდა. მათ შორის მოხვდნენ მენშევიკებიც, რომლებიც მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე რუსეთ-

თან ერთიანობას იცავდნენ, მაგრამ რადგან 1918-21 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში მოექცნენ და შემდეგ მის სუვერენიტეტს უჭერდნენ მხარს, აბსოლუტურად მიუღებელ პირებად იქცნენ რუსეთის ხელისუფლებისათვის. სწორედ ეს იყო მათი იგნორირების მიზეზი და არა მათი სოციალ-დემოკრატობა. ნ. ჟორდანიას, ი. წერეთლის, კ. ჩხეიძის და სხვა ქართველი მენშევიკების სახელები ლანძღვა-გინების წუმპეში იყო ამოსვრილი იმიტომ, რომ ქართველ ხალხს დამოუკიდებელ საქართველოსთან ჰყავდათ ასოცირებულნი მაშინ, როცა რუსული მენშევიზმის ლიდერის გ. პლეხანოვის სახელი თბილისის ერთ-ერთ მთავარ პროსპექტს ერქვა.

ქართულ მწერლობას უნდა ემღერა პავლიკ მოროზოვისათვის, ხოტბა შეესხა ზოია კოსმოდემიანსკაიასა და ოლეგ კოშევოისათვის, მაგრამ მარო მაყაშვილისა და კოჯორთან დაღუპული სხვა ახალგაზრდა მებრძოლების ხსენებაც კი სიცოცხლის ფასად შეიძლებოდა დაჯდომოდათ. ემიგრაციაში წასული გრიგოლ რობაქიძე ფაშისტად და მოღალატედ გამოცხადდა, მისი წიგნები აიკრძალა და განადგურდა, რუსეთში კი არავის მოსვლია აზრად ბუნინისა და ნაბოკოვის წიგნების აკრძალვა.

ამგვარად, ის, რაც საბჭოთა კავშირში ინტერნაციონალიზმად და საბჭოთა პატრიოტიზმად მიიჩნეოდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსული ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმით გამოვლინება. თუ ადრე კაცობრიობის გადარჩენას რუსული მართლმადიდებლობით ქადაგებდნენ, ახლა ეს მესიანური როლი რუსულ სოციალიზმს დაეკისრა.

საბჭოთა კავშირის მთელ მოსახლეობას უნერგავდნენ იმ აზრს, რომ რუსი ხალხი ყველაზე მოწინავე, პროგრესული, გულისხმერი ხალხია, რომ რუსული კულტურა და ლიტერატურა საუკეთესოა მსოფლიოში, რომ თითქმის ყველა აღმოჩენა დიდია, თუ გამოგონების სათავესთან რუსები იდგნენ, რომ რუსეთის არმის უძლეველია და ა.შ. რუსეთის კაცობრიობის მესიად გამოცხადებამ ისეთი გავლენა იქონია უბრალო რუსი მოქალაქის გონებაზე, რომ როცა ვინმეს დასამონებლად და დასაჩაგრავად გზავნიან, ჰგონია მის გადასარჩებად და დასახმარებლად მივდივარო. რუსულ ლიტერატურაში, ევროპულისაგან განსხვავებით, ერთი კაციც კი არ აღმოჩენილა ისეთი, ვინც რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას ამხელდა და ხოტბას არ შეასხამდა სხვა ერების დამონებას.

საბჭოთა კავშირში ნაცონალისტობა რომ არ დაეწამათ და „ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტის“ სახელი გქონოდა, საკუთარ ერზე კარგი არაფერი არ უნდა დაგცდენოდა, სამაგიეროდ, უზომოდ უნდა გედიდებინა რუსი ერი. ქართული პარტიული ნომენკლატურა, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი „მოწინავე“ იყო საბჭითა კავშირში. საკმარისია გავიხსენოთ 70-იანი წლების საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის გამოსვლა:

„მსოფლიოში არ არის სხვა ხალხი, რომელსაც ესოდენ ბევრი რამ გაეკეთებინოს სხვა ხალხების ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, ასე გულწრფელად და ასე უანგაროდ, ხშირად დიდი მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად, როგორც ამას დიდი რუსი ხალხი აკეთებდა და აკეთებს“. ან ცნობილი სიტყვები, რომელიც დღემდე წინ ხვდება მის წარმომათქმელს: „ჩვენი ჭეშმარიტი მზე აღმოსავლეთიდან კი არა, ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან ამობრწყინდა“. ანდა რუსული ენის წრეგადასული ხოტბა-დიდება: „არის ენა – ოქტომბრის ენა, ლენინის ენა, დიადი რუსული ენა, ხალხთა ძმობის და მეგობრობის ენა, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი სიყვარულით უწოდებს მეორე დედა ენას“. ა. ბაქრაძის ირონიული შენიშვნით, ქართველი პარტმუშაკი დარწმუნებულია, რომ ამ ფუნქციის შესრულების უნარი მხოლოდ ლენინის ენას აქვს და ვერც შექსპირის ენა, ვერც გოეთეს ენა და ვერც ბალზაკის ენა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ენად ვერ გამოდგება.

აღნიშნული ციტატები სხვა არაფერია, თუ არა რუსის, რუსეთის, რუსული ენის განსაკუთრებულობის, არაჩვეულებრივობის, ყველაზე უკეთესობის პროპაგანდა ანუ, პირდაპირ თუ ვიტყვით, რუსული შოვინიზმის ქადაგება. ეს კეთდებოდა ქართველების ხელით, ასე უნდა აღზრდილიყო ახალგაზრდობა და ეს ითვლებოდა ჭეშმარიტ ინტერნაციონალიზმად. ადვილი წარმოსადგენია, რა ბედი ეწეოდა აღნიშნული ციტატების ავტორს ასეთი ხოტბა-დიდება ქართველებისათვის, საქართველოსა და ქართული ენისათვის რომ შეესხა (ბაქრაძე, 1990, გვ. 3-31).

როგორ ეროვნულ პოლიტიკას ატარებდა საბჭოთა ხელისუფლება ეროვნულ რესპუბლიკებში და, კერძოდ, საქართველოში?

1921 წლის 26 აპრილით დათარიღებულ მოხსენებაში (ე.ი. საქართველოს ანექსიის ორი თვის შემდეგ) საქართველოში რსფსრ-ის სამხედრო ატაშე პ. სიტინი წერდა:

„ერთ-ერთი გამაფრთხილებელი ზომა, რომელსაც ზოგადოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, უნდა იყოს რსფსრ-ის წითელი არმიის საკმაოდ ძლიერი რაზმების დატოვება საქართველოში.

მეორე ღონისძიებად, რომელიც დაასუსტებს ქართულ შოვინიზმს ტერიტორიულადაც და მატერიალურადაც, მე ჩავთვლიდი აფხაზეთის გამოყოფას. საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფა ნაკარნახევია ყველა მოსაზრებით და მისი განხორციელების დაყოვნებამ შეიძლება მოიტანოს უკიდურესად არასასურველი შედეგი.

აფხაზეთის შემდეგ ყურადღება უნდა მივაპყროთ სამეგრელოს... იგიც შეიძლება უშუალოდ დავუქვემდებაროთ რსფსრ-ის გავლენას, თუკი მეგრელებსაც აფხაზების მსგავსად მიეცემათ ავტონომია.

საქართველოს რესპუბლიკის დაქუცმაცების ეს გზა, რაც შეიძლება პატარა ავტონომიურ ერთეულებად და, მით უმეტეს, მათი რსფსრ-ის გავლენისადმი დაქვემდებარება დიდი ყურადღებას იმსახურებს“ (ციტირებულია Жоржолиани, 2000, ст. 26-27).

ეს ციტატა მეტყველებს იმაზე, თუ როგორ წარმოედგინათ რუს საბჭოთა დიპლომატებსა და სამხედროებს საქართველოს მომავალი ბედი – დაშლა-დაქუცმაცება ავტონომიებად, რომლებიც რუსეთის გავლენის ქვეშ იქნებოდნენ. მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლებაც ამავე პოზიციაზე იდგა. ამ იდეის პრაქტიკულ განხორციელებად უნდა ჩაითვალოს, რომ გასაბჭოებისთანავე საქართველოს ჩამოეჭრა ტერიტორიის 1/4 და დანარჩენ ტერიტორიაზეც სამი ავტონომიური ერთეული შეიქმნა. აქედან აფხაზეთი ჯერ დამოუკიდებელ, ხოლო შემდეგ საქართველოსთან ხელშეკრულების დაკავშირებულ რესპუბლიკად გამოაცხადეს და მხოლოდ ათი წლის შემდეგ გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად. აჭარის ავტონომიის საფუძველი ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ისლამური სარწმუნოება გახდა, რაც თავისთავად ნონსენსი იყო ათეისტურ სახელმწიფოში. ხოლო საქართველოს შუაგულში სამხრეთ ოსეთის სახელწოდებით ავტონომიური ოლქის ფორმირება უპრეცენდენტო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა სინამდვილეში, რადგან ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია მიიღო ეთნიკურმა უმცირესობამ, რომელსაც ისტორიული სამშობლო საქართველოს ფარგლებს გარეთ ჰქონდა.

ავტონომიური ერთეულები და ეთნიკური უმცირესობები მაქსიმალურად უნდა ყოფილიყვნენ მოსკოვის კონტროლის ქვეშ, რათა საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი გამხდარიყო მათი დაპირისპირება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან (თუ იგი ისეთ ნაბიჯს გადადგამდა, რომელიც მოსკოვის ინტერესებში არ შედიოდა) და ტიტულარულ ანუ ქართველ ერთან. ამისათვის აუცილებელი იყო ეთნიკური უმცირესობები შორს ყოფილიყვნენ ქართული ენისა და კულტურისაგან. ამიტომაც რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენა არ წარმოადგენდა სავალდებულო საგანს (რუსულისაგან განსხვავებით), ხოლო აფხაზურ, ოსურ, ჯავახეთის სომხურ და ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ სკოლებში საერთოდ არ ისწავლებოდა. მეტიც, მესხეთის მუსლიმანი მოსახლეობისათვის, რომელიც ძირითადად წარმოშობით ადგილობრივი ქართველებისაგან შედგებოდა, თურქული (აზერბაიჯანული) სკოლები გახსნეს, რამაც საბოლოოდ მოწყვიტა ისინი ქართულ ნიადაგს და ახალი ეთნიკური ჯგუფის ე.წ. თურქი მესხების ჩამოყალიბებას დაუდო სათავე.

აღნიშნული პოლიტიკა სათავეს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იღებს. კერძოდ ქართული ენის აფხაზეთში დამკვიდრებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ რუსი მოხელეები და მკვლევრები. ე. ვეიდენბაუმი მაგალითად წერდა: „აფხაზური ენა განწირულია გასაქრობად... საკითხი დგას მხოლოდ იმის შესახებ, რომელი ენა შეცვლის მას. აშკარაა, რომ მოსახლეობაში კულტურული იდეების მატარებელი უნდა გახდეს არა ქართული, არამედ რუსული ენა. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ აფხაზური

დამწერლობის შექმნა თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ საშუალება, რომ სკოლისა და ეკლესიის გზით შესუსტდეს ქართულ ენის საჭიროება და იგი შეიცვალოს სახელმწიფო ენით“ (ციტირებულია Жоржолиани, 2000, ст. 34-35). ხოლო რუსული ევრაზიანიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ნ.ს. ტრუბეცკოი 1925 წელს წერდა: „აფხაზეთში სახელმწიო ენად უნდა ვაღიაროთ აფხაზური, ხელი შევუწყოთ აფხაზური ინტელიგენციის გავითარებას და ჩავნერგოთ მათ შეგნებაში გაქართველების (Грузинизация) წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა“ (Трубецкой, 1993). ამ სიტყვების ავტორმა შესანიშნავად იცოდა, რომ აფხაზური ენა სახელმწიფო ენის ფუნქციას ვერ შეასრულებდა, რადგან ამ ენაზე აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ 25% ლაპარაკობდა და დამწერლობაც ის-ის იყო შეიქმნა. მიზანი ერთი იყო, არ დაეშვათ ქართული ენისა და ქართული გავლენის გაძლიერება აფხაზეთში, რომ გაადვილებულიყო მისი რუსიფიკაცია. საბჭოთა ხელისუფლებაც პირნათლად ახორციელებდა ამ გეგმას.

რეაქცია ოფიციალურ ეროვნულ პოლიტიკაზე

ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ისევე (თუ უფრო მეტად არა) მიმდინარეობდა საქართველოს რუსიფიკაცია, როგორც მეფის ხელისუფლების დროს. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ თვით ქართველი ბოლშევიკების ნაწილმაც კი (რომლებიც თვითონ უჭერდნენ მხარს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოსვლას საქართველოში და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობას) აღიმაღლა ხმა და დაუპირისპირდა ასეთ პოლიტიკას. ამის გამო მათ ნაციონალ-უკლონისტების იარლიყი დაიმსახურეს, ხოლო 1937 წელს ფიზიკურად იქნენ განადგურებულნი, როგორც ბურჟუაზიული ნაციონალისტები და პარტიის და საბჭოთა ხალხის მტრები (ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე).

ნაციონალ-უკლონისტების მთავარი „დანაშაული“ ის იყო, რომ მიუხედავად მათი ბოლშევიკობისა, კომუნისტური საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და საქართველოს მასში გაერთიანებისა, ეს კი ინტერნაციონალიზმზე უარის თქმად და ნაციონალისტურ პოზიციებზე გადასვლად იქნა შეფასებული. საინტერესოა, რომ 1976 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VII ტომში ასეთი სიტყვებს ვხვდებით: „ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა კარგად იცოდნენ, რომ მნიშვნელოვანი დათმობები მოუხდებიდა საქართველოს, კერძოდ, ტერიტორიული და ეკონომიკური ხასიათის საკითხებში და ამიტომაც ისინი მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების თავიდან აცილებას“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VII, 1976, გვ. 85-86). ახლა ძნელი გასაგებია ამ სტრიქონების ავტორის (ი. კაჭარავა)

პოზიცია, ამ საქციელისთვის კიცხავს იგი „ნაციონალ-უკლონისტებს“, თუ შეფარულად მათ ეროვნულ პოზიციებზე მიუთითებს. ფაქტია, რომ 1976 წელსაც კი საკუთარი ქვეყნის ტერიტორიულ დათმობაზე უარის თქმა მოძმე ხალხების წინააღმდეგ გამოსვლად ფასდებოდა და იგმობოდა (ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა ყოფილიყო ოფიციალურ გამოცემებში).

ქართველმა „ნაციონალ-უკლონისტებმა“ არაერთხელ მიმართეს პარტიის საკავშირო ცეკას, პირადად ლენინს და სტალინს, რომ გაეთვალისწინებნათ ქართველი ხალხის სურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობისა და თავს არ მოეხვიათ ამიერკავკასიის ფედერაციის იდეა. ცხადია, ეს თხოვნა არავის გაუთვალისწინებია. პირიქით, არათუ ამიერკავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბებით არ დაკმაყოფილდნენ, არამედ დაიწყო ინტენსიური მზადება ამიერკავკასიის, უკრაინისა და ბელორუსიის რუსეთთან შესაერთებლად, რაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით უნდა გაფორმებულიყო. ამ იდეასთან მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გამო, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, რომელის შემადგენლონაში უმრავლეობას „ნაციონალ-უკლონისტები“ შეადგენდნენ, გადადგა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში ეს უპრეცენდენტო მოვლენა იყო.

„ნაციონალ-უკლონისტების“ მოღვაწეობა დაგმობილი იქნა პარტიის მიერ (და თუ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ დავუჯერებთ, ყველა მშრომელის, მთელი ქართელი ხალხის მიერ) როგორც ნაციონალისტური და ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო. მათი „დანაშაული“ იყო, რომ არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობდნენ, არამედ მიზნად ისახავდნენ საქართველოს ავტონომიურ ერთეულებში და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენა დაემკვიდრებინათ, როგორც საქმეთწარმოებისა და სკოლაში სავალდებულოდ შესასწავლი ენა. მეტიც, მათ პასუხისგებაშიც კი არ მისცეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ბესარიონ ხელაია), რომელმაც გაბედა და „ქართველი ხალხის სახელით მიმართა გენუის კონფერენციას თხოვნით, ჩარეულიყო საბჭოთა ქვეყნის შინაურ საქმეებში, მიეღწია საქართველოდან წითელი არმიის გაყვანისა და რეფერენდუმის ჩატარებისათვის“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, 1976, გვ. 192).

„ნაციონალ-უკლონისტების“ გადადგომის შემდეგ საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას სათავეში ჩაუდგნენ ყოველგვარი „ბურჟუაზიული ნაციონალიზმისაგან“ თავისუფალი „ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები“, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ, რათა ქართველ ხალხში „ნაციონალიზმის“ ყოველგვარი გადმონაშთი აღმოფხვრილიყო და იგი ახალ „სოციალისტურ“ ერად გარდაქმნილიყო. ამ „ძალისხმევამ“ შედეგი გამოიღო და როგორც საბჭოთა

საქართველოს ისტორიის ნებისმიერი სახელმძღვანელო (ცხადია, იგულისხმება საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში გამოცემული ლიტერატურა) გვასწავლის, სულ რაღაც თხუთმეტიოდე წელში ბურჟუაზიული ქართველი ერი გარდაიქმნა ახალ, სოციალისტურ ერად. რა ნიშნები და თვისებები იყო დამახასიათებელი ქართველი სოციალისტური ერისათვის?

„ასეთი ნიშან-თვისებებია: საბჭოთა პატრიოტიზმი – სოციალისტური სამშობლოს, სსრ კავშირისა და კომუნისტური პარტიის, საზოგადოებრივი საკუთრების უსაზღვრო სიყვარული; სოციალისტური ინტერნაციონალიზმი – საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის ხალხთა მეგობრობა, ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმური სოლიდარობა; კომუნიზმის გამარჯვების ურყევი რწმენა; მშვიდობისმოყვარეობა, იმპერიალიზმის სიძულვილი – მზადყოფნა ყოველგვარ დამპყრობთა და აგრესორთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისათვის; უნარი – არ დაეცნენ სულით მძიმე განსაცდელის ჟამს და არ გამედიდურდნენ მიღწეული წარმატებებით; სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი როგორც მამაცობის, დიდებისა და გმირობის საქმისადმი, აქტიურობა სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, ბრძოლა კომუნისტური შრომის დანერგვისა და ფართოდ გავრცელებისთვის; მზადყოფნა – წარმატებით განახორციელო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყველა გადაწყვეტილება და მოწოდება“ (საქართველს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, 1976, გვ.713).

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ბუნებრივად ისმის კითხვა: სად ჩანს, რომ ქართველ ერზეა ლაპარაკი? ჩამოთვლილი ე.წ. „ნიშან-თვისებები“ (თავი, რომ დავანებოთ მათ შინაარსობრივ მხარეს და ეს აბსურდული მტკიცება მართლაც ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ) ხომ შეიძლება მიესადაგოს ყირგიზსაც, ბურიატსაც და უდმურტსაც? ან საბჭოთა საზოგადოებრივი საკუთრების უსაზღვრო სიყვარული და სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი აუცილებელი პირობაა, რომ ქართულ ერს მიეკუთვნებოდე და საქართველოს, ქართული ენის, ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიული წარსულის სიყვარული საერთოდ მოხსენების ღირსიც არ არის? ძნელი წარმოსადგენია, რომ „ნარკვევების“ ამ თავის ავტორს (გ. ბრეგვაძე) თვითონ სჯეროდა, რასაც წერდა, მაგრამ იგი ვალდებული იყო ასე ეწერა. ასეთი უნდა ყოფილიყო ნებისმიერი საბჭოთა ერი, მისი სამშობლო საბჭოთა კავშირი უნდა ყოფილიყო და არა საქართველო (უკრაინა, სომხეთი, ტაჯიკეთი). მას უნდა ეამაყა, რომ საბჭოთა ადამიანია და არა იმით, რომ ქართველი, აზერბაიჯანელი თუ ესტონელია. საკუთარ ერზე საუბარი და მისდამი სიყვარულის გამოხატვა ნაციონალიზმად მოინათლებოდა. ერთადერთ ერს, რომლის ქება-დიდება ნებადართული და წახალისებული

იყო, რუსები შეადგენდნენ. არარუს ხალხებსაც გეზი გარუსებისაკენ უნდა აეღოთ, რაც საბოლოოდ ერთიანი საბჭოთა ერის (ბუნებრივია, რუსულენივანი) ჩამოყალიბებისაკენ მიმავლ გზას წარმოადგენდა.

ასეთი იყო საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა. ამიტომ ქართველთა ეროვნული მოღვაწეობის წინაშე დადგა ურთულესი ამოცანა: სასტიკი დიქტატურის პირობებში მოეხერხებინათ, რომ ერს შეენარჩუნებიდა თავისი თვითმყოფადობა, არ დაკარგულიყო დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მისწრაფება და მაქსიმალურად შეწინააღმდეგებოდა რუსულ, საბჭოთა ასიმლიატორულ პოლიტიკას.

ბუნებრივია, ეს მისია, პირველ რიგში, ქართულ ლიტერატურას, ხელოვნებასა და მეცნიერებას უნდა შეესრულებინა, რადგან პოლიტიკური პარტიები და სახელმწიფო მოღვაწეები აღარ არსებობდნენ და მართვის ყველა სადავე კომუნისტური პარტიის ხელში იყო.

20-იან წლებში ჯერ კიდევ შეიძლებოდა ლიტერატურულ ნაწარმოებებში, თეატრის სცენიდან თუ უნივერსიტეტის კათედრიდან ქვეყნის გასაგონად წარმოეთქვათ ეროვნული, პატრიოტული სიტყვები, რომლებიც ხალხს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მოუწოდებდა, ანდა აშკარად წარმოეჩინათ ის უმძიმესი სიტუაცია, რომელიც ქართველ ერს საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა.

მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდია „დიონისოს ღიმილში“ წერდა: „ძმებო, დაგვიქციეს საქართველო ქვიშასავით ურიცხვმა მტრებმა, დაცარცვეს ჩვენი წინაპრების სალოცავები, წაგვართვეს ჩვენი წინაპრების მიწები და უცხო ნათესავები ჩამოგვითესლეს. შეგვირყვნეს ენა – ჩვენი მამა-პაპის წმინდათაწმინდა, დაგვინგრიეს ოჯახი, გაგვიბახეს შჯული და თვიანთი ჯარების საჯირითოდ გაიხადეს ჩვენი ქვეყანა, გვიშველეთ ძმებო და გავრეკოთ მტრები ჩვენი საქართველოს საზღვრებიდან, ავაფეთქოთ ხიდები, ყაჩაღებივით დავუხვდეთ თემმარებზე, ცეცხლში გავხვიოთ მთელი საქართველო, რადგან ჩვენი საქართველო ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ან და არავის...“ (გამსახურდია, ტომი IV, გვ. 638).

მიხეილ ჯავახიშვილმა თავის „ჯაყოს ხიზნებში“ და „თეთრ საყელოში“ ალეგორიული ფორმით დახატა საქართველოს ტრაგედია. პირველ მათგანში აღწერილია, თუ როგორ ეუფლება უცხო, უხეში და ბინძური ძალა ღირსეულ პატრონს მოკლებულ სიწმინდეს, ხოლო მეორეში – ერთი მუჭა ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ისინი, უკაცრიელ მთებში გადასახლებულნი, საუკუნეების წინანადელი ტრადიციებით ცხოვრობენ, ხოლო მათთან შემთხვევით მოხვედრილ ქართველ ინტელიგენტს მალე გაუვლის პირველი აღტაცება და ისევ ჩვეულ სამყაროს უბრუნდება. ეს და სხვა ნაწარმოებები, აგრეთვე რესპუბლიკის ლიდერებთან დაპირისპირება ქართული ისტორიული ძეგლების (კერძოდ, მეტეხის ტაძრის) გადარჩენის თაობაზე, მიხეილ ჯავახიშვილს სოცოცხლის ფასად დაუჯდა.

ხელისუფლების მიერ აშკარად წახალისებულმა ეროვნულმა ნიჰილიზმმა და ეროვნული ისტორიისადმი აგდებულმა დამოკიდებულებამ ქართველი მეცნიერების და, პირველ რიგში, ისტორიკოსების წინაშე დააყენა ამოცანა, დაეცვათ საქართველოს ისტორია გაყალბებისაგან და არ დაეშვათ ეროვნული ნიჰილიზმის გავრცელება ქართველ ერში. ამისათვის საჭირო იყო, სამეცნიერო შრომებში და ლექციებზე ნათლად წარმოჩენილიყო ქართველი ერის ისტორიის თვითმყოფადობა, რათა ხალხს ობიექტური და ჭეშმარიტი ისტორია სცოდნოდა. ბრძოლა ორი მიმართულებით უნდა წარმართულიყო. ერთი მხრივ, აუცილებელი იყო, ისტორიულ მეცნიერებას ხელი შეეწყო ქართველ ერში საკუთარი ეროვნული ღირსების, პატრიოტიზმისა და ეროვნული სიამაყის გრძნობის განმტკიცებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, არ უნდა დაეშვა ისტორიის გაყალბება, მისი გაზვიადება, ფაქტების მიჩქმალვა და ხალხისათვის მიეწოდებინა ობიექტური, თუნდაც ეროვნული თავმოყვარეობისათვის ნაკლებად სასიამოვნო, ჭეშმარიტი ინფორმაცია. სწორედ ამას ემსახურებოდნენ ივანე ჯავახიშვილი და მისი უახლოესი თანამებრძოლები, რომელთა მოღვაწეობა მეცნიერული ზნეობისა და პატრიოტიზმის ეტალონად უნდა ჩაითვალოს.

იმ დროს, როდესაც საქართველოს ტერიტორიის გასხვისება-დანაწილება მიმდინარეობდა და ამას ინტერნაცინალიზმის გამოვლინებად თვლიდნენ, ივანე ჯავახიშვილი აქვეყნებდა შრომებს, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით, ჭეშმარიტებისა და მეცნიერული ეთიკის სრული დაცვით საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისა და საზღვრების ობიექტურ სურათს ხატავდა და საქართველოს ამა თუ იმ პროვინციაზე მეზობელი ხალხების პრეტენზიების უნიადაგობისა და აბსურდულობას ააშკარავებდა.

თუმცა თვით ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და სამეცნიერო შრომებშიც კი არ შეიძლებოდა ისე წერა, რომ ხალხს ეროვნული, ნაციონალისტური გრძნობები გაღვივებოდა. ამიტომაც „ჭეშმარიტი საბჭოთა ინტელიგენციის“ წარმომადგენლები „ფხიზლად“ იდგნენ იდეურ ფრონტზე და დაუნდობლად ამხელდნენ „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ წარმომადგენლებს. მაგალითად, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ წერდა: „მიხეილ ჯავახიშვილს საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს მოღალატური და კონტრრევოლუციური „მოღვაწეობისა“. ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის წიაღში აღზრდილი, იგი მტრულად დაუხვდა საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას... მან გაიხსენა თავისი დიდი ხნით მივიწყებული და უკუგდებული სამწერლო საშუალებანი და მოინდომა ლიტერატურულ ფრონტზე გაეშალა მუშათა კლასის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული „მუშაობა““ (ციტირებულია ბაქრაძე, 1990, გვ. 109).

ან კიდევ: „კ. გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი – შოვინისტი და ანტისბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში

განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის, თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად“ (იხ. ისევ ბაქრაძე, 1990, გვ. 113).

ასევე უკანასკნელი სიტყვებით იქნენ შემკულნი ივანე ჯავახიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე აბაშელი, იოსებ იმედაშვილი და ქართველი ეროვნული მოღვაწეების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები. მათ „წუნკალი შოვინისტების პლეადა“ უწოდეს.

„სტალინური“ ნაციონალიზმი

30-იან წლებში უკვე ის მცირე საშუალებაც მოისპო, რომელიც 20-იან წლებში ჯერ კიდევ იყო და თუნდაც ლიტერატურაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაღვიძებისა და გაძლიერების შესაძლებლობას იძლეოდა. სტალინური დიქტატურის დამყარებამ და განმტკიცებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი, საბჭოთა კავშირის მთელს მოსახლეობაში ნებისმიერი მეთოდით დანერგილიყო საერთო სამშობლოს, ერთიანი ენის, საერთო პროლეტარული კულტურის რწმენა. რელიგია მარქსიზმ-ლენინიზმს უნდა შეეცვალა, ხოლო ღმერთის მისია ბელადს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ამ კომუნისტურ ინტერნაციონალიზმშიც კი აშკარად ჩანდა შეფარული რუსული ნაციონალიზმი. რუსი კომუნისტისათვის ყველაზე დიდი კომუნისტი ლენინია, ყველაზე მოწინავე, რევოლუციური ხალხი – რუსები. სწორედ რუსებს აკისრიათ მსოფლიო რევოლუციის მისია და ყველა სხვა ხალხისათვის რუსებთან სიახლოვე, მეგობრობა და, ბოლოს, მათთან შერწყმა დიდი ბედნიერებაა. ერთიანი საბჭოთა ხალხიც ეტაპია ერთიანი მსოფლიო ხალხისა, რომელიც კომუნიზმის დროს იარსებებს და რომელიც რუსულად ილაპარაკებს. ჩინელი კომუნისტისთვის სწორედ ჩინელებია მსოფლიოს გადამრჩენები და კაცობრიობის ბელადი მაო ძედუნია. კორეელი კომუნისტებისათვის კიმ ირ სენზე დიდი პიროვნება დედამიწაზე არ დაბადებულა, კუბელებისათვის ასეთი ფიდელ კასტროა, იუგოსლავიებისთვის კი – ტიტო. ასე რომ, კომუნისტური ნაციონალიზმიც ჩვეულებრივი ამბავია. 30-იან წლებში დამკვიდრებული ოფიციალური საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგია რუსული ნაციონალიზმის ახალ ფორმას წარმოადგენდა, რომელიც ერთიანი საბჭოთა (რუსულენოვანი) ერის შექმნისაკენ იყო მიმართული.

თუმცა, როგორც ჩანს, კრემლის იდეოლოგებიც მიხვდნენ, რომ ეროვნული ღირსებების მიჩქმალვა და ხელოვნურად ახალი ერის ჩამოყალიბება დამაცხებისთვის იყო განწირული და თვით საბჭოთა კავშირისათვის უკეთესი იქნებოდა, თუ არარუს ხალხებში საკუთარი ეროვნული ღირსებების პროპაგანდა განხორციელდებოდა, ოღონდ არა

ადგილობრივი ნაციონალისტების, არამედ პარტიული ელიტის მიერ. ასე ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა ხალხების ეროვნულ ნაციონალიზმს, რომელიც თავიდანვე გამორიცხავდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, აქცენტს აკეთებდა კულტურულ განსაკუთრებულობაზე (ლიტერატურა, ფოლკლორი, სიმღერები, ცეკვები, ტრადიციები და ა.შ.) და ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და აყვავების ერთადერთ გზად საბჭოთა ხელისუფლებასა და რუსულ კულტურასთან სიახლოვეს მიიჩნევდა. ნაციონალიზმის ძირითადი მიზნის (პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და განმტკიცება) უგულებელყოფისა და სხვა მიმართულებით განვითარებისათვის საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ნებას რთავდა და ხშირად თვითონ უწყობდა ხელს ეროვნული კულტურის მოღვაწეებს, რომ მათ დაემკვიდრებინათ გაზვიადებული, გადაჭარბებული, ხშირად ყალბი და ფანტასტიკური წარმოდგენები საკუთრ ხალხსა და კულტურაზე, რაც ეროვნული ყოყოჩობისა და ტრაბახის ფორმას იღებდა და ხალხების ურთიერთდაპირისპირებას იწვევდა.

ასეთი ნაციონალიზმის გამოვლინება იყო საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობა 1934 წელს. ის, რომ რუსი დელეგატების გამოსვლაში ხაზგასმით იყო აღნიშნული რუსული ლიტერატურის განსაკუთრებულობა, ხოლო პუშკინი, ლერმონტოვი და ტოლსტოი კაცობრიობის ყველაზე დიდ მწერლებად იყვნენ დასახელებულნი, თავისთავად მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ დაახლოებით ასეთივე შინაარსისა იყო მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა გამოსვლებიც.

უკრაინის დელეგატმა აღნიშნა, რომ ტარას შევჩენკო იყო უდიდესი გენიოსი და კოლოსალური ფიგურა ისტორიაში, რომელმაც უფრო დიდი როლი შეასრულა უკრაინული ენისა და ლიტერატურის განვითარებაში, ვიდრე პუშკინმა რუსულ ენასა და ლიტერატურაში. სომეხ მწერალთა წარმომადგენელმა ტრიბუნა იმისათვის გამოიყენა, რომ საჯაროდ ემტკიცებინა სომხური კულტურის უძველესობა და უმდიდრესობა მთელ მსოფლიოში, სომხური ანბანის უნიკალურობა, სომხური ეპოსის უპირატესობა სხვა ხალხთა ეპოსებს შორის. აზერბაიჯანელმა დელეგატმა სპარსულენოვანი პოეტი ნიზამი განჯევი დიდ აზერბაიჯანელ პოეტად გამოაცხადა და მსოფლიო პოეზიის მწვერვალი უწოდა, ხოლო მირზა ფათალი ახუდოვი გოგოლის, გრიბოედოვისა და ოსტროვსკის დონის მწერლად მიიჩნია. თურქმენეთის წარმომადგენელმა XVIII საუკუნის სახალხო მთქმელი მაჰმატ-ყული აღმოსავლური პოეზიის კორიფედ დაასახელა, ხოლო ტაჯიკმა დელეგატმა მთელი კლასიკური სპარსული პოეზიის უდიდესი წარმომადგენლები – რუდაქი, ფირდოუსი, ომარ ხაიამი, ჰაფეზი, საადი – ტაჯიკ პოეტებად წარმოაჩინა. ქართველი დელეგატის აზრით, შოთა რუსთაველმა მთელი საუკუნეებით გასწრო დროს, დასავლეთ ევროპელ ჰუმანისტებს და რენესანსის პირ-

ველ წარმომადგენლად მოგვევლინა (Becoming National, 1996, p. 225-226).

ამგვარად, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მსგავსად, საქართველოშიც ჩამოყალიბდა ქართული საბჭოთა ნაციონალიზმი, რომელიც ქართული კულტურისა და ქართველი მოღვაწეების, საქართველოს ბუნებისა და ისტორიის განსაკუთრებლობას ქადაგებდა, ხშირად ტრაბახისა და ყოყოჩობის ფორმას იღებდა და სხვა ხალხებში ირონიას იწვევდა (ისევე, როგორც ქართველებში იწვევდა ღიმილს მეზობელი ხალხების ტრაბახი თავიანთ ეროვნულ განსაკუთრებულობაზე). ასეთი ნაციონალიზმი ხელს აძლევდა კრემლს, რადგან იგი გამორიცხავდა პოლიტიკური დამოუკიდებლობისადმი სწრაფვას, საბჭოთა ხელისუფლებას მიიჩნევდა ეროვნული კულტურის გადამრჩენად და მოსახლეობის თვითკმაყოფილების ბანგში ახვევდა (საკმარისია გავიხსენოთ, რა ნეტარებას ეძლეოდა ქართველი, როცა რუსისგან ან სხვა ეროვნების სტუმრისაგან საქართველოსა და ქართველების ქებას ისმენდა).

რაც შეეხება აქტიურ ნაციონალურ მოქმედებას საქართველოში, 1921-24 წლების სახალხო გამოსვლების შემდეგ (სვანეთისა და ხევსურეთის აჯანყებები, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოძრაობა, დამოუკიდებლობის კომიტეტის მოღვაწეობა და ბოლოს 1924 წლის აჯანყება) მას ადგილი არ ჰქონია და აშკარა სახით მხოლოდ ქართულ ემიგრაციაში იჩენდა თავს. ქართველ ემიგრანტთა ნაწილმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზად გერმანული ნაციზმის რუსულ ბოლშევიზმზე გამარჯვება მიიჩნია და მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანიის მხარეზე დადგა, მაგრამ უმრავლესობამ (მ. წერეთელი, დ. შალიკაშვილი, ზ. ავალიშვილი) მალევე გააცნობიერა, რომ ფაშიზმი ისეთივე (თუ მეტი არა) ბოროტება იყო და ისევე ემუქრებოდა ქართველ ხალხს, როგორც ბოლშევიზმი და ზურგი აქცია ამ ფუჭ გზას. თვით საქართველოში ომის დაწყებისთანავე შეიქმნა საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის წევრებიც ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე ახალგაზრდა მწერლები, მეცნიერები და ასპირანტები იყვნენ. მათ მიზნად დაისახეს, კავშირი დაემყარებინათ ჰიტლერთან და, გერმანელების საქართველოში შემოჭრის შემთხვევაში, ეთხოვათ, არ დაენგრია ქვეყანა. ისინი გერმანიის ხელმძღვანელობას საქართველოს უბრძოლველად დანებებას ჰპირდებოდნენ და ითხოვდნენ საქართველოს სახელმწიფოს შექმნას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. დაახლოებით ასეთივე მიზნები ჰქონდა თუშეთის მთებში მოქმედ „სამანელთა“ ორგანიზაციას. ორივე ორგანიზაცია უშიშროების ორგანოების მიერ იქნა გამოაშკარავებული და განადგურებული.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ და, განსაკუთრებით, თვითონ ომის წლებში, მოსკოვის პოლიტიკა ეროვნულ საკითხებში შეიცვალა. კერძოდ, 1937 წელს მთელ საბჭოთა კავშირში გრანდიოზულად აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის და ილია ჭავჭავაძის დაბადებ-

იდან 100 წლის იუბილეები. რუსულად ითარგმნა ქართული ლიტერატურის ყველა ძირითადი ძეგლი. ივანე ჯავახიშვილსა და სხვა ქართველ ისტორიკოსებს დაევალათ, დაეწერათ საქართველოს ისტორიის ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო. ომის წლებში გეზი აიღეს თითოეული ხალხის გმირული წარსულის, მებრძოლი სულის, თავისუფლებისადმი სწრაფვის პროპაგანდისაკენ. კერძოდ, ქართველ ხალხს ოფიციალური იდეოლოგია წამდაუწუმ ახსენებდა, რომ მცირერიცხოვანი ქართველი ერი საუკუნეების მანძილზე გმირულად იგერიებდა მასზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ხალხების შემოსევებს და სწორედ ეს უნდა აღაფრთოვანებდეს მას, რათა რუსი და სხვა მოძმე ხალხების გვერდით მამაცურად ებრძოლოს გერმანელ ფაშისტებს, მათ, ვინც ქართველი ხალხის დამონებას ცდილობდა (რუსები, პირიქით, ქართველების გადამრჩენად და ამყვავებლად იყვნენ წარმოდგენილნი). ეროვნული გრძნობების გამოცოცხლებასა და ფართოდ გავრცელებას ემსახურებოდა მეორე მსოფლიო ომის წლებში ქართული თეატრების ისტორიულ-ჰერიოკული რეპერტუარი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“), ომის წლებში გადაღებული ფილმები – „გიორგი სააკაძე“, „ჯურღაის ფარი“, ქართული ლიტერატურის შემობრუნება ეროვნული თემატიკისა და ისტორიული მოვლენებისაკენ (კონსტანტინე გამსახურდიას მიენიჭა სტალინური პრემია ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელის“ პირველი წიგნისთვის). ერთი სიტყვით, ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა ისეთმა ნაწარმოებებმა, რომლებიც და რომლის მსგავსნიც სულ რამდენიმე წლის წინ ლამის აკრძალული იყო, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ილანძღებოდა, როგორც ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გადმონაშთი. ასეთმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო. საბჭოთა კავშირის ხალხებმა და, მათ შორის, ქართველმა ხალხმაც მთელი საბჭოთა კავშირი საკუთარ სამშობლოდ მიიჩნია და თავდადებით იბრძოდა მისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ 1943 წელს, უშუალოდ სტალინის მოთხოვნით, რუსეთის სინოდმა სცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია.

თუმცა ომის დამთავრებისთანავე პოლიტიკა კვლავ შეიცვალა. ეროვნული ისტორიისა და ეროვნული გმირების თემატიკა კვლავ სასტიკი ცენზურის ქვეშ მოექცა. ერთადერთი, ვისაც აკრძალვა არ შეეხო, რუსი ხალხი იყო. პირიქით, ომის შემდეგ წლებში ერთგვარ აუცილებლობად იქცა, ხოტბა შესხმოდა რუსი ხალხის განსაკუთრებულობას, მის გმირულ წარსულს, ლიტერატურას, კულტურას, მეცნიერებას და ლამის ყველაფერი პროგრესულის, მოწინავის სამშობლოდ რუსეთი ცხადდებოდა. ნებისმიერი არარუსი მოღვაწე, რომელიც კრიტიკულად იყო განწყობილი რაიმე რუსულისადმი, რეაქციონერად ან, უკეთეს შემთხვევაში, ჩამორჩენილად ცხადდებოდა. ასეთი კრიტიკა დაიმსახურეს 40-50-იან წლების მიჯნაზე ალექსანდრე ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ. ხოლო ის მოღვა-

წეები, რომლებიც ომის წლებში დიდებით იყვნენ მოსილნი, იდეურ მოწინააღმდეგეებად და ადგილობრივი ნაციონალიზმის მქადაგებლებად გამოცხადნენ (კ. გამსახურდია, ლ. გოთუა). ქართულ მეცნიერების იმ მოღვაწეებს კი, რომლებიც ევროპული კულტურისადმი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი, კოსმოპოლიტების იარლიყი მიაწებეს, თუმცა ოდესღაც ნაციონალისტებად მიიჩნევდნენ (შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. ბერიძე, ს. დანელია).

ასეთ ვითარებაში ქართულმა ნაციონალიზმმა უცნაური მეტამორფოზა განიცადა. იგი იძულებული გახდა, არსებულ ვითარებას შეგუებოდა და რამენაირად მორგებოდა მას. ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვა და საბჭოთა იმპერიის ნაწილად ყოფნა რამენაირად უნდა ყოფილიყო კომპენსირებული, რაც ეროვნული სიამაყის საგანი გახდებოდა. ასეთი სიამაყის საფუძველი კი ის გახდა, რომ მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს შემქმნელი და ერთპიროვნული დიქტატორი ანუ, როგორც ოფიციალური პროპაგანდა უწოდებდა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა „დიდი ბელადი და მასწავლებელი“, „ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი პიროვნება“ იოსებ სტალინი ეროვნებით ქართველი იყო. ქართველებმაც სანუგეშოდ ის მიიჩნიეს, რომ მიუხედავად სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა, იმ იმპერიის ნაწილი გახდნენ, რომელსაც ქართველი კაცი ხელმძღვანელობდა, ამდენად საბჭოთა იმპერია, „მშობლიური“ იმპერია იყო.

XX საუკუნის 40-50-იანი წლების ქართული ნაციონალიზმი „სტალინური“ ნაციონალიზმია. სტალინის ფიგურა წარმოადგენდა ეროვნული სიამაყის მთავარ ობიექტს. თითქმის არ დარჩენილა მწერალი თუ ხელოვნების მოღვაწე, რომელსაც ხოტბა-დიდება არ შეესხას „დიდი ბელადისათვის“, ყველა საბჭოთა ადამიანის „მამისა და მასწავლებლისათვის“. მათ შორის იყვნენ ქართული ნაციონალიზმის ყველაზე უფრო აქტიური მოღვაწეებიც (გავიხსენოთ თუნდაც კ. გამასახურდიას „ბელადი“ ანდა გ. ლეონიძის „ბავშვობა და ყრმობა“). აღნიშნულმა ტენდენციამ მართლაც გამოიღო შედეგი და ქართველების დიდი უმრავლესობისათვის სტალინის პიროვნება საქართველოსთან, ქართველთა ეროვნულ ღირსებასთან და სიამაყესთან გაიგივდა. სტალინის ქება-დიდება ქართველების ხოტბად აღიქმეოდა, ხოლო მისი ლანძღვა და კრიტიკა – ქართველების ეროვნულ შეურაცხყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა, რომელიც პირველად 1956 წლის თებერვალში სკკპ XX ყრილობაზე გაისმა, ყველაზე მტკივნეულად საქართველოში განიცადეს და ეროვნული ღირსების დამცირებად მიიჩნიეს. მასობრივი პროტესტის გამოვლინება იყო გრანდიოზული მიტინგები იმავე წლის მარტში, რაც 9 მარტის ცნობილი ტრაგედიით დამთავრდა. ათეულობით ახალგაზრდა ამ უცნაურ „სტალინურ ნაციონალიზმს“ შეეწირა. თუმცა ეს ტრა-

გედია გახდა ის ზღვარი, რომელმაც ბოლო მოუღო ილუზიას საბჭოთა სამშობლოსა და კომუნიზმის რწმენის შესახებ.

„თვითკმაყოფილებისა და განცხრომის“ ნაციონალიზმი

9 მარტის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში კომინისტური პარტიის რწმენა მასიურად დაიკარგა, იდეური კომუნისტების დრო წარსულს ჩაბარდა და პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მომხმარებლურმა, გამორჩენითმა დამოკიდებულებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. პარტიაში შედიოდნენ არა იმიტომ, რომ სჯეროდათ მისი და იზიარებდნენ პარტიის პროგრამას, არამედ იმისათვის, რომ ამ გზით შეეძლოთ, უზრუნველეყოთ საკუთარი კეთილდღეობა, ჩაწერილიყვნენ პარტიულ-ბიუროკრატიულ ნომენკლატურაში და რაც მეტი წაეგლიჯათ სახელმწიფოსათვის.

თვით 1956 წლის მოვლენები, რომელიც სტალინის დასაცავად იყო მიმართული, კრემლმა ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის გამოვლინებად მიიჩნია და სპეციალური დადგენილებაც კი მიიღო, რომელიც თავისი შინაარსით უპრეცენდენტო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში. ამ დადეგენილებით მთელი ქართველი ერი დადანაშაულებულ იქნა ეთნიკურ ნაციონალიზმში, ეროვნულ ყოყოჩობაში და საბჭოთა ადამიანისადმი შეუფერებელ სხვადასხვაგვარ წარმოდგენებსა და ქმედებებში.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ შეიცვალა ქართული ნაციონალიზმის ხასიათი. 60-70-იან წლებში დამკვიდრებული ტენდენციით, ყველაზე ეროვნულ საქმედ ჩათვლიდნენ, თუკი ქართველები მატერიალურად კარგად იქნებოდნენ, ბევრ ფულს იშოვიდნენ, უზარმაზარი სახლებს აიშენებდნენ და ახალთახალი ავტომობილებით ინავარდებდნენ. ეროვნული საქმეც (ახალი ფილმების გადაღება, თეატრების ახალი შენობების აშენება, ახალი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, ისტორიული ძეგლების რესტავრაცია) მაშინ გაკეთდებოდა, თუკი ბევრ ფულს გამოსტყუებდი მოსკოვს. ამიტომაც როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელების, ისე სამეურნეო ელიტის, ინტელიგენციისა და, საერთოდ, მეტ-ნაკლებად ცნობილი და გავლენიანი პიროვნებების ამოცანა გახდა, მაქსიმალურად დაახლოებოდნენ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებას, ვისგანაც ქრთამით, პურ-მარილით, თავის მოქონვითა თუ პირადი ნდობის მოპოვებით შესაძლებელი იქნებოდა დიდი რაოდენობის თანხების მიღება, რაც ზოგჯერ ეროვნული საქმის გაკეთებასაც მოხმარდებოდა და არა მარტო პირად გამდიდრებას. ერთი სიტყვით, ქართველთა უმრავლესობის დევიზი გახდა კვაჭი კვაჭანტირაძის ფილოსოფია: „რას ჩააცივდით ერთ მტკაველ საქართველოს, ერთ მუჭა ხალხს! ამ ორმოში ჩავიხრჩვებით, ფრთას ვერ გავშლით და სულს ვერ მოვითქვამთ. გადაჰ-

ხედეთ დიდი რუსეთს, მსოფლიოს მეექვსედია, ორას მილიონამდე ხალხი ჰყავს! თუ შნო, უნარი და ხალისი გაქვთ, ფრთები გაშალეთ და ამ ულეველ სივრცეში ინავარდეთ“ (ჯავახიშვილი, ტ.III, გვ. 249, 1960).

60-70-იანი წლების ქართველების ეროვნული სიმაყის საგანი ფული გახდა და თავსაც იმით იწონებდნენ, რომ მოსახლეობა საქართველოში უკეთესად ცხოვრობდა, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. ცხადია, საჯაროდ იმით ვერ იტრაბახებდი, რომ ფული სხვადასხვა მაქინაციებით მოდიოდა. ამიტომ საქართველოს აყვავების მიზეზად მისი სიმდიდრე, უნიკალური ბუნების პირობები და რესურსული პოტენციალი, აგრეთვე ქართველების გამჭრიახობა, მოხერხებულობა და ე.წ. „ცხოვრების შნო“ მოიაზრებოდა. ქართველებმა დაიჯერეს, რომ საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა, რომელსაც თუნდაც მარტო კურორტებითა და მინერალური წყლებით უზრუნველყოფილი აქვს ბედნიერი ცხოვრება. მოსახლეობაში დამკვიდრდა წარმოდგენა, რომ „რუსეთს ჩვენ ვაცხოვრებთ“, „ჩვენი სიმდიდრე რომ ჩვენ გვხმარდებოდეს, პირველი სახელმწიფო ვიქნებოდით“ და ა.შ.

სინამდვილე კი სრულიად სხვა იყო. საქართველო იქცა მთლიანად რუსეთზე დამოკიდებულ მონოკულტურულ რესპუბლიკად. იმის გამო, რომ საქართველო მართლაც ერთადერთი რესპუბლიკა იყო საბჭოთა კავშირში, სადაც ბუნებრივი პირობების, კერძოდ კი, სუბტროპიკული ჰავის, წყალობით შესაძლებელი იყო ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სამხრეთული კულტურების მოყვანა, საქართველოს ფუნქციაც ამ პროდუქციის წარმოებით განისაზღვრა (ეს საბჭოთა კავშირს აძლევდა საშუალებას, საზღვარგარეთ არ შეეძინა აღნიშნული პროდუქცია და ამით ვალუტა დაეზოგა). საქართველოს მთელი საბჭოთა კავშირისათვის უნდა ეწარმოებინა ჩაი, ციტრუსები, ხილი, ღვინო, განევითარებინა საკურორტო მეურნეობა, ხოლო ისეთი პროდუქტების წარმოებაზე, როგორიცა მარცვლეული, ხორცი, რძე, კარტოფილი, ზეთი, შაქარი (ანუ აუცილებელი, პირველადი პროდუქტები), მაინცდამაინც თავი არ უნდა შეეწუხებინა, რადგან ამით სხვა რესპუბლიკები მოამარაგებდნენ. როგორც უნიკალური ბუნების ქვეყანას, საქართველოს თავი უნდა შეეკავებინა მძიმე ინდუსტრიისა და ენერგეტიკის განვითარებაზეც და ამ სფეროშიც მოძმე ხალხების დახმარების იმედად ყოფილიყო. ასეთი პოლიტიკა სრულიად მისაღები იყო მოსახლეობისათვის, რადგან საბჭოთა კავშირზე, როგორც დახურულ სისტემაზე, მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა არ მოქმედებდა, ქვეყნის შიგნით კი საბაზრო მექანიზი ჩვეულებრივ ფუნქციონირებდა. რაკი საქართველო სუბტროპიკული კულტურების წარმოების უკონკურენტო მონოპოლისტი იყო, საბჭოთა კავშირისთვის დეფიციტური პროდუქცია (ციტრუსები) ძალიან ძვირი ღირდა და მისი ფასი საგრძნობლად აღემატებოდა მსოფლიო ბაზრის ფასებს. მაგალითად, ერთი ტონა მანდარინის ღი-

რებულება რამდენიმე ათეულჯერ აღემატებოდა ერთი ტონა ნავთის ღირებულებას, რაც ძალზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა საქართველოსა და მის მოსახლეობას. ის ფაქტი, რომ საქართველო მთალიანად საბჭოთა კავშირის ინტერესების მოსამსახურედ გამოვიდა და ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნილებებს ვერც ერთ ძირითად, სასიცოცხლო პროდუქტზე, არავის აფიქრებდა, რადგან ფული მოდიოდა და მოსახლეობა კმაყოფილი იყო. ამ მოჩვენებითი კეთილდღეობის უკან რომ გამიზნული ანტიქართული პოლიტიკა იდგა (რომლის მიზანიც იყო, ყველანაირი ეკონიმკური საფუძველი მოეშალა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესაძლო აღდგენისათვის მომავალში), ცოტას თუ ჰქონდა გაცნობიერებული. ამიტომაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაზე უსუსურ მდგომარეობაში საქართველოს აღმოჩნდა. მან ერთბაშად დაკარგა ყველა ის უპირატესობა, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ჰქონდა. ქართულ ციტრუსებსა და ჩაის მსოფლიო ბაზარზე არავინ იყიდდა, რადგან გაცილებით მაღალხარისხიან პროდუქციას სხვა ქვეყნები აწარმოებდნენ, ხოლო ის ფასები, რომელსაც მოსახლეობა იყო მიჩვეული (განსაკუთრებით, მისი შეფარდება სხვა პროდუქტის ფასებთან), დამოუკიდებლობის წლებში მოგონებად იქცა. მსოფლიო ბაზარზე გასატანი სხვა პროდუქცია ქვეყანას არ ჰქონდა, ხოლო მრეწველობა მთლიანად რუსეთიდან და სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილ ნედლეულზე მუშაობდა. კავშირების გაწყვეტამ საქართველოს ინდუსტრიაც გააჩერა და თუნდაც ემუშავა, საეჭვოა, რომ მისი პროდუქცია სადმე გაყიდულიყო. ერთი სიტყვით, მითი იმის შესახებ, რომ „საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა“, შეიცვალა მწარე რეალობით – „საქართველო ძალიან ღარიბი ქვეყანაა“. ეს მძიმე დარტყმა იყო ქართული ნაციონალიზმისათვის.

თუმცა, ბუნებრივია, 60-70-იან წლებში ამაზე არავინ ფიქრობდა, საბჭოთა კავშირის დაშლა კი ფანტასტიკად აღიქმებოდა. ქართველი ხალხი თვითკმაყოფილებას იყო მიცემული. თითქმის მთელი ეროვნული ენერგია პირად კეთილდღეობაზე ზრუნვას ხმარდებოდა. ეროვნული საქმის კეთება მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელობითა და მოსკოვის ნებართვით იყო შესაძლებელი. ამიტომ როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ისე სამეურნეო თუ კულტურის სფეროს წარმომადგენლები ცდილობდნენ, უშუალო ხელმძღვანელებისათვის რუსეთში თავი მაქსიმალურად ერთგულ მეგობრებად მოეჩვენებინათ, არც ქრთამის მიცემაზე დაეხიათ უკან, ოღონდაც მათი მხარდაჭერა დაემსახურებინათ და მატერიალური დახმარება მიეღოთ. ასეთი გზით მიღებული ფინანსური სახსრების ნაწილი ნამდვილად მოხმარდა ეროვნულ საქმეებს, კერძოდ, ქართული კინოს განვითარების, თეატრებისა და კულტურის დაწესებულებების მშენებლობას, ახალი ჟურნა-

ლების გამოცემას, წიგნების ბეჭდვას, ისტორიული ძეგლებისა და თბილისის ძველი უბნების რესტავრაციას და ა.შ. ამით იქმნებოდა ილუზია, რომ სწორედ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება იყო ეროვნული მემკვიდრეობის მცველი და ამღორძინებელი. ქართველი ხალხიც დიდად დავალდებული გამოდიოდა მოსკოვის ხელისუფლებისაგან და მას განუწყვეტლივ უნდა გამოეხატა თავისი მადლიერება.

ამგვარად, 60-70-იან წლებში მოსკოვის ხელისუფლებისა და საქართველოს ხელმძღვანელობას შორის ისეთივე სერვილურ-მოჯამაგირული დამოკიდებულება დამყარდა, როგორიც XIX საუკუნეში იმპერატორის კარსა და ქართველ თავად-აზნაურობას შორის იყო. ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი მელორ სტურუა ამის შესახებ წერდა: „საქართველო კი მოჩანდა, როგორც რუსეთის ყველაზე ერთგული მოსამსახურე, ანუ როგორც ქართველი გენერლები ემსახურებოდნენ რუსეთის მეფეებს, ასევე ქართველი კომუნისტები ემსახურებოდნენ კრემლს... გავიხსენოთ ქართველი მწერლებიც, რომლებსაც შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთის მწერლებთან და ეს ვერ გამოიყენეს საქართველოს სასიკეთოდ. ეს იმიტომ მოხდა, რომ არაკრიტიკულად ვუდგებოდით ამ ურთიერთობებს და ველაქუცებოდით მათ... ასე გრძელდებოდა ათწლეულობით და რუსებიც შეეჩვივნენ ჩვენს მოჯამაგირეობას. შედეგად რაც მივიღეთ, ცნობილია“ („კვირის პალიტრა“, №7, 2001).

ასეთ ვითარებაში საპროტესტო ეროვნული მოძრაობა თითქმის არ შეიმჩნეოდა. 1956 წლის შემდეგ ოცი წლის განმავლობაში რაიმე სერიოზულ ნაციონალისტურ შინაარსის გამოსვლა არ ყოფილა. ამერიკელი მკვლევარი ლ. სნაიდერი წიგნში „ნაციონალიზმის სახეები“ (Snyder, 1976) ნაციონალიზმის ერთადერთ გამოვლინებად საქართველოში მიიჩნევს ისტორიკოს უ. სიდამონიძის წიგნს „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია“ (სიდამონიძე, *1970*). ამ ნაშრომში ცენზურას გაეპარა ზოგიერთი ისეთი მსჯელობა და ციტატა, რომელიც რეალურად ასახავდა საქარათველოს სოვიეტიზაციის პროცესს და მკითხველში იწვევდა აღშფოთებას საბჭოთა რუსეთისა და ქართველი ბოლშევიკების მოქმედების გამო. საქართველოს კომინუსტური პარტიის ცენტალურმა კომიტეტმა სასტიკად დაგმო ეს „ნაციონალისტური“ შინაარსის წიგნი, აკრძალა იგი, ხოლო ავტორი დასაჯეს და აიძულეს, საჯაროდ ეღიარებინა თავისი „შეცდომა“.

ნაციონალიზმის გამოცოცხლება

ეროვნული მოძრაობის აღორძინება საქართველოში 1975 წლიდან იწყება, როდესაც შეიქმნა პირველი დისიდენტური ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“. ამ ორგანიზაციის ლიდერებმა ზ. გამსახურდიამ და მ. კოსტავამ არა მარტო ადამიანის უფლებების დაცვაზე გაა-

მახვილეს ყურადღება (რაც საბჭოთა კავშირში არსებული არალეგალური დისიდენტური ორგანიზაციების მთავარი ამოცანა იყო), არამედ ძირითადი აქცენტი ეროვნულ საკითხებზე გადაიტანეს. ხელნაწერ ჟურნალ „ოქროს საწმისში“ ქვეყნდებოდა მასალები, რომლებიც ამხელდნენ ხელისუფლების დანაშაულობებს უცხო ეთნიკური ჯგუფების საქართველოში ჩამოსახლებისა და მათზე მიწების უკანონოდ გაყიდვის საქმეში, სახელმწიფო დაწესებულებებში ქართული ენის შეზღუდვას და რუსულის გაბატონებას, ქართული ენის არასავალდებულო საგნად გამოცხადებას რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში, ქართული კულტურისა და ისტორიის ძეგლების სავალალო მდგომარეობას, საქართველოს ეკლესიის დაკნინებასა და უღირსი მღვდელმსახურების მომრავლებას, ძველი ქართული წეს-ჩვეულებებისა და ხალხური დღეობა-რიტუალების შეზღუდვას მავნე ტრადიციებთან ბრძოლის საბაბით და ა.შ. 1977 წელს ხელისუფლებამ „ჰელსინკის კავშირი“ დაშალა, ხოლო მათ ლიდერებს პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ხელნაწერი ჟურნალები და არალეგალური ლიტერატურა ფარულად შემდეგაც ვრცელდებოდა და ახლგაზრდებში ეროვნულ მუხტს აღვივებდა.

ასეთი ეროვნული მუხტის აფეთქებად უნდა ჩაითვალოს 1978 წლის 14 აპრილს თბილისის ახალგაზრდობის მასობრივი გამოსვლა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად. საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუცია, რომელიც უმაღლესი საბჭოს სესიას უნდა მიეღო, წინა 1937 წლის კონსტუტიციისაგან განსხვავებით, აღარ ითვალისწინებდა ქართული ენის გამოცხადებას საქართველოს სახელმწიფო ენად. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სტუდენტ ახალგაზრდობაში, ინტელიგენციაში, მთელი ქართველ ხალხში და გრანდიოზული დემოსტრაციის მიზეზი გახდა. კრემლი იძულებული გახდა, დაეთმო და დათანხმებოდა ქართული ენის გამოცხადებას საქართველოს სახელმწიფო ენად. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მოსახლეობის მასობრივმა საპროტესტო გამოსვლამ ხელისუფლებას გადაწყვეტილება შეაცვლევინა. თუმცა საბჭოთა კონსტიტუციებს ფორმალური ხასიათი ჰქონდა და, სინამდვილეში, საქართველოში სახელმწიფო ენად მაინც რუსული რჩებოდა, მაგრამ თუნდაც ფორმალურად ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა და მოსახლეობაშიც გარკვეულ იმედებს სახავდა.

80-იანი წლების დასაწყისში, უკიდურესი კონსპირაციის პირობებში, მოხდა ეროვნული მიმართულების ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ფორმირება. ასეთ პარტიებს მიეკუთვნებოდნენ საქართველოს რესპუბლიკური პარტია (ვ. ძაბირაძე, ლ. და დ. ბერძენიშვილები) და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გ. ჭანტურია, მ. გიორგაძე, ვ. ხუხუნაიშვილი). ორივე ამ პარტიის მიზანი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ახალი ქართული დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო. ამავე პერიოდში გააქტიურდა ახალაზრდების ჯგუფი (ზ. ჭავჭავაძე, თ. ჩხეიძე და სხვები), რომლებიც უპირისპირდებოდნენ რესპუბლიკის ხელისუფლებას და მას ანტიეროვნული, ანტიქართული პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებდნენ, ეროვნული იდეები სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოსახლეობაში და, პირველ რიგში, ახალგაზრდობაში.

საქართველოს ხელისუფლება, ერთი მხრივ, ცდილობდა, თვითონ დარჩენილიყო ეროვნული საქმეების წარმომწყებად და განმახორციელებლად და ამ მიზნით გააააქტიურა მოღვაწეობა ეროვნული კულტურის განსავითარებლად და დასაცავად. მეორე მხრივ, იგი სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა მოჯამაგირეულ-მაამებლურ დამოკიდებულებაში რუსეთთან, რაც მოსახლეობის მიერ ეროვნული ღირსების დამცირებად აღიქმებოდა.

ასეთი მაამებლური, მლიქვნელური დამოკიდებულების აშკარა გამოხატულება გახდა 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საოცარი პომპეზურობითა და ზარ-ზეიმით აღნიშვნა. გრანდიოზული დღესაწაული იმ თარიღისა, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრიობას მოუღო ბოლო, იმ ხელშეკრულებისა, რომელიც თვითონ რუსეთმა უხეშად დაარღვია და საქართველო თავის გუბერნიად აქცია, სერიოზულად ლახავდა ქართველი ხალხის ეროვნულ თავმოყვარეობას და ეროვნული ღირსების შეურაცხყოფად აღიქმებოდა. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის წინააღმდეგ გამოვიდა ყველა არალეგალური ორგანიზაცია და ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი. მოსახლეობაში ვრცელდებოდა პროკლამაციები, რომლებიც მოუწოდებდნენ, არ აღენიშნათ ეს სამარცხვინო თარიღი და გაეცნობიერებინათ, რომ რუსეთთან შეერთება საქართველოს გადარჩენა კი არა, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა და სხვისთვის დამონება იყო.

ხელისუფლებამ რეპრესიულ ზომებს მიმართა. ეროვნულ-დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ლიდერები, აგრეთვე თ. ჩხეიძე, ი. წერეთელი და საპროტესტო დემოსტრაციის რამდენიმე მონაწილე დააპატიმრეს და გადაასახლეს. მთავრობის დავალებით გაიმართა კრებები და მიტინგები დაწესებულებესა და ინსიტუტებში, სადაც „მკაცრად იქნა დაგმობილი ნაციონალიზმის შხამით მოწამლული ახალგაზრდების უპასუხისმგებლო და ავანტურისტული გამოხდომა“. ხელისუფლებამ გაძლიერა კონტროლი და გაამკაცრა ცენზურა, რათა არ მომხდარიყო იმ იდეების გავრცელება, რომლებიც საბჭოთა ინტერნაციონალიზმს უპირსპირდებოდა და ნაციონალიზმის გაღვიძებას უწყობდა ხელს.

ასეთი მდგომარეობა იყო საბჭოთა საქართველოში, როცა 1985 წელს საბჭოთა კავშირის სათავეში მიხელ გორბაჩოვი მოვიდა, ხოლო საქარ-

თველოს ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე პოლიტბიუროს წევრად და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დააწინაურეს. დაიწყო ე.წ. „პერესტროიკის“ ხანა, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ვითარება და ქართულ ნაციონალიზმსაც სულ სხვა შინაარსი მისცა.

ბიბლიოგრაფია
References

ა. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, სარანგი, თბილისი, 1990.

კ. გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973-1985.

კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996.

კ. მარქსი. ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბილისი, სახელგამი, 1954.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1970-1980.

უ. სიდამონიძე, საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბილისი, „მეცნიერება“, 1970.

ფიქრები საქართველოზე, თბილისი, „ინტელექტი“, 2006.

მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი ექვს ტომად, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1970-1976.

Г. Жоржолиани, Исторические и политические корни конфликта в Абхазии (Грузия), Тбилиси, “Мецниереба”, 2000.

Н.С. Трубецкой, Записка о народах Кавказа. Журнал “Политика”, 1993, № 3.

Becoming National, A reader, Ed. by G. Eley and R. G. Suny, New York and Oxford, Oxford University Press, 1996.

L. Snyder, Varieties of Nationalism: A Comparative Study, New York, Holt Rinehart and Winston, 1976.

Zurab Davitashvili
Professor, TSU

GEORGIAN NATIONALISM IN SOVIET ERA

Summary

Georgian nationalism passed several different stages during Soviet era. Bolshevik Russia actively used nationalism of ethnic minorities for occupation, sovietization and annexation of Georgia. In response to this, Georgian nationalism took an evident ethnic image. The first years of the annexation was a period of the fighting nationalism, expressed by armed actions and national revolt in 1924. After failure

of this revolt the period of nihilism and despair came. In the 30-th Soviet authority tries to manage nationalism and to give it a form of the cultural nationalism, excluding political demands. This policy gave a result and Georgian Soviet nationalism was created. It was “Stalinist” nationalism, as the main object of national pride and self-respect became Georgian origin of Stalin. After the criticism of the personality cult and especially after the execution of the student manifestation for support Stalin (Tbilisi 1956), Georgian nationalism once more was metamorphosed. It became a nationalism of “self-satisfaction”, oriented to the material welfare and riches. Georgians were proud that people in Georgia lived more richly than in other Soviet republics. Only in the end of 70-th revival of nationalism began and it was associated with the dissident movement and formation of non-legal political parties.

In the article peculiarities, characteristic for each stage of Georgian nationalism in 1921-1985 are examined as well as causes of its transformation.

ეკა დარბაიძე
დოქტორანტი, თსუ

საქართველოს საერთაშორისო ტურისტული იმიჯი დასავლეთის სახელმწიფოების სამთავრობო ვებგვერდების მიხედვით (2006-2014)

პოზიტიური ტურისტული იმიჯის ფორმირება მრავალი წამყვანი სახელმწიფოს პოლიტიკური პრიორიტეტია. ცნობილია, რომ ტურისტული ინდუსტრია ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს, მაღალშემოსავლიან და უაღრესად დინამიკური სფეროსა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. რაც შეეხება საქართველოს, ტურიზმი ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებადაა მიჩნეული.

პირველ პოსტსაბჭოთა წლებში განვითარებულმა მოვლენებმა საერთაშორისო არენაზე საქართველოს სახელმწიფოს ნეგატიური იმიჯის ჩამოყალიბება განაპირობა. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი, კრიმინალის მაღალი მაჩვენებელი, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა, ეთნოკონფლიქტები ნეგატიური განწყობის საფუძველს ქმნიდა, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავდა ტურიზმის განვითარებას. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობის პირველ წლებში ჩვენს ქვეყანაში შექმნილი გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სიძნელეების გამო, ბუნებრივია, სწრაფი ტემპით ვერ მოხერხდა ტურისტული ინდუსტრიის სწრაფი რეაბილიტაცია.

2003 წელს საქართველო კვლავ მოექცა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ქვეყანაში მიღწეული სტაბილიზაციის, არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების, კერძო საკუთრების ლეგალიზაციისა და საერთაშორისო კავშირების გაძლიერებასთან ერთად, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ტურიზმის სექტორის აღორძინების კუთხით. 2012 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ შეინარჩუნა ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტად და ცდილობს, ის ეკონომიკის ერთ-ერთ რეალურ სეგმენტად აქციოს.

ტურისტული იმიჯის ფორმირება და მისი ცვლილება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია სახელმწიფო იმიჯის ცვლილებაზე. უსაფრთხო და მიმზიდველი სახელმწიფო იმიჯი იზიდავს მეტ ტურისტს ქვეყანაში. დღევანდელ მსოფლიოში, რომელშიც მრავლად არის სხვადასხვაგვარი ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ გამოწვეული საფრთხეები,

ტურისტი ბევრად უფრო გათვითცნობიერებული და ინფორმირებულია მათ შესახებ და, შესაბამისად, გამგზავრების წინ არჩევანს მისთვის უსაფრთხო და მიმზიდველი იმიჯის მქონე ქვეყანაზე აკეთებს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტურისტული იმიჯი ფორმირდება სამი ძირითადი კომპონენტისაგან:

– უცხოურ ოფიციალურ ვებსაიტებზე მოცემული ინფორმაციები საქართველოში არსებული ვითარების შესახებ;

– საქართველოში ნამყოფი უცხოელების მიერ გადმოცემული შთაბეჭდილებები სოციალურ ქსელებში;

– საქართველოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სარეკლამო კამპანია ქვეყანაში უცხოელი ტურისტების მოსაზიდად.

საქართველოში ნამყოფი ტურისტები ქვეყნის ტურისტული იმიჯის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ქვეყანაში ტურისტების ნაკადის ზრდასთან ერთად აღნიშნული კომპონენტის მნიშვნელობა ქვეყნის ტურისტული იმიჯის ფორმირების საკითხში სულ უფრო და უფრო იზრდება. საქართველოში ნამყოფი ტურისტები თავიანთ შთაბეჭდილებებზე საუბრობენ ნაცნობ-მეგობრებთან და, რაც მთავარია, სოციალურ ქსელებში ღიად განიხილავენ კონკრეტულ ქვეყანაში მიღებულ შთაბეჭდილებებს. მათი შთაბეჭდილებები შეიცავს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ინფორმაციას ქვეყნის შესახებ. ფაქტობრივად, ესაა პრაქტიკული შემოწმება იმ ინფორმაციისა, რასაც ოფიციალური უწყებები ავრცელებენ ქვეყნის შესახებ. ისინი აღნიშნულ ინფორმაციას ავსებენ, ადასტურებენ ან უარყოფენ თავიანთი მონათხრობით.

უცხოურ ოფიციალურ ვებსაიტებზე ძირითადად მოცემულია გამაფრთხილებელი ხასიათის ინფორმაციები ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ უსაფრთხოების კუთხით, ჩამოთვლილია ის ფაქტორები, რომლებმაც საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ვიზიტორებს შესაძლოა პრობლემები შეუქმნას. ცხადია, რაც უფრო მწირია ასეთი სახის ინფორმაცია, მით უფრო მიმზიდველი და პოზიტიურია ქვეყანა ტურისტებისათვის მოგზაურობის თვალსაზრისით.

ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ტურისტული იმიჯის შესასწავლად ოფიციალური საგარეო უწყებების საიტებზე განთავსებულ მასალებს 2006 წლიდან ვაკვირდები. ნაშრომზე მუშაობისას დამუშავდა შერჩეული უცხოური სახელმწიფოების საგარეო უწყებების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული მასალები. აღნიშნული ქვეყნების შერჩევა მოხდა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ავირჩიეთ დასავლეთის წამყვანი ქვეყნები, რომლებიც კვლევის პროცესის დაწყების პერიოდში ფლობდნენ მსგავსი სახის სერვისს ტურისტებისათვის. კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა, მსოფლიოს რომელი სახელმწიფოები ავრცელებენ აღნიშნული სახის ინფორმაციას საქართველოს შესახებ, თუ

როგორ მიმდინარეობდა უცხოეთის წამყვანი სახელმწიფოების ოფიციალური ვებგვერდების მიხედვით საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, იმიჯის ფორმირების პროცესი 2006–2014 წწ.-ში, როგორი შინაარსის შემცველი იყო და არის აღნიშნული ინფორმაცია და როგორია მისი განახლების დინამიკა 2006 წლიდან დღემდე. აღნიშნული მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ, თუ როგორ იცვლებოდა საქართველოს ტურისტული იმიჯი.

დასავლეთის სახელმწიფოებიდან საქართველოს შესახებ ტურისტებისათვის განკუთვნილი ინფორმაცია განთავსებულია: ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, ავსტრალიის, შვეიცარიის კონფედერაციის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ირლანდიისა და ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროების ვებგვერდებზე.

უცხოეთის წამყვანი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა სამინისტროების საიტებზე განთავსებული ინფორმაცია საქართველოში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ წლების განმავლობაში შინაარსობრივად თითქმის იდენტური იყო: „ქვეყანა, სადაც თავისუფალი გადაადგილება, სეირნობა, სამკაულების გაკეთება საშიშია“. საკუთარ მოქალაქეებს ურჩევდნენ, ყოველი შემთხვევისათვის, ვიზიტისაგან თავი შეეკავაებინათ. ისინი ასეთ რჩევას უცხოელების მიმართ ჩადენილი კრიმინალური შემთხვევებით ხსნიდნენ.

2005 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე დაიდო ყველაზე საშიში და ტურისტებისათვის „აკრძალული ქვეყნების სია“, რომელშიც ავღანეთთან, ირანთან და ეკვადორთან ერთად საქართველოც შედიოდა, თუმცა „საშიში ქვეყნების“ ჩამონათვალიდან საქართველო 2006 წელს იქნა ამოღებული.

ამგვარი შინაარსის რეკომენდაციები ოფიციალურ ვებგვერდებზე წლების განმავლობაში უცვლელად იდო და იმ პერიოდში ქვეყნის ხელისუფლებაში მყოფ პირებს ბევრი არაფრის გაკეთება უცდიათ ვითარების შესაცვლელად, მიუხედავად იმისა, რომ დაიწყო ფიქრი ტურიზმის განვითარებაზე. საქართველო უწინდებურად ტურისტებისთვის „საშიშ ქვეყნად“ რჩებოდა და ამის შესახებ ინფორმაციის მიღება ნებისმიერ უცხოელს შეეძლო საკუთარი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტიდან.

ოფიციალური უწყებები საქართველოს არასტაბილურ და მძიმე კრიმინალური ფონის მქონე სახელმწიფოდ წარმოაჩენდნენ ტურისტების თვალში და იძლეოდნენ არაერთ რეკომენდაციას, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო საქართველოში ჩამოსული ტურისტი პირადი უსაფრთხოებისათვის, რადგან როგორც ტურისტების, ასევე თავად საქართველოს მოქალაქეების მიმართ, ძალადობა, აგრესია, ქურდობა, ყაჩაღობა ქვეყანაში ჩვეულ მოვლენას წარმოადგენდა.

კვლევამ აჩვენა, რომ 2009 წლიდან აღნიშნულ ვებგვერდებზე განთავსებულმა ინფორმაციებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს, როგორც საერთაშორისო ვიზიტორებისათვის უსაფრთხო ქვეყნის, იმიჯის ფორმირება, რომელიც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია 2005-2007 წწ.-ში გატარებულ რეფორმებთან, რაც აისახა ვებგვერდებზე განთავსებულ ინფორმაციაზე.

ამგვარად, საქართველოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აქვს ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების კუთხით. იგი წარმოადგენს ქვეყანას, სადაც ტურისტის უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. ოფიციალური საგარეო უწყებების განცხადებით, უსაფრთხოების მდგომარეობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ქვეყანაში შემცირდა კრიმინალი. უკვე 2008 წლიდან ვებგვერდებზე იდება ინფორმაცია, რომ საქართველოში მათი მოქალაქეების ვიზიტმა უსაფრთხო და მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და რომ უსაფრთხოების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს ძირითად ნაწილში. ოფიციალური უწყებების ვებგვერდებიდან ამოიღეს საკმაოდ ვრცელი უარყოფითი სახის ინფორმაციული მასალები დედაქალაქსა თუ ქვეყნის რეგიონებში გაზრდილი დანაშაულის მაჩვენებლის შესახებ, ასევე ამოღებულია ინფორმაცია საქართველოში უცხოელების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების შესახებ.

საქართველოს ტურისტული იმიჯის ერთ-ერთ სერიოზულ საფრთხესა და შემაფერხებელ ფაქტორს ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული, კონფლიქტური რეგიონები წარმოადგენს. ეს ფაქტორი ნეგატიურ გავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხო გარემოზე და საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს. უცხოური ოფიციალური უწყებები საქართველოს რუკაზე წითელი ფერით აღნიშნავენ ამ რეგიონებს და თანამოქალაქეებს მოუწოდებენ, მათივე უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე, არ გაემგზავრონ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. აღნიშნული რეგიონები ტურისტების სტუმრობისათვის დღემდე „აკრძალული ტერიტორიების“ ნუსხაში რჩება. საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული აღნიშნული ინფორმაციების განახლება და შეცვლა, ფაქტობრივად, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მოხდა ყველა ოფიციალურ ვებგვერდზე. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე ადგილი ჰქონდა სერიოზულ სამხედრო დაპირისპირებას ორ ქართულ სეპარატისტულ რეგიონსა და რუსეთის შერეულ ძალებს შორის, რამაც უდანაშაულო და მშვიდობიანი ადამიანების დიდი მსხვერპლი გამოიწვია, 100 ათასი ადამიანი საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან გამოძევებული აღმოჩნდა

(ინტერნეტწყარო №14). 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ რამდენიმე კვირის განმავლობაში ოკუპირებულ იქნა გორის მიმდებარე ტერიტორია. აგვისტოს მოვლენების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე განთავსებული ინფორმაცია საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, დღემდე უცვლელი რჩება. 2011 წელს, ოფიციალური უწყების განცხადებით, რუსეთის შეიარაღებული ძალები კვლავ აგრძელებენ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის ოკუპაციას და დაძაბულობა კვლავ მწვავე რჩება სეპარატისტულ რეგიონებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის (ინტერნეტწყარო №14). ეჭვგარეშეა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად გააუარესა უსაფრთხო გარემო საქართველოში. კონფლიქტურ რეგიონებში განთავსდა რუსული საოკუპაციო ძალები. გარდა ამისა, ამ რეგიონებში უაღრესად მაღალია კრიმინალური აქტივობა, რომელიც დამატებითი დესტაბილიზაციის წყაროა. ჩვენ მიერ შესწავლილი თითქმის ყველა ოფიციალური უწყების საიტი აღნიშნავს, რომ საქართველოში დღემდე არსებობს ტერორიზმის საფრთხე და მათ მოყვანილი ჰყავთ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მომხდარი ტერორისტული შემთხვევები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ „აკრძალულ ტერიტორიათა“ ნუსხაში წლების წინ ასევე შედიოდა სვანეთი და პანკისისა და კოდორის ხეობა, თუმცა სვანეთი ამ ნუსხიდან 2008-2009 წწ.-ში ამოიღეს.

2008 წელს დიდი ბრიტანეთის ოფიციალური უწყების ვებგვერდის განახლების შემდეგ, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, ფაქტობრივად, არანაირი ცვლილება არ შესულა, 2011 წელს კი გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის ოფისის საიტზე, ისევე, როგორც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე, ჩნდება ოფიციალური განცხადებები, რომ მათი ხელისუფლება არ ცნობს და არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმების ცალმხრივ დამოუკიდებლობას. გარდა ამისა, ოკუპირებულ რეგიონებში მათი მოქალაქეების მიერ საკუთრების შეძენას შეიძლებოდა მოჰყოლოდა სერიოზული ფინანსური და სამართლებრივი ექსცესები. უძრავი ქონების შემსყიდველებს ამ რეგიონებში შესაძლოა პასუხი ეგოთ როგორც საქართველოს, ასევე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე (ინტერნეტწყარო №10).

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი იუწყება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შესვლა აკრძალულია რუსეთის მხრიდან და კანონით შესაძლებელია მხოლოდ საქართველოდან, რომლის შემდგომაც მოყვანილია „კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (მე-6 მუხლის ა, ბ, გ, დ და ე პუნქტები). ეს პუნქტები ეხება ოკუპირებულ ტერიტორი-

აზე განხორციელებულ ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობას, სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქტის შეტანა-გამოტანას, საჰაერო და საზღვაო მიმოსვლას, სახელმწიფო რესურსებით სარგებლობას, სარკინიგზო მიმოსვლასა და საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვას (ინტერნეტწყარო №10). უდავოა, რომ აღნიშნული ინფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.

ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები და ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხი ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ნებისმიერი ტურისტისათვის. 2006-2013 წლების მასალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ უცხოეთის სახელმწიფოების საგარეო უწყებები ჩვენი ქვეყნის შესახებ განთავსებულ ინფორმაციათა გვერდზე ყურადღებას ამახვილებენ ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე საქართველოში. მიჩნეულია, რომ ქართული კანონმდებლობა საკმაოდ მკაცრი და მათი ქვეყნისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ისინი ასეთივე მკაცრ შეფასებას აძლევენ ქართულ საპატიმროებში არსებულ ვითარებას და წინასწარ აფრთხილებენ თანამოქალაქეებს, რომ საქართველოს საპატიმროებში არსებული პირობები მძიმე, გაუსაძლისი, მეტად არასაიმედო და დამთრგუნველია: გადაჭედილი საკნები, არასაკმარისი სამედიცინო სერვისი და ანტისანიტარია ზრდის ტუბერკულოზით დაავადების რისკს ქართულ საპატიმროებში.

ასევე უარყოფითად არის შეფასებული შშმპ-თა მდგომარეობა საქართველოში. ქვეყანაში არც საჯარო და არც კერძო ტრანსპორტი არ არის გათვლილი მათ გადაადგილებაზე, ასევე ძალიან მცირეა შშმპ-თათვის განკუთვნილი ადგილები საქართველოს ქალაქებში და, მათი მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევაში, კანონი მკაცრ სანქციებს ითვალისწინებს. თითქმის ყველა ქვეყნის საგარეო უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სექსუალურ უმცირესობათა მდგომარეობის შესახებ. ყველა საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ საქართველოში ჰომოსექსუალიზმი ლეგალურია, თუმცა საზოგადოების უმრავლესობისათვის კვლავ მიუღებელია. სწორედ ამიტომ ისინი საქართველოში მყოფ თანამოქალაქეებს საკუთარი სექსუალური ორიენტაციის საჯაროდ აფიშირებისაგან თავის შეკავებას ურჩევენ.

ჩვენ მიერ შესწავლილი ქვეყნების ოფიციალური უწყებების ვებგვერდებზე (საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო უწყების გარდა) 2006 წლიდან დღემდე უცვლელად რჩება საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის მძიმე მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია. მათი შეფასებით, საქართველოში საავტომობილო გზების უმრავლესობა მძიმე მდგომარეობაშია, ხოლო ქვეყნის მოშორებულ რეგიონებში ავტო-

მობილით გადაადგილება რთულია. ქართველი მძღოლების დიდი ნაწილის ავტომობილით მოძრაობა არაპროგნოზირებადია. მათი მხრიდან ხშირია საგზაო წესების იგნორირება, რაც ზრდის ავტოავარიების რაოდენობას, ხოლო ღამით ქვეყნის მასშტაბით გადაადგილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ნეგატიური შინაარსის ინფორმაციები საქართველოში არსებული საავტომობილო ინფრასტრუქტურის, გაურკვეველი და დამაბნეველი საგზაო წესების და ქართველი მძღოლების არაპროგნოზირებადი მოძრაობის შესახებ აღნიშნულ უწყებათა ოფიციალურ საიტებზე უკვე წლებია, უცვლელი რჩება. გამორჩეულად უარყოფითი შინაარსისაა ინფორმაცია საქართველოს სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის შესახებ, რომელიც 2006 წლიდან დღემდე უცვლელად დევს სამთავრობო ვებგვერდზე. მისი შეფასებით, საქართველოში თვითმფრინავის ან სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების ლოდინი დიდ მოთმინებას მოითხოვს, რადგან ტრანსპორტის დაგვიანება ქვეყანისთვის ჩვეული მოვლენაა და ამიტომ, საკუთარ მოქალაქეებს მუდმივად გაჭედილი საჯარო ტრანსპორტის გამოყენებისაგან თავშეკავებას ურჩევენ. სკეპტიკურია დამოკიდებულება ქართველი ტაქსის მძღოლების მიმართ და საქართველოში მყოფ ტურისტებს ტაქსის ოფიციალური სერვისის გამოყენებამდე მძღოლებთან მგზავრობის საფასურის დაზუსტებას ურჩევენ (ინტერნეტწყარო №1, გვ. 3).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი ოფიციალური უწყება, რომელმაც ადეკვატურად შეაფასა საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურაში განხორციელებული დადებითი ცვლილებები, ფაქტობრივად, მხოლოდ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღმოჩნდა. 2006 წლიდან მოყოლებული წლების განმავლობაში უცვლელად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რადგან საგზაო მისადგომები განახლდა ან განახლების პროცესში იმყოფებოდა. თუმცა 2014 წელს აღნიშნული ინფორმაცია ჩანაცვლდა პოზიტიური შეტყობინებით, რომ საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, საქართველოში ძირითადი საგზაო ქსელის 1 528 კმ. ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება, ხოლო საშუალოდ გზების 91% და ადგილობრივი გზების 57% კარგ მდგომარეობაშია, თუმცა აღნიშნულია, რომ საქართველოს საავტომობილო გზებზე უსაფრთხოება შემცირებულია და მოყვანილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც 2013 წელს საქართველოში დაფიქსრებული იყო 514 სიკვდილის შემთხვევა 4, 5 მილიონ ადამიანზე.

როგორც სახმელეთო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ასევე ქართული საავიაციო სერვისიც ასეთივე უარყოფითი იმიჯით სარგებლობს გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის ვებ-

გვერდზე (ინტერნეტწყარო №10). საგარეო უწყების შეფასებით, საქართველოს ავიახაზები არ შეესაბამება და ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო ავიახაზების უსაფრთხოების სტანდარტებს, რის გამოც ოფიციალური უწყება თანამოქალაქეებს ურჩევს, რომ თავი აარიდონ საქართველოდან დაუგეგმავ ან არასაერთაშორისო ფრენებს ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში. უცხოეთის სახელმწიფოების საგარეო უწყებების ვებგვერდებზე საქართველოს ინფრასტრუქტურის შესახებ განთავსებულ ინფორმაციათა დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობას ისინი უარყოფითად აფასებენ. მგზავრთა ტრანსპორტირების დროს ნაკლებად არის დაცული მათი უფლებები და გადაადგილების უსაფრთხოება, ხოლო ქართული ავიაკომპანიები ვერ აკმაყოფილებენ საერთაშორისო უსაფრთხოების აუცილებელ სტანდარტებს.

სახელმწიფოს პოზიტიურ ტურისტულ იმიჯს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის. დღეს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი გადარჩენისა და მისი განვითარების შანსს ისევ და ისევ დასავლურ და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს, ამის ერთ-ერთ მთავარ პირობად კვლავ საქართველოს სტაბილურობა, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა და, რაღა თქმა უნდა, ქვეყნის მიმზიდველი ეკონომიკური მდგომარეობის შექმნა უნდა წარმოადგენდეს. სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უტყუარი გარანტი იქნება. ამას აუცილებლად სჭირდება ფინანსური რესურსების ფოკუსირებული კონცენტრაცია ტურისტული ინფრასტრუქტურის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მასის შესაქმნელად, რათა საქართველომ შეძლოს, მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის შეთავაზება იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მას ძალიან სერიოზული კონკურენტი ჰყავს რეგიონში თურქეთის სახით. ასეთი სახის ფინანსური ხელშეწყობა მხოლოდ სახელმწიფოს, კერძო სექტორის და საერთაშორისო ინვესტორების აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე იქნება შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ უნდა შეძლოს ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა.

უცხოეთის სახელმწიფოების ვებგვერდების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა საქართველოს ტურისტული იმიჯის გაუმჯობესების მდგრადი ტენდენცია. მასზე შეიძლება ვიმსჯელოთ საქართველოში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდითაც. თუ 2006 წელს საქართველოს სულ 763 231 ვიზიტორი ეწვია, 2014 წელს ჩამოსულ სტუმართა რაოდენობამ 5 493 492-ს მიაღწია. ამ მონაცემების მიხედვით, ვიზიტორები, რომლებიც საქართველოში შემოდიან და ქვეყანაში

24 საათის განმავლობაში ჩერდებიან, „ტურისტებად“ მიიჩნევიან. 2014 წელს 5.9 მილიონი ვიზიტორიდან 2 218 050 „ტურისტი“ იყო, რაც, 2013 წელთან შედარებით, 7.39%-იანი ზრდაა.

შესწავლილი ქვეყნების სამთავრობო ვებგვერდების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყნის ტურისტული იმიჯი ნაწილობრივ დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკასა და სახელმწიფო იმიჯის ცვლილებაზე. სახელმწიფოს საერთაშორისო ტურისტული იმიჯი დაკავშირებულია სახელმწიფოს საერთო მმართველობით რეფორმებთან, მათ შორის, ხელისუფლების მიერ ჩატარებულ ანტიკრიმინალურ რეფორმებთან, რამაც ქვეყნის შიგნით უსაფრთხოების მდგომარეობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. პოლიტიკური არასტაბილურობა და ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელი დონე სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყნის მთლიან იმიჯზე და მოულოდნელად დაბლა სწევს სახელმწიფოს საერთაშორისო ტურისტულ იმიჯს. სახელმწიფოს პოზიტიური ტურისტული იმიჯის ფორმირება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ ინფორმაციის შინაარსზე, რომელსაც უცხოეთის სახელმწიფოთა ოფიციალური ვებგვერდები საქართველოს შესახებ ავრცელებენ. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წლების განმავლობაში უცხოეთის სახელმწიფოების ოფიციალური უწყებების ვებგვერდებზე საქართველო ტურისტებისათვის არასტაბილური და მძიმე კრიმინალური ფონის სახელმწიფოს წარმოადგენდა. უცხოეთის სახელმწიფოების საგარეო უწყებების ვებგვერდებზე განთავსებულმა ინფორმაციებმა და საქართველოს, როგორც უსაფრთხო სახელმწიფოს, იმიჯმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია 2009 წლიდან განიცადა. საქართველო უკვე აღარ წარმოადგენს „საშიშ ქვეყანას“ და ამჯერად ტურისტს მხოლოდ „ნორმალური უსაფრთხოების“ სტანდარტების დაცვა მოეთხოვება.

რუსეთის მიერ ოკუპირებული, კონფლიქტური რეგიონები ტურისტული ქვეყნის იმიჯისათვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენენ, რასაც უცხოეთის სახელმწიფოების ვებგვერდებზე საქართველოს შესახებ განთავსებული ინფორმაციები ადასტურებს. სამთავრო უწყებებს საქართველოს ოკუპირებული რეგიონები, სადაც ისინი საქართველოში მყოფ ტურისტებს გამგზავრებასა და ნებისმიერი სახის გადაადგილებას უკრძალავენ, წითელი ცირკულარით აქვთ აღნიშნული. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ აღნიშნული არეალი გაფართოვდა და ამჯერად „აკრძალულ ტერიტორიებს“ გორის ჩრდილოეთით მდებარე სოფლები და 27-ე საავტომობილო გზაც დაემატა.

საზღვარგარეთის ქვეყნების საგარეო უწყებების ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციები გამოირჩევა ინერციულობით, როგორც წესი, სწრაფად არ ხდება მათი შეცვლა და განახლება უახლესი ინფორმაციით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია იმგვარ მოვ-

ლენებზე, რომელებიც ადამიანთა და, პირველ რიგში, ტურისტთა უსაფრთხოებას უკავშირდება (მაგალითად, ტერორისტული აქტები, ბუნებრივი კატაკლიზმები, სამხედრო ინტერვენცია და ა.შ.) აღნიშნულ ვებგვერდებზე უფრო სწრაფად ვრცელდება და იცვლება. თუმცა მათი განახლება და შეცვლა ქვეყანაში მიმდინარე ახალი და პოზიტიური შინაარსის ინფორმაციეით დროულად არ ხდება.

უცხოეთის სახელმწიფოების ვებგვერდების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა საქართველოს ტურისტულ იმიჯზე მოქმედი ნეგატიური შტრიხები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებენ. ესენია:

- ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა და შეუსაბამობა ტურისტულ პოტენციალთან – ჩვენ მიერ შესწავლილი ქვეყნების თითქმის ყველა ოფიციალურ ვებგვერდზე (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გარდა) უკვე რამდენიმე წელია, უცვლელად დევს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული არასახარბიელო საგზაო ინფრასტრუქტურის (დაზიანებული გზები, საგზაო ნიშნების ნაკლებობა), არაუსაფრთხო საჯარო ტრანსპორტისა და ასევე ქართველი მძღოლების მიერ ავტომობილის არაპროგნოზირებადი მართვის შესახებ. როგორც ჩანს, უცხოეთის ქვეყნების საგარეო უწყებები დღემდე არ აღნიშნავენ, რომ საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურაში განხორციელდა მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები და მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყნის საავტომობილო გზები ვერ აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს;
- არადამაკმაყოფილებელი უსაფრთხოების დონე ტურისტულ სექტორში, რაც გამოწვეულია რეგიონებში სამაშველო სამსახურის არაქმედითუნარიანობითა და სიმცირით. გარდა ამისა, საკურორტო ტურისტულ ადგილებში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს პირველადი სამედიცინო მომსახურების მიღება. ეს მკაფიოდ გამოიკვეთა თითქმის ყველა შესწავლილი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გზების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საქართველოს, ტურისტული თვალსაზრისით, სრული მასშტაბით ასათვისებლად მაინც კიდევ დიდი მოცულობის სამუშაოს ჩატარება სჭირდება, თუმცა გზა მხოლოდ ავტომობილით გადაადგილებას როდი გულისხმობს. აუცილებლად უნდა იყოს განვითარებული შესაბამისი გზების შესატყვისი ინფრასტრუქტურა (სასტუმროები, კემპინგები, სავაჭრო ქსელები, კვების და ჰიგიენის ობიექტები).

სახელმწიფოს პოზიტიური ტურისტული იმიჯისათვის აუცილებელია ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება, უკეთესი მისასვლელი გზები, ადვილი ხელმისაწვდომობა, კომუნიკაციის მაღალი დონე და

ინტერენტმომსახურება – ეს არის ნაწილობრივი ჩამონათვალი იმ მოთხოვნებისა, რომლებიც უდავოდ განსაზღვრავენ ქვეყნის მიმზიდველ ტურისტულ იმიჯს. იმისათვის, რომ საქართველო წარმოადგენდეს მიმზიდველ ქვეყანას ტურისტებისათვის, აუცილებელია, რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ქვეყნის ინფრასტრუქტურულ განვითარებას, რომლის მდგომარეობა, უცხოეთის ქვეყნების ოფიციალური საგარეო უწყებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, არცთუ სახარბიელოა. მიუხედავად წინა ხელისუფლების ძალისხმევისა, რომელიც გულისხმობდა ცენტრალური და ტურისტულ ზონებისკენ მიმავალი ახალი გზების დაგებასა და სარესტავრაციო სამუშაოებს, უკვე წლებია, რაც თითქმის ყველა წამყვანი ქვეყნის საგარეო უწყების საიტზე დღემდე უცვლელია ნეგატიური შინაარსის ინფორმაციები საქართველოში გაუმართავ, მძიმე მდგომარეობაში მყოფ საავტომობილო გზებზე, რომლებიც მათი შეფასებით, დაზიანებულია და შეკეთებას საჭიროებს. აღნიშნავენ, რომ საავტომობილო გზებზე ძალიან ხშირად არ არის ავტოსაგზაო ნიშნები, ქვეყნის საჯარო სატრანსპორტო სისტემა კი მოძველებული, გაუმართავი და დღენიადაგ გადატვირთულია. ასეთივე უარყოფით შეფასებას აძლევენ ისინი ქართულ ავიაციას, რომელიც, მათი შეფასებით, ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებს. სწორედ ამიტომ ისინი საქართველოში ჩამომსვლელ მოგზაურებს სხვა საერთაშორისო ავიაკომპანიების სერვისით სარგებლობას ურჩევენ.

ტურისტული იმიჯის მართვისა და არსებული კრიზისებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესამსუბუქებლად, ქვეყნის ხელისუფლებას ესაჭიროება მეტი გულწრფელობა და რეალური ხედვა შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების პროცესში, რაზეც ხშირად ზეგავლენას ახდენს გარე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები. ამიტომ სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება უარყოფითი მოვლენების სწორ ხედვასა და ანალიზს, რათა რეალურად მოხდეს ამ პრობლემების გაცნობიერება.

ბიბლიოგრაფია
References

Australian Government. Department of foreign affairs and Trade. Travel advice. Georgia. Avaliable at: http://www.smartraveller.gov.au/zw-cgi/view/advice/Georgia. Accessed: 02.02.2014

Baker, D.A. and Crompton, J.L. (2000). Quality, satisfaction and behavioral intentions. *Annals of tourism research,* N 27, 785-804.

Balabanis, G., Diamantopoulos, A., Mueller, R.D., Melewar, T.C. (2001). The Impact of nationalism, patriotism and internationalism on consumer ethnocentric tendencies, *Journal of International Business Studies,* No 32, 157-175

Baloglu, Ken W. McClearly (1999). *A Model of Destination Image Formation,* Annals of Tourism Research, Vol. 26, No. 4, pp. 868-897.

Department of foreign affaires and trade of Ireland. Travel Advice Georgia. Avaliable at: http://www.dfa.ie/home/index.aspx?id=414 (Accessed: 02.02.2014).

Department federal des affaires etrangeres de confederation Suisse. Coseils aux voyageurs Georgie. Avaliable at: http://www.eda.admin.ch/eda/fr/home/travad/hidden/hidde2/georgi.html (Accessed:02.02.2014).

Federal foreign office of Germany. Foreign&European Policy Georgia.Avaliable at: http://www.auswaertiges-amt.de/EN/Aussenpolitik/Laender/Laenderinfos/01-Nodes/Georgien_node.html (Accessed:02.02.2014)

Federation Suisse de tourism, strategie de croissance pour la place touristique Suisse, http://www.swisstourfed.ch/index.cfm?fuseaction=sprachewechseln&sprache=fr&parents_id=1715 (Accessed 11.12.2013).

Government of Canada. Georgia. http://www.voyage.gc.ca/countries_pays/report_rapport-fra.asp?id=99000 (Accessed: 02.02.2014).

Government of UK. Forign travel advice. Georgia. Avaliable at: http://www.fco.gov.uk/en/travel-and-living-abroad/travel-advice-by-country/europe/georgia (Accessed:02.02.2014).

Gunn, C. (1988). Vacationscape*: Designing tourist regions.* Texas: Bureau of business research, University of Texas.

Jenes, B.(2000). Reconsidering the measuremenet of country imaege-theory and practice, Budapest, Corvinus Univeristy.

Ministere des affaires etrangeres de France, Conseils aux voyageurs. Georgie. Avaliable at: http://www.diplomatie.gouv.fr/fr/conseils-aux-voyageurs/conseils-par-pays/georgie- 12248/ (Accessed:02.02.2014).

U.S. Department of state-bureau of consular affairs.Georgia. Avaliable at: http://www.travel.state.gov/content/passports/english/country/georgia.html (Accessed: 02.02.2014).

US. Department of state-bureau of consular affairs.Switzerland. Avaliable at: http://travel.state.gov/content/passports/english/country/switzerland-and-liechtenstein.html (Accessed: 02.02.2014).

Eka Darbaidze

PhD Student, TSU

INTERNATION TOURISTIC IMAGE OF GEORGIA ACCORDING TO THE GOVERNMENTAL WEBSITES OF THE WESTERN COUNTRIES (2006-2014)

Summary

Creation of the positive image of a state for tourism attraction is the political priority of most leading countries in the world. Tourism industry is one of the most important, profitable and dynamic dimensions of economy, that has a very strong

influence over country development. As regards Georgia, tourism development is one of the most vital directions in the economical revival. Early post-soviet events, conditioned creation of the negative image of the country internationally. Hard social background, high level of crime, lack of internal political stability, ethno-political conflicts that formed negative attitudes, were the factors that limited tourism development in the country.

After the rose revolution tourism development became the main priority of the new government, as the new government has made great achievements in the fileds of stability, creation of nongovermental and public organizations and managed to maintain property legalization and strengthened international links.

Since 2006, we have used materials from different countries which are published on the official WebPages of ministries of foreign affairs, to study the tourism image of Georgia. The most interesting was to find out which countries of the world spread the information about Georgia, what kind of information it was and how was the tourism image of the state formed throughout many years.

In the world which faces a lot of danger caused by natural features as well as by mankind, contemporary tourist is much more concerned over the situation and deeply informed about it.

Consequently they choose to travel to the most safe countries that have the best tourism image. It's obvious that nonstability of the state might become a very important problem for any country especially for the post Soviet countries, like Georgia for example, which has already underwent through the internal disorder, civil war, military intervention, that has made a very negative effect on the state image of the country and strongly damaged it. The informational material about the political situation in Georgia, published on websites of ministries of foreign affairs in different countries, has been almost the same throughout the years, and it was described as "the country where it's dangerous to move around safely, to walk or wear jewelry" this was the description of the situation. All those websites adviced the citizens of the foreign countries to avoid visiting Georgia. They explained such advice with the criminal cases that were conducted especially towards foreing tourists.

All these information materials were layed out unchanged on the foreign countries' web-sites throughout the years. The officials did almost nothing in those days to change the situation, though the tourism development became the advanced point for the government. Georgia still remained unsafe country for tourism and every foreigner could get information of this, from its foreign ministry website.

The research made obvious that the information on websites of ministries of foreign affairs in different countries has undergone serious transformation from 2009, Georgia has become a more stable and safe country for tourists and now its enough to follow normal safety standards. The reforms carried out during 2005-2007 strongly supported improvement of the situation. And it was also reflected in the information displayed on the official web-sites.

ვალერიან დოლიძე
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

ავთანდილ ტუკვაძე
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

პოლიტიკური სტაბილურობა
და სოციალური მობილობა

უკანასკნელ ხანს უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ მთელი სიმწვავით დააყენა პოლიტიკური სისტემების სტაბილურობის პრობლემა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეს განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, სადაც დამოუკიდებლად არსებობის 25 წლის მანძილზე ორჯერ შეიცვალა ხელისუფლება არაკონსტიტუციური გზით, მაგრამ გამოიცვალა მხოლოდ სამი ეროვნული ლიდერი – გამსახურდია, შევარდნაძე და სააკაშვილი. მათგან ხელისუფლებაში ყველაზე მოკლე ვადით – 6 თვე – იმყოფებოდა გამსახურდია, შევარდნაძე 11 წელი მართავდა საქართველოს, სააკაშვილი – 9 წელი. პირველი ორის ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალებას ემსხვერპლა, ხოლო უკანასკნელის დროს კი პოლიტიკური სისტემა პერიოდულად განმეორებადი დესტაბილიზაციის პირობებში ფუნქციონირებდა, რაც მთავრობის კონსტიტუციური შეცვლით დასრულდა. ეს იყო პირველი შემთხვევა პოსტკომუნისტურ საქართველოში, როცა ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. დღემდე არსებული ყველა რეჟიმი არასტაბილურობით გამოირჩეოდა და თითოეულ მათგანში აშკარად იყო გამოკვეთილი ლიდერის ხელისუფლებასთან შეზრდის ტენდენცია, რომლის შეწყვეტა ხდებოდა სახელმწიფო გადატრიალებითა და ახალი არჩევნების გამოყენებით ხელისუფლების უკანონოდ მიტაცების ლეგიტიმაციით. ამის შემდეგ იწყებოდა ხელისუფლების ლიდერთან შეზრდის ახალი ციკლი, რაც ასევე დესტაბილიზაციითა და ხელისუფლების ახალი არაკონსტიტუციური ცვლით მთავრდებოდა. დესტაბილიზაცია საქართველოს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა. ამ სისტემას არსებობა უწევს საზოგადოებაში, რომელშიც ღრმა სოციალური პროცესები მიმდინარეობს, რაც ვლინდება ძველი სოციალური სტრატიფიკაციის სისტემის გაქრობასა და ახლის შექმნაში, საზოგადოების წევრებს შორის არსებული ურთიერთობების რადიკალურად შეცვლაში, მათ შორის არსებული სოციალური დისტანციის გაძლიერებაში, სოციალური უთანასწორობის გაღრმავებაში. ახალ სტრატიფიკაციურ სტრუქტურას

წარმოშობენ სოციალური მობილობის ინტენსიური პროცესები, რომლებიც ქმნიან ახალი სტრატიფიკაციური სტრუქტურის ელემენტებსა და მათ შორის არსებულ წინააღმდეგობრივი ხასიათის ურთიერთობებს. ამ უკანასკნელის მაგალითია გახშირებული გაფიცვები, კონფლიქტები ბაზარში მოვაჭრეებსა და ბაზრის მესაკუთრეებს შორის და სხვა. ახალი სტრატიფიკაციური სტრუქტურის ფორმირება და ფუნქციონირება მიმდინარეობს კონფლიქტების ფონზე, რომლებიც ახალი ხელისუფლების პირობებში ჯერ კიდევ არ გადაზრდილან დესტაბილიზაციაში.

პოლიტიკური სტაბილურობის არსი და მისი განსაზღვრის პრობლემა

სტაბილურობა რეფორმების განხორციელების აუცილებელი პირობაა. ამიტომ მისი უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც პერმანენტული რეფორმების რეჟიმში უწევს არსებობა. რაც უფრო ღრმა ცვლილებებია დაგეგმილი რეფორმატორების მიერ, მით უფრო ძლიერია იმის ალბათობა, რომ რეფორმებმა შეიძლება გამოიწვიოს მთელი საზოგადოების ან მისი ნაწილის ძლიერი წინააღმდეგობა, თუ მათი განხორციელება მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს მათში. ასეთ პირობებში წარმოიშობა დაპირისპირება საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. ამიტომ ხელისუფლებას უნდა შეეძლოს, დროულად ააშოროს საფრთხე რეფორმას, დათრგუნოს რეფორმის მოწინააღმდეგეებისაგან მომდინარე საფრთხე, რისთვისაც აუცილებელია არა მხოლოდ ფიზიკური იძულების განხორციელება მათ მიმართ, არამედ რეფორმის სოციალური ბაზის მუდმივად გაფართოება და განმტკიცება. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შეიძლება მიიღოს რეფორმამ, როცა ძალიან ღრმაა საზოგადოებაში არსებული დაპირისპირება ძველსა და ახალს შორის, რომლის დამკვიდრებაც მის მიზანს წარმოადგენს. საჭიროა, საზოგადოება მზად იყოს რეფორმებისათვის. ასეთ პირობებში ისინი საფრთხეს აღარ შეუქმნიან სტაბილურობას. მყარი ხელისუფლება აუცილებელია პოლიტიკური კურსის დაცვისათვის, რომელიც რეფორმის განხორციელებაზეა ორიენტირებული. თუმცა სტაბილურობა რეფორმების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მხოლოდ იმიტომ, რომ ის საერთოდ საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების მოთხოვნილებაა. მის გარეშე შეუძლებელია წარმოება და კვლავწარმოება, მეცნიერების, ხელოვნების, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირება, საზოგადოების განვითარებისათვის საჭირო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების შექმნა. სტაბილურობა/ არასტაბილურობა სახელმწიფოსა და მისი პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. ის გვიჩვენებს, თუ რამდენად რჩება პოლიტიკური სისტემისა და საზოგადოების

ელემენტები ხელისუფლების მიერ განსაზღვრული შეზღუდვების ჩარჩოებში, რამდენად რეზისტენტულია სისტემა გარემოსაგან წამოსულ ზეწოლათა მიმართ, რამდენად შეუძლია მას, უზრუნველყოს საზოგადოებისა და პოლიტიკური სტრუქტურების საქმიანობა დადგენილი ნორმების ფარგლებში, საჯარო ხელისუფლებისადმი მორჩილება და დესტაბილიზაციის ლოკალიზაცია, მისი გაფართოების აღკვეთა და სტაბილურობის აღდგენა. შეიძლება ვისაუბროთ სტრუქტურული და დინამიკური სტაბილურობის შესახებ. სტრუქტურული სტაბილურობა გულისხმობს სახელმწიფო მექანიზმის მოქმედებას მისი არსებითი ელემენტების რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, ხოლო დინამიკური სტაბილურობა კი – სახელმწიფო მექანიზმის მოქმედებას, რომელიც საშინაო ან საგარეო ძალების მიერ დარღვეული წონასწორობის აღდგენისაკენ არის მიმართული. დინამიკური სტაბილურობის დროს გარემოს ზემოქმედების შთანთქმა ხდება სახელმწიფო მექანიზმის ტრანსფორმაციის საშუალებით, რაც ხორციელდება მისი ცალკეული ელემენტების სახის შეცვლით. სახელმწიფოს სტრუქტურული არასტაბილურობა კი გულისხმობს სახელმწიფოზე ისეთ ზემოქმედებას, რომელიც იწვევს ამ სისტემის შეცვლას, მისი ყველა არსებითი ელემენტის კომპლექსურ გარდაქმნას (3, 1).

პოლიტიკური სტაბილურობა პოლიტიკურ მეცნიერებაში არ არის ერთნაირად გაგებული. მაგალითად, ნ. პ. მედვედევის დაკვირვების თანახმად, სახელმწიფოს სტაბილობაში ხშირად გულისხმობენ პოლიტიკური სისტემის ელემენტების ტენდენციას, დარჩნენ განსაზღვრული და წინასწარ დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში მაშინაც კი, როცა სისტემა განიცდის გარემოს ზეწოლას (3, 1). თუმცა სტაბილურობის ცნების ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია არ არსებობს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ის ძნელად ემორჩილება ზუსტ განსაზღვრებას. ალბათ ამის გამოა, რომ ავტორები ხშირად თავს არიდებენ მისი აბსტრაქტული განსაზღვრების მოცემას და, ამის ნაცვლად, იძლევიან იმ ნიშნების ჩამონათვალს, რომლებიც ახასიათებს ან არ ახასიათებს ამ მოვლენას. მაგალითად. გ.უ. სემგინის აზრით, პოლიტიკური სტაბილურობა პოლიტიკური სისტემის ისეთი მდგომარეობაა, რომელიც ხასიათდება სხვადასხვა სოციალური სუბიექტისა და პოლიტიკური ძალის ინტერესების ბალანსით, კანონით გათვალისწინებული მექანიზმებისა და საშუალებების გამოყენებით, პოლიტიკურ სფეროში წამოჭრილი პრობლემებისა და წინააღმდეგობების დროული და ლეგიტიმური გადაჭრით, საზოგადოების მიერ საკუთარი იდენტობის, სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობისათვის აუცილებელი პირობებისა და ფაქტორების არსებობით (3). მაგრამ ეს განსაზღვრება არ ამოწურავს მრავალფეროვან, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ, მიდგომებს პოლიტიკური სტაბილურობის განსაზღვრისათვის. ამას აშკარად გვიჩვენებს აჰმედ კასემი

– ავღანეთის სტაბილურობის მკვლევარი. განიხილავს რა სხვადასხვა დეფინიციასა და მიდგომას, იგი მიდის დასკვნამდე, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანია იმ თემების რაოდენობა, რომელთა თავმოყრა საშუალებას მოგვცემს, რომ ჩამოვაყალიბოთ საკმაოდ ტევადი კრიტერიუმების ერთობლიობა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სტბილურობის ფართო განსაზღვრების მოცემა. პოლიტიკური სტაბილურობის სხვადასხვა დეფინიციისა და მიდგომის განხილვისას, რომლებსაც ქვემოთ მოვიყვანთ, დავეყრდნობით კასემის მიერ მოცემულ მასალასა და მისეულ ანალიზს და შევეცდებით, რომ მათი კრიტიკული განხილვის შედეგად ჩამოვაყალიბოთ საკუთარი პოზიცია. ეს სასარგებლოდ მიგვაჩნია იმის გამო, რომ ავტორს უკვე გაანალიზებული და სისტემატიზებული აქვს ჩვენთვის საინტერესო დეფინიციები და კვლევები. კასემს მოჰყავს Hurwitz-ის მიერ ჩამოყალიბებული დეფინიცია, სადაც სემგინისაგან განსხვავებით, მისთვის დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად, მოცემულია იმის ჩამონათვალიც, რაც არ ახასიათებს სტაბილურობას. ამ განსაზღვრების თანახმად, პოლიტიკური სტაბილურობა ნიშნავს ძალადობის არარსებობას, მთავრობის ხელისუფლებაში ყოფნის უწყვეტობას, ლეგიტიმურობას, სტრუქტურული ცვლილებების არარსებობას, ეფექტური გადაწყვეტილების მიღებას (3). გარდა ამისა, ამ ორ განსაზღვრებას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სემგინის მიხედვით, სტაბილურმა სისტემამ უნდა შეძლოს პრობლემების გადაჭრა კონსტიტუციურ ფარგლებში, რაც, ჩვენი აზრით, არ გამორიცხავს ძალადობის გამოყენებას. ამიტომ აქ ძალადობა ლატენტურად არის ნაგულისხმევი მაშინ, როცა Hurwitz ძალადობას, როგორც სტაბილურობის ნიშანს, საერთოდ უარყოფს. კასემის აზრით, მან სტაბილურობასთან დაკავშირებული ზოგიერთი თემის გამოყენებით მოგვცა პოლიტიკური სტაბილურობის საბაზისო დეფინიცია. ამის მიუხედავად ის Hurwitz-ის მიერ ჩამოთვლილ „თემებს“ საკმაოდ კრიტიკულად უდგება. ასე მაგალითად, კასემს ძალადობის არარსებობა უტოპიად მიაჩნია, ხოლო სტრუქტურული ცვლილებები და ლეგიტიმურობა კი, მისი აზრით, სტაბილურობის დახასიათების თვალსაზრისით, „უკიდურესად შედარებითი“ ხასიათისაა (6). Hurwitz-ის განსაზღვრებაში მოცემული სტაბილურობის ნიშნები ნამდვილად მოკლებულია სიზუსტეს. მაგალითად, გაურკვეველია თუ რას ნიშნავს ძალადობის არარსებობა საზოგადოებაში. ძალადობისაგან თავისუფალი საზოგადოება არ არსებობს. მაგალითად, ამ უკანასკნელ ხანს სტაბილურად მიჩნეულ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა აშშ და დიდი ბრიტანეთი, მასობრივი ძალადობის ასპარეზად გადაიქცნენ, რომ არაფერი არ ვთქვათ საფრანგეთზე, სადაც 2005 წელს სარკოზის მთავრობის მიერ ინიცირებულმა კანონმა შრომის კოდექსში ცვლილებების შესახებ სტუდენტების მასობრივი გამოსვლები გამოიწვია, რაც

პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. ამ განვითარებული სახელმწიფოების უახლესი ისტორიიდან მრავლად შეიძლება ისეთი ფაქტების მოყვანა, როდესაც მთავრობას უხდებოდა ძალადობის მასობრივად გამოყენება. გარდა ამისა, ფაშისტური გერმანიის პოლიტიკური რეჟიმი აშკარად ეფუძნებოდა ძალადობას. შეიძლება თუ არა, რომ ფაშისტური გერმანია ამის გამო არასტაბილურად მივიჩნიოთ? თუ Hurwitz-ის განსაზღვრებას უკომენტაროდ მივიღებთ, მაშინ აშშ, დიდი ბრიტანეთიც და საფრანგეთიც არასტაბილურ ქვეყნებად უნდა ჩავთვალოთ.

ძალადობისაგან თავისუფალი სახელმწიფო არ არსებობს. ის მისი ფუნქციონირების ჩვეულებრივი წესია. ციხეებისა და პატიმრების არსებობა ძალადობის ყველაზე უფრო მკაფიო მაგალითია. ამიტომ პოლიტიკური სტაბილურობის ანალიზისას, ძალადობის არსებობა/არარსებობაზე მსჯელობისას მეტი კონკრეტულობაა საჭირო. კერძოდ, უნდა გავითვალისწინოთ ძალადობის მიმართულება – ის სისტემის მხარდასაჭერად მოქმედებს თუ მის დასაშლელად, აშკარაა თუ ლატენტური, რამდენად ინტენსიურია, აქვს თუ არა პოლიტიკური მიზნები და ა.შ. სტაბილურობა შეიძლება ძალადობას ემყარებოდეს. გარკვეული ძალადობის გარეშე არავითარი რეჟიმი არ არსებობს. ამაზე მეტყველებს ძალოვანი სტრუქტურების არსებობა სახელმწიფოებში. სტაბილურობის პირობებში ძალადობა კონსტიტუციურ და კანონიერ ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს. ხშირად ის სტაბილურობის აღდგენისა და დესტაბილიზაციის აღმოფხვრის საშუალებად გვევლინება. პოლიტიკური სისტემა, რომელსაც ძალადობის განხორციელების რესურსები არ გააჩნია, ვერასოდეს იქნება სტაბილური. მაგრამ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ინტენსიური ძალადობა საფრთხეს უქმნის არსებულ პოლიტიკურსა და სამართლებრივ წესრიგს, შლის მას, იწვევს საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების პარალიზებას. ჩვენი აზრით, ალბათ სწორედ ამით უნდა აიხსნას პოლიტიკური სტაბილურობის კვლევებში მისი დაკავშირების პოპულარობა სამოქალაქო ომების ინტენსივობასა და სიხშირესთან, ძალადობის არარსებობასთან მოცემულ საზოგადოებაში, რასაც აფიქსირებს კასემი თავის ნაშრომში (1,7). ვფიქრობთ, ეს ნიშნები – სამოქალაქო ომების ინტენსივობა და სიხშირე, ძალადობის არარსებობა – საკმაოდ კონკრეტული ხასიათისაა იმისათვის, რომ ადვილად გადავიდეს რაოდენობრივ მაჩვენებლებში და გაიზომოს. ამ ცვლადების ასეთი სიმარტივე საშუალებას აძლევს Russet-სა და Bunselmayer-ს, შემოგვთავაზონ სტაბილურობის გაზომვის წესი, რომელიც საშუალებას იძლევა, შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნის სტაბილურობის დონე. ამისათვის მეცნიერები ერთმანეთს ადარებენ უშუალოდ ჯგუფთაშორისი ძალადობის შედეგად გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების რაოდენობას ყოველ 1 000 000 მაცხოვრებელზე (1,7). ეს მაჩვენებელი ადვილად დაკვირვებადია, მაგრამ ის, ჩვენი აზრით,

გამოდგება მხოლოდ დესტაბილიზაციის კერძო შემთხვევის დასადგენად და არა ზოგადად სტაბილურობის შესაფასებლად, რადგანაც ყურადღების მიღმა რჩება დესტაბილიზაციის ბევრი შემთხვევა, რომელიც არ არის დაკავშირებული მსხვერპლთან. გარდა ამისა, ეს მაჩვენებელი უშუალოდ ზომავს არა იმდენად დესტაბილიზაციას, რამდენადაც ჯგუფთაშორისი დაპირისპირების სიძლიერეს, რაც ამავე დროს შეიძლება გამოყენებული იყოს დესტაბილიზაციის სიძლიერის გასაზომადაც. დესტაბილიზაცია მხოლოდ ჯგუფთა შორის დაპირისპირებაში კი არ ვლინდება (მაგალითად, სომხებისა და აზერბაიჯანელების დაპირისპირება მთლიან ყარაბაღში გარდაქმნის დროს), არამედ სახელმწიფოსადმი საზოგადოების ან მისი ნაწილის დაპირისპირებაში, მაგალითად, აშშ-ია ქალაქ ფერგიუსონში გამართული არეულობები. აღსანიშნავია ისიც, რომ დესტაბილიზაცია, ისევე როგორც ჯგუფთაშორისი დაპირისპირება, როგორც მისი კერძო გამოვლინება, ყოველთვის არ არის დაკავშირებული მსხვერპლთან. მაგალითად, დესტაბილიზაცია შეიძლება ვლინდებოდეს ხელისუფლებისათვის მასობრივ მშვიდობიან დაუმორჩილებლობაშიც, რომელიც უმსხვერპლოდ მიმდინარეობს ან კიდევ მასობრივი პოლიტიკური გაფიცვაში, რომელმაც შეიძლება მთელი ქვეყნის პარალიზება გამოიწვიოს. ამიტომ სავსებით სწორია კასემის აზრი, რომლის თანახმადაც, მიუხედავად იმისა, რომ დესტაბილიზაციის გაზომვის ზემოთ განხილულ წესს თავისი დადებითი მხარეები აქვს, მთლიანობაში ის არ არის თავისუფალი ნაკლოვანებებისაგან, რადგანაც შეიძლება არსებობდეს ბევრი ისეთი პოლიტიკური მოქმედება, რომელიც ძირს უთხრის პოლიტიკურ სისტემას, მაგრამ არ იწვევს მსხვერპლს (1, 6).

პოლიტიკური სტაბილურობა/დესტაბილიზაცია დაკავშირებულია სახელისუფლებო სისტემის ანუ ბატონობა-მორჩილების ფუნქციონირებასთან. ასეთი სისტემა იშლება მაშინ, როცა მას არ შეუძლია, უზრუნველყოს მორჩილება, გაბატონებული ნების პრაქტიკული რეალიზაცია. პოლიტიკურ სისტემაში სახელისუფლებო სისტემის სტაბილურობის მაჩვენებელია ის, თუ რამდენად შეუძლია მას, უზრუნველყოს მორჩილება, რაც საბოლოო ჯამში, უპირველეს ყოვლისა, ძირითადად კანონების შესრულების დონეზე აისახება. ამის გარეშე პოლიტიკური სისტემა ვერ შეძლებს პოლიტიკური კურსის დაცვას და საკუთარი მიზნების ცხოვრებაში გატარებას. თუმცა არ შეიძლება, რომ კანონების დაცვა ერთადერთი პირობა იყოს სისტემის სტაბილურობისათვის, რადგანაც ის შესაძლებელია მისი გვერდის ავლითაც ფუნქციონირებდეს და იყოს სტაბილური, ხოლო არსებული კანონების მკაცრად დაცვა კი დესტაბილიზაციის მიზეზი გახდეს. კანონების დაცვის მნიშვნელობა პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებაში განაპირობებს იმას, რომ ზოგიერთი მკვლევარი კანონებისადმი მორჩილებაში ხედავს სისტემის

მხარდაჭერას, რაც, მათი აზრით, სტაბილურობის აუცილებელ პირობაა. მაგალითად, ნიგერიელი პოლიტოლოგის კლოდ აკეს აზრით, საზოგადოების წევრები მხარს უჭერენ ან ძირს უთხრიან პოლიტიკურ სისტემას იმ ზომით, რა ზომითაც ისინი მხარს უჭერენ ან არღვევენ კანონებს, რომელსაც ეს სისტემა ქმნის. თუ კანონების დარღვევის შემთხვევების რაოდენობის ზრდა გრძელდება, საბოლოო ჯამში, ეს გამოიწვევს ხელისუფლების ატროფიასა და პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციას (1,6). ამ აზრთან დაკავშირებით, უნდა შევნიშნოთ, რომ პოლიტიკური სისტემა შეიძლება მთლიანად მასობრივ კორუფციაზე იდგეს (კანონების დარღვევა) და საკმაოდ სტაბილურადაც ფუნქციონირებდეს, ხოლო კანონიერების აღდგენის მოთხოვნას კი შესაძლოა, მოჰყვეს დესტაბილიზაცია, რადგანაც კორუფცია ასეთ სისტემებში სოციალური ამორტიზაციის ფუნქციას ასრულებს. კორუფციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით პოლიტიკური ლიდერების მიერ შეიძლება ხდებოდეს ბიუროკრატიის მოსყიდვა და საკუთარი ძალაუფლების სტაბილიზაცია. ამიტომ, როცა კანონების დარღვევაზე ვსაუბრობთ, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ, თუ როგორ ხდება არსებული კანონების დარღვევა, რამდენადაა ეს გამოწვევა არსებული ხელისუფლებისთვის, ბატონობა-მორჩილების არსებული სისტემისთვის. მაგალითად, კანონის დარღვევაა კორუფციაც და სამთავრობო შენობების ძალით დაკავებაც, უკანონო დემონსტრაციების ჩატარებაც. მაგრამ თითოეული მათგანი განსხვავდება თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით. სისტემა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს კანონების ცხოვრებაში გატარებას – არაეფექტური სისტემაა, რის გამოც დროთა განმავლობაში შეიძლება დესტაბილიზაციაში აღმოჩნდეს და მთავრობას მოუხდეს ძალის აშკარად გამოყენება. ხოლო, სხვა მხრივ კი, კანონების ცხოვრებაში გატარება შეიძლება მოსახლეობის დიდი ნაწილის წინააღმდეგობასაც წააწყდეს, თუ ის მათი ცხოვრების დონის გაუარესებასთან იქნება დაკავშირებული და ამის გამო დესტაბილიზაციის მიზეზად გადაიქცეს (მაგალითად, როცა საქართველოს ხელისუფლება შეეცადა, ბაზარში მოვაჭრეებისაგან გადასახადების ამოღება გაეუმჯობესებინა და საკასო აპარატების დადგმა მოითხოვა, ამან პოლიციისა და მოვაჭრეების მასობრივი დაპირისპირება გამოიწვია). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალადობა სახელმწიფოს ფუნქციონირების ჩვეულებრივი წესია, მაგრამ როცა მას მივიჩნევთ დესტაბილიზაციის მაჩვენებლად, აუცილებელია, უფრო კონკრეტულები ვიყოთ და განვსაზღვროთ, რა სახის ძალადობაზეა საუბარი და რამდენად ინტენსიურია ის. სწორედ ძალადობის, როგორც არასტაბილურობის მაჩვენებლის, განსაზღვრა წარმოადგენს ერთ-ერთ რთულ საკითხს სტაბილურობის დეფინიციისას. ამასვე ადასტურებს კასემი, როცა აღნიშნავს, რომ ძალადობის შემთხვევათა რაოდენობის განსაზღვრა კვლავ სუბიექტურია, თუკი საერ-

თოდ შესაძლებელია განვსაზღვროთ ის იმგვარად, რომ ეს საკმარისი აღ-მოჩნდეს ქვეყნის არასტაბილურად მისაჩნევად (1, 6). აქ საინტერესოა ის, რომ კასემს არასტაბილურობის შესაბამისი ძალადობის დეფინიცია მიაჩნია პრობლემად.

ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ რეჟიმი სტაბილური იყოს, აუცილე-ბელი არ არის, რომ ის ყველას მიერ ლეგიტიმურად იყოს მიჩნეული. ბევრი ადამიანი, რომელიც თანამშრომლობდა საბჭოთა სისტემასთან, შეიძლება მას ლეგიტიმურად არ მიიჩნევდა ან არცკი ფიქრობდა ამა-ზე. ამის მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირი სტაბილურად ფუნქციონირებდა. შეიძლება ითქვას, რომ მას ჰქონდა უფრო ძლიერი ავტორიტეტი, ვიდრე ლეგიტიმურობა. იგივე შეიძლება ითქვას სტრუქტურული ცვლილებების შესახებაც. მაგალითად, ქვეყ-ნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შეცვლა არ ნიშნავს, რომ ქვეყანა არასტაბილურად ვითარდება. შეიძლება პირიქითაც მოხ-დეს – სტაბილურობა სტრუქტურული რეფორმების შედეგი იყოს და, პირიქით, სტრუქტურული უცვლელობა იწვევდეს დესტაბილიზაციას (მაგალითად, რევოლუციები).

მთავრობების ხელისუფლებაში ყოფნის ხანგრძლივობა, რაც ყვე-ლაზე უფრო აშკარად მიგვითითებს პოლიტიკურ სტაბილურობაზე, Hurwitz-ის მიერ მოცემულ განსაზღვრებაში პოლიტიკური სტაბილურო-ბის მეორე ელემენტს წარმოადგენს. ძალადობის მსგავსად, ისიც ადვი-ლად გადადის რაოდენობრივ მაჩვენებლებში და იზომება. Russett-მა შეიმუშავა უმარტივესი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შეიძლება გაიზომოს რეჟიმის საშუალო სტაბილურობა დროის მოცემულ პერი-ოდში. ამისათვის საჭიროა, რომ გარკვეული პერიოდის წლების რაო-დენობა გავყოთ აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარი ფიგურის (Chief executive) ცვლილებათა რაოდენობაზე. მიღებული ციფრი იქნება მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად სტაბილური იყო მოცემული სისტე-მა საშუალოდ ამ პერიოდში. აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარ ფიგურაში ამ კონტექსტში იგულისხმება პოლიტიკური ფიგურა, რომე-ლიც ფლობს რეალურ აღმასრულებელ ხელისუფლებას და არა ნომი-ნალური ხელმძღვანელი, როგორც ზოგიერთ სისტემაშია (7). ზოგჯერ მთავრობა ან რეჟიმიც კი შეიძლება შეიცვალოს ისე, რომ ამან არ გა-მოიწვიოს აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარი ფიგურის შეც-ვლა და Russett-ს ეს გაცნობიერებული აქვს, რაც აღსანიშნავია. კომუნის-ტურ ქვეყნებში სახელმწიფოს მეთაური უფრო ნაკლებად მნიშვნელო-ვანია, ვიდრე კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაური ტიტულარული ფი-გურაა, ხოლო რეალური აღმასრულებელი ხელისუფლება კი მთავრო-ბის მეთაურის ხელშია მოქცეული. რთულია იმის განსაზღვრა, თუ რომელია ამ ორი თანამდებობიდან უფრო მნიშვნელოვანი გარკვეულ

ქვეყანაში სტაბილურობის გასაანალიზებლად. გარდა ამისა, ზოგიერთ სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს აქვს უფრო ხანგრძლივი ვადა, ხოლო სხვაში კი – უფრო ნაკლები. ეს კიდევ უფრო ართულებს სტაბილურობის შედარებით კვლევას სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებში. მაგრამ Russett-ს მიაჩნია, რომ ამ საკითხების ანალიზისას გაჩენილი კითხვები ჭარბობს მოძიებულ პასუხებს. Hurwitz აკრიტიკებს ამ მიდგომას იმის გამო, რომ ის არ განასხვავებს სახელმწიფოს მეთაურების კანონიერ და უკანონო ცვლილებებს (1,6).

ერთი შეხედვით, მთავრობის ხელისუფლებაში ყოფნის ხანგრძლივობა სტაბილურობის ადვილად დასაკვირვებელი კრიტერიუმია, რომელიც, გარდა ამისა, აგრეთვე კარგად ექვემდებარება გაზომვასა და რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანას. თუმცა ის წარსულზეა ორიენტირებული და არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რამდენად სტაბილურია არსებული ხელისუფლება დღეს, რაც მისი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლია. Russett-ის მიერ შემოთავაზებული სტაბილურობის გაზომვის მეთოდი წარსულში არსებული რეჟიმების სტაბილურობას ზომავს. ამიტომ ის უფრო ძნელად გამოსაყენებელია აწმყოში მიმდინარე პროცესების დიაგნოსტირებისათვის. რაც შეეხება Chief egxecutive-ის შეცვლას, მასში, ვფიქრობთ, შესაძლებელია ვიგულისხმოთ არა მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირი, არამედ ის, ვინც რეალურად აკონტროლებს რეჟიმის ფუნქციონირებას. კომუნისტური რეჟიმების შემთხვევაში, ასეთი იქნებოდა კომპარტიის გენერალური მდივანი. თუმცა თავად ასეთი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურის გადაყენებაც კი არ შეიძლება მივიჩნიოთ დესტაბილიზაციის ნიშნად, რადგანაც ეს შეიძლება განხორციელდეს უმტკივნეულოდ, პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის გარეშე. მაგალითად, ხრუშჩოვის გადაყენებას გენერალური მდივნის პოსტიდან დესტაბილიზაცია არ გამოუწვევია. სწორია Hurwitz-ის მხრიდან Russett-ის კრიტიკა იმის გამო, რომ ის არ განასხვავებს უმაღლესი თანამდებობის პირის კანონიერ და უკანონო ცვლილებებს. თუმცა აქ მთლიანად არც Hurwitz-ის მოსაზრების გაზიარება შეიძლება, რადგანაც როგორც კანონიერი, ასევე უკანონო გადადგომა ყოველთვის არ არის დესტაბილიზაციის მაჩვენებელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანონო ცვლილება შეიძლება განხორციელდეს როგორც დესტაბილიზაციის შედეგად, ასევე სტაბილურ გარემოშიც – ხრუშჩოვის გადაყენება უკანონო იყო. გარდა ამისა, დესტაბილიზაციას შეიძლება ხშირად არცკი მოჰყვეს Chief executive-ის შეცვლა. მაგალითად, თავის დროზე, დესტაბილიზაციის შედეგად, მ. სააკაშვილი მხოლოდ ფორმალურად გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან, მაგრამ რეალური ძალაუფლება შეინარჩუნა, რამაც საშუალება მისცა მას, რომ თანამდებობაზე მეორე ვადით დარჩენილიყო. რუსეთის პირველმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეარყია ცარიზ-

მი, გამოიწვია მისი დესტაბილიზაცია, მაგრამ ნიკოლოზ მეორე ტახტზე დარჩა. ნიშნავს კი ეს იმას, რომ მაშინდელი რუსეთის იმპერია სტაბილური სახელმწიფო იყო? ჰქონდა თუ არა ადგილი პირველი რევოლუციის დროს დესტაბილიზაციას? პასუხი ალბათ დადებითი უნდა იყოს. მაშინ, თუ ეს ასეა, რაღა აზრი აქვს Chief executive-ის შეცვლას არასტაბილურობა/სტაბილურობის დიაგნოსტირებისათვის?

სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია ხელისუფლების ლეგიტიმურობაა. ავღანელი ავტორის აზრით, სახელმწიფოს ლეგიტიმურობა გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორ აფასებენ ხელისუფლების მოქმედებათა შესაბამისობას ნორმატიულ სისტემებთან; იმ როლიდან, რომელსაც ის ასრულებს ეკონომიკის აღმავლობასა თუ დაღმავლობაში; საზოგადოების პოლიტიკაში მონაწილეობის ან შეზღუდვისათვის ხელისშეწყობიდან. სახელმწიფოს ლეგიტიმურობა გამომდინარეობს იმ საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობიდან, რომელშიც ის მოქმედებს (1,7).

ლეგიტიმურობა ის საფუძველია, რომელიც ქმნის და ამყარებს ხელისუფლების სოციალურ ბაზას და განამტკიცებს ბატონობა-მორჩილების არსებულ სისტემას. თუმცა, სტაბილურობის თვალსაზრისით, არ შეიძლება, რომ ლეგიტიმურობის მნიშვნელობა გადაჭარბებულად შევაფასოთ. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ავტორიტეტის მნიშვნელობა სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში. სტაბილურ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ავტორიტეტი, რადგან ის საჯარო ავტორიტეტს წარმოადგენს და ავტორიტეტის საშუალებით მოქმედებს. ავტორიტეტი ხელისუფლების ჩრდილია, რომელიც მართავს და სახელმწიფოს ნებას უმორჩილებს ადამიანთა ქცევას. ლეგიტიმურობა ავტორიტეტს უქმნის სახელმწიფოს, რაშიც ვლინდება სისტემის სტაბილურობა. თუმცა შესაძლებელია, რომ სტაბილური იყოს არალეგიტიმური ხელისუფლებაც, რომელსაც ავტორიტეტს უქმნის იძულების, ფიზიკური ზემოქმედების საშუალებებზე არსებული მონოპოლია, ან კიდევ ადამიანებისათვის მნიშვნელოვანი რესურსების კონტროლის შესაძლებლობა. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ ის პიროვნებები, რომლებიც მას ლეგიტიმურად არ მიიჩნევდნენ. ადამიანები ემორჩილებიან ავტორიტეტს.

პოლიტიკური სტაბილურობის ანალიზისას სხვაგვარი მიდგომა ყურადღებას აქცევს სახელმწიფოს საბაზო სტრუქტურული ორგანიზაციის მნიშვნელობას პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაციაში (1,8). თუმცა ესეც არ არის უზუსტობებისაგან დაზღვეული. ამიტომ მისი გამოყენებისას აუცილებლად გაჩნდება გარკვეული კითხვები და მეცნიერი ცნებების ზუსტად განსაზღვრის აუცილებლობის წინაშე დადგება. ამის გარეშე ეს უკანასკნელი დაკარგავს საკუთარი კვლევის ორიენტირებს. საბაზო სტრუქტურულ ორგანიზაციაზე აქცენტის გაკეთე-

ბა, უპირველეს ყოვლისა, მეთოდოლოგიური ხასიათსაა და შემდგომ დახვეწას საჭიროებს. ჩვენი აზრით, სწორედ ამას გვიჩვენებს Hurwitz-ის მიერ გაკეთებული ანალიზი. ის, მართალია, ეთანხმება აზრს, რომ ამგვარი მიდგომა შეესაბამება პოლიტიკური სტაბილურობის კვლევის მიზნებს, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს მის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე და, უფრო ღრმა ანალიზის საშუალებით, წარმოაჩენს უზუსტობას მისი გამოყენებისას. უპირველეს ყოვლისა, ის სვამს ორ ძალიან მნიშვნელოვან კითხვას ასეთი მიდგომის კონკრეტიზაციის თვალსაზრისით: 1) რა ქმნის პოლიტიკური სისტემის საბაზისო სტრუქტურულ ორგანიზაციას და რა უნდა ვიგულისხმოთ პოლიტიკური სისტემის საბაზისო სტრუქტურულ ორგანიზაციაში? 2) რა რაოდენობას უნდა მიაღწიონ მცირე სტრუქტურულმა ცვლილებებმა იმისათვის, რომ ვისაუბროთ საბაზისო სტრუქტურული ორგანიზაციის შეცვლის შესახებ? მეორე კითხვა, ჩვენი აზრით, რაოდენობრიობიდან თვისებრიობაში გადასვლას ეხება. კასემის ინტერპრეტაციის თანახმად, Hurwitz ეჭვქვეშ აყენებს თავად ასეთი მიდგომის დიქოტომიას და აღიარებს: ქვეყანა შეიძლება იყოს ან თავისუფალი სტრუქტურული ცვლილებებისაგან და ამ შემთხვევაში ის კლასიფიცირდება როგორც სტაბილური, ან კიდევ მისი ორგანიზაციის საბაზისო სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს და ამ შემთხვევაში ის ჩაითვლება არამდგრადად. სხვა სიტყვებით, ვუკავშირებთ თუ არა ჩვენ პოლიტიკურ არასტაბილურობას მხოლოდ და მხოლოდ საბაზო სტრუქტურულ ორგანიზაციის შეცვლას, თუ შეგვიძლია, რომ ეს მეთოდი ნაკლებად ფუნდამენტალური ცვლილებების კაუზალური შედეგების მიმართაც გამოვიყენოთ? (იხ.1)

საბაზო სტრუქტურული ორგანიზაციის ცნების კონკრეტიზაციასა და მის ცხადად წარმოდგენას ხელს უწყობს Dessauer-ის მიერ, როგორც სამართლიანად მიიჩნევს კასემი, მისი ეკვივალენტის – საზოგადოების ფუნდამენტის განხილვა. Dessauer ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ არ არსებობს სტანდარტული ცვლადები, რომლებიც საზოგადოების საფუძვლებს შეიძლება მივაკუთვნოთ. ეს შესაძლოა იყოს წარმომადგენლობითი მთავრობა, კერძო საკუთრება, ვაჭრობის თავისუფლება, რელიგიით განსაზღვრული ცხოვრების წმინდა წესი. საზოგადოების ფუნდამენტი აშკარა ხდება კრიტიკულ პერიოდში, როცა მისი დაკარგვის პერსპექტივა, რომელიც ცვლილებების შედეგია, ადამიანებში იწვევდა შიშსა და გაურკვევლობას, რაც, თავის მხრივ, წარმოქმნის იმგვარ რეაქციას, რომელიც ძირს უთხრის პოლიტიკურ სტაბილურობას. კასემს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ეს ავტორი საზოგადოების ანალიზისათვის ირჩევს ისეთ სიტყვას, როგორიც არის „შეტევა“, რომელიც ცვლილებების განხორციელების სიჩქარეს აღნიშნავს (1,9). Dessauer-ის აზრით, პოლიტიკური სტაბილურობის შერყევის მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ შეტევა საზოგადოების საფუძვლებზე, არა-

მედ რადიკალური ცვლილებებიც. ამგვარი ცვლილებები შესაძლოა არც კი იყოს მიმართული საზოგადოების საფუძვლების წინააღმდეგ, რადგან მათაც შეუძლიათ პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის გამოწვევა. მისი აზრით, პოლიტიკური სტაბილურობა უნდა ემყარებოდეს მცირე რაოდენობის არაფუნდამენტური ხასიათის ისეთ ფაქტობრივ ცვლილებებს, რომლებიც მიმდინარეობენ ნელა. აქედან გამომდინარე, რადიკალურია ისეთი ცვლილებები, რომლებსაც მათი რაოდენობისა და სისწრაფის გამო შეუძლიათ, დააშინონ ადამიანები და „ჩაახშონ მათი შესაძლებლობები“. კასემს აქედან გამოაქვს დასკვნა, რომ შეტევა საზოგადოების საფუძვლების ან სახელმწიფოს ფუნდამენტური ხასიათის წინააღმდეგ არსებითად რადიკალური მოქმედებაა, რადგანაც შეიცავს რადიკალიზმის ორივე ელემენტს – უზომოდ დიდ მასშტაბებსა და სიჩქარეს. თუმცა, მისი აზრით, ყველა რადიკალური ზომა არ არის მიმართული საზოგადოების საფუძვლების წინააღმდეგ (1,10). Dessauer აზუსტებს და აკონკრეტებს საზოგადოების საბაზო სტრუქტურული ორგანიზაციის ცნებას, რომელშიც იგულისხმება პოლიტიკური სისტემის ნებისმიერი ისეთი ატრიბუტი, რომლის შეცვლის მუქარა იწვევს საზოგადოების საპასუხო რეაქციას. პოლიტიკური არასტაბილურობა შეიძლება აგრეთვე გამოიწვიოს ისეთმა რადიკალურმა ცვლილებამ, რომელიც აუცილებლად არ არის მიმართული პოლიტიკური სისტემის ფუნდამენტის ცვლილებაზე (1,10).

საბაზო პოლიტიკურ ორგანიზაციასა და პოლიტიკურ სტაბილურობას შორის არსებული კავშირის გააზრებაში, ჩვენი აზრით, უფრო მეტი კონკრეტულობა და სიცხადე შეაქვს კლოდ აკეს. პოლიტიკური სტრუქტურის წარმოქმნისა და ფუნქციონირების უმარტივეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ქცევა. ჩვენი აზრით, სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული, რომ კლოდ აკეს ანალიზი სწორედ მის გააზრებაზეა დაფუძნებული. მეცნიერი თვლის, რომ პოლიტიკური ქცევა არის ნებისმიერი აქტი საზოგადოების ნებისმიერი წევრისა, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებისათვის გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებაზე. ისეთი საზოგადოებისაგან განსხვავებით, სადაც კონტაქტები იშვიათია, ხოლო ქცევითი მრავალფეროვნება კი უსასრულო, პოლიტიკურ ქცევებს ადგილი აქვს ორგანიზებულ საზოგადოებაში. ორგანიზებული საზოგადოების წევრები ცხოვრობენ საერთო მოლოდინების კონტექსტში, რაც ქცევების პროგნოზირების საფუძველს წარმოადგენს. სტანდარტიზებული საერთო მოლოდინების ერთობლიობას უწოდებენ პოლიტიკურ როლებს. მათი ქსელი ქმნის პოლიტიკურ სტრუქტურას – პოლიტიკური სისტემის საბაზო სტრუქტურულ ორგანიზაციას. ნიგერიელი პოლიტოლოგის აზრით, იმის გამო, რომ როლები აკონტროლებენ პოლიტიკურ აქტორებს შორის მიმდინარე ოპერაციებსა და კომუნიკაციებს, პოლიტიკური სტრუქტურა შეიძლება გან-

ვიხილოთ, როგორც პოლიტიკური გაცვლების სისტემა. აქედან გამომდინარე, მას პოლიტიკური სტაბილურობა ესმის, როგორც პოლიტიკური გაცვლების რეგულარობა. პოლიტიკური სტაბილურობა არსებობს იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოების წევრები საკუთარ თავს მოაქცევენ ქცევის იმ ნიმუშების საზღვრების შიგნით, რომლებიც დაწესებულია პოლიტიკურ როლებთან დაკავშირებული მოლოდინებით (1,10).

პოლიტიკური სისტემა საკუთარ საზოგადოებრივ გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესში წარმოიშობა და ფუნქციონირებს. ამდენად, მასთან შესაბამისობა პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის გადამწყვეტი ფაქტორია. ამიტომ, ჩვენი აზრით, გარემოს მნიშვნელობა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში განაპირობებს პოლიტიკური სტაბილურობის კვლევაში იმ მიმართულების ჩამოყალიბებას, რომელიც საზოგადოებრივ გარემოსა და პოლიტიკურ სისტემას შორის არსებული ურთიერთობების კვლევას ეფუძნება. მაგალითად, Duff და Melamand გამოყოფენ პოლიტიკური არასტაბილურობის სიმპტომებს, რომლებშიც მოცემულია პოლიტიკური სისტემისა და საზოგადოების ურთიერთქმედების სპეციფიკა დესტაბილიზაციის დროს. მათი აზრით, არასტაბილურობა შეიძლება გამოვლინდეს ხელისუფლების მიერ რეპრესიების გაძლიერებით, ძალადობრივი ან არაძალადობრივი დემონსტრაციებით, შეუჩერებლად მზარდ ინფლაციაში, სახელმწიფო გადატრიალებაში, სამოქალაქო ომში ან კიდევ, საბოლოო ჯამში, სოციალურ რევოლუციაში. მათი აზრით, დესტაბილიზაციის გამოვლინება დამოკიდებულია პოლიტიკურ კულტურაზე, პოლიტიკური ძალების ბალანსის თავისებურებაზე, მოვლენათა თანამიმდევრობაზე და მთავარი აქტორების გადაწყვეტილებაზე. ძალადობრივი სოციალური რევოლუცია დესტაბილიზაციის ყველაზე უფრო აშკარა და არაორაზროვან გამოხატულებაა. კასემის კომენტარის თანახმად, იმის გამო, რომ ამ მიდგომაში სტაბილურობა /არასტაბილურობა გამოყვანილია მრავალი სხვადასხვა ინდიკატორიდან, ხოლო მიზეზებად კი მრავალი განსხვავებული ფაქტორი სახელდება, ის მეტ-ნაკლებად სხვადასხვა მიდგომების სინთეზს წარმოადგენს (1,11).

ნორვეგიის პოლიტიკურ სისტემაში Eckstein-მა აღმოაჩინა პოლიტიკური სტაბილურობის ხელისშემწყობი არა მხოლოდ ერთი ფაქტორი, არამედ ურთიერთდაკავშირებული კაუზაციური თავისებურებების მთელი რიგი:

– პოლიტიკური სისტემის უწყვეტობა შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციის უნარის ჩათვლით;

– პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობა, რომელიც არა მხოლოდ ხელს უშლის ანტისისტემური განხეთქილების წარმოშობას, არამედ აგრეთვე იწვევს სისტემისათვის აქტიური მხარდაჭერის

არსებობას და პოლიტიკური სისტემის, როგორც მთელისადმი ხალხის ვალდებულების, წარმოშობას;

– ეფექტური გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გვიჩვენებს პოლიტიკური სისტემის უნარს, რომ არა მხოლოდ მიიღოს კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკური კურსები, არამედ კომპეტენტურად გაატაროს კიდევაც ისინი ცხოვრებაში;

– მონაწილეობითი ინსტიტუტებისა და პოლიტიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესების ნამდვილობა და არა ზედაპირულობა (1, 12).

დამოუკიდებელ გამოკვლევაში Eckstein-მა განავითარა სახელმწიფო ორგანოების ფორმებსა და საზოგადოებას შორის შესაბამისობის თეორია, სადაც ამგვარი შესაბამისობა პოლიტიკური სტაბილურობის ბაზად გვევლინება (1,12). ის ერთმანეთს ადარებს ორ განსხვავებულ ქვეყანას – გაერთიანებულ სამეფოსა და ვაიმარის გერმანიას ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში და ასკვნის, რომ ბრიტანეთი გაცილებით უფრო სტაბილური იყო, ვიდრე გერმანია. ამის მიზეზი, მეცნიერის აზრით, არის ის, რომ ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემა მეტისმეტად ზუსტად ასახავდა ბრიტანეთის საზოგადოებაში არსებული ავტორიტეტების მოდელებს – ბრიტანეთის პოლიტიკურ კულტურას, მისი სოციალური სტრატიფიკაციის ჩათვლით, ასევე – ისეთი პოლიტიკური და არაპოლიტიკური ინსტიტუტების ფორმებს, როგორიცაა პოლიტიკური პარტიები, ზეწოლის ჯგუფები, მეგობართა საზოგადოებები, კლუბები და ბიზნესორგანიზაციები. ვაიმარის რესპუბლიკა კი Eckstein-ის სიტყვებით, წარმოადგენდა „აუმაღლებელ დემოკრატიას“ პლებისციტალური პრეზიდენტით, რომელიც ავტორიტარული ურთიერთობებითა და ავტორიტარიზმით გამსჭვალული საზოგადოების პოლიტიკური იერარქიის თავზე იყო მოქცეული. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის გერმანიის პოლიტიკური სისტემა სამართლიანად იყო აღიარებული ყველაზე უფრო სრულყოფილ სისტემად, მან ვერ შექმნა სტაბილურობა, რადგან არ შეესაბამებოდა საზოგადოებას, რომელშიც ის მოქმედებდა (1, 12).

არენდტ ლეიფჰარტისათვის სტაბილური პოლიტიკურ სისტემა ისეთი სისტემაა, რომელსაც საკმარისი შესაძლებლობები აქვს მის მიმართ წამოყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა უფრო მეტად დამოკიდებულია არა სტაბილურობის შესანარჩუნებლად საჭირო იძულების გამოყენების შესაძლებლობაზე, არამედ მის უნარზე, გადაჭრას პრობლემები, განმუხტოს დაძაბულობები და დაარეგულიროს კონფლიქტები მანამ, სანამ ისინი დაგროვდებიან და მიაღწევენ იმ ზომას, რომ პოლიტიკური სისტემა შეარყიონ. ამასთან, ლეიფჰარტის მიდგომა წარმოადგენს სხვადასხვა მიდგომების სინთეზს, რომლებიც სხვადასხვანაირად გამოყოფენ სამოქალაქო ომს, მთავრობის უწყვეტელობას და საბაზო სტრუქტურების

ცვლილებებს. მისი აზრით, სტაბილურ ქვეყანას ახასიათებს არა მხოლოდ იმგვარი ნეგატიური ინდიკატორების არარსებობა, როგორიცაა, მაგალითად, ძალადობა, რევოლუციები, სახელმწიფო გადატრიალებები და პოლიტიკური სისტემის, როგორც მთელის, წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური მოძრაობა, არამედ ისეთი პოლიტიკური ინდიკატორებიც, როგორიცაა კონსტიტუციური წესრიგის უწყვეტელობა, მთავრობის ლეგიტიმურობა, აქტიური სოციალური მხარდაჭერა პოლიტიკური სისტემისადმი და ამ უკანასკნელის უნარი, მიიღოს იმ ტიპის ეფექტური გადაწყვეტილებები, რომლებიც აღწევენ საზოგადოებაში (1,13). ლეიფჰარტის მიერ ჩამოთვლილ „ინდიკატორებში" შეიძლება გამოვყოთ საკუთრივ ინდიკატორები, რომლებიც მიგვითითებენ სისტემის გარკვეულ მდგომარეობაზე (მაგალითად, კონსტიტუციური წესრიგის უწყვეტელობა) და მისი ფაქტორები – ლეგიტიმურობა, აქტიური მხარდაჭერა და ეფექტური გადაწყვეტილებები. კონსტიტუციური წესრიგის უწყვეტელობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი ლეგიტიმურობის სიმტკიცეზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად არის განპირობებული ეფექტური გადაწყვეტილებებით, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ დამოკიდებული აქტიური სოციალური მხარდაჭერის შექმნაში. ამიტომ პოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც ვლინდება კონსტიტუციური წესრიგის უწყვეტელობაში, არის ლეიფჰარტის მიერ ჩამოთვლილი სხვა ფაქტორების შედეგი. ამის გამო, ლეიფჰარტის განსაზღვრებაში ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ პოლიტიკური სტაბილურობის ინდიკატორები და მისი ფაქტორები.

ჩვენი აზრით, დესტაბილიზაცია პოლიტიკური სისტემის ისეთ მდგომარეობაა, როცა იშლება ბატონობა-მორჩილების მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს მას, რაც ვლინდება მოსახლეობის ან მისი ნაწილის მასობრივი ხასიათის აშკარა დაუმორჩილებლობაში, რის გამოც მთავრობა კარგავს მართვის შესაძლებლობას მთელ ქვეყანაში ან მის ნაწილში. პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა გულისხმობს ბატონობა-მორჩილების არსებული სისტემის შეუფერხებლად ფუნქციონირებას.

სოციალური მობილობა, ინტერესები და ელიტური მხარდაჭერის ფორმირება

პოლიტიკური სისტემის წარმოშობა, ფუნქციონირება და შეცვლა კონკრეტულ საზოგადოებრივ კონტექსტში მიმდინარეობს. პოლიტიკური სისტემა სწორედ საზოგადოებიდან წამოსული მოთხოვნების შედეგად იქმნება და როცა ვერ აკმაყოფილებს მათ, დესტაბილიზაციის მდგომარეობაში გადადის, რასაც შედეგად მოჰყვება მისი ფუნქციონირების კორექტირება, ახალი სტრუქტურული ელემენტების გაჩენა ან მთლიანად სისტემის შეცვლა ახლით. საზოგადოების მოთხოვნა არტიკულირებული ინტერესების სახით შედის პოლიტიკურ სისტემაში. სა-

ზოგადოება წარმოადგენს იმ ინტერესების წყაროს, რომელთა არტიკულაცია და აგრეგაცია წარმოქმნის პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა/დესტაბილიზაციას. ამიტომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, კლასობრივი, რელიგიური, ეროვნული, რასობრივი შემადგენლობა, საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები, მათი სიღრმე და ა.შ. წარმოშობს პოლიტიკური სისტემის კონკრეტულ საზოგადოებრივ გარემოს და აისახება მასში. საზოგადოება და მისი შემადგენელი ნაწილები ქმნიან ინტერესთა არტიკულაციის საზოგადოებრივ ბაზას – საერთო სპეციფიკური ნიშნის მქონე ადამიანთა ერთობას, რომლის საერთო მახასიათებლის საფუძველზე ხდება მისი საერთო ინტერესების შეცნობა და მათი არტიკულაცია – პოლიტიკურ მოთხოვნად გარდაქმნა. ინტერესების არტიკულაციის საზოგადოებრივ ბაზას ქმნიან სხვადასხვა კლასები, ერები, ეთნიკური და ენობრივი ჯგუფები, რელიგიური ჯგუფები, ბიზნესის სხვადასხვა ჯგუფები, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა, მთელი საზოგადოება, სხვადასხვა ფირმები და ა.შ. მთელი პოლიტიკური ცხოვრება სხვადასხვა ინტერესის განხორციელებაზე მიმართულ აქტიურობას წარმოადგენს. ინტერესად შეიძლება მივიჩნიოთ ყველაფერი ის, რასაც სარგებლობის მოტანა შეუძლია კონკრეტული ადამიანების, მათი ჯგუფების ან მთლიანად საზოგადოებისათვის. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, კონკრეტული კანონი, რომელიც გადასახადებისაგან ათავისუფლებს ინდივიდუალურ მეწარმეებს ან ქუჩაში ვაჭრობის ნებას იძლევა, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ბაზრობებზე მოვაჭრეთა ინტერესებს, რომლებიც, ქუჩაში მოვაჭრეებისაგან განსხვავებით, გადასახადებს უხდიან ბაზრის მეპატრონეებს, რაც აუარესებს მათ მდგომარეობას გარემოვაჭრეებთან კონკურენციისას. ინტერესის ობიექტია ყველაფერი ის, რასაც სარგებლობა მოაქვს ინტერესის სუბიექტისათვის – ადამიანის, საზოგადოების ან მისი ნაწილისათვის, საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის. ინტერესის სუბიექტია ყველა, ვინც სარგებლობას იღებს ინტერესის ობიექტისაგან, ინტერესის შინაარსი კი ის სარგებელია, რომელიც ინტერესის ობიექტს მოაქვს ინტერესის სუბიექტისათვის. მაგალითად, ფრანგი გლეხი საფრანგეთის რევოლუციის სუბიექტია, რადგანაც მან ისარგებლა ამ მოვლენით და მიიღო მიწა. ამ შემთხვევაში გლეხების ინტერესის ობიექტია საფრანგეთის რევოლუცია, რომელმაც მათ სარგებლობა მოუტანა, ხოლო ინტერესის შინაარსი კი მიწის მიღებაა. ინტერესები განსხვავდება დიაპაზონით – ფართოა და ვიწრო, ჯგუფური ან ინდივიდუალური. ასეთია, მაგალითად, ეროვნული და ფერმერთა ან ექსპორტიორთა ინტერესი. ინტერესები განსხვავდება საზოგადოების განვითარებისადმი დამოკიდებულებით – პროგრესულია ან რეაქციული; პოლიტიკაზე გავლენის მიხედვით – არის ძლიერი და სუსტი გავლენის; ინტერესის გავლენით მისი სუბიექტის

მიზნებსა და საჭიროებებზე – არსებობს ძლიერი და სუსტი ინტერესები. მაგალითად, საქართველოს ინტერესები უფრო სუსტი გავლენით სარგებლობს, ვიდრე რუსეთისა ან აშშ-ის. საქართველოთი რუსეთის ან ამერიკის დაინტერესება უფრო ძლიერია, ვიდრე ნიკარაგუასი.

ინტერესები შეიძლება იყოს ანტაგონისტური და არაანტაგონისტური. ანტაგონისტურია ისეთი ინტერესები, როცა ერთი მათგანის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ მეორის ხარჯზე. არსებობს სტრატეგიული და ტაქტიკური ინტერესები და სხვა. პოლიტიკური სისტემის კონკრეტულ საზოგადოებრივ გარემოს ქმნის საზოგადოების ჰომოგენურობის დონე, იქ არსებული წინააღმდეგობის სიღრმე, რამდენად არის გახლეჩილი საზოგადოება, როგორ არის წარმოდგენილი გამყოფი ხაზები, რამდენად დიდია საზოგადოების წევრებს შორის არსებული სოციალური დისტანცია, რამდენად დაშორებულნი არიან ისინი ერთმანეთს. ყველაფერი ეს ართულებს ან აადვილებს ინტერესების არტიკულირებას, რაც, შესაბამისად, ზრდის ან ამცირებს დესტაბილიზაციის საფრთხეს. საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები მხოლოდ იმ შემთხვევაში უქმნიან პრობლემებს სტაბილურობას, თუ პოლიტიკურად არიან აქტივიზირებულნი და იდეოლოგიურად არტიკულირებულნი.

პოლიტიკური სისტემის კონკრეტული საზოგადოებრივი გარემოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია საზოგადოების სტრატიფიკაციური სისტემა, რომელიც სოციალური იერარქიის მოდელს განსაზღვრავს. სოციალური სტრატიფიკაციის ცნებას სოციოლოგები იყენებენ სოციალური უთანასწორობის აღსანიშნავად. მასში იგულისხმება ადამიანების ჯგუფებს შორის არსებული სტრუქტურული განსხვავება (2,195). სოციალური სტრატიფიკაცია ფორმირდება სოციალური მობილობის საფუძველზე, რომელსაც გიდენსი განმარტავს როგორც ცალკეული პირების ან ჯგუფების გადაადგილებას სოციალურ-ეკონომიკურ პოზიციებზე (2, 221).

პოსტკომუნიზმი გარდამავალი, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოების არსებობას გულისხმობს. მისი ფუნქციონირების შინაარსს საქართველოში განსაზღვრავს ძველი სოციალური სტრატიფიკაციის სისტემის დაშლა და ახლის შექმნა, სოციალური იერარქიის ძველი მოდელების გაქრობა და ახლის წარმოშობა, პროცესები, რომელიც მიმდინარეობს ღარიბ საზოგადოებაში, სადაც ძალიან მწირია მის წევრებს შორის გასანაწილებელი სიკეთეები, ხოლო დაღმავალი სოციალური მობილობა კი მნიშვნელოვნად აღემატება აღმავალს, რასაც თან ახლავს მატერიალური სიკეთეების მასობრივი დაკარგვა. ასეთი კონკრეტული საზოგადოებრივი გარემო მწვავე გამოწვევების წინაშე აყენებს პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობას, რაც მტკიცე მასობრივი მხარდაჭერის შენარჩუნების სირთულესთან არის დაკავშირებული.

ასეთ პირობებში ხელისუფლება ქმნის ელიტურ მხარდაჭერას, რისთვისაც იყენებს მის ხელთ არსებულ რესურსებს. ელიტური მხარდაჭერის ცნება შემოიტანა დ. ვ. ებერვეინმა მეორე და მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის, რომელთა რეჟიმები სახალხო მხარდაჭერის დეფიციტს განიცდიდნენ და რეპრესიულ ხასიათით გამოირჩეოდნენ. მისი აზრით, დასავლეთის სისტემები მთლიანად იყო დამოკიდებული მასობრივ მხარდაჭერაზე, ხოლო მეორე სამყაროში კი ასეთ მხარდაჭერაზე მოდიოდა მხარდაჭერის საერთო მოცულობის მხოლოდ 25% (3). მედვედევის აზრით, კონკრეტული სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი მიუთითებს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ბალანსი ელიტარულსა და ხალხის მხარდაჭერას შორის. ავტორიტარული რეჟიმები დაინტერესებულნი არიან ელიტების სტატუსების კონსოლიდაციითა და განმტკიცებით, რადგანაც ამის სანაცვლოდ ისინი იღებენ მხარდაჭერას. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ როგორც ავტორიტარიზმი, ასევე ტოტალიტარიზმიც შეიძლება სარგებლობდეს ხალხის მასობრივი მხარდაჭერით. ამიტომ არ არის სწორი, რომ ხალხის მხარდაჭერა მხოლოდ დემოკრატიას დავუკავშიროთ. ამის მაგალითია პერონის დიქტატურა არგენტინაში, რომელსაც მხარს უჭერდა მუშათა კლასი ან კიდევ ჰიტლერის რეჟიმი გერმანიაში, რომელიც მასობრივი მხარდაჭერით სარგებლობდა. თუმცა პოსტსაბჭოთა ქვეყნების სინამდვილეში ელიტური მხარდაჭერა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში. მედვედევის აზრით, რუსეთის პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა სწორედ ელიტურ მხარდაჭერას ეფუძნება. რუსული ელიტის შიგნით ის გამოყოფს 4 ძირითად ელიტურ ჯგუფს:

- პოლიტიკური ელიტა, რომელშიც შედიან სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების აპარატის თანამშრომლები და ყველა დონის წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატები;
- სამხედრო ელიტა – შეიარაღებული ძალების ოფიცერთა უფროსი შემადგენლობა და შიდა უსაფრთხოების ძალების (შსს, ფედერალური უსაფრთხოების სამსახური) პასუხისმგებელი თანამშრომლები;
- ბიზნესელიტა;
- სამოქალაქო ელიტა, რომელშიც შედის განათლების, ჯანდაცვის სისტემების, კულტურის, სოციალური უზრუნველყოფის, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელები (3).

როცა მედვედევი საუბრობს რუსეთში არსებული ელიტური მხარდაჭერის შესახებ, ის ხაზს უსვამს იმასაც, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო (პატრონომიური აზროვნების შენარჩუნებული არქეტიპების, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კორპორატიული ეთიკის და სხვ.), მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მჭიდროდ არის დაკავშირებული

შესაბამის ელიტურ ჯგუფებთან (3). ვფიქრობთ, რომ მედვედევის მიერ ჩამოთვლილი ელიტური ჯგუფები ქართული ელიტის სტრუქტურასაც ახასიათებს და შესაძლებელია გარკვეული მცირე კორექტირებით გამოყენებული იყოს ელიტური მხარდაჭერის კვლევისათვის საქართველოში. ამ აზრს ისიც ამტკიცებს, რომ მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ სწორედ ამ ჯგუფებზე მიიტანა იერიში, ძირფესვიანად შეცვალა მათი შემადგენლობა და ამით უზრუნველყო ელიტური მხარდაჭერის შექმნა. ელიტების ამ ჯგუფების მიერ ხელისუფლების მხარდაჭერის სანაცვლოდ მიღებული სარგებლობა ნაწილდება ქვევით, საზოგადოების იმ წევრებზე, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობით ამ ელიტურ ჯგუფებზე არიან დამოკიდებულნი.

საქართველოში ელიტური მხარდაჭერა გარკვეულ ისტორიულად განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში ყალიბდება. აქ პერიოდულად ხდებოდა ხელისუფლებასთან შეზრდილი მთავრობების არაკონსტიტუციური ცვლა ფართო სოციალური მხარდაჭერის საფუძველზე, რასაც გაზრდილი მოლოდინები ედო საფუძვლად, მაგრამ ყოველი ახალი მთავრობა მალევე კარგავდა მხარდაჭერას მასობრივი ფრუსტრაციის გამო. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება, მცირე რესურსების, ინტერესების დავიწროებისა და პრაგმატიზაციის გამო, მუდმივად დგას ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისა და სოციალური ბაზის შენარჩუნების პრობლემის წინაშე. ასეთ პირობებში, მასობრივი მხარდაჭერის დასუსტების ფონზე საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებისათვის მთავრობა იყენებს სოციალური მობილობის ვიწრო და მცირერიცხოვანი არხების კონტროლს ელიტარული მხარდაჭერის ფორმირებისა და შენარჩუნებისათვის. ამ არხებს შორის უპირველესია ბიუროკრატიულ და პოლიტიკურ თანამდებობებზე მოხვედრა და დაწინაურება, ბიზნესელიტაში შესვლა ან იქ ადგილის შენარჩუნება, საკუთარი მომხრეებისათვის ბიზნესის შექმნა და ბიზნესში წარმატებისათვის ხელშეწყობა. ამ უკანასკნელის ყველაზე კარგი მაგალითია ე. შევარდნაძის დროს კრედიტების ფართოდ დარიგება მისი მომხრეებისათვის, რაც აფართოებდა მისი ხელისუფლების სოციალურ ბაზას ისეთი ბიზნესსაზოგადოების შექმნით, რომელიც თავისი ბედით პოლიტიკურ ხელისუფლებასთან იყო დაკავშირებული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მაშინ, როცა ახალი ხელისუფლება ჯერ კიდევ სუსტი იყო და არსებობდა გამსახურდიას ხელისუფლების რესტავრაციის საფრთხე. ელიტურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აგრეთვე ხელისუფლების შეზრდა ბიზნესთან, როცა გავლენიანი პოლიტიკოსები და მაღალი თანამდებობის პირები ქმნიან საკუთარ ბიზნესს ან კიდევ მფარველობენ მას, მაგალითად, შევარდნაძის დროინდელი კავშირგაბმულობის მინისტრი ინჯია, რომელიც ჩვეულებრივი ინჟინრიდან მილიონერად იქცა, შევარდნაძის გარემოცვა და ნათესავები, სააკაშვილის

დროინდელი მაღალჩინოსანი კეზერაშვილი და ა.შ. ან კიდევ პირიქით, ბიზნესის წარმომადგენლები მთავრობის ხელშეწყობით ხდებიან მაღალი თანამდებობის პირები პოლიტიკასა და სახელმწიფოში, მაგალითად, მაჟორიტარი დეპუტატები და სააკაშვილის მომხრეები – პსპ-ის მფლობელი ოქრიაშვილი, სამედიცინო ბიზნესის წარმომადგენელი თოდუა, ბიზნესმენი სამადაშვილი და სხვ. ბიუროკრატიულ აპარატში შედარებით დაბალ თანამდებობაზე მოხვედრის კონტროლი უზრუნველყოფს აგრეთვე არსებული ხელისუფლებისათვის საზოგადოების ქვედა ფენების მცირე ნაწილის მხარდაჭერასაც. მთლიანობაში საქართველოს ხელისუფლებას ძალიან მცირე რესურსები აქვს მასობრივი მხარდაჭერის შენარჩუნებისა და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებისათვის, რაც ასუსტებს მის ლეგიტიმურობას და ქმნის დესტაბილიზაციის წინაპირობას.

ახალი სტრატიფიკაციური სისტემის ფორმირების საფუძველი სოციალური მობილობაა. მის საფუძველზე ხდება შესაბამისი ადგილების დაკავება სტრატიფიკაციისა და სოციალური იერარქიის ახალ სისტემაში და ახალი სოციალური იდენტობებისა და ინტერესების გაჩენა. ამის შედეგად ინტერესების არტიკულაციის ჰომოგენური საზოგადოებრივი ბაზა უფრო დისკრეტული და წინააღმდეგობრივი გახდა, რის გამოც გართულდა სხვადასხვა ინტერესთა აგრეგაცია და ყველასათვის მისაღები პოლიტიკური კურსების ფორმირების პროცესი. პოსტკომუნისტური სოციალური მობილობის მიერ წარმოშობილმა ახალმა იდენტობებმა გამოიწვია არა მხოლოდ ახალი ინტერესების წარმოშობა, არამედ მათი დავიწროებაც, რასაც თან ახლავს მათ შორის წინააღმდეგობების გაღრმავება. ეს აძლიერებს საზოგადოების კონფლიქტურ ხასიათს, საფრთხეს უქმნის მის სტაბილობას და ართულებს საზოგადოებრივი მხარდაჭერის შენარჩუნებას. ვიწრო და კონფლიქტური ინტერესების პირობებში ძნელია ეფექტური გადაწყვეტილების მიღება, რომელიც საზოგადოებრივ კონსენსუსსა და ხელისუფლების ლეგიტიმაციის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. ამის კარგი მაგალითია ზესტაფონის ბაზრის ირგვლივ განვითარებული ისტორია, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა, ერთი მხრივ, ბაზრის მეპატრონის, ხოლო მეორე მხრივ კი, ბაზარში მოვაჭრეთა ინტერესები. იმის გამო, რომ ბაზრის მეპატრონემ გადაწყვიტა ბაზრის ფართობის სხვა, უფრო სარფიანი, ბიზნესისათვის გამოყენება, იქ დასაქმებულ კერძო მოვაჭრეებს მოსთხოვა ბაზრის დაცლა. ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა ამ უკანასკნელთა ინტერესებს, რომლებსაც ბანკის კრედიტები ჰქონდათ გასასტუმრებელი და არც ახალ ბაზარში გადასვლა აწყობდათ, რასაც მათ მეპატრონე სთავაზობდა. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ საჭირო გახდა ადგილზე ზესტაფონის მაჟორიტარის ჩასვლა, რომელიც მმართველი კოალიციის – „ოცნების“ – წარმომადგენელი იყო. საბო-

ლოო ჯამში, გადაწყვეტილება მაინც მეპატრონის სასარგებლოდ იქნა მიღებული, რამაც შეასუსტა მმართველი პოლიტიკური გაერთიანების ავტორიტეტი. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს ახალ სოციალურ იერარქიაში დაკავებული ადგილის პოლიტიკური მნიშვნელობა, თანამედროვე სტრატიფიკაციური სისტემის კონფლიქტური ხასიათი, აღმავალი და დაღმავალი სოციალური მობილობის ტალღების ურთიერთდაპირისპირება, რაც წარმოშობს კონფლიქტს. ბაზრის მეპატრონის ბიზნესის ზრდა, მისი წარმატება ბიზნესში, ბაზარში მოვაჭრეთა დაღმავალი მობილობის გაძლიერების ხარჯზე მოხდა.

ფორმალური და არაფორმალური სოციალური ლიფტები, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ამორტიზატორები

პოსტკომუნიზმზე გადასვლამ წარმოშვა სოციალური მობილობის ახალი არხები. ისინი შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დავყოთ – სოციალური მობილობის ფორმალურ და არაფორმალურ არხებად.

ძველი პოლიტეკონომიური სისტემის ნგრევამ გამოიწვია დაღმავალი სოციალური მობილობის მასობრივი ტალღის წარმოშობა, ძველი სოციალური იერარქიის დაშლა და ახალი სტრატიფიკაციური სისტემისა და სოციალური იერარქიის ფორმირების პროცესის დაწყება, რომელიც სტიქიურად მიმდინარეობდა. ამ სიტუაციაში ყალიბდება არაფორმალური სოციალური ლიფტები, როგორიცა კონტრაბანდა, მასობრივი კორუფცია, თანამდებობების პირადი ინტერესებისათვის გამოყენება, უკანონო ბიზნესი, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ახალი სტრატიფიკაციური სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და სოციალურ კიბეზე დაწინაურებისათვის, ახალი პოლიტეკონომიური ელიტის ფორმირებაში. პოლიტიკური ხელისუფლება აქტიურად იყენებდა ამ ლიფტებს საზოგადოებრივი დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად და პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ამავე დროს არაფორმალური სოციალური ლიფტები საშუალებას აძლევდა ბევრ რიგით ადამიანს, გაეუმჯობესებინა თავისი მატერიალური კეთილდღეობა, თავი დაეღწია უმუშევრობისა და შიმშილისაგან. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი ცხოვრებისეული ისტორია. ჩვენ საშუალება მოგვეცა ინტერვიუ აგვეღო ერთ-ერთი კონტრაბანდისტისაგან გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში. ჩვენი რესპონდენტი იყო გორის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი. მას არ ჰქონდა სამეცნიერო ხარისხი. იყო 26 წლის, უცოლო, მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, სადაც დაჭრეს მუცლის არეში. ის დაკავებული იყო კონტრაბანდული ფქვილის შემოტანით. აღსანიშნავია, რომ რესპოდენტი სავსებით უსაფრთხოდ გრძნობდა თავს და ისე საუბრობდა თავისი კონტრაბანდის შესახებ, თითქოს ჩვეულებრივი კანონიერი საქმიანობით ყოფილიყო დაკავებული, რამაც ჩვენი გაოცება გამოიწვია.

კონტრაბანდისტულმა საქმიანობამ მას საშუალება მისცა, შეეძინა მიწა, რომელსაც დაქირავებული მუშახელით ამუშავებდა და საკუთარი უკანონო ბიზნესი ლეგალურად გაეფართოებინა აგრარულ სფეროში. სხვადასხვა დონის ადგილობრივ ბიუროკრატიასთან კავშირი საშუალებას აძლევდა ბევრ ადამიანს, რომ გაეხსნა თავისი მაღაზია, წამოეწყო მცირე ან დიდი ბიზნესი, წილში შეეყვანა სხვადასხვა დონის ბიუროკრატები და მათი მფარველობით ემოქმედა.

ახალი სტრატიფიკაციური სისტემის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა ხელისუფლება. ამისათვის ის იყენებდა როგორც ლეგალურ, ასევე უკანონო საშუალებებს, რითაც იჩენდა მხარდამჭერებს. ის თავდებად უდგებოდა სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლებს უცხოური კრედიტების აღებისას, მფარველობდა თავის მომხრე ბიზნესმენებს ან სულაც ბიზნესს აწყებინებდა პოლიტიკურ მომხრეებს. ამით ის ცდილობდა, რომ ლეგალური და არალეგალური გზით შეექმნა ქართული ბურჟუაზია. ასეთ პირობებში ქართული პოსტკომუნიზმის დასაწყისში სოციალური მობილობის არაფორმალური არხები ასრულებდნენ სოციალური და პოლიტიკური ამორტიზატორის ფუნქციას, რადგანაც ასუსტებდნენ საზოგადოების ზეწოლას პოლიტიკურ სისტემაზე, რაც ხელს უწყობდა პოლიტიკურ სტაბილურობას. ამგვარად აღმავალი სოციალური მობილობა გამოდის სამართლებრივი სივრციდან, იწვევს სახელმწიფოს შეზრდას კერძო ინტერესებთან, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის არსებული დისტანციის მინიმალურამდე შემცირებას და სახელმწიფოს, როგორც ადმინისტრაციული მექანიზმის, დასუსტებას. ამდენად, ის უძლურია დაიცვას პოლიტიკური კურსები და უკან იხევს საზოგადოებიდან წამოსულ წინააღმდეგობის წინაშე. ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ბიუროკრატია, რომელიც შეზრდილი იყო ეკონომიკურ სისტემასთან და საკუთარ ინტერესებს უქვემდებარებდა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას. ეს განპირობებული იყო სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის ფორმირებაში მისი მონაწილეობით, რისთვისაც აქტიურად იყენებდა თანამდებობებს პირადი ინტერესებისათვის, ეკონომიკურ სისტემაში დაწინაურებისათვის. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ბევრი მათგანი ან საკუთარ ბიზნესებს ქმნიდა, ან კიდევ საკუთარი ინტერესებით იყო დაკავშირებული ბიზნესწრეებთან, მფარველობდა მათ წილების მიღების სანაცვლოდ. ასეთი მეთოდებით ბიუროკრატიის ერთი ნაწილი ადგილს იმკვიდრებდა ეკონომიკურ სისტემაში და წარმოადგენდა ქართული ბურჟუაზიის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. გადადგომის შემდეგ ისინი დაწინაურებულ ადგილს იმკვიდრებდნენ ეკონომიკურ სისტემაში. ბიუროკრატიიდან ბიზნესში გადასვლის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს თბილისის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი ზეიკიძე, რომელიც გადადგომის შემდეგ მეწარმე გახდა (გა-

მოდიოდა ძეხვი „ზეიკიძე“), ასევე მისი ყოფილი კოლეგა ალავიძე, რომელიც გადადგომის შემდეგ წავიდა ბიზნესში. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ბიუროკრატიის ყველა წარმომადგენელი ასეთ წარმატებებს აღწევდა გადადგომის შემდეგ. არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ ყველა უკლებლივ უკანონო შემოსავლებს იღებდა ბიზნესიდან. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პირადი ინტერესებით არ იყვნენ დაკავშირებული ბიზნესთან, პატიოსნად ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობებს, მაგრამ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ საერთო ტენდენციას.

არაფორმალური სოციალური ლიფტების მასობრივი გავრცელება შევარდნაძის ხელისუფლების დროს იწვევდა ინტერესების დავიწროებასა და პრაგმატიზაციას, რაც საშუალებას აძლევდა მთავრობას, რომ თავიდან აეცილებინა პოლიტიკურ სისტემაზე ზეწოლა, ასუსტებდა სახელმწიფოს როლს საზოგადოების ცხოვრებაში, შლიდა სახელმწიფო დისციპლინას, ამკვიდრებდა კანონისადმი უპატივცემლობას. თუმცა, ამავე დროს, პოსტკომუნიზმის დასაწყისში, სოციალური მობილობის არაფორმალური არხები ასრულებდნენ სოციალური და პოლიტიკური ამორტიზატორების ფუნქციას და ხელს უწყობდნენ პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას, რადგანაც ასუსტებდნენ საზოგადოების ზეწოლას პოლიტიკურ სისტემაზე. პიროვნული, არაფორმალური ურთიერთობებისა და ქცევის ნორმების დომინირება კანონსა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ინტერესებზე აბრკოლებდა დემოკრატიზაციის პროცესების გაღრმავებას, ხელს უწყობდა წარსულიდან მიღებული ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურის გაძლიერებას, ასუსტებდა პარტისიპატორული პოლიტიკური კულტურის გამომუშავებისათვის საჭირო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებს. არაფორმალური სოციალური ლიფტების მასობრივი გავრცელება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას უმორჩილებდა კერძო ინტერესებს, ასუსტებდა სახელმწიფოს, აბრკოლებდა სამართლებრივი კულტურის განვითარებას. სახელმწიფო ბიუროკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილის კერძო ინტერესებთან შეზრდამ სახელმწიფოს დააკარგვინა საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის უნარი, რამაც, თავის მხრივ, დაასუსტა არსებული ხელისუფლების ლეგიტიმურობა. ასეთ პირობებში, პოლიტიკურ ელიტაში მომხდარი განხეთქილების შედეგად, მისი ერთი ნაწილი მ. სააკაშვილის მეთაურობით, რომელსაც ჰქონდა სათანადო მატერიალური რესურსები, ორგანიზაცია და უცხოური მხარდაჭერა, ხალხის უკმაყოფილების საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების საშუალებით ახდენს პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციასა და სახელმწიფო გადატრიალებას, რომელიც ცნობილია „ვარდების რევოლუციის“ სახელით.

ამ პოლიტიკური ცვლილების შედეგად შექმნილი ახალი ხელისუფლება სოციალური მობილობის პროცესებს ფორმალურად აქცევს სამართლებრივ სივრცეში, მაგრამ ისე, რომ ის თავის კონტროლს დაუმორჩილოს და, ელიტური მხარდაჭერის შექმნის საშუალებით, გამოიყენოს საკუთარი სოციალური ბაზის განსამტკიცებლად. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ბიუროკრატიასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობებზე ინიშნებოდნენ მომხრეები. ამ მიზნით, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მათ მასობრივად თანამდებობიდან დაითხოვეს ყველა მოხელე, რომელთა ასაკი იყო 40 წელი და აღემატებოდა მას, რითაც კიდევ უფრო გააძლიერეს დაღმავალი სოციალური მობილობა, რამაც უარყოფითად იმოქმედა სოციალური ბაზის განმტკიცებაზე. დაღმავალი მობილობის ტალღა შეეხო უმაღლეს სასწავლებლებსაც, სადაც მასობრივად გაათავისუფლეს პროფესორ-მასწავლებლები და პერსონალი. როგორც აკადემიურ, ასევე ბიუროკრატიულ თანამდებობებზე დანიშვნა ინიღბებოდა კონკურსების საშუალებით, რომლებიც არ ტარდებოდა გამჭვირვალედ და ხელს უწყობდა ხელისუფლებისათვის სასურველი კადრების დაწინაურებას ან თანამდებობებზე დატოვებას. კონკურსების შემადგენელი ნაწილი იყო გასაუბრება, რომელიც წარმოადგენდა ფილტრს იმ არასასურველი კანდიდატების განსათესად, რომლებიც შეძლებდნენ, რომ რამენაირად გასულიყვნენ კონკურსში საკუთარი ობიექტური მონაცემებით. ამის შედეგად უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა ე.წ. „ნომენკლატურული პროფესურა“ – ხელისუფლების ყველაზე ერთგული დასაყრდენი უმაღლეს სასწავლებლებში. დაღმავალი სოციალური მობილობა მწვავედ შეეხო ბიზნესს, რომლის წარმომადგენლებსაც აიძულებდნენ, უარი ეთქვათ წინა ხელისუფლების დროს შეძენილი ქონებაზე, რის გამოც მისმა ბევრმა წარმომადგენელმა დაკარგა ბიზნესი. ამგვარად, ბიუროკრატიულ იერარქიასა და ბიზნესში გადაადგილების კონტროლი ახალი ხელისუფლების ხელში აღმავალ სოციალურ მობილობას ელიტური მხარდაჭერის შექმნის სამსახურში აქცევდა. სააკაშვილის დროს დაღმავალი სოციალური მობილობის გაძლიერებას ხელს უწყობდა აგრეთვე აღრიცხვისა და კონტროლი გამკაცრება, რაც ამძიმებდა სახელმწიფოს შენახვის ტვირთს ღარიბი საზოგადოებისათვის. მასობრივი კორუფცია, როგორც აღმავალი სოციალური მობილობის არაფორმალური ლიფტი, დაავიწროვა ელიტურმა კორუფციამ. აღმავალი სოციალური მობილობის ლიფტების შემცირებას, მათ ფორმალურად სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევასა და გამტარუნარიანობის დავიწროებას ემატებოდა რეპრესიული პოლიტიკა შრომის სფეროში, პროფკავშირების შევიწროება, მოკლევადიანი შრომითი კონტრაქტების გაფორმება, რაც დაქირავებულებს დამქირავებელთა კონტროლს უმორჩილებდა, რომლებიც, თავის მხრივ, ფინანსური კონტროლის მექანიზმე-

ბის საშუალებით, ხელისუფლების პოლიტიკურ კონტროლს იყვნენ დაქვემდებარებულნი, რაც ასევე ელიტური მხარდაჭერის შექმნას ემსახურებოდა. ელიტური მხარდაჭერის შექმნა ძირს უთხრიდა რეჟიმის ლეგიტიმურობას. ამიტომ ის ხდებოდა ხალხის მხარდაჭერის ხარჯზე, რაც ასუსტებდა და ავიწროებდა „ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსული ხელისუფლების სოციალურ ბაზას. საზოგადოება ხელისუფლებიდან წამოსულ ზეწოლას სისტემატური საპროტესტო აქციებით პასუხობდა. შედეგად, სააკაშვილი იძულებული გახდა, საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა და, გარკვეული დროით, ფორმალურად გადამდგარიყო კიდევაც. დაღმავალი სოციალური მობილობის გაძლიერებამ, სოციალური ლიფტების რაოდენობრივმა შემცირებამ და მათი გამტარუნარიანობის დავიწროებამ გამოიწვია, რომ სააკაშვილი, რომლის რეჟიმიც მუდმივი დესტაბილიზაციის პირობებში ფუნქციონირებდა, ხელისუფლებას ლეგიტიმურად ჩამოშორებოდა.

მასობრივი დაღმავალი სოციალური მობილობის, როგორც დესტაბილიზაციის ფაქტორის, საწინააღმდეგოდ მოქმედებს ემიგრაცია, რომელიც უზრუნველყოფს სივრცით მობილობას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით აღმავალ სოციალურ მობილობაზე. მაგალითად, პიროვნება, რომელიც საქართველოში იყო უმუშევარი და სოციალურად დაუცველი, ემიგრაციაში იწყებს მუშაობას მომვლელად. ამით მისი სოციალური სტატუსი ოდნავ ამაღლდა უცხოეთის სოციალური სტრატიფიკაციის უმდაბლეს საფეხურზე გადანაცვლებით, მაგრამ ამავე გადაადგილებამ ემიგრაციაში ხელი შეუწყო საქართველოში მისი სტატუსის მნიშვნელოვან ამაღლებასაც – უცხოეთში მიღებული შემოსავლებით მან საქართველოში შეიძინა შემოსავლიანი ქონება (მაგალითად, ორი ბინა, რომელსაც აქირავებს), მიწის ნაკვეთი, დაიწყო ბიზნესი (მაგალითად, გახსნა მაღაზია), რითაც მოხდა მისი აღმავალი გადაადგილება საშუალო კლასში ან კიდევ, მარქსისტული გაგებით, ბურჟუაზიაში.

ემიგრაციის გავლენა საქართველოში სოციალური მობილურობის განვითარებაზე შემდგომ კვლევას საჭიროებს. ერთი რამ, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კი ნათელია, არის ის, რომ ემიგრაცია ხელს უწყობს აღმავალ სოციალურ მობილობას. თუმცა იმის გარკვევა, რამდენად ძლიერია ის, როგორც სოციალური ლიფტი, კონკრეტული რაოდენობრივი კვლევების ჩატარებას საჭიროებს. მისი გავლენის ძალა აღმავალ სოციალურ მობილობაზე დამოკიდებული უნდა იყოს ემიგრაციის ხანგრძლივობასა და ემიგრანტების მიერ მიღებულ შემოსავლებზე. ემიგრაცია არის ახალი სოციალური ლიფტი, რომელიც გაჩნდა დამოუკიდებელ საქართველოში. მისი დადებითი გავლენა სოციალურ სტაბილობაზე განპირობებულია იმით, რომ ის სახელმწიფოს

აშორებს ფეთქებად მასალას, უზრუნველყოფს აღმავალ სოციალურ მობილობას და ვალუტის შემოსვლას ქვეყანაში.

დაღმავალი სოციალური მობილობის გავლენა დესტაბილიზაციაზე დამოკიდებულია მასთან დაკავშირებული შემოსავლების კლებასა ან მატებაზე. სტრატიფიკაციური სისტემის ქვედა საფეხურზე ყოფნა ყოველთვის არ იწვევს დესტაბილიზაციას. ეს დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანების რაოდენობაზე, რომლებიც ამ მდგომარეობაში იმყოფებიან და იმაზე, თუ როგორია მათი შემოსავლები. მაგალითად, საქართველოში შესაძლებელია, რომ ადამიანს, რომელიც ჯერ ინჟინერი იყო, ხოლო შემდეგ დაღმავალი მობილობის შედეგად ხელოსანი გახდა, საკმარისი შემოსავალი ჰქონდეს და ოჯახში ჰყავდეს ორი ავტომობილი, ნორმალურად იკვებოს და დაიკმაყოფილოს სხვა, ძირითადად მატერიალური ხასიათის, მოთხოვნილებები. ასეთი სოციალური ტიპი სტაბილურობის გარანტია, რადგანაც დესტაბილიზაცია მის შემოსავლებს უქმნის საფრთხეს.

საქართველოს დეინდუსტრიალიზაციამ, სამეცნიერო სექტორის მნიშვნელოვნად შემცირებამ და საერთო ეკონომიკურმა დაქვეითებამ არსებითად შეავიწროვა აღმავალი სოციალური მობილობის შესაძლებლობები საქართველოში. ამის შედეგად დავიწროვდა არა მხოლოდ მისი მოცულობა, არამედ დადაბლდა მისი ჭერიც. ეს არის ძველი სოციალური ლიფტების გაქრობის ან კიდევ გამტარუნარიანობის დავიწროების, მათი საშუალებით სოციალურ კიბეზე აღმასვლის შემცირების შედეგი. გაქრა სოციალური მობილურობის ისეთი არხები, როგორიც იყო კომკავშირი და პარტია, მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები, საპროექტო ინსტიტუტები და ა.შ., სადაც შესაძლებელი იყო მასობრივი აღმასვლა მუშიდან, რიგითი თანამშრომლიდან დაწყებული და განყოფილების გამგით, დირექტორით ან თუნდაც მინისტრით დამთავრებული. დღეს დარჩა რამდენიმე მსხვილი საწარმო, მაგრამ იქ კარიერული წინსვლა შეზღუდულია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. დასუსტდა განათლების მნიშვნელობა აღმავალ სოციალურ გადაადგილებებში. დღეს უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდობის უმრავლესობა იძენს უფრო დაბალ სტატუსს, ვიდრე ეს მათ განათლებას შეესაბამება. მაგალითად, მუშაობს კონსულტანტად სუპერმარკეტში. ხოლო ბიზნესის დასაწყებად და იქ წარმატების მისაღწევად კი საერთოდ არ არის საჭირო უმაღლესი განათლება. გავრცელებული გამოთქმით, „ოროსნები ამუშავებენ ხუთოსნებს“. ზოგჯერ უცხოეთში მიღებული განათლებაც არ არის საკმარისი დასაწინაურებლად. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი შემთხვევა, რომელიც გაშუქდა ერთ-ერთი ტელევიზიით: ახალგაზრდას, რომელსაც დიდ ბრიტანეთში ჰქონდა მიღებული მაგისტრის წოდება, ძალიან გაუჭირდა სამსახურის შოვნა საქართველოში. პოტენციური დამქირავებლები მას უარით ისტუმრებდნენ იმ მოტი-

ვით, რომ ბუღალტრის თანამდებობას, რომლის დაკავების სურვილიც ამ ახალგაზრდას ჰქონდა, ასევე კარგად გაართმევდა თავს თსუ-ის კურსდამთავრებული, რომლისთვისაც გაცილებით უფრო ნაკლები უნდა გადაეხადათ, ვიდრე მისთვის.

ახალი სოციალური ლიფტებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ბიზნესი და არასამთავრობო ორგანიზაციები. ბიზნესის გავლენა სოციალურ სტაბილურობაზე, მისი, როგორც სოციალური ლიფტის, შესაძლებლობები ბევრად არის დამოკიდებული იმ საგადასახადო რეჟიმზე, რომელშიც მას უხდება ფუნქციონირება. ბიზნესის დაკარგვისა და გაკოტრების ტალღით გამოწვეული დაღმავალი მობილობა შეიძლება მძიმედ დაუჯდეს სახელმწიფოს. ბიზნესს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად საქართველოში. ბიზნესის, როგორც სოციალური ლიფტის, შესაძლებლობებს საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის იყენებდა ელიტური მხარდაჭერის შესაქმნელად, რაც იწვევდა ბიზნესის ფართო საზოგადოების უკმაყოფილებას.

ახალ სოციალურ ლიფტებს, ბიზნესთან ერთად, წარმოადგენენ პრივილეგირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტაბილურობის შენარჩუნებას ან დესტაბილიზაციას. არასამთავრობო ორგანიზაციის, როგორც დესტაბილიზაციის ხელშემწყობი ფაქტორის, მაგალითია „ღია საზოგადოება საქართველოს“ მონაწილეობა ე.წ. „ვარდების რევოლუციაში“.

დასკვნა

პოსტკომუნისტურია საზოგადოება, სადაც ძველი საზოგადოების ნგრევის საფუძველზე მიმდინარეობს ახლის შექმნა და განმტკიცება. ამ პროცესის არსებითი ნაწილი და საფუძველია ახალი სტრატიფიკაციური სისტემის ფორმირება, რაც არსებითად ცვლის პოლიტიკური სისტემის გარემოს და სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს მის სტაბილურობას. ახალი სტრატიფიკაციური სისტემა ვითარდება სოციალური მობილობის მანამდე არნახულად გააქტიურების პირობებში ორი – აღმავალი და დაღმავალი – მიმართულებით. მათ შორის ბალანსი მნიშვნელოვნად არის დარღვეული უკანასკნელის სასარგებლოდ, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის დესტაბილიზაციის პროცესების პერიოდული განმეორებისათვის. სოციალური მობილობის ამ ორ ტალღას შორის ბალანსის დარღვევის მიზეზია სოციალური ლიფტების შემცირება და მათი გამტარუნარიანობის დარღვევა. პოლიტიკური ხელისუფლება ამ მექანიზმების კონტროლის საშუალებით ახდენს ელიტური მხარდაჭერის ფორმირებას, რაც ხალხის მხარდაჭერის დასუსტებას იწვევს. ამის შედეგად, საქართველოში პერიოდულად ხდებოდა ხელისუფლების არაკონსტიტუციური ცვლა პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის საფუძველზე.

საერთოდ, საქართველოს ხელისუფლებას ძალიან მცირე რესურსები აქვს (და ჰქონდა) მასობრივი მხარდაჭერის შენარჩუნებისა და ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად, რაც ასუსტებდა მის ლეგიტიმურობასა და ავტორიტეტს. ამიტომ ის ყოველთვის ცდილობდა ელიტური მხარდაჭერის ფორმირებას, რაც მისი სოციალური ბაზის დასუსტების ხარჯზე ხდებოდა.

ბიბლიოგრაფია
References

Ahmad Shayeq Qassam. Afganistan's Political Stability: A dream unrealized. Published by Ashgate Publishing Limited, 2009.

Э. Гидденс. Социология. М., 1999.

Н. П. Медведев. Стабильность политической системы: теория и Росийская практика (http//cyberlenimka. ru).

Г.Ю. Семгин. Стабильность политическая (http//iph.ras.ru/elip/283.html.)

Valerian Dolidze
Assistant professor, TSU
Avtandil Tukvadze
Assistant professor, TSU

POLITICAL STABILITY AND SOCIAL MOBILITY IN THE POST-SOVIET GEORGIA

Summary

Social mobility is developing the new stratification system in post-communist Georgia, which affects the political stability of the country. Upward and downward mobility creates new social identities and interests that changes the social base of articulation of interests. So this base becomes discrete and contradictory. Therefore, the aggregation of interests and policymaking is becoming controversial. This threatens the stability of the political system. Post-communism creates new channels of social mobility, which can be divided into two groups - formal and informal. At the beginning of post-communism social informal mobility contributed to merging the state and society that slows down the process of democratization and the state's ability to solve social problems. This weakened the legitimacy of the current government and led to the "Rose Revolution". Post-Soviet Georgia is characterized by increased downward mobility which creates the danger of political destabilization. Reduction of the number and weakening of social lifts only endanger political stability if the need for upward mobility sharply higher than the number and capacities of social lifts.

გიორგი კვინიკაძე
ასისტენტი პროფესორი, თსუ

ლუიზა აბაზაძე
მოწვეული ლექტორი, თსუ

გეოეკონომიკური სტრატეგიები ცივი ომის კონტექსტში

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა შეთანხმებებმა, რომლებიც მიღებულ იქნა იალტისა (1945 წლის 4-11 თებერვალი) და პოტსდამის (1945 წლის 17 ივლისი – 2 აგვისტო) შეხვედრებზე, მნიშვნელოვნად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურაც და დინამიკაც. შედარებით კოჰერენტულ ორ ბლოკს შორის დაიწყო დაპირისპირება, რომელმაც 40 წელზე მეტ ხანს გასტანა. ამ პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკური ძალები გაერთიანდნენ აშშ-ის და საბჭოთა კავშირის ირგვლივ. ეს პერიოდი იმითაცაა საინტერესო, რომ ეკონომიკასა და პოლიტიკაში თავისუფალი ვაჭრობისა და ლიბერალური დემოკრატიის იდეებს ეტატიზმისა და ავტორიტარიზმის იდეებს შორის კონფლიქტი წარმოიქმნა. აშშ და საბჭოთა კავშირი კონფლიქტის მთავარი მონაწილენი იყვნენ. თუმცა კონფლიქტი მწვავედ განვითარდა იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ამ ორი მოდელის ცალკეული აქტორების შეთანაწყობისაკენ მიისწრაფოდნენ, ანუ ერთნი ცდილობდნენ გარკვეული ნაზავის მიღებას ლიბერალური დემოკრატიით და სახელმწიფო კაპიტალიზმით (მაგალითად ინდოეთი), ხოლო მეორენი – თავისუფალი მეწარმეობითა და სამხედრო ან/და ერთპარტიული მმართველობით (მაგალითად, „აზიის ვეფხვები“, ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა).

„ცივი ომისას“ აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირება მიმდინარეობდა ისეთ ატმოსფეროში, როდესაც დიდი იყო ბირთვული იარაღის გამოყენების საშისროება, ამიტომ ამ ორი ზესახელმწიფოს სამხედრო შეჯახება ორივე მხარისათვის დაუშვებლად მიიჩნეოდა. ამ ფაქტორის გამო, „ცივი ომის“ არსს წარმოადგენდა ორი სისტემის ეკონომიკური და პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც გარკვეულწილად გულისხმობდა „ომს ქანცის გაწყვეტამდე“. გამალებული შეიარაღება, სისტემათა შეჯიბრი სამხედრო და პოლიტიკური გავლენის სფეროებისათვის დეტალურადაა შესწავლილი, მაგრამ იმ პარადოქსული ეკონომიკური სვლების მეცნიერული ანალიზი, რომელსაც აშშ იყენებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ არასრულყოფილია.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ საერთაშორისო ურთიერთობებში გეოეკონომიკური მიდგომის ლიდერი აშშ გახდა. ანტიჰიტლერული სამოკავშირეო კოალიციის ფონზე დაიბადა „ერთიანი მსოფლიოს“ ახალი გეოეკონომიკური დოქტრინა (თანამედროვე გაგებით), რომლის ავტორები იყვნენ ამერიკელი დიპლომატები ჯორჯ ფროსთ ქენანი და უილიამ ქლეიითონი. მათ დაამუშავეს „შეკავების კონცეფციის“ ის ძირითადი დებულებები, რომელიც სხვა ასპექტებთან ერთად ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის ჩართვას ახალ მსოფლიო წესრიგში (Kennan, 1947). ჯ.ფ. ქენანის[1] აქტიური მონაწილეობით დამუშავებულ მარშალის გეგმაში, რომელსაც ოფიციალურად ეწოდებოდა „ევროპის რეკონსტრუქციის პროგრამა“ (European Recovery Program – ERP), გათვალისწინებული იყო ეკონომიკური დახმარების გამოყოფა საბჭოთა კავშირისათვის, რასაც ხელი უნდა შეეწყო ამ ქვეყნის მეტი ეკონომიკური გახსნილობისა და საბაზრო ურთიერთობის განვითარებისათვის. გეოპოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილმა იმდროინდელმა საბჭოთა იმპერიის მმართველმა ელიტამ მაშინ უარი თქვა ამ პროგრამაში მონაწილეობაზე. ეს უარი იყო საბჭოთა კავშირის დიდი სტრატეგიული შეცდომა, რადგან მომავალი სტრატეგია წარიმართა „წარმოების სწორხაზოვანი“ და არა „სტრატეგიის პარადოქსალური ლოგიკით“.

დიდი ამერიკელი სტრატეგი, პროფესორი ე.ნ.ლუტვაკი განასხვავებს „წარმოების სწორხაზოვან ლოგიკას“, „სტრატეგიის პარადოქსალური ლოგიკისაგან“. პირველი ლოგიკით, საწარმოო და კომერციულ საქმიანობისას, როგორც წესი, საქმე გვაქვს პასიურ და არასულიერ საგანთან ან/და რეალურ ან პოტენციურ პარტნიორთან, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ საქმიანი ურთიერთობა დასრულდეს კონსტრუქციული შედეგით. მეორე ლოგიკით, სამხედრო ომში ჩვენ წინაშეა მოწინააღმდეგე, რომელსაც აქვს მოქმედების თავისუფლება და სულაც არ არის დაინტერესებული, რომ საპირისპირო მხარისათვის პროცესი პოზიტიური შედეგით დასრულდეს. საომარი მოქმედებებისას არავის არ აქვს მითითება, იყოს კონსტრუქციული, პირიქით, ეშმაკობა და მოტყუება ამ დროს მამაცობადაა გადაქცეულია, ხოლო ალოგიკურმა, არასტანდარტულმა და პარადოქსალურად მოქმედების უნარმა შეიძლება მოიტანოს იმაზე მეტი სარგებელი, ვიდრე ყველაზე ჭკვიანურმა და გონივრულმა ნაბიჯებმა (Luttwak, 2001).

აღნიშნული სიტუაციის არაპირდაპირი ახსნა მოცემულია ე.ნ. ლუტვაკის ნაშრომში „ბიზანტიის იმპერიის სტრატეგია“ (Luttwak, 2009). აქ აშკარად იკვეთება სტრატეგიის შემადგენელი ხუთი კონცეფცია, რომლებითაც შეიძლება გაანალიზდეს დიდი იმპერიის შექმნის, არსებობის და დაშლის პროცესი.

[1] იმ დროს ჯ.ფ. ქენანი იყო აშშ-ის ელჩის მოადგილე საბჭოთა კავშირში .

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია „იმპერიის ტერიტორიის ოპტიმალური ზომის კონცეფცია“, რომლის მიხედვითაც, თუ ქვეყანა ძალიან პატარაა, მას არ შეუძლია საკმარისი რესურსების მობილიზება იმისათვის, რომ გახდეს გეოპოლიტიკური არენის ღირსეული მოთამაშე. იმპერიას, თუ მან კონტროლის ქვეშ მოაქცია განსაკუთრებით დიდი ტერიტორია, რაღაც მომენტში უჭირს თავისი სამფლობელოების ეფექტური მართვა. მაგალითად, რომი იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავისი პროვინციების ნაწილზე – ადრე მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე (ბრიტანია), რამდენადაც მას არ შეეძლო მათი ეფექტური მართვა. ამის გარდა, ამ ქვეყნების შენარჩუნება მოითხოვდა, რომ იქ მუდმივად ყოფილიყო მანიშვნელოვანი სამხედრო კონტინგენტი.

მეორეა „ოპტიმალური სირთულის კონცეფცია“, რომლის მიხედვითაც, იმპერიის განკარგულებაში არსებული ადმინისტრაციული სისტემა საკმაოდ კომპლექსური და, იმავდროულად, დიფერენცირებული უნდა იყოს იმისათვის, რომ შეეძლოს იმპერიის სამფლობელოების მართვა. თუ იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური, გეოგრაფიული, ეთნიკური და კულტურული მოწყობა აღმოჩნდება რთული, კოლონიები კი – საკმაოდ მრავალფეროვანი, მაშინ ამ ტერიტორიის ეკონომიკური მართვა რაღაც მომენტიდან შეუძლებელი აღმოჩნდება, ვინაიდან ამას მრავალრიცხოვანი ბიუროკრატია სჭირდება. ამ ყველაფერს კი მივყავართ ადმინისტრაციის შენახვის ხარჯების სწრაფ ზრდამდე, რომელიც, ადრე თუ გვიან, გადააჭარბებს იმპერიის შემოსავლებს, რაც იმპერიის დასუსტების პირველი სიმპტომია.

მესამე კონცეფციას „ცენტრისკენული მიზიდულობის კონცეფცია“ შეიძლება ვუწოდოთ. ე.ნ. ლუტვაკის მიხედვით, რაც უფრო მდიდარია იმპერია, მით უფრო კომფორტული და უსაფრთხოა მასში ცხოვრება. ამით ის უფრო მიმზიდველი ხდება მძარცველებისა და დამპყრობთათვის. მაგალითად, რომისა და ბიზანტიის იმპერიები საკმაოდ მომხიბვლელი იყო მომთაბარეებისა და ბარბაროსებისათვის.

თანამედროვე ამერიკა (აშშ) ასევე ძალზედ მიმზიდველია მექსიკელი ნარკომოვაჭრეებისათვის, შრომითი მიგრანტებისათვის, დევნილებისათვის, მდიდრულად და უსაფრთხოდ ცხოვრების მოყვარულთათვის. სწორედ ამიტომაა, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია მნიშვნელოვან ხარჯებს იღებს უკანონო მიგრაციის რეგულირებისადა ამერიკა-მექსიკის საზღვრის კონტროლისათვის. ანალოგიურ სიძნელეებს აწყდებიან ევროკავშირის მაღალგანვითარებული ქვეყნებიც, განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტიდან. დღეს ხმელთაშუა ზღვა (ჩრდილოეთი აფრიკის სანაპიროებიდან ევროპისაკენ) არალეგალი მიგრანტების მუდმივი გადაადგილების მარშრუტია.

არსებული დისბალანსი სიმდიდრესა და სიღარიბეს, ველურობასა და ცივილიზებულობას შორის აიძულებს იმპერიებს, მუდმივად გაზარ-

დონ თანხები საზღვრის დაცვისათვის. თუმცა იმპერიები იშლება არა მხოლოდ პირდაპირი აგრესიით ან ბარბაროსთა პერიოდული თარეშით, არამედ სახელისუფლებო ელიტების კოროზიით, როცა მათ რიგებში ხვდებიან ყოფილი იმიგრანტები ან კოლონიების წარმომადგენლები.

„მანევრისათვის აუცილებელი სივრცის არსებობის ეკონომიკური ასპექტი“ გეოპოლიტიკური თამაშებისას – ესაა მეოთხე კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, იმპერიამ თავის მოქალაქეებს მუდმივად უნდა უმტკიცოს თავისი არსებობის აუცილებლობა, გაამართლოს გადასახადების აკრეფისა და უდიდესი ბიუროკრატიული აპარატის შენახვის აუცილებლობა. ამ მიზეზით, იმპერიათა ხელისუფალნი ცდილობენ ფინანსური რესურსების გაზრდას არა მხოლოდ საკუთარ მოსახლეობაში გადასახადების გაზრდით, არამედ სხვა ქვეყნებში არსებული რესურსებზე კონტროლის დამყარების გზითაც. ეს შეიძლება იყოს საბაჟო გადასახადები, გადასახადები საკუთარი გზით სარგებლობისათვის, იმ ქვეყნებიდან მიღებული კონტრიბუციით, რომლებიც არ შედიან იმპერიის შემადგენლობაში.

მეხუთე კონცეფციის სახელწოდება თითქმის ემთხვევა მეოთხისას, მხოლოდ იგი მოიცავს არა ეკონომიკურ, არამედ სამხედრო ასპექტს – „მანევრისათვის აუცილებელი სივრცის არსებობის სამხედრო ასპექტი“. კონცეფციის თანახმად, ნებისმიერ იმპერიაში პერიოდულად აღმოცენდება საკუთარი საზღვრის დაცვის უზრუნველყოფის დამატებითი შესაძლებლობების ძიების აუცილებლობა. რაც უფრო დიდია იმპერია, მით უფრო დიდია მისი საზღვრების სიგრძე და მით მეტია მის ტერიტორიაზე შეჭრის საფრთხე მეზობელთაგან. იმდენად ძლიერი არმიის შენახვა, რომელსაც შეეძლება, მოიგერიოს იმპერიის ტერიტორიის ექსპანსიის ყველა შესაძლო საფრთხე, ძალიან ძვირია და, პრაქტიკულად, შეუძლებელი. ამიტომ იმპერიები იძულებული ხდებიან, იპოვონ დროებითი ან მუდმივი გეოეკონომიკური მოკავშირეები. გარდა აღნიშნულისა, იმპერიის გარშემო არსებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში უნდა იმყოფებოდნენ სხვა მოთამაშეები, რათა იმპერიას ჰქონდეს მანევრირებისათვის აუცილებელი სივრცე და შეძლოს სხვადასხვა პარტიისა თუ კომბინაციის გათამაშება, რაც საშუალებას მისცემს, შექმნას ძალთა იმგვარი ბალანსი, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობის საფრთხე მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. როგორც ე.ნ. ლუტვაკი აღნიშნავს, ბიზანტია ყოველთვის ითვლებოდა დიპლომატიური ინტრიგების ოსტატად, დროულად დებდა და აუქმებდა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებს ისე, რომ მის მეზობლებს რაც შეიძლება ხშირად ეომათ ერთმანეთთან და იმპერიის საზღვრების დარღვევის დრო და სურვილი არ ჰქონოდათ (Luttwak, 2009).

აღნიშნული კონცეფციების მიხედვით, საბჭოთა კავშირმა დაარღვია თითქმის ყველა სტრატეგიული პუნქტი, რომელიც საშუალებას

აძლევს იმპერიას, შეინარჩუნოს ძლიერება და, შესაბამისად, სიცოცხლისუნარიანობა. ისეთი უზარმაზარი და მარავალფეროვანი ტერიტორიული კონგლომერატის მართვა, როგორიც ე.წ. „სოციალისტური ბანაკის თანამეგობრობა“ იყო, უკიდურესად რთული გამოდგა. იმპერიის დანახარჯები ამ ერთობის შესანარჩუნებლად აღემატებოდა მისგან მიღებულ ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სარგებელს.

სხვა მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის მხრიდან კონტროლის დამყარებამ მის წინააღმდეგ განაწყო არა მხოლოდ აშშ და დიდი ბრიტანეთი (რომლებიც ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ხედავდნენ მათ დროებით მოკავშირეში მომავალ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს), არამედ დასავლეთი ევროპის ბევრი სხვა სახელმწიფოც, რომლებიც საკმაოდ დააშინა მათ მეზობლად ამდენად ძლიერი იმპერიის ფორმირებამ. აქ კი ამოქმედდა სტრატეგიის პარადოქსული ლოგიკა: როცა იმპერიამ გეოპოლიტიკური წარმატების წითელი ხაზი გადაკვეთა, პოტენციური პარტნიორები მტრულ ალიანსში გაერთიანდნენ. საბჭოთა კავშირმა, დაამყარა რა კონტროლი აღმოსავლეთ ევროპაზე, ძირი გამოუთხარა საკუთარ ავტორიტეტს, რომელიც მან ჰიტლერის გერმანიასთან ბრძოლის დროს მოიპოვა.

ამასთანავე, საბჭოთა კავშირმა გეოპოლიტიკური მანევრისათვის დაკარგა სივრცე. თუ იმპერია მის მიერ განთავისუფლებულ ქვეყნებს დამოუკიდებლებად დატოვებდა, ამით ის მათთან პარტნიორული ურთიერთობის აწყობის შანსს შეინარჩუნებდა, რითაც დაზოგავდა ეკონომიკურ რესურსებს და არ დაკარგავდა იდეოლოგიურ და დიპლომატიურ ქულებს გეოპოლიტიკურ თამაშებში. თუ აშშ შეეცდებოდა ერთპიროვნული სამხედრო კონტროლი დაემყარებინა ამ სახელმწიფოების ტერიტორიებზე, ის იძულებული იქნებოდა, ეზრუნა ომისგან გაპარტახებული ქვეყნების ეკონომიკების აღდგენაზეც, ასევე – ჩაეხშო კომუნისტური და ნაციონალისტური მოძრაობები, რომელთა წარმომადგენლებმაც ევროპის მოსახლეობის თვალში გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვეს ომის წლებში, როცა ისინი დაუპირისპირდნენ ფაშისტურ რეჟიმს და მონაწილეობდნენ წინააღმდეგობის მოძრაობებში. ე.ნ. ლუტვაკის სტრატეგიის მიხედვით, საბჭოთა კავშირისათვის უმჯობესი იქნებოდა, გარკვეული ეკონომიკური კონტრიბუცია მიეღო დამარცხებული ქვეყნებიდან[1], ვიდრე თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია ისინი.

ასევე საბჭოთა იმპერიამ დაკარგა ევროპაში პოლიტიკური მანევრის შესაძლებლობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უკვე აღარ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ მოთამაშეებს, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც შეაშინა აღმო-

[1] მხედველობაშია ქვეყნები, რომლებიც ომის დროს გერმანიის მოკავშირეები იყვნენ.

სავლელი მეზობლის ზედმეტად გაძლიერებამ, გაცილებით მეტად გახდნენ დამოკიდებულნი აშშ-ზე. მოხდა მსოფლიო პოლარიზაცია.

სხვა მხრივ, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა, მიეღო ეს გამოწვევა მაშინ, როცა მისი ეკონომიკურ-ტექნოლოგიური რესურსები არ იყო იმდენად მოცულობითი, როგორც ომისაგან ნაკლებად დაზარალებული აშშ-ისა და მის მიერ შექმნილი ალიანსის ქვეყნებისა. ფაშიზმზე გამარჯვების შემდგომ აშშ მზად იყო მეორე, არანაკლებ ბოროტებასთან, კომუნიზმთან, საბრძოლველად. ისტორია მოწმობს, რომ ამ ქვეყანამ დიდ ბრიტანეთთან ერთად შეძლო, ჩაეთრია საბჭოთა კავშირი ახალ დაპირისპირებაში, რომელშიც საბოლოო გამარჯვება დასავლეთის ალიანსის ქვეყნებმა მოიპოვეს. ამდენად, ის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური სარგებელი (საკუთარი ტერიტორიის „სტრატეგიული სიღრმის“ გაზრდა და ა.შ.), რომლის მიღებაც საბჭოთა იმპერიას მის კონტროლქვეშ მოქცეული სივრციდან შეეძლო, გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა იმ ფინანსურ, რესურსულ, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დანახარჯებზე, რომელიც მას ამ ქვეყნებზე კონტროლის შესანარჩუნებლად დასჭირდა. სრულიად ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ თუ ომის შემდგომ პერიოდში აშშ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რეალურ ომს დაიწყებდა, ეს უკანასკნელი ნამდვილად ვერ მოახერხებდა, საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა აღმოსავლეთ ევროპის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი. ამ ქვეყნების მოსახლეობა შეძლებდა, არ მიეშვა უფროსი „პარტნიორი“ მათ საკუთრებაში არსებულ იმ რესურსებთან, რომელიც აუცილებელია ომის წარმოებისათვის, ხოლო ომის პირობებში – წარმოქმნილი წინააღმდეგობის ჩასახშობად.

დავუბრუნდეთ ჯ.ფ. ქენანს, რომელიც, ფაქტობრივად, იმ ახალი ამერიკული გეოპოლიტიკის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, რომელიც უპირატესობას გეოეკონომიკურ მიდგომას ანიჭებდა (Kennan, 1946). როგორ ქვემოთ დავინახავთ, ეკონომიკური ძლიერების გეოპოლიტიკამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა „ცივი ომის“ პერიოდში. აღნიშნული გეოეკონომიკური სტრატეგია დაედო საფუძვლად ახალი „სასიცოცხლო ინტერესების ზონის“ თეორიას. ჯ.ფ. ქენანი ფიქრობდა, რომ ეკონომიკური კონკურენცია არის არა ომი, არამედ ინტერესებისათვის ურთიერთმეტოქეობა.

თუ უფრო ღრმად წავალთ ისტორიაში, ამ თეორიის ფუძემდებლებად შეიძლება მოვიაზროთ არა ჯ.ფ. ქენანი, არამედ გერმანელი ეკონომისტი გეორგ ფრიდრიხ ლისტი (Friedrich List, 1904) და ამერიკელი ეკონომისტი ალექსანდრე ჰამილტონი (Hamilton, 1929). მათ ძირითადი აქცენტი იმაზე გააკეთეს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს თავის წარმოებას, რათა შეინარჩუნოს ხელისუფლება. თავის მხრივ, დანიელი ეკონომისტის ელი ფილიპ ჰაქშერისა (Heckscher, 1922) და ინგლისელი დიპლომატის ედვარდ ჰალეტ კარის (Carr, 1939) აზრით, სა-

ხელმწიფომ საკუთარი ეკონომიკური ძლიერება უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ გააერთიანოს და იბატონოს სისტემაში, რომელიც მოქცეულია მისი გავლენის სფეროში.

ამ თეორიული აზრის წარმატებით განვითარების მიუხედავად, რეალობა აჩვენებს, რომ თანამედროვე მსოფლიო განვითარების ახსნა მხოლოდ ეკონომიკის ან ფინანსების პოზიციებიდან არ შეიძლება. თუმცა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში გეოეკონომიკის დომინანტობა გეოპოლიტიკაზე ეჭვს არ იწვევს.

აღნიშნულ პერიოდში გეოპოლიტიკა კომპრომეტირებული აღმოჩნდა, რომ მან წაახალისა აგრესია. ამ მოცემულობაში აუცილებელი გახდა ძველი თეორიების გადახედვა ახალი რეალიების გათვალისწინებით. რასაც შეეცადა კიდეც გეოეკონომიკა, რომელმაც თავისებურად ჩამოაყალიბა გეოპოლიტიკის ორ ძირითადი საკითხი – კერძოდ, რა არის ძლიერება (ეს ცნება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც რესურსების, შესაძლებლობებისა და გავლენის ხარისხი) და სად და როგორ მატერიალიზდება ის. გასული საუკუნის მიწურულს მას დაემატა კიდევ ერთი – კერძოდ, გამოიკვეთა დიდი ინტერესი ძლიერებას, სივრცესა და ეკონომიკას შორის კავშირების შესწავლისადმი, რაც გეოეკონომიკის მოდაში შემოსვლას ნიშნავდა. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი მოდა თავისი ეპოქის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნის ასახვაა.

ამ წლებში პოლ მაიკლ კენედი (Kennedy, 1987), ედვარდ ნიკოლაე ლუტვაკი (Luttwak, 1990) და არაერთი სხვა მეცნიერი ვარაუდობდა, რომ ძალები სამხედრო-პოლიტიკურიდან ეკონომიკური სფეროში გადაინაცვლებდა, ანუ უშვებდნენ შესაძლებლობას, რომ მოხდებოდა ახალი ტიპის კონფლიქტის ესკალაცია – გეოეკონომიკური კოლიზია (ეკონომიკურ სუბიექტთა ინტერესების შეჯახება), რომელიც წარმოიშობოდა ახალი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში.

ტერმინ „გეოეკონომიკის“ დამკვიდრებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ ცივი ომის პერიოდში სავაჭრო კონფლიქტები აშშ-ს, ევროპასა და იაპონიას შორის ადვილად გადაილახა, რადგან ეს უკანასკნელნი, საბჭოთა კავშირის აგრესიიდან გამომდინარე, საჭიროებდნენ აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორობას. ამის საფუძველზე მათ შორის დაპირისპირება საკმაოდ შერბილდა. დაპირისპირების ცენტრმა სამხედრო-პოლიტიკური სფეროდან ეკონომიკურში გადაინაცვლა, სადაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა მაღალ ტექნოლოგიებს მიენიჭა. ამ მოცემულობაში სავაჭრო მეთოდები უგულებელყოფენ სამხედრო შეიარაღების პრინციპებს, ანუ ჩვენ გეოეკონომიკის ერაში შევედით. იქ, სადაც აშშ, ევროპა და იაპონია თანამშრომლობენ, დაპირისპირება შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ეკონომიკურ კონტექსტში. გეოეკონომიკაში ქიშპობის მიზეზი და საშუალებებიც მხოლოდ ეკონომიკურია. ასე

რომ, დაპირისპირება სახელმწიფოთა შორის არ გამქრალა, უბრალოდ სამხედრო-სტრატეგიულიდან ეკონომიკურად ტრანსფორმირდა. სახელმწიფოთა იერარქია საერთაშორისო არენაზე უფრო და უფრო ხშირად განისაზღვრება ეკონომიკური ფაქტორებით. შესაბამისად, გეოეკონომიკა ცდილობს გეოპოლიტიკის ჩანაცვლებას. ამასთან, გეოეკონომიკა სახელმწიფოთა დაპირისპირების ახალ აქტორებსაც წარმოაჩენს. მაგალითად, კაპიტალი, რომელიც წარმოებაში იდება, ეკვივალენტურია სამხედრო იარაღისა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება (კონკურენტუნარიანობა) იარაღის გაუმჯობესების ტოლფასია და ა.შ.

ტერმინის არსის უკეთ გააზრებისათვის, სასარგებლოა მოკლედ განვიხილოთ აშშ-ის ის გეოეკონომიკური სტრატეგია, რომელმაც სხვა ფაქტორებთან სინერგიაში, ფაქტობრივად, დაშალა საბჭოთა კავშირი და რომელშიც დიდი წვლილი სწორედ ე.ნ. ლუტვაკს მიუძღვის. ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა ე.ნ. ლუტვაკის ნაშრომი „საბჭოთა კავშირის სტრატეგია“ (Luttwak, 1984), რომელშიც მან შეისწავლა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მართვის ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც საბჭოთა იმპერიის დაშლისათვის შემდგომში კარგად გამოიყენეს აშშ-ის პრეზიდენტმა რ. რეიგანმა და მისმა ინტელექტუალების ჯგუფმა.

ცივი ომის პერიოდში სტრატეგიის განვითარების კულმინაციას სწორედ რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდი (1981-1989) წარმოადგენდა. ამ დროს აშშ-მა შეიმუშავა და განახორციელა სსრკ-ის დაშლის სისტემური სტრატეგია. ამ სტრატეგიით რ. რეიგანის ადმინისტრაციამ საბჭოთა კავშირს ყველაზე მტკივნეულ ადგილებში დაარტყა. ასეთი ადგილები იყო ეკონომიკა, სამხედრო სამრეწველო კომპლექსი, ქვეყნის ეთნიკური სიჭრელე და სახელისუფლებო ბიუროკრატიული აპარატი. ამ შემთხვევაში ყურადღებას გეოეკონომიკურ ფაქტორზე შევაჩერებთ.

პრეზიდენტის პოსტის დაკავებისთანავე (1981 წლის 20 იანვარი) რ. რეიგანმა გაახმოვანა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნები და წამოაყენა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც დაეფუძნა ეკონომიკას, სამხედრო-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროებს და, ძირითადად, აისახა თეთრი სახლის სამ დოკუმენტში. 1981 წელს მისი არტიკულაცია მოხდა „ეკონომიკური აღორძინების პროგრამაში“, ხოლო 1982 წელს „პრეზიდენტის ეკონომიკურ მოხსენებაში“ (Blanchard, 1987). ეს დოკუმენტები დაეფუძნა სეის თეორიას, რომელსაც ეკონომიკურ ლიტერატურაში ბაზრის კანონსაც უწოდებენ.[1] ამ თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა 4 ძირითადი სამოქმედო პრინცი-

[1] ეს არის თეორია, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე შემოსავლები ვერ იქნება მოხმარების განმსაზღვრელი დომინირებადი ფაქტორი, რომ „მიწოდება წარმოშობს შესაბამის მოთხოვნას“. ეს კლასიკური ეკონომიკური თეორიის ამოსავალია.

პი, რომელიც შემდგომში „რეიგანომიკის“ სახელით გახდა ცნობილი: სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ფედერალური საშემოსავლო გადასახადების შემცირება, სახელმწიფო რეგულაციების შემცირება და ფულის მასის მიწოდებაზე კონტროლის გამკაცრება ინფლაციის შემცირების მიზნით (Niskanen, 1992).

ამ დროს აშშ-მა მოახერხა, შეექმნა ისეთი სიტუაცია, რომელიც, სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილის ცნობილი გამოთქმის პერიფრაზით, შემდეგში მდგომარეობდა: „ამერიკელმა ინტელექტუალებმა მოახერხეს მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა, ხოლო საბჭოთა კავშირში არ აღმოჩნდნენ გენიოსები, რომ თავიდან აეცილებინათ ეს პრობლემები“. პერიფრაზში მთავარი ისაა, რომ აშშ-მა შეძლო, შეექმნა მოაზროვნე ადამიანების კრიტიკული მასა, რომელიც გეოეკონომიკური სტრატეგიის წარმატების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა.

შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო – ამ ჯგუფის მიერ შემუშავებულმა გეგმამ წარმატებით იმუშავა (Forbes, 4/04/,2014). როგორც თეთრი სახლის გასაიდუმლოებული დოკუმენტებიდან ირკვევა (NSDD 32, NSDD 75 და NSDD-166; ორიგინალი იხ.: http://fas.org/irp/offdocs/nsdd/), რეიგანის ადმინისტრაციამ მიმართა ეკონომიკურ ზეწოლას საბჭოთა კავშირის დესტაბილიზაციის მიზნით. მარტივად რომ ვთქვათ, მათი გეგმა საბჭოთა კავშირის გაკოტრება იყო.

სტრატეგიის მეორე ეკონომიკური შემადგენელი მიმართული იყო სსრკ-ის ფინანსურ-ეკონომიკური ძლიერების დასუსტებისაკენ, რომლის რეალიზაციის დროს გამოყენებულ იქნა გეოეკონომიკური მეთოდები. კერძოდ, აშშ-მა შეამცირა იმ მყარი ვალუტის შემოდინება, რომელსაც სსრკ იღებდა უცხოურ ბაზრებზე ნახშირწყალბადის რესურსების გაყიდვით, რაც შესაძლებელი გახდა აღნიშნულ რესურსზე ფასების დაწევით. სხვა მხრივ, უკიდურესად შეზღუდა მაღალტექნოლოგიური საქონლისა და მაღალი ტექნოლოგიების მიწოდება, რომელზეც სსრკ-ში ძალზედ დიდი მოთხოვნა იყო. კერძოდ, სსრკ-ის მიმართ ამოქმედდა მრავალმხრივი საექსპორტო კონტროლის საკოორდინაციო კომიტეტის – CoCom (Coordinating Committee for Multilateral Export Controls) – შეზღუდვები. CoCom-მა დაამუშავა და განახორციელა ვარშავის ქვეყნების „კონტროლირებადი ტექნოლოგიური ჩამორჩენის“ სტრატეგია. CoCom ბერლინის კედლისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომაც აგრძელებდა არსებობას. ამ ორგანიზაციის ლიკვიდაცია მოხდა 1994 წელს, მაგრამ მის შემცვლელად მოგვევლინა ვასენაარის ხელშეკრულება, რამაც დასავლეთის ქვეყნებიდან გაცილებით ეფექტურად შეზღუდა სამხედრო და ორმაგი დანიშნულების (ერთდროულად სამხედრო და სამოქალაქო) ტექნოლოგიების მიწოდება არასასურველი ქვეყნებისათვის. ამ დროს ტექნოლოგიების საკითხი ძალზედ მწვავედ

იდგა, რადგან საბჭოთა კავშირმა დაიწყო უდიდესი გაზსადენის „ურენგოი-6“-ის მშენებლობა. მისი საშუალებით საბჭოთა კავშირის გაზსადენი უნდა მიერთებოდა დასავლეთ გერმანიის გაზის სისტემას, რომელიც შემდეგ ერთდებოდა საფრანგეთის და იტალიის გაზის სისტემებთან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აშშ-მა მოახერხა არა მხოლოდ პრობლემის დაძლევა, არამედ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭოთა კავშირის მთელ ეკონომიკურ კომპლექსს, ვინაიდან, გაზსადენზე მომხდარი ძლიერი აფეთქების გამო, საბჭოთა კავშირის ზარალმა 1 ტრილიონი დოლარი შეადგინა და მან უარი თქვა მშენებლობის გაგრძელებაზე (Reed, 2004).

წიგნში „საბჭოთა კავშირის სტრატეგია“ ე.ნ. ლუტვაკი აღნიშნავს, რომ მისი გათვლებით, სსრკ-ის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 15% იხარჯებოდა შეიარაღებული ძალების შენახვაზე (ყოფილი სუკ-ის და მილიციის ჩაუთვლელად), კიდევ 14% იხარჯებოდა კუბისა და მისი მსგავსი ოდიოზური ქვეყნების დახმარებებზე. მთლიანად საბჭოთა იმპერიის შენახვისათვის იხარჯებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარი. ამ პერიოდში დასავლეთის ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებელი 4-6%-ს შეადგენდა. თუმცა, ე.ნ. ლუტვაკი თვლის, რომ სამხედრო ძლიერებაში საკუთარი მთლიანი შიდა პროდუქტის კონვერტაციის უნარით სსრკ უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ნატო, იმის მიუხედავად, რომ ამ უკანასკნელში შემავალი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 5-ჯერ უფრო მეტი იყო. საბჭოთა კავშირის დამარცხება თავსმოხვეულ გამალებულ შეიარაღებაში მისი ჩაბმით საკმაოდ ძნელი იქნებოდა, მაგრამ მასზე გამარჯვების მოპოვება დიდი სტრატეგიის დონეზე შესაძლებელი აღმოჩნდა (Luttwak, 1984).

კიდევ ერთი მსხვილი ეკონომიკური ოპერაცია, რომელიც დაგეგმა აშშ-მა, მდგომარეობდა შემდეგში: მან დაიწყო სსრკ-ის მიმართ მეგობრულად განწყობილი ქვეყნების შევიწროვება. გარდა სოციალისტური ბლოკის ქვეყნებისა, სსრკ აფართოებდა თავის ყოფნას აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში. საბჭოთა გავლენის ქვეშ მყოფი ამ უზარმაზარი სივრცის მიმართ აშშ აწარმოებდა ეკონომიკური ხასიათის საომარ მოქმედებას. ყველაფერი სტანდარტული სქემით მიმდინარეობდა. იმ ქვეყნებს, რომლებსაც საკმაოდ დიდი საგარეო ვალი ჰქონდათ, აშშ სთავაზობდა სტაბილიზაციის პროგრამას, რომლის დროსაც მოვალის წამყვანი ინსტიტუტები ექცეოდნენ დასავლური კაპიტალის კონტროლის ქვეშ, ეს კი მტკივნეულ და ძლიერ დარტყმას აყენებდა სსრკ-ის ეკონომიკას. თუმცა არსებობდა სსრკ-ის დაშლის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ირიბად, მაგრამ მაინც ეკონომიკურ საკითხებთანაა დაკავშირებული. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ხელისუფლების ცენტრალიზაციასა და მთავრობის არაკომპეტენტურობას ეკონომიკის საკითხებში, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქვეყანაში ყო-

ველდღიური მოხმარების საქონელზე გაჩნდა მწვავე დეფიციტი, ცალკეული კოლონიების (ე.წ მოკავშირე რესპუბლიკების) ცხოვრების დონეებში წარმოიქმნა დიდი დისპროპორციები, გაჩნდა სოციალისტური ეკონომიკისადმი უნდობლობა, დემოგრაფიულად და მენტალურად დაბერებული აღმოჩნდა სახელისუფლებო აპარატი, ავღანეთში დაწყებულმა ომმა შთანთქა დიდი მატერიალური და ფინანსური რესურსები, საბჭოთა კოლონიებში დაიწყო და თანდათან გაძლიერდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა.

ამდენად, ცივ ომში საბჭოთა კავშირის დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო არა გამალებულ შეიარაღებასთან გამკლავების უუნარობა, არამედ ის, რომ მაშინდელ საბჭოთა ლიდერებს არ აღმოაჩნდათ ე.ნ. ლუტვაკისეული „სტრატეგიის პარადოქსალურ ლოგიკა“. ამ კონტექსტში თავის დროზე, სხვათა შორის, ე.ნ. ლუტვაკი ვიეტნამში წარმოებული ომის მიმდინარეობისას მკაცრად აკრიტიკებდა პენტაგონის სტრატეგიას. მიუთითებდა, რომ აშშ სამხედრო ინფრასტრუქტურის ორგანიზაციისა და საომარი მოქმედებების წარმართვისას არ იყენებდა „წარმოების სწორხაზოვან ლოგიკას“. დასავლეთის ეკონომიკური სანქციების დიდი ეფექტის მიუხედავად, მათი მიჩნევა სსრკ-ის დაშლის ერთადერთ მიზეზად, ვფიქრობთ, არაობიექტური იქნება, ვინაიდან იმპერიამ მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით შიგნიდანაც განიცადა რღვევა. როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, ეკონომიკური ომი, რომელსაც აშშ საბჭოთა ბოროტების წინააღმდეგ ეწეოდა, უზარმაზარი იმპერიის დაშლის ერთ-ერთ მთავარ და არა გადამწყვეტ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ. გეოეკონომიკის პოზიციებიდან, 1989 წელი ისტორიის ფურცლებს შემორჩება, როგორც გარდამტეხი, ვინაიდან სწორედ მაშინ მოიპოვეს უდიდესი გამარჯვება ბოროტებაზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატა, რომ მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრა საბჭოთა იმპერია, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნები განთავისუფლდნენ კოლონიური უღლიდან. ამ პერიოდში არა მხოლოდ დასრულდა ეპოქა, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური გამარჯვება დაასამარა აშშ-ის გეოეკონომიკურმა წარმატებამ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაჩნდა ახალი გეოეკონომიკური აზროვნება, რომელმაც უკვე XX საუკუნის დასასრულისათვის ვერდიქტი გამოუტანა კლასიკურ გეოპოლიტიკას.

ცივი ომის დასრულების შემდგომ, როცა გამოიკვეთა გეოპოლიტიკური დაპირისპირების შემცირება ქვეყნებსა და ბლოკებს შორის, აშკარად იკვეთება კომერციული ინტერესების დაპირისპირება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ XXI საუკუნე აქტიური გეოეკონომიკური ომებით იქნება მოცული.

სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში ეკონომიკური ასპექტების გავლენა დიდი ალბათობით შენარჩუნდება XXI საუკუნეშიც. სამხედრო ზესახელმწიფოების მაგივრად ნელნელა გადავდივართ ეკონომიკური ზესახელმწიფოების ეპოქაში (Superpowers). სრულიად ცალსახაა, რომ სამხედრო ძლიერება საერთაშორისო ურთიერთობებზე ზემოქმედების მძლავრი წყაროა, მაგრამ ეკონომიკურმა ძლიერებამ ის შეიძლება უკანა პლანზე გადაანაცვლოს.

ბიბლიოგრაფია
References

Alexander Hamilton, Industrial and Commercial Correspondence of Alexander Hamilton, Anticipating His Report on Manufactures, Chicago: A. W. Shaw Company, 1928. http://www.biography.com/people/alexander-hamilton-9326481№politics - and-government (ბოლო ნახვა – 22.08 2014).

Blanchard, O.J. Reagonomics / O.J. Blanchard // Economic Policy, 2(5). p. 15-54, 1987.

Edward H. Carr, Nationalism and After, London: Macmillan, 1945.

Eli F., The Continental System: An Economic Interpretation, Oxford: Clarendon Press; London: Humphrey Milford, 1922.

Friedrich List.,The National System of Political Economy, The place of publication: Longmans, Green, and Co, London 1904.

George F. Kennan .The Source of Soviet Conduct. // Foreign Affairs, July 1947, Vol. 25, No. 4.

George F. Kennan. The Long Telegram. February 22, 1946. Published in Foreign Relations of the United States, 1946, vol. VI.

Kennedy, Paul, The Rise and Fall of Great Powers, page 245, New York: Vintage Books, 1987.

Luttwak Edvard N., The Grand Strategy Of The Soviet Union Martin's Press, Published February 1984 .

Luttwak E. The Grand Strategy of the Byzantine Empire ,Cambridge, Massachusetts, 2009.

Luttwak Edward N., Strategy: The Logic of War and Peace, Harvard University Press, 2001.

Luttwak E.: From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce, The National Interest, Summer 1990.

Niskanen, William A. “Reaganomics”. In David R. Henderson (ed.). Concise Encyclopedia of Economics (1st ed.). Library of Economics and Liberty, OCLC 317650570, 50016270 and 163149563, 1992.

Thomas C. Reed, At the Abyss: An Insider's History of the Cold War (New York: Presidio Press, 2004. http://www.forbes.com/sites/realspin/2014/04/04/ what-would-reagan-do-about-russias-seizure-of-crimea/ (ბოლო ნახვა – 11.07.2014). http://fas.org/irp/offdocs/nsdd/ (ბოლო ნახვა – 13.06.2014).

Giorgi Kvinikadze
Assistant Professor, Tbilisi State University

Louisa Abazadze
Teacher, Tbilisi State University

GEO-ECONOMIC STRATEGIES IN THE CONTEXT OF THE "COLD WAR"

Summary

There has been a great deal of detailed analysis in scientific literature to the problems of the "Cold War" period, such as the arms race, systems competition for the military and political spheres of influence. However, the specific geo-economic strategies, the US and the Soviet Union used against each other have not been fully studied yet.

Our modest attempt is to fill these gaps in our paper. Based on archival materials (for example, NSDD 32 and NSDD 75) and well-known scientists' works in this-field (for example, Alexander Hamilton, Georg Friedrich List, Eli Filip Heckscher, Edward Hallett Carr, George Frost Kennan, Paul Michael Kennedy, Joseph Alois Schumpeter, Fred Charles Ikli, Edward Nicolae Luttwak) the first American economic doctrine and the creation of its geo-economic preconditions are analized.

The topic of this paper addresses the comparative analyses of geo-economic strategies of the United States and the Soviet Union empires in the "Cold War" period and focuses on distinguished American military strategist's, Edward Nicolae Luttwak's, work "*The Grand Strategy of the Byzantine Empire".*

This paper aims to assess advantages and disadvantages of these strategies and highlights the fact that the culmination of the development of the US economic strategy during the "Cold War" refers to the period when Ronald Reagan (1981-1989) served his term as the president of the United States.

Finally, geo-economic component is Dedicated within the systemic strategy of the collapse of the Soviet Union realised by R. Reagan group and the conclusions are built according to the logic of above mentioned strategy.

ნათია კუპრაშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

საკითხის აქტუალობის მობილობა დროსა და სივრცეში – საქართველოში სირიის კრიზისის გაშუქების მაგალითზე

გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოცემული „მოხელის სამაგიდო ლექსიკონი“ აქტუალობას განმარტავს, როგორც „არსებული მომენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანს“.[1]

მედიათეორიები მოვლენის აქტუალობას უმეტესად განიხილავენ დროითი სიახლოვის კონტექსტში, როცა მედია მოვლენებს აშუქებს სიტყვებით „დღეს“, „ახლა“ და როცა აუდიტორიაც პრობლემას, მოვლენას რეალურ დროში აღიქვამს. შესაბამისად, თემის აქტუალობაც უმეტესად ემთხვევა მოვლენის რეალურ დროს.

თუმცა პრაქტიკა გვთავაზობს გამონაკლის შემთხვევებს, როგორიც იყო, მაგალითად, ქართული მედიის მიერ სირიის კრიზისის გაშუქება და თემის აქტუალიზებით გამოწვეული შედეგები: მიუხედავად იმისა, რომ სირიის კრიზისი განსაკუთრებით მწვავე 2013-14 წლებში იყო, საქართველოში მოქმედმა მედიასაშუალებებმა თემა ინტენსიურად 2015 წლის გაზაფხულზე გააშუქეს, რასაც შედეგად სირიის კრიზისით დაზარალებული მოსახლეობის მხარდამჭერი აქციები მოჰყვა. შედეგად, 2015 წლის აპრილში საქართველოში 500-მდე ოჯახმა გამოხატა ოფიციალური მზადყოფნა, ეშვილათ სირიიდან დევნილი ბავშვები მაშინ, როცა ამგვარი დახმარება იმავე ბავშვებს 2013-14 წლებში უფრო ესაჭიროებოდათ.

თემის მიზანია, გამოიკვლიოს, რა ფაქტორები განაპირობებს მედიაში საკითხის აქტუალიზების აცდენას მოვლენის რეალურ დროსთან. თემის ჰიპოთეზაა, რომ ამგვარი შემთხვევები, უმეტესად, მედიამანიპულაციებითაა განპირობებული. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიით, კონკრეტულად კი, შესაბამისი ჟურნალისტური მასალების ავტორთა და მედიაპროფესიონალთა ჩაღრმავებული ინტერვიუირების, ამასთანავე, რაოდენობრივ (კონფლიქტის ზონიდან დევნილობის სტატისტიკასა და 2013-15 წლებში თემის გაშუქების ინტენსივობაზე) მონაცემებზე დაკვირვებით, ქართულენოვან მედიაში სირიის კონფლიქტის გაშუქების მაგალითზე ვაჩვენებთ საკითხის აქტუალობის მობილობას დროსა და სივრცეში.

---

[1] მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, შემდგ. ს. ურიდია და სხვ., რედ. ვ. გურგენიძე, თბ., 2004, 483 გვ.

სირიის კრიზისზე მსჯელობისას, ასევე რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისას, ვეყრდნობით საერთაშორისო ორგანიზაცია Marcy Corps-ის ონლაინრესურსს – „რა უნდა ვიცოდეთ სირიის კრიზისის შესახებ“,[1] ხოლო 2013-14 წლებში ჟურნალისტური მასალების გამოქვეყნების რაოდენობრივ მონაცემს ვიღებთ google-ის საძიებო რესურსის დროითი ფილტრაციის ინსტრუმენტისა და საძიებო სიტყვების – „სირია“, „მსხვერპლი“, „კონფლიქტი“ – კომბინაციური გამოყენებით.

კრიზისის შესახებ

შეიარაღებული დაპირისპირებები სირიაში ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების მხარდამჭერებსა და მოწინააღმდეგეებს შორის 2011 წლის მარტის საპროტესტო აქციების ფონზე დაიწყო. აქციები განიხილებოდა, როგორც ახლო აღმოსავლეთის საპროტექსტო მოძრაობის – „არაბული გაზაფხულის“ – ნაწილი. უკვე 2011 წლის აპრილში დაპირისპირებაში სირიის არმია ერთვება, რასაც მოსდევს შეიარაღებული აჯანყება პროტექსტანტების მხრიდან. კრიზისი იღებს ასიმეტრიული კონფლიქტის ხასიათს და შეტაკებები უკვე წლებია სირიის არაერთ ქალაქში მიმდინარეობს.

2012 წელს გაერო სირიის კონფლიქტს „აშკარად სექტანტური ხასიათისას“ უწოდებს, რადგან დაპირისპირებები, უმეტესწილად, სუნიტ მეამბოხეთა და შიიტურ ჯგუფებს შორის მიმდინარეობს. მონაცემები აჩვენებს, რომ დაპირისპირებას ეწირება ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა და ეთნიკური წარმომავლობისა.

რაოდენობრივი მონაცემები

Marcy Corps, რომელიც დასახელებულ რესურსზე სიახლეებს ყოველკვირეულად ამატებს, გვთავაზობს სირიის კრიზისის შედეგად დევნილთა რაოდენობის დიაგრამას და აჩვენებს, რომ ამ მხრივ (რაც კრიზისის სიმწვავით იყო განპირობებული), 2013-14 წლებში მკვეთრი ზრდა შეიმჩნეოდა.



[1] http://www.mercycorps.org/articles/turkey-iraq-jordan-lebanon-syria/quick-facts-what-you-need-know-about-syria-crisis (ბოლო ნახვა – 22.06.2015).

google-ის საძიებო რესურსით მოპოვებული ქართულენოვანი ჟურნალისტური პროდუქტის რაოდენობრივი მონაცემები კი ასეთია:



2011 წელს სირიის შესახებ იძებნება 23 ჟურნალისტური მასალა (მოკლე ნიუსებიდან დაწყებული, ვრცელი სტატიებითა და ფოტო და აუდიო-ვიდეო მასალით დასრულებული), 2012 წელს – 29, 2013 წელს – 28, 2014 წელს – 54, ხოლო 2015 წელს კი – 500-მდე.

გაშუქების ქრონოლოგია – 2015

2015 წლის 6 მარტს Youtobe-ზე ანგარიშით V ENDENTTA V აიტვირთა ვიდოეკოლაჟი, რომელშიც გამოყენებულია უმეტესად 2013 წელს გადაღებული ვიდეოკადრები. ვიდეოს სახელწოდებაა „მე ასურელი ვარ, რომელსაც თავებს კვეთენ და ცოცხლად წვავენ“.[1] მას მოჰყვა სხვა მსგავსი ვიდეოების გავრცელება ამ და სხვა სოციალურ ქსელებში. სოციალურ ქსელშივე ვირუსულად ვრცელდება ფოტო მასზე აღბეჭდილი სირიელი ბავშვით, რომელსაც ჟურნალისტის კამერა იარაღი ეგონა.

სოციალურ მედიაში თემის მიმართ გაზრდილი ინტერესის მიუხედავად, ტრადიციული, განსაკუთრებით სატელევიზიო, მედია სირიის კრიზისის მხოლოდ ფრაგმენტული გაშუქებითა და ზედაპირული, ნიუსური სიუჟეტებით შემოიფარგლება.

2015 წლის 12 აპრილს ტელეკომპანია რუსთავი 2, რომელიც, ტელერეიტინგების მთვლელი კომპანია TVMR-ის მონაცემებით, უმეტესად ლიდერია, ყოველკვირეულ ტელეჟურნალ „პოსტსკრიპტუმში“ გადასცემს ვრცელ რეპორტაჟს სახელწოდებით „წამებულთა გზა“. მოვიყვანოთ ამონარიდი წამყვანის ტექსტიდან: „სირიის ისლამური სახელმწიფოს ტერორისტული დაჯგუფება „აისისი“ სისტემატურად აქვეყნებს ასირიელების წამებისა და დახოცვის შემზარავ კადრებს. საქართველოში მცხოვრები ასურელები კი მსოფლიოს მხრიდან რეაგირებასა და დახმარებას ითხოვენ“.[2]

რუსთავი 2-ის ამ რეპორტაჟს მოსდევს თემასთან დაკავშირებული მსჯელობების გააქტიურება სოციალურ ქსელებში, თუმცა მალევე, 14 აპრილს, იგივე ტელეარხი სირიის კრიზისს ახალ გადაცემას უძღვნის

[1] https://www.youtube.com/watch?v=M9xMgc_fRMw (ბოლო ნახვა – 20.06.2015).
[2] http://rustavi2.com/ka/video/5216?v=2 (ბოლო ნახვა – 22.06.2015).

და რამდენიმესაათიან ეთერს უთმობს „პრაიმ ტაიმში“ გადაცემით „არ-ჩევანი“.[1]

გადაცემა კიდევ უფრო ააქტიურებს მსჯელობას სირიის კრიზისთან დაკავშირებით სოციალურ მედიაში. იგეგმება საპროტესტო აქციები და 19 აპრილს საქართველოს რამდენიმე ქალაქში სირიაში ქრისტიანების დაცვის მოთხოვნით ასეულობით ადამიანი გამოდის.

იმავე დღეს სხვა კერძო, ასევე რეიტინგული, არხი „იმედი“ ამ თემას უძღვნის სპეციალურ საკვირაო გადაცემას – „იმედის კვირას“ – სათაურით: „რა ხდება პანკისის ხეობაში – ქრისტიანების დევნა სირიასა და ერაყში“.

სატელევიზიო გადაცემებს კვლავ მოსდევს აქტივობა სოციალურ ქსელში. საინფორმაციო სააგნეტოები და ინტერნეტგამოცემები თემას არაერთ პუბლიკაციას უძღვნიან.

კონტენტანალიზი

ერთი მხრივ, სირიის კრიზისის შესახებ მონაცემებმა და, მეორე მხრივ, ქართულენოვანი მედიით გადაცემული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა შემდეგი:

- რეალური მონაცემებით, სირიის კრიზისი ყველაზე მწვავე 2013-14 წლებში იყო, ქართული მედიისთვის კი სირიის კონფლიქტი პიკს 2015 წელს აღწევს.
- 2012 წლის მოხსენებაში გაერომ სირიის კრიზისი დაახასიათა, როგორც „ღიად სექტანტური ხასიათისა“[2] და აღნიშნა, რომ მისი მსხვერპლი არაერთი მშვიდობიანი მოქალაქეა, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა. ქართული მედიისთვის კი სირიაში მუსლიმებისა და ქრისტიანების დაპირისპირებაა, რომელსაც უმეტესად ასურელი ქრისტიანები ეწირებიან.
- რეალური მონაცემებით, კრიზისის მთავარი „ჯალათი“ სირიის ხელისუფალი ბაშარ ალ ასადია, ქართული მედიისთვის კი – ISIS.

ჩაღრმავებული ინტერვიუები

თემის მთავარი მიზნის უკეთ გასაანალიზებლად, ჩატარდა 5 ინტერვიუ, მათგან 1 – სატელევიზიო, 1 – ონალინმედიისა და 1 – საგაზეთო ჟურნალისტთან, სირიის კრიზისზე მომზადებული მასალების ავტორებთან, ასევე დამატებით გამოიკითხა 2 მედიაპროფესიონალი, რომლებიც მედიასაქმეს აკვირდებიან და სწავლობენ.

ინტერვიუები წარიმართა ანონიმურობის დაცვის პირობით. ამგვარი ფორმა შეირჩა იმ მიზნით, რომ პუბლიკაციათა ავტორებს საკითხზე თავისუფლად ესაუბრათ, მედიამონიტორებს კი საკითხი გულ-

[1] http://rustavi2.com/ka/video/5290?v=2 (ბოლო ნახვა – 25.06.2015).

2 http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=42141№.VbdSk0Kqqko (ბოლო ნახვა – 25.06.2015).

წრფელად შეეფასებინათ. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად (იხ. დანართი), გამოიკვეთა საკითხის აქტუალიზების შემდეგი ფაქტორები:

1. **სენსაციის ძიება** (ი.მ. 23.06.2015); **„უღიმღამო დღის“ შევსება** (დ.კ. 24.06.2015);
2. **გავლენიანი მედიასაშუალების მიერ შექმნილი დღის წესრიგი** – „იძულებული ვიყავით, გაგვეშუქებინა, რადგან ტელემედია, წამყვანი მედიასაშუალებების პრაიმ ტაიმი, ამ თემას ეთმობოდა და სოციალურ ქსელშიც დიდი ამბები იყო ატეხილი“ (ი.მ., 23.06.2015).
3. **სოციალურ ქსელში თემის შემთხვევითი „გაღვიძება“ და მისი არეკვლა ტრადიციულ მედიაში** – „თემა სოციალურმა მედიამ მოიტანა, ქსელებში ყველა ამაზე წერდა, ყველა ვიდეოებსა და ფოტოებს აზიარებდა, ჩვენც ამის შემდეგ გავაშუქეთ“ (თ.კ., 24.06.2015);
4. **მედიასაშუალებების მიზანი** – **სარედაქციო პოლიტიკა** – „ვფიქრობ, მიზეზიც და მიზანიც ხელისუფლების კრიტიკა იყო, ეს გახდა გაშუქების უმთავრესი საფუძველი“ (ნ.ძ., 24.06.2015); „ამ პერიოდში საკმაოდ ხშირი იყო დაპირისპირების შემთხვევები ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის თვითონ საქართველოში, მრჩება შთაბეჭდილება, რომ თემის ასე გაშუქება ამგვარი კონფლიქტების ესკალაციის მიზანს უფრო ემსახურებოდა“ (ნ.ძ., 24.06.2015).

კვლევამ აჩვენა ჰიპოთეზის ლეგიტიმურობა, რომ მოვლენის რეალურ დროსთან აცდენით გაშუქება მედიამანიპულაციების შედეგია.

ბიბლიოგრაფია
References

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, შემდგ. ს. ურიდია და სხვ., რედ. ვაჟა გურგენიძე, თბ., 2004.

http://www.mercycorps.org/articles/turkey-iraq-jordan-lebanon-syria/quick-facts-what-you-need-know-about-syria-crisis (ბოლო ნახვა – 22.06.2015).

https://www.youtube.com/watch?v=M9xMgc_fRMw (ბოლო ნახვა – 20.06.2015).

http://rustavi2.com/ka/video/5216?v=2 (ბოლო ნახვა – 22.06.2015).

http://rustavi2.com/ka/video/5290?v=2 (ბოლო ნახვა – 25.06.2015).

http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=42141№.VbdSk0Kqqko (ბოლო ნახვა – 25.06.2015).

ფ. შუკი, ჯ. ლარსონი ჯ. დეატრსიო, სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა, ვიზუალური თხრობის გზამკვლევი, მე-6 გამოცემა, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.

ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები, საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭო, თბილისი, 2006.

დანართი

კითხვარი ინტერვიუსთვის

1. *როდის და რა საშუალებით მიიღეთ ინფორმაცია სირიის კრიზისის შესახებ? რა შინაარსის იყო ეს ინფორმაცია?*
2. *როგორ გააშუქა ქართულმა მედიამ სირიის კრიზისი?*
3. *როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა საკითხის დაგვიანებით, მოვლენათა რეალურ დროსთან აცდენით გაშუქება?*
5. *როგორ ფიქრობთ, რამდენად გქონდათ ინფორმაცია კრიზისის არსის შესახებ, როცა საკითხს აშუქებდით? (კითხვა დაისმის მხოლოდ მასალათა ავტორებთან)*
6. *რამ განაპირობა თქვენ მიერ მასალის მომზადება იმ სახით, რა სახითაც გამოქვეყნდა? (კითხვა დაისმის მხოლოდ მასალათა ავტორებთან)*

Natia Kuprashvili
Associated Professor,TSU

MOBILITY OF URGENT CHARACTER OF THE ISSUE IN TIME AND SPACE – ON THE EXAMPLE OF HIGHLIGHTING OF SYRIA CRISIS IN GEORGIA

Summary

Media-theories consider urgent character of events in the context of time proximity, when media highlights events using words “today”, “now”, and audience perceive the event in the real time, respectively, the urgent character of issue coincides with the real time of the event.

But the practice offers exceptional cases, such as the results caused by highlighting Syria crisis and actualization of the issue by Georgian media: Despite the Syria crisis was extremely severe in 2013-14, the mass media operating in Georgia started intensive highlighting of the issue in spring 2015, resulting in demonstrations supporting population affected by the crisis. For example, in April 2015, up to 500 families officially expressed their readiness to adopt children expelled from Syria, whereas these children needed such kind of assistance in 2013-14 much more.

The purpose of the thesis is to find out factors causing noncoincidence of actualization of the issue with the real time of the event. By means of the qualitative research methodology, specifically, extended interviews with authors of respective journalistic materials, as well as media professionals, and according to data of quantitative research (intensity of highlighting of the issue in 2013-15), to show mobility of urgent character of the issue in time and space on the example of highlighting of Syria crisis in Georgian media.

ნონა კუპრეიშვილი
თსუ შოთა რუსთაველის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ეკონომიკური კონცეპტები ილიას პროზაში

გასაგები მიზეზების გამო, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ილია ჭავჭავაძის პიროვნებაც და შემოქმედებაც ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ყურადღების ცენტრშია. არსებობს კიდეც მეცნიერული კვლევის ასეთი მიმართულება – ილიალოგია, რომელსაც რეალური მიღწევები აქვს. რამდენადაც მრავალმხრივია თვით ილიას მოღვაწეობა, იმდენად განსხვავებული აღმოჩნდა ინტერესთა ის სხვადასხვა სფერო, რომელიც ამ ტიპის ნაშრომებში გამოიკვეთა. თუმცა შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ არსებობს კვლევის კიდევ ერთი ახალი მეთოდი, რომელიც არც ილიასა და არც სხვა რომელიმე ქართველი მწერლის შემოქმედების ინტერპრეტირების პროცესში ჯერ არ გამოუყენებიათ. ეს გახლავთ ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ფაქტობრივად, XX – XXI საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბებული ახალი მიმართულება, ე.წ. ახალი ეკონომიკური კრიტიკა, რომლის არსებობას ეკონომიკისა და ლიტერატურის ურთიერთდაახლოებას, ლიტერატორთა და ეკონომისტთა ინტერესთა ურთიერთგადაკვეთას უნდა ვუმადლოდეთ. ამიტომაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ეკონომიკური კრიტიკის პირველი წარმდგენი მიხეილ გრონასი, რომელიც 2002 წელს ჟურნალ „ახალ ლიტერატურულ მიმოხილვაში“ (Гронас, 2002, 129) სათანადო განმარტებებით ამავე სახელწოდების თეორიულ რუბრიკას უძღვება, წერს კიდეც: „კვლევები ეკონომიკისა და ლიტერატურის გადაკვეთაზე ავლენენ ჰუმანიტარებს, რომლებსაც აინტერესებთ ეკონომიკა და ეკონომისტებს, რომლებიც გულგრილნი არ არიან ლიტერატურის მიმართ“. რამ განაპირობა ეს?

ახალი ეკონომიკური კრიტიკის პირველივე, ასე ვთქვათ, საბაზისო კრებულის შესავალ წერილში (The new ekonomik criticusm, Ed Marta Woodmance, Mark Osteen, 1999) ავტორები სამ ძირითად მიზეზზე მიუთითებენ: „1. ლიტერატურათმცოდნეობამ უკან, ისტორიული მეთოდებისკენ დაიხია და უგულებელყო დეკონსტრუქცია, სემიოტიკა და 1970-80-იან წლებში გაბატონებული სხვა ფორმალისტური მეთოდები; 2. ამ თეორიული გარღვევის მიზეზებმაც და შედეგებმაც აიძულა ლიტერატურის კრიტიკოსები, ეძებნათ ახალი გაუკვალავი გზები და 3. კულტურული კვლევების განვითარების პროცესი ადვილად ექვემდებარება ეკონომიკურ განმარტებებს“ (თარგმ. თ. ლომიძისა). ამასთან ერთად

იგივე გროისი, საუბრობს რა ეკონომიკური კრიტიკისთვის დამახასიათებელ ინტერდისციპლინარულ ექსპანსიაზე, ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე სამყაროში ეკონომიკის, როგორც დარგის, პრესტიჟულობაზე, ჩიკაგოს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიების პოპულარობასა (რად ღირს თუნდაც ამ სკოლის უპირველესი ლიდერის, ნობელის პრემიის ლაურეატის, მილტონ ფრიდმანის დასახელება) და ამ ფონზე ამერიკულ და დასავლურ აკადემიებში ჰუმანიტარული დისციპლინების, კერძოდ კი, კლასიკური ლიტერატურისადმი საზოგადოებრივი ინტერესის საგრძნობ კლებაზე, რამაც, მისი აზრით, იდეების აკადემიურ ბაზარზე, ეკონომიკური კრიტიკის სახით, შეუწყო კიდეც ხელი ამ ახალი ბრენდის გაჩენას.

იმათთვის, ვისაც ამ მხრივ სერიოზული ინტერესი გაუჩნდება, ზემოდასახელებულ კრებულსა და სტატიაში მითითებულია საინტერესო ლიტერატურა, რომელიც, სხვათა შორის, ეკონომიკური კრიტიკის, როგორც კვლევის ახალი მეთოდის, ერთგვარ გენეზისსაც წარმოგვიდგენს. ეს ავტორებია: დონალდ მალი – „ფული და მისი გადაქცევა ცნობიერების მასალად“ (1973); ჟან-ჟოზეფ გუ – „ფროიდი. მარქსი: ეკონომიკა და სიმბოლიზმი“ (1973); მარკ შელი თავისი მნიშვნელოვანი ნაშრომით „ლიტერატურის ეკონომიკა“ (1978); მისივე – „ფული, ენა და აზროვნება“ (1982), კურტ ჰაინზელმანი წიგნით „წარმოსახვის ეკონომიკა“ (1980); მაკ კლოსკი დონალდი – „ეკონომიკური რიტორიკა“ (1985); ფილიპ მიროვსკი – „მეტი სიცხე, ვიდრე სინათლე“ (1989); ნელსონ რობერტი – „ეკონომიკა როგორც რელიგია“ (2001).

ჩვენი მოხსენების ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას, რამდენადმე სრულად მოვიცვათ ან თუნდაც ძირითად პარამეტრებში შევეხოთ დასახელებულ ავტორთა მიერ თავის დროზე მიკვლეულ ან აქცენტირებულ ამ საინტერესო საკითხებს. ამჯერად ჩვენ განსხვავებული მიზანი გვაქვს. ამიტომ წარმოდგენილი თემის მართებული სტრუქტურირებისათვის აუცილებელი და ვიტყოდი, ფუნდამენტური დეტერმინირებით შემოვიფარგლებით. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური კრიტიკის შიგნით არსებული სამი ძირითადი ვექტორი, რომელიც აღნიშნული მეთოდით კვლევის საგანსაც და თავად მეთოდსაც მეტი სიცხადით წარმოაჩენს:

ა) ლიტერატურის ეკონომიკა, ანუ ლიტერატურის ფუნქციონირების ეკონომიკური (პროფესიული, ინსტიტუციური) ასპექტების ანალიზი. მასში შედის:

ა) ტირაჟის, მასობრივი და ელიტარული წიგნების ბაზრების, ლიტერატურული მარკეტინგის, ჰონორარის, პატრონაჟის, ლიტერატორთა პროფესიონალიზაციისა თუ ლუმპენიზაციის პროცესის შესწავლა, რაც ამდიდრებს ლიტერატურის ისტორიას, ცხადყოფს ლიტერატურული ფაქტების მნიშვნელობას.

ბ) ეკონომიკა ლიტერატურაში – ლიტერატურულ ნაწარმოებებში წარმოდგენილი ეკონომიკური ცნებებისა და მოვლენების ანალიზი, ეკონომიკური პრობლემატიკის ასახვა მხატვრულ ტექსტებში.

გ) ლიტერატურასა და ეკონომიკას შუა – ლიტერატურულ და ეკონომიკურ ღირებულებათა რიტორიკის ურთიერთზემოქმედების ანალიზი; ეკონომიკის რიტორიკა და ტექსტუალური ეკონომიკა (მაგ., ტროპები, როგორც ტრანზაქციები და სხვ.).

ახალი ეკონომიკური კრიტიკის ამ სამ ძირითად ვექტორთაგან ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევა უპირატესად მაინც იმ მიმართულებითაა შესაძლებელი, რომელსაც ეწოდება „ეკონომიკა ლიტერატურაში". ლიტერატურაში ასახული ეკონომიკა – ეს არის ლიტერატურულ ნაწარმოებში წარმოდგენილი ეკონომიკური ცნებებისა და მოვლენების ანალიზი, ლიტერატურულ ტექსტებში უკუფენილი ეკონომიკური პრობლემები. თუმცა ილიას რანგის შემოქმედის კვლევისას ვერც დანარჩენი ორი ვექტორის იგნორირება მოხერხდება, მაგალითად, ლიტერატურის ეკონომიკის, ანუ ლიტერატურის, როგორც მოღვაწეობის ერთ-ერთი ფორმის, ფუნქციონირების განხილვა (პროფესიულ და ინსტიტუციურ დონეზე), მწერლობის პროფესიონალიზაციის ასპექტები; იგივე შეიძლება ითქვას მესამე ვექტორზეც – ლიტერატურასა და ეკონომიკას შუა – რომლის საშუალებით თვალს მივადევნებთ ლიტერატურულ და ეკონომიკურ ინტერესთა რიტორიკის ურთიერთზემოქმედების ხარისხს და სხვ.

ილია ჭავჭავაძე მთლიანი პიროვნება იყო. ამიტომ მის მხატვრულსა და პუბლიცისტურ ტექსტებში საკმაოდ თვალნათლივ იკვეთება იდეურ-კონცეპტუალური პოზიციის არსობრივი კავშირი სახეობრივ სისტემასთან, რასაც ჩვენ მიერ უკვე ნახსენები ილიალოგები კრიტიკული და მხატვრული ნარატივის ურთიერთდაახლოებას, მათ ერთგვარ კორელაციას უწოდებენ (კალანდარიშვილი, 2007, 28). ილიას მხატვრული აზროვნების სწორედ ეს თავისებურება გვაძლევს საშუალებას, მისი ტექსტების ანალიზისას გამოვიყენოთ ეკონომიკური კრიტიკის მეთოდოლოგია და თამამად ვისაუბროთ ახლა უკვე ლიტერატურულ და ეკონომიკურ დისკურსთა თანაარსებობის სრულიად გარკვეულ ფორმებზე. მაგალითისთვის გავიხსენოთ ილიას წერილები მევენახეობა-მეღვინეობაზე, ვენახის განაშენიანების ტექნიკურ საკითხებზე, ღვინის დაყენების ისტორიულად ადაპტირებულ თუ მომავალში დასახვეწ წესებზე. ეს ცოდნა ირიბად არეკლილია კიდეც არჩილისა და გიორგის იმ საუბარში, რომელსაც ვხვდებით „ოთარაანთ ქვრივის" ერთ-ერთ თავში სახელწოდებით „უცნაური წკიპურტი"; ან ავიღოთ ოთარაანთ ქვრივის ურთიერთობა მათხოვართან, რასაც თავად ილია „პილპილმოყრილ მადლს" უწოდებს. ეს ურთიერთობა, რომელიც, პირველ რიგში, მათხოვარში კონკრეტულად პიროვნული ღირსების გაღვი-

ვებას, უფრო ზოგადად კი – უსაქმურობისა და მცონარობის გმობას ემსახურება, საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ეკონომიკური კრიტიკის კონტექსტში მრავალგზის ციტირებული ჩუქების აქტის თვალსაჩინო ანალიტიკოსის, ფრანგი სოციოლოგის მარსელ მოსის (მხედველობაში გვაქვს მისი „ნარკვევი ჩუქების შესახებ, ანუ ჩუქების ფორმირება და დამკვიდრება არქაულ საზოგადოებაში“, 1923) მიხედვით, ჩუქება სასაქონლო ურთიერთობათა წინა ეტაპია, ერთი შეხედვით ნებაყოფლობითი, სინამდვილეში კი სავალდებულო და ამასთან საკმაოდ ორაზროვანი. იგი განასახიერებს თავისებურ ეკონომიკურ წესრიგს, რომლის დროსაც, ჩვეულებრივ, სისხლითა და რევოლუციით მიღწევადი სიმდიდრის გადანაწილება უმტკივნეულოდ ხორციელდება. ილიას გმირი ქრისტიანული ქველმოქმედების პრინციპით მოქმედებს, სადაც ჩუქებას, გაცემას, წყალობის გაღებას უდიდესი ადგილი უჭირავს. თუმცა შეინიშნება ის ორაზროვნებაც, რომელზედაც მოსის კვალდაკვალ ყურადღებას ბურდიეც ამახვილებდა (ბურდიე ჩუქებას „ორგვარ ჭეშმარიტებასაც“ უწოდებდა, Гронас, Бурдье о культуре). ქრისტიანული ალტრუიზმის გამომხატველი ოთარაანთ ქვრივისთვის გართულებულა ჩუქების ანგარებიანი მოტივაციისგან (გაცვლის თავისებური ლოგიკით, მჩუქებელს ჩუქება ძვირად უჯდება, მიმღებს კი გარკვეული ვალდებულება ეკისრება) სრულად გათავისუფლება. აქედანაა მისი ცნობილი ფრაზაც: „ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს. ვერა ხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსღა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს... ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს?...“ აშკარაა, აქ ერთ გმირში პერსონიფიცირებულია „მჩუქებელი ადამიანი“ – Homo Donator და ეკონომიკური ადამიანი – Homo economicus. ეკონომიკური კრიტიკის მიმდევრები კი იტყოდნენ, რომ ილიას ეს პერსონაჟი **რწმენის კულტურისა და ბაზრის კულტურის** მიჯნაზე დგას. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმ სიმბოლურ-ალეგორიულ დატვირთვას, რომელიც კონკრეტულად ოთარაანთ ქვრივის მხატვრულ სახეს, მთლიანობაში კი, მთელ მოთხრობას ენიჭება, მივხვდებით, რომ ავტორს, რომელსაც სურს, ქართული საზოგადოება უმნიშვნელოვანესი სოციოეკონომიკური ძვრებისთვის მოამზადოს, პერსონაჟთა ქცევის სწორედ ასეთი მოტივაცია სჭირდება. მან კარგად იცის, რომ განსხვავებულ სოციოკულტურულ გარემოს განსხვავებული მორალი და ეკონომიკური ურთიერთობები მოაქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ Homo donator, ანუ ადამიანი პირადი ინტერესის გარეშე, როგორი კეთილშობილიც არ უნდა იყოს იგი, თუნდაც მას შემდეგ, რაც დევიდ იუმმა და ადამ სმითმა (დიდი შოტლანდიელი განმანათლებლები) საზოგადოებრივი განვითარების სტიმულატორად სიხარბისგან ტრანსფორმირებული ადამიანის პირადი ინტერესი აღიარეს, ძველ ფორმასა და შინაარსს უცვლელად ვერ შეინარ-

ჩუნებს. ამ ლოგიკით ჩუქებასთან ოთარაანთ ქვრივისა და მისი ავტორის მსგავსი დამოკიდებულება სრულიად ბუნებრივი უნდა გვეჩვენოს.

ილიას პროზაულ ტექსტებსა და მასთან ერთად მთელ რიგ პუბლიცისტურ მასალაში ეკონომიკისა და ლიტერატურის საინტერესო ურთიერთშეღწევადობას სეკულარიზაციის პრობლემამდეც მივყავართ. ილიალოგთა ერთი ნაწილი ამაში ილიას ქრისტიანული მრწამსის შებღალვას, მასში ეჭვის შეტანის მცდელობას ხედავს. თუმცა თვით ილიას მიერ ქრისტიანული სიბრძნის ახალ ეკონომიკურ წესრიგთან მორიგების მცდელობა დასტურდება მისივე უნივერსალური ფორმულით „ღონე ხორციელი და ღონე სულიერი“, რომელიც კაპიტალისტური ეთიკისათვის დამახასიათებელი მოხვეჭა-დაგროვებისა და გადამეტებული სიხარბისათვის ზომიერების დაპირისპირებას გულისხმობს. სწორედ აქ ჩნდება მსგავს ანტინომიებთან ილიასეული მიდგომის პრინციპი, რომელსაც თავის დროზე მკვლევარმა კ. კაციტაძემ „ფაქიზი ბალანსირება“ უწოდა (კაციტაძე, 2007, 18). „ოთარაანთ ქვრივშივე“ „უქმი სიტყვის“ სინონიმად „ტკბილი სიტყვის“ წარმოდგენა – „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?“ – (მაშინ, როდესაც ტკბილსიტყვაობა, კეთილსიტყვაობა, სიტყვაკეთილობა, თაფლსა და გოლეულზე უტკბესობა, ბიბლიის მიხედვით, საღმრთო სიტყვის, ლოგოსის მნიშვნელობას უკავშირდება და უქმ სიტყვასთან საერთო არაფერი აქვს), უფრო ზუსტად კი სემანტიკური გადანაცვლება, რასაც აქ „უქმი სიტყვის“ სახისმეტყველებითი მოდელი განიცდის, მიმდინარე და მოსალოდნელ კატაკლიზმათა ილიასეული ხედვის სიღრმეზე მიგვანიშნებს. გარდა ამისა, ეკონომიკური კრიტიკა ათვალსაჩინოებს მომენტის ისტორიულობასაც, რომელიც დროის ამ უღელტეხილზე „თერგდალეულთა“ და განსაკუთრებით ილიას მიერ ახალი ლოგოსის, „ქართველობის ახალი პარადიგმის“ (ფირალიშვილი, 2007, 42) და ახალი ეკონომიკური აზროვნების ერთდროულად წარმოქმნას უკავშირდება. ევროპულ სინამდვილეში ამ დროს (და ცოტა ხნით კიდევ უფრო ადრეც), კომერციული კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისა და ინტუიციური კონსოლიდაციის პირობებში, როდესაც დადგა ეკონომიკის, სახელმწიფოს, მორალისა და სამოქალაქო უფლებების ახლებური აღწერებისა და აპოლოგიის საჭიროება, პოლიტიკურ ეკონომიასთან ერთად იქმნება რომანი და ეს უბრალო დამთხვევად სულაც არ არის მიჩნეული. ჯეიმს ტომპსონის აზრით, თუკი რომანი არის დისკურსი, რომელიც აღწერს ან წარმოგვსახავს და ამ გზით წარმოქმნის პრივატულობასა და ოჯახურ ცხოვრებას, პოლიტიკური ეკონომია არის დიკურსი, რომელიც წარმოადგენს ან აღწერს სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯაროობას (პაბლისიტის) (Woodmanse, Osteen, თარგმ. თ. ლომიძისა). ჩვენ კი მხოლოდ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ვიწყებდით ანალოგიურ პრობლემებზე ფიქრსა და განსჯას, ამიტომ სავსებით ბუნებრივია ახალი სამეტყველო ენის, ანუ როგორც

უკვე ითქვა, ახალი ლოგოსის და ახალი ეკონომიკური ურთიერთობების, რომელსაც ილია „კაცთა შორის ურთიერთობის წესსაც“ უწოდებდა, ფორმირების პროცესთა დროის ერთ ლოკალში მოქცევა.

გავიხსენოთ, ილიას სწრაფვა რეფორმირებისკენ. იგი კულტურული ლინგვისტიკის შექმნასთან ერთად რამდენიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხსაც მოიცავდა: ა) დაცემული ვინაობის აღდგენას; ბ) ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ევროპეიზებას; გ) თავად ქართველში ოპტიმიზმისა და აქტიურობის გაღვიძებას. ამგვარ პროგრამირებას კი თავისთავად მოჰყვა ცხოვრების ეკონომიკური მხარის მუდმივად აქცენტირების აუცილებლობა, რაც ილიას ეკონომიკური მოძღვრების შექმნით დაგვირგვინდა. სრულიად ახლებურად, განსხვავებული რაკურსით დასმული კითხვიდან – „რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფას? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?“, რომელსაც, სხვათა შორის, ივ. ჯავახიშვილმა „საქართველოს ისტორიის დიდმნიშვნელოვანი კითხვა“ უწოდა – ვიდრე საყოველთაო პროგრესის იდეამდე (კომუნისტებმა მას უტოპიური, ხოლო თავად ილიას უტოპისტი უწოდეს), ილია დაბეჯითებით ნერგავდა ქართველთა „თვითმოძრაობისა“ და „თვითმსჯელობის“ რწმენას. ამან კი „ეკონომიკის გალიტერატურებისა“ და, პირუკუ, „ლიტერატურის გაეკონომიკურების“ მისეულ ხერხებს გარკვეული სპეციფიკურობა მიანიჭა. პუბლიცისტური დისკური, რომელიც დროში, როგორც წესი, უსწრებდა ხოლმე ლიტერატურულს, ხშირად ამ უკანასკნელის იდეურ-მხატვრული სისავსის გენერატორად იქცეოდა, ზოგჯერ კი პუბლიცისტურ წერილში წლების წინ დასმული პრობლემა პირდაპირ თუ ფარულად მოგვიანებით იჩენდა თავს ლიტერატურულ სახეებსა თუ ტიპებში, რაც იმის დასტური იყო, რომ ილია ამ კონკრეტულ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ილიას ეკონომიკური ხედვა თავდაპირველად რეპრეზენტირებულია აზრობრივად მეტად ტევადსა და ზუსტ იდეოლოგემაში: „სხვის დახლთან მდგარი ერი“ (ნინიძე, 2007, 11), რომელიც აღებ-მიცემობასთან, როგორც ცხოვრების ახალ სავალდებულო წესთან და ქართველთა მიერ ამ წესის უგულებელყოფასთან, ასოცირდება: „ჩვენი უღონობა, ჩვენი უსაქმურობა სხვას საქმიანობათ გაუხდია. ჩვენი უცოდინარობა სხვის ცოდნად ქცეულა და ამების წყალობით ჩვენი ქვეყანა დღეს წარმოადგენს თაფლს, რომელსაც ბუზი ბაღდადიდან მოჰყავს... ჩვენს გარეთ კი ჩვენი ხსნა სიზმარია...“ ილიას ტექსტებიდან ამგვარი და ამაზე ბევრად უფრო მწარე ციტატების ამოკრეფა არავის გაუჭირდება. თუმცა აქ საყურადღებო ისაა, რომ 1863 წელს დაწერილი „კაცია-ადამიანის“ ერთ თავში, რომელსაც პირობითად „სადარბაზო ხანი“ შეიძლება ვუწოდოთ, პერსონაჟთა ბრიყვულ დიალოგებში (ეს დიალოგი

დარეჯანს, ელისაბედსა და ლუარსაბს შორის იმართება) უკვე ჩანს პრობლემის სათავე – ჩვენებური თავადაზნაურობა, რომელიც არა მარტო უუნარობას, არამედ ცხოვრების რეალური რიტმისგან, მისი საჭიროებისგან სრულიად გაუმართლებელ განაპირებას ავლენს.

თვალნათელი ნიმუში იმისა, როდესაც ერთ კონკრეტულ ტექსტში პუბლიცისტი და მწერალი ერთიანდება, მაინც „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენებია“ (1865). აქ ილია ნარატორიცაა და საზოგადოებრივი აგენტიც, ანუ იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბატონყმური რეფორმის იურიდიული და ეკონომიკური მხარით დაინტერესებული სახელმწიფო მოხელე (დუშეთის პერიოდი), მჭვრეტელიცა და მოვლენათა უშუალო რეგულატორიც. აქედანაა თვით ამ ნაწარმოების ჟანრული თავისებურებაც. იგი მხატვრულ-პუბლიცისტურია. როდესაც ილიას შემოქმედებას „რუსული იდეის“ (ანუ, როგორც ტ. ტაბიძე იტყოდა, „რუსული ხორბლის“) ილუსტრაციად განვიხილავთ (კაკაბაძე, 2008, 47), უნდა გვახსოვდეს, მიუხედავად რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე 1862-64 წლებში განვითარებული მოვლენების ერთფეროვნებისა, ის, რასაც ილიასთან ვხვდებით, ლოკალური ქართული რეაქციაა ცხოვრების ჩვეული რიტმის ცვლილებასა და დაჩქარებაზე. აშკარაა, არც მებატონე და არც ნაყმევი რეალური ტრანსფორმაციისთვის მზად არ არის, მეტიც, მტრულად აღიქვამს იმას, რაზედაც, ფაქტობრივად, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

რად ღირს თუნდაც მოხუცი ქვრივი თავადის ქალისა და მისი მაზლის არაადეკვატური რეაქცია მოსამართლე-„პოსრედნიკის“ შეკითხვაზე, მწირმიწიანები ხართ თუ არაო. „როგორ გეკადრებათ, ვინ ჩვენ და ვინ მცირე მიწა, დიახაც, დიდი მიწის პატრონები ვართო“. ჩვეულებრივი თავადური კუდაბზიკობა ახალ კანონებში ჩაუხედავებს მოსალოდნელზე ძვირად უჯდებათ, რადგან მათ, როგორც ნაბატონრებს, თავიანთ ნაყმევთათვის ფულადი კომპენსაციის გადახდას ავალდებულებს. ეს კი გულწრფელი პასუხის შემთხვევაში არ მოხდებოდა.

ლიტერატურისა და ეკონომიკის გადაკვეთაზე ილიას პროზაში წარმოდგენილი ოპოზიციური წყვილები: დათიკო – გაბრიელი, დათიკო – პეპია („გლახის ნაამბობი“), ძველი მებატონე – იაკო შაიაშვილი („გლეხთა განთავისუფლების სცენებიდან“), ლუარსაბი – დათო, დარეჯანი – ლამაზისეული („კაცია-ადამიანიდან“) ბატონყმობის გაუქმების წინა პერიოდს მოიცავს და სოციალ-ეკონომიკური „რეფორმაციის“ ქართული იდეის მხატვრულ ტრანსფორმაციას წარმოადგენს. ცხოვრების ამ მხარის დანახვის ილიასეული უნარი აშკარად გამორჩეულია. იგი ეფუძნება ყოველდღიურობაში თითქოს უსისტემოდ მიმობნეული, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ყოფითი დეტალების აღმოჩენას და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ზუსტ ფიქსაციას, რასაც რობერტ ჰაილბრონერი თავის წიგნში „დიდ ეკონომიკურ მოაზროვნეთა

ცხოვრება: დრო და იდეები“ (Hailbroner, 1985) „ეკონომიკურ ურთიერთობათა ბადის ქსოვის“ ნიჭს უწოდებს. სწორედ ამგვარმა რეპროდუცირებამ მიიყვანა ილია საკუთარ ქვეყანასთან ქართველთა გაუცხოების, მათ მიერ ეკონომიკური ცხოვრების სრულად დათმობის ტრაგიკულ აღქმამდე: „ჩვენ შუასაუკუნეთა რაინდობის ანდერძებით გულს ვიფხანდით, თავს ვიწონებდით: ხმალი, თოფი, ცხენი, რახტი, ლამაზი ქულაჯა და სხვა ამგვარი შეადგენდა საგანს ჩვენის ნატვრისა და წყურვილისას და როცა ჩვენ გატაცებული ვიყავით ამ ნატვრითა და წყურვილით, ჩრჩილი შემოგვეპარა. ჩვენის ერის ნაშრომ-ნაღვაწი ჩვენგან დაწუნებული ვაჭრობით ხელთ იგდო, ამ გზით საქმით გაგვიბატონდა, ყმად დაგვიჭირა და სიტყვით კი თავს გვიქონავდა და გვეძახდა, – ბარაქალაო, კაცებიც თქვენა ხართ და ქუდიც თქვენა გხურავთო; ჩვენ ეს ბარაქალა დავიჯერეთ, ამით მოვტყუვდით... ბურთი და მოედანი ეკონომიკური ცხოვრებისა... დაინარჩუნა იმან, ვინც უფრო მალე მიხვდა დროთა ბრუნვას, დროთა ჭირ-ბოროტს“ (ჭავჭავაძე, 1956, 113).

ეკონომიკური კრიტიკა, პირველ ყოვლისა კი, ეკონომიკის დიდი მამების ანალიტიკური განსჯის მასშტაბურობა ან მოსისეული „განჩხრეკის“ პრინციპი, არა მშრალი სოციოლოგიური (მხედველობაში გვაქვს ე.წ. სოციოლოგიური კრიტიკა, რომელთანაც ხშირად მცდარად აიგივებენ ეკონომიკურ კრიტიკას – ნ.კ.) კვლევებისკენ, არამედ კლიშეებისგან თავისუფალი მიდგომებისკენ გვიბიძგებს, რითაც ხსნის კიდეც ინტერპრეტაციის ახალ ჰორიზონტებს. რაც უფრო წონადია საკვლევი მასალა, მით უფრო შთამბეჭდავი და ყოვლისმომცველია მიღებული შედეგი. გავითვალისწინეთ რა დასავლურ-რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში ამ მიმართულებით მიღწეული ხელშესახები მიღწევები, ჩვენი საკვლევი საგნის, ილიას მხატვრული პროზის, მიხედვით ეკონომიკური ცხოვრების კანონზომიერებებთან ახლოს მდგარი ან სულაც ამ კანონზომიერებებით განპირობებული სახისმეტყველებითი პარადიგმები, ლიტერატურული არქეტიპები, კულტურული და ანტიკულტურული მოდელები შემდეგნაირად დავაჯგუფეთ:

ა) ხმლისა და საანგარიშოს ანტინომია;

ბ) მამული, როგორც ეკონომიკური ფაქტორი და მეტაფორა;

გ) სოფელი და ქალაქი: თეზა და ანტითეზა;

დ) გლეხური ეთიკა და ფუნქციური ადამიანის პრობლემა.

ხმლისა და საანგარიშოს ანტინომიურობა ქართულ არეალში გადმოტანილი რაინდისა და ბურჟუას ისტორიული შეუთავსებლობის აპლიკატურაა (Осовская, 1987). საინტერესოა, რომ იგი, როგორც ძველი საზოგადოებრივი მორალის რღვევის სიმპტომი, ილიას მიერ უკვე „გლახის ნაამბობშია“ დანახული. დათიკო და გაბრიელი ერთმანეთს შემთხვევით როდი უწოდებენ ავთანდილსა და შერმადინს: „ეგ არის შენი შერ-

მადინობა? ... როგორი ავთანდილიც შენ იყავი, მეც ისეთი შერმადინობა გაგიწიე...“ გაბრიელის სამართლიან შურისძიებას მის დამაქცევარ ბატონზე სავსებით სამართლიანად ეწოდა „მკვლელობა, რითაც (ევროპის მსგავსად, ოღონდ რამდენიმე საუკუნის დაგვიანებით) დაიწყო არაფეოდალური საქართველოს ისტორია“, იმავე ევროპისგან კიდევ ერთი არსებითი განსხვავებით: მკვლელობის ჩამდენი ბურჟუა არ არის (კვერცხიშვილი, 2005, 358). მართლაც, ჩვენთან აქტიური ეროვნული ბურჟუაზია ვერ შეიქმნა, თუმცა რაინდის მოკვდინება ქართული საზოგადოების წიაღში განვითარებულ სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ზუსტ შესატყვისობაში მაინც განხორციელდა. ფიზიკური ღონითა და ტანადობით გამორჩეული, თუმცა მორალურად აშკარად დეგრადირებული რაინდი, ტარიელ მკლავაძე, ეგ. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ მიხედვით, მოკლა რევოლუციური, ყველა ნიშნით კი სოციალ-დემოკრატიული იდეების მიმდევარმა უჩინარმა სოფლის მასწავლებელმა, სპირიდონ მცირიშვილმა. ამრიგად, განხორციელდა სოციალური სამართლიანობის აქტი, რომელიც ჩვენს სინამდვილეში სულ მალე რეალობად იქცა. მოგვიანებით მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძეც“ ანტირაინდულ სულისკვეთებას ამჟღავნებს. მასში რაინდი, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, ახალი დროის გმირით, იმავე ანტიგმირით, ტრიქსტერითაა ჩანაცვლებული (კვაჭანტირაძე, 2013, 164).

მამულის, როგორც ეკონომიკური ფაქტორისა და მამულის, როგორც მეტაფორის ურთიერთგამიჯვნის დეკლარირებას, ფაქტობრივად, ეყრდნობა ილიას ე.წ. მოდერნიზატორული პროექტის ერთ-ერთი წამყვანი იდეა, რომელშიც ეროვნული ვინაობის ძიება, ქვეყნის გააზრებული გულშემატკივრობა და თითოეული ქართველის აქტიური, დროის შესაბამისობასთან მოყვანილი აქტიურობაა სუბლიმირებული. მეტაფიზიკური და პრაგმატულ-რაციონალური მიდგომის ჭრილში მამული გააზრებული, როგორც, ერთი მხრივ, ეროვნული ცნობიერების პოსტულატი და, მეორე მხრივ, ტყრუშული ღობით შემოსაზღვრული მამულიმიწის ნაკვეთი, ილიას აზრით, სერიოზული განსჯის საგნად უნდა იქცეს. სხვაგვარად ხანგრძლივი მონობითა და უუფლებობით ტრავმირებულ ქართველთა ცნობიერებაში ვერ მოხერხდება „მე“-სა და პირადი ეგოისტური ინტერესების ტყვეობიდან გათავისუფლება, „ჩემი“ და „ჩვენი“ მამულის ცნებათა იმგვარი ტრანსფორმირება, რომელიც კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპებსაც დაიცავს და საცხოვრებელ ტერიტორიასაც სამშობლოდ, ერთადერთ და უმაღლეს მოცემულობად განიხილავს. თუ ა. ბაქრაძე და გ. ასათიანი „მამულს“ ილიას სულიერი და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთიან სისტემაში განიხილავენ, ზ. კიკნაძე წერილში „ილიას მამული“ პრიორიტეტულად ამ ცნების გამოცალკავებას და მისი სიმბოლურ-სემანტიკური მნიშვნელობის ამოცნობას მიიჩნევს (კიკნაძე, 2005, 73). შედეგად აქცენტირებუ-

ლია, ვთქვათ, სეკულარული საუკუნის მიერ „წმინდა სამწყსოს“ ცნების ახალი რიტორიკით განპირობებული „მამულით“ ჩანაცვლება. ასეა თუ ისე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ილიასთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „მცირე“ და „დიდი“ მამულის აზრობრივ-შინაარსობრივი დატვირთვის ქართველის გაზანტებულ გონებამდე მიყვანას, რადგან იგი, ახალი ეკონომიკური წესრიგის პირობებში, ცოდნითა და რწმენით შეიარაღებული არა მარტო აწმყოს, არამედ მომავლის სწორად განკარგვას შეძლებდა.

ევროპული კაპიტალიზმის, განსაკუთრებით კი მისი საწყისი ეტაპის, კონტექსტში მუდმივად განიხილება ქალაქისა და სოფლის ურთიერდამოკიდებულების პრობლემა. ადამ სმითის „ფულადი ეკონომიკის ასპარეზის“ ცნებიდან ვებერ-ზიმელის ურბანსოციოლოგიამდე წარმოდგენილია ამ ორი კულტურულ-სოციოლოგიური ტოპოსის როგორც განვითარების, ისე დაპირისპირების კანონზომიერება, რომელიც საბოლოოდ ქალაქისა და სოფლის ჰარმონიზებული თუ არა ეკონომიკურად გაწონასწორებული თანაარსებობისკენ სწრაფვითაა აღბეჭდილი. საქართველოში სხვა მრავალ დომინანტურ ფაქტორთან ერთად მიწასთან მიწის მუშის (იმავე გლეხის) განსაკუთრებული მიჯაჭვულობის გამო აქცენტირებულია ქალაქის წინაშე სწორედ რომ სოფლის და სოფელში წარმოებული მეურნეობის უპირატესობა. ილიას პროზაულ ტექსტებშიც (ისევე როგორც მის პუბლიცისტიკაში) ანალოგიური შეფასებების მხატვრულ ტრანსფორმაციას ვხვდებით. სოფლური ცხოვრების, როგორც მთელი ქვეყნისა და თვით ქალაქის მასაზრდოებელი ძალის, უპირატესობა აქ მრავალგზისაა დადასტურებული. ამ დამოკიდებულებას ეფუძნება კიდეც ილიას ყველაზე ღირსეული პოლემისტის, არჩილ ჯორჯაძის, საყვედურიც: „ავტორი მარტო სოფლის ცხოვრებას ადევნებს თვალყურს, ქალაქი თავისი რთული აგებულებით აქვს სრულებით მივიწყებული... ჩვენი ავტორი კმაყოფილდება ცხოვრების ცალმხრივი შესწავლით და მასთან არ ასახელებს ძირითადს – წოდებრივ უთანხმოებას“ (ჯორჯაძე, 1989, 65). საინტერესო გამოდგა ამ მხრივ ილიას ე.წ. ქალაქური ტექსტის კვლევა. მ. ხარბედიას წერილში „კენჭგადაყლაპული. მასალები ილია ჭავჭავაძის ქალაქური ტექსტისთვის“ (ხარბედია, 2007, 57) ქალაქთან იმგვარი გაუცხოება იკვეთება (მ. ხარბედია: „ილიას ქალაქი არ უყვარდა“), რომლის მიზეზები, ჩვენი აზრით, კაპიტალიზმის საწყის ეტაპზე ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების არაერთ სიმრუდეს უკავშირდება. მრავალთაგან გამოვყოფდით ერთს, რომლის მიხედვითაც, იდეაში ქვეყნის მასტიმულირებელ-მაკოორდინებელი ცენტრი (თბილისი) „წართმეულ“ ქალაქად განიხილება. და აქ, ცხადია, მხოლოდ ქალაქური ყოფის სირთულით გამოწვეული ზნეობრივი პრობლემები (მაგ., ქალაქში „გლახის ნაამბობის“ თამროს „ავლაბრის უნამუსოდ“ გადაქცევა, ან იმავე ქალაქის გულგრილობას შე-

წირული ძმები მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“, „ულეჩაქო და უნამუსო“ ქალაქის ამირინდო დებედაძისეული შეფასება „უცნაური ამბიდან“, ქართველი დიურუას, ბეჟან ბეჟანის ძე კალმახელიძის, ვნებანი მოთხრობიდან „დიამბეგობა“ და სხვ.) არ იგულისხმება. ილიასთვის თბილისი უცხოტომელთა (სპარსელთა, განსაკუთრებით კი სომეხთა) მიერ ათვისებული საარსებო სივრცეა, სადაც ჩქარი ტემპით იმავე უცხოელთა მიერ ე.წ. „უწოდებრიო საკუთრება“ და არაეროვნული კაპიტალი იქმნება. ასეთი ქალაქის გამოხსნა განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებს. სწორედ ამგვარი მომზადების ჭრილში უნდა განვიხილოთ ილიას ბრძოლა ჩვენი სოციუმის ცენტრალური ფიგურანტის, გლეხის, უმიწოდ დატოვების და კლასობრივი დაპირისპირების გაღრმავების გზით მისი ხელოვნურად გაღატაკების (ანუ გაპროლეტარებისა და რევოლუციისთვის მომზადების) წინააღმდეგ. ილია აუცილებლად მიიჩნევს მესაკუთრული უფლებების შემდგომი სრულყოფის გზით იმავე გლეხის მიწასთან მიმაგრება-მოძლიერებას. „მიწათმოქმედი მუშა ისე არანაირ ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ე. ი. მიწასა“ (ჭავჭავაძე, 1956: 97). ილია შეგნებულად არ ამახვილებს ყურადღებას „წოდებრივ უთანხმოებაზე“, რადგან პრობლემის გადაჭრის საშუალებას ამ სიბრტყეში ვერ ხედავს. მომავლის სოციალ-ეკონომიკური წესრიგის პროექცია გამოკვეთილია არა ნაბატონრისა და ნაყმევის („გლეხთა გათავისუფლების სცენები“), არამედ გიორგისა და არჩილის ურთიერთობაში „ოთარაანთ ქვრივიდან“ (არჩილის სურვილი, შეგირდად დაუდგეს გიორგის, უწოდოს მას „ცხოვრების წიგნი“ და სხვ.). სხვა სიტყვებით, „წოდებათა განმტკიცებითა და გაერთიანებით უნდა შექმნილიყო ის საფუძველი, რომელზედაც უნდა დაემყნოთ საბანკო კაპიტალის მოძრაობა, განათლების ორიენტაცია და სხვ.“ (თევზაძე, 2010). ა. ჯორჯაძის საყვედური კი ილიას მიერ „ცხოვრების ცალმხრივი ხედვის“ შესახებ, სამწუხაროდ, ამ საბოლოო მიზნის ვერგანჭვრეტას ან უგულებელყოფას ნიშნავდა.

რეფორმის შემდგომი პერიოდი ილიას სოციოლოგიური ფილოსოფიისა და ეკონომიკური მოძღვრების საბოლოოდ დახვეწა-ჩამოყალიბებას ემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში შემოქმედებითი მუშაობისთვის სულ უფრო ნაკლები დრო რჩება, მაინც იქმნება საეტაპო მხატვრული ნაწარმოები („ოთარაანთ ქვრივი“), რომელშიც აკუმულირებულია „წოდებათა შერიგების“ ანუ, როგორც ტექსტში ვკითხულობთ, „ხიდჩატეხილობის“ პრობლემაც და მისი გადაწყვეტის გზებიც. იკვეთება გლეხობაზე, უფრო სწორად კი, მის ყველაზე საღ ნაწილზე (თავად ოთარაანთ ქვრივი, გიორგი) ორიენტირებული მომავლის კულტურული პროგნოზი, რომელიც რევოლუციური ძვრების გვერდის ავლით როგორც მაღალი, ისე დაბალი სოციალური ფენების ქრისტიანულ შეგნებასა და ცოდნით გამყარებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეფუძნება. ფაქტობრივად, ეს ქრისტიანული მორალისა და კაპიტა-

ლისტური ეთიკის მორიგების ცდაცაა, რასაც ილიასთვის, როგორც მისი მხატვრულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან ჩანს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უმთავრეს ამოცანად „ყოფილ ყმაში თავისუფალი მესაკუთრის შეგნების აღზრდა“ რჩება. ეს პროცესი კი საზოგადოების განვითარების ილიასეულ გაგებასაც უკავშირდება, რადგან „ილიას სწამდა პროგრესის არა მარტო ეკონომიკური და სამართლებრივი, არამედ ეთიკური მხარეც“ (თევზაძე, 2010). გლეხის (უფრო ზოგადად კი, „ახალი ქართველის“) ფუნქციურობა პირდაპირ კავშირშია „დროთა შესაფერისი საქმიანობის“ სწორად აღქმასა და სისტემურ აღსრულებაში. ამ გამოწვევათა შორის კი უპირველესია შრომის პროცესის კულტივირება, შრომასთან სწორი დამოკიდებულების გამომუშავება – შრომა, როგორც ღვთისმსახურება (პავლე მოციქული, ლუთერი), როგორც ინდივიდის სოციალურ ატომად ჩამოყალიბების პირობა, როგორც პიროვნული, ეროვნული და სოციალური თავისუფლების გარანტი (ნ. ნიკოლაძე, მ. ჯავახიშვილი, რ. გაბაშვილი, გ. ქიქოძე, ფ. გოგიჩაიშვილი). კაპიტალიზმის საწყის ეტაპზე აქტუალური ხდება ჯერ კიდევ ადამ სმითის მიერ („ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების კვლევა“, 1776) სიმდიდრის ფენომენის კვლევისას მიგნებული სიხარბის კონცეპტის ფუნქციურ-სემანტიკური ცვლილება, ანუ სიხარბის ინტერესად გადაქცევის ტენდენცია. სმითის „ახალი დროის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ინტელექტუალურ დოგმად წოდებული“ (ჯ. დრისკოლი) ეს მიგნება, ცხადია, არ და ვერ აისახა ილიამდელ ქართულ პროზასა და დრამატურგიაში (ერისთავი, ანტონოვი, არდაზიანი, ცაგარელი). პირუკუ, სიხარბე თავისი ტრადიციული გაგებით, ლამის ფიზიოლოგიურად და ამდენად ზიზღისმომგვრელად იქნა პორტრეტირებული. არადა ახალი სეკულარული ხანა, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ცვლილების მიჯნაზე ყოფნა უბიძგებს ილიას ამ პრობლემების სიღრმისეული განხილვისაკენ. ილია მთელი არსებით შრომისმოყვარე, მიზანდასახული და აქტიური ადამიანის აპოლოგეტი ხდება. დაწყებული „გლახის ნაამბობის“ მღვდლის მიერ ტალანტის შესახებ ბიბლიური იგავის დამოწმებიდან (იგი აიხსნება ქრისტიანული სიმბოლიკის ეკონომიკური მნიშვნელობით – ნ.კ.), ვიდრე შრომაზე დაფუძნებული მარტოობის დამთრგუნველი პიროვნული თავისუფლების ოთარაანთ ქვრივისეულ მითოლოგემამდე (შდრ. ქალაქურ სივრცეში მ. ვებერისეულ ქონებრივად დაკმაყოფილებულ, თუმცა მარტოობისთვის განწირულ ადამიანს), წარმოდგენილია ილიასეული „მოძრაობის იდეის“ სახისმეტყველებითი ასპექტების (თერგი – მყინვარი, დღე – ღამე) გაშლა-გაფართოება. ეს კი, საბოლოო ჯამში, თავს იყრის მომავლის ქართული სახელმწიფოებრიობის მოწყობის სერიოზულ თეორიულ გააზრებებში: როგორი უნდა იყოს ამგვარი სახელმწიფოს შემქმნელი – ეგოისტი (ჯ. ლოკი) თუ ალტრუისტი, მორალური ადამიანი (ჟ. ჟ. რუსო). შესაძლოა, სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტაში ყველაზე

რელიეფურად მჟღავნდება ილიასეული ზემოთ უკვე ნახსენები „ფაქიზი ბალანსირების“ პრინციპი, რითაც იგი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებს უდგება. სამწუხაროდ, ამ ტიპის აზროვნებას თანამედროვენი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ, სოციალური ატმოსფერო კი კლასობრივი ბრძოლის იდეით იყო მოწამლული. ამიტომაც იგი სათანადოდ ვერ იქნა აღქმული და დაფასებული.

ბიბლიოგრაფია
References

ანდრონიკაშვილი, ზ. (2007). *მამულის დაბადება ლიტერატურის სულიდან.* კრ. ილია ჭავჭავაძე 170. თბილისი.

თევზაძე, გ. (2010). ბურუსი. *„ილია ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება: შესაძლებლობა და სინამდვილე ილია ჭავჭავაძის ისტორიის ფილოსოფიაში“.* მოძიებულია 20. 05. 2015. მისამართი: https//burusi.wordpress.com/2010/.../guramtevzadze/

კალანდარიშვილი, გ. (2007). *„კრიტიკული დისკურსისა და მხატვრული ხედვის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“.* კრ. ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა. თბილისი.

კაკაბაძე, გ. (2008). *„რუსული იდეა“.* ჟ. „ცხელი შოკოლადი“, ლიტერატურა, №12.

კაციტაძე, კ. (2007). *„ქართული საზოგადოება და თანამედროვე გამოწვევები“.* თბილისი.

კვერცხიშვილი, ზ. (2005). *„სიმბოლოები“.* კრ. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბილისი.

კიკნაძე, ზ. (2007). *„ილია ჭავჭავაძის სიმბოლური აზროვნებისათვის“.* კრ. ილია ჭავჭავაძე – 170. თბილისი.

ნინიძე, მ. (2007). *„სხვის დახლთან მდგომი ერი“.* ჟ. ფუძე, №7.

ფირალიშვილი, ზ. (2007). *„ილია – ისტორიული კონტექსტი და პიროვნება“.* კრ. ილია ჭავჭავაძე –170, თბილისი.

ხარბედია, მ. (2007). *„კენჭგადაყლაპული. მასალები ილია ჭავჭავაძის ქალაქური ტექსტისთვის“.* კრ. ილია ჭავჭავაძე – 170. თბილისი.

ჩაისნერი, ო. (2008). *„ორი სამყაროს მგზავრ-თერგდალეულთა იდენტობის კონფლიქტი და ეროვნული ცნობიერება“.* კრ. სეკულარიზაცია, თბილისი.

ჯავახიშვილი, ი. (1938). *„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“.* ტფილისი.

ჯორჯაძე, ა. (1989). *რჩეული ნაწერები*. თბილისი.

ჭავჭავაძე, ი. (1956). *თხზ. სრ. კრებული*. ტ. VIII.

Гронас, М. (2002). Ж. Новая экономическая критика. №58.

Осовская, М. (1987). *Рыцарь и буржуа*.

Макеев, М. (2002). *"Договор с дьяволом в условиях становления капитализма в России".* Ж. НЛО, №58.

Woodmanse, O. (1999). *The Economics Criticizm. Studies at the Entersection of literature and economics.* London: N. Y.

Nona Kupreishvili
Doctor of Philology, Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

"THE LITERATURE ECONOMY" CONCEPTS IN ILIA'S PROSE

Summary

As it is known, "in the form of globalization we face the paradigms coded in the culture system." Their revealing-identification in the context of such writer, as Ilia Chavchavadze, will allow us to see in a new way not only the texts which are well known or less publicized (Ilia has several simir prose works), but the author himself too – the writer actively fighting for Georgian cultural identity. If we use the research method which was called "the new economic critic" introduced in the western literature science in the 1990s, we will be able to see more clearly Ilia's efforts aimed at the engagement of the country standing on the eve of feudalism and capitalistic formations, in the global thinking space. The new economic order, which was to replace the obsolescent public structure, requested the activation of the mentality of the nation "which has been left beyond the history" and the formation of newly functional, "interested person" (as per economic critics terminology) from the past-oriented Georgian. Concepts outlined in Ilia's prose texts (idle and business words; of the sword and calculator; of the homeland, as of economic factor and of the homeland, as of metaphor; village and city and etc.) is the equal result of the correlation of literature and economic discourses and of independent creative thinking. By using them the writer represents "the time-suitable activities".)

The paradigmatic changes which define the current models of cultural globalization are perceived critically by Ilia. The understanding of main values of European civilization (dynamism, constant striving towards renewal and perfection) are reflected in the prose works and publicist letters to be analyzed by us in the context of progress based on the education ideas of Ilia, which, in a certain sense can be considered as standing at the roots of globalization.

მალხაზ მაცაბერიძე
პროფესორი, თსუ

კავკასია გეოპოლიტიკის კონტექსტში

(ვიქტორ ნოზაძის კონცეფცია)

შესავალი

ისტორიამ ისე ინება, რომ გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ვიქტორ ნოზაძეს (1893-1975 წწ.) ცხოვრების დიდი ნაწილის გატარება ემიგრაციაში მოუხდა. 1919 წლის ბოლოს ვიქტორ ნოზაძე, 70 სხვა ახალგაზრდასთან ერთად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა, საიდანაც ის სამშობლოში ველარ დაბრუნდა – საბჭოთა რეჟიმის პირობებში ცხოვრება მისთვის შეუძლებელი იყო. ემიგრაციაში მყოფი ვიქტორ ნოზაძე აგრძელებდა აქტიურ საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობას. ვიქტორ ნოზაძე ბერლინში უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1928 წელს გადასახლდა პარიზში, სადაც დაიწყო რედაქტორული და ჟურნალისტური საქმიანობა (შარაძე გ., 1991, გვ.394).

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ვიქტორ ნოზაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც შეამჩნია გეოპოლიტიკური კვლევების პოპულარობა XX საუკუნის 20-30-იან წლების გერმანიაში და სცადა საქართველოსა და კავკასიის პრობლემების გააზრება იმ დროისათვის ამ ახალი დისციპლინის ცნებებისა და კატეგორიების გამოყენებით. ამ მხრივ, აღსანიშნავია ვიქტორ ნოზაძის მიერ 1930 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო)“ (ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, ## 54-58).[1] დასახელებული ნაშრომი, სამწუხაროდ, დღემდე მივიწყებულია, არადა მას ღირსეული ადგილი შეიძლება მივაკუთვნოთ ქართული გეოპოლიტიკური აზრის ისტორიაში.

ვიქტორ ნოზაძე საქართველოსა და კავკასიის მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს სხვა ნაშრომებშიც ეხება. მაგალითად, იმავე წელს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი „ევროპა და კავკასია (ბრძოლა ნავთისათვის)“ (ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930, №№ 51-52). თუმცა

---

[1] გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ 1926-1939 წლებში გამოდიოდა პარიზში და იყო საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ფრონტის ორგანო. 1928-1939 წლებში გამოდიოდა ჟურნალის სახით. სულ გამოიცა „დამოუკიდებელი საქართველოს“ 159 ნომერი (შარაძე გ., 2001, გვ.79). ჟურნალთან აქტიურად თანამშრომლობდა ვიქტორ ნოზაძე.

კავკასიაში განვითარებული მოვლენების გეოპოლიტიკურ გააზრებას ცდილობს სწორედ ნაშრომში „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის“.[1]

გეოპოლიტიკა: საგანი და ძირითადი ცნებები

ვიქტორ ნოზაძის სტატიაში „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის“ გადმოცემულია გეოპოლიტიკის, როგორც დისციპლინის, განსაზღვრება და განმარტებულია მისი ძირითადი ცნებები. ვიქტორ ნოზაძე არ იმოწმებს კონკრეტულ ავტორებს, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გერმანული გეოპოლიტიკიდან მისთვის, პირველ რიგში, ანგარიშგასაწევი ერიხ ობსტის ნაშრომები იყო.

ობსტმა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ იმოგზაურა საქართველოში და თავისი შთაბეჭდილებების საფუძველზე იმავე წლის დეკემბერში „გეოპოლიტიკის ჟურნალში“ გამოაქვეყნა წერილი: „საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი“. აღსანიშნავია, რომ „გეოპოლიტიკის ჟურნალი“ სწორედ 1924 წელს დაფუძნდა და პირველი პერიოდული გამოცემა იყო, რომელიც მიზნად ისახავდა გეოპოლიტიკის განვითარებასა და პროპაგანდას.[2] უნდა ვივარაუდოთ, რომ ნოზაძის დაინტერესება გეოპოლიტიკით სწორედ „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ პუბლიკაციებმა განაპირობეს.

ერიხ ობსტის მიერ დაწერილი გეოპოლიტიკური ნარკვევი საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი სტიმული იქნებოდა ქართველი ემიგრანტებისთვის დაინტერესებულიყვნენ გეოპოლიტიკით. 1964 წელს, ობსტის სტატიის გამოქვეყნებიდან 40 წლის შემდეგ, აღნიშნული სტატია ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა ჟურნალ „კავკასიონში“ (ობსტი, 1964).

ერიხ ობსტი თავის სტატიაში ეხება 1924 წლის აჯანყებას და იმ ვითარებას, რომელიც საქართველოში აჯანყების შემდეგ სუფევდა. ის ახასიათებს კავკასიის ხალხების დამოკიდებულებას რელიგიისადმი, ქართველთა მიერ თავიანთი საცხოვრებელი სივრცის აღქმას, საქართველოს გეოპოლიტიკურ სახეს, ქართველების გაუცხოებას რუსებისაგან და ევროპისაკენ სწრაფვას, თბილისის გეოპოლიტიკურ როლს, ამასთან ერთად, მოკლედ გადმოსცემს საქართველოს ისტორიის ძირითად საკითხებს (ობსტი, 1964, გვ.5-11).

---

[1] ვიქტორ ნოზაძის ეს ორი ნაშრომი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. წერილში „ევროპა და კავკასია“ ნოზაძე განიხილავს კავკასიის ნავთობისათვის მიმდინარე ბრძოლას პირველი მსოფლიო ომის წლებში და 1919 წელს, ხოლო ნაშრომში „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის“ ნავთობისათვის ბრძოლის თემის განხილვას იწყებს 1920 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის დაკავების შემდეგ.

[2] ჟურნალის გარშემო შემოკრებილი იყვნენ იმდროინდელი ცნობილი გერმანელი გეოპოლიტიკოსები: ა. ჰაუსხოფერი, ე. ობსტი, ო. მაული, ე. ბენზე, ვ. ზივერტი, კ. როსი, ი. კიუნი, რ. პენიგი და კ. ვოვინკელი.

ობსტის სტატიაში განხილულ ძირითად საკითხებზე იმიტომ შევ-ჩერდით, რომ მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ვიქტორ ნოზაძის კონცეფციის ორიგინალურობა. ობსტისა და ნოზაძის გეოპოლიტიკური ანალიზი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ისინი სხვადასხვა გეოპოლიტიკურ საკითხებს ეხებიან.

ნოზაძისთვის ობსტის და სხვა გეოპოლიტიკოსთა ნაშრომები მხოლოდ თეორიული საფუძველი იყო გეოპოლიტიკურ კონტექსტში საქართველოსა და კავკასიის საკითხების განსახილველად. ისიც უნდა ითქვას, რომ ვიქტორ ნოზაძეს შეეძლო, გარკვეულწილად დაყრდნობოდა იმ გეოპოლიტიკურ ხედვებს, რომლებიც იმდროინდელ ქართულ გეოპოლიტიკურ აზროვნებაში არსებობდა. ამ მხრივ, ნიშანდობრივია, რომ თავის სტატიას ვიქტორ ნოზაძემ წარუმძღვარა ილია ჭავჭავაძის მიერ 1879 წელს დაწერილი სიტყვები კავკასიის, როგორც იმპერიების მეტოქეობის არეალის, შესახებ.[1]

ვიქტორ ნოზაძე საქართველოსა და კავკასიის გეოპოლიტიკურ ანალიზს ურთავს გეოპოლიტიკის, როგორც დისციპლინის, განმარტებას. „გეოპოლიტიკა არის სწავლა პოლიტიკურ მოვლენათა მიწაწყალთან გადაბმულობის შესახებ“, – აღნიშნავს ნოზაძე (ნოზაძე, 1930, №54, გვ. 9). დღეს ამ ფრაზას ცოტა სხვანაირად ვიტყოდით: გეოპოლიტიკა არის მეცნიერება (ან მოძღვრება) პოლიტიკურ მოვლენათა მიწა-წყალთან კავშირის შესახებ. გეოპოლიტიკის ნოზაძისეული განსაზღვრება პირდაპირ ეხმიანება 1928 წელს „გეოპოლიტიკური ჟურნალის“ გარშემო შემოკრებილი გეოპოლიტიკოსების ამსახველ სტატიას „გეოპოლიტიკის აგების საფუძვლები“ (Bausteine der Geopolitik, 1928). ამ სტატიის თანახმად, „გეოპოლიტიკა არის მოძღვრება პოლიტიკური მოვლენების დედამიწის სივრცეებთან კავშირის შესახებ“; გეოპოლიტიკა არის „პოლიტიკური მოქმედების იარაღი და გზამკვლევი პოლიტიკურ ცხოვრებაში“. ამის წყალობით, გეოპოლიტიკა „ხდება ნორმატიული მეცნიერება, რომელსაც შეუძლია პრაქტიკული პოლიტიკის წარმართვა“ (იხ. Тихонравов, 2000, с. 118).

ნოზაძე საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ გეოპოლიტიკა არ უნდა ავურიოთ „პოლიტიკურ გეოგრაფიაში“, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოს გეოგრაფიულ არსს, პოლიტიკური სივრცის ორგანიზმებს, მათ აღნაგობასა და სტრუქტურას (ნოზაძე, 1930, №54, გვ. 9).

[1] „თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვა და სხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილობის მიზეზი იქნება კიდეც“ (ჭავჭავაძე, 1955, გვ. 18).

ვიქტორ ნოზაძე წერდა, რომ გეოპოლიტიკა მეცნიერულად სწავლობს „მიწაწყალთან შეზრდილ პოლიტიკური ცხოვრების სახეს“. ნოზაძის თქმით, „გეოგრაფიის მიერ შექმნილი საცხოვრებელი მიწაწყალი“ გეოპოლიტიკას იმ ჩარჩოებს უქმნის, რომელთა შორის უნდა მიმდინარეობდეს პოლიტიკური მოვლენები. ამ შემთხვევაში, „საბოლოოდ მისი წარმატება გადაწყვეტილია“. პოლიტიკური ცხოვრების მატარებელნი ხანდახან „ამ ჩარჩოებს გადასცილდებიან“, მაგრამ ადრე თუ გვიან „მიწაწყალთან გადაბმულობა“ თავისას გაიტანს და მათ უკანვე, „ჩარჩოში“ დააბრუნებს (ნოზაძე, 1930, №54, გვ.9).

გეოპოლიტიკის საგნის განმარტებასთან ერთად, ვიქტორ ნოზაძე მოკლედ განსაზღვრავდა გეოპოლიტიკის იმ ძირითად ცნებებსაც, რომლებიც საქართველოსა და კავკასიის გეოპოლიტიკის ანალიზისთვის სჭირდებოდა.

ასეთი სამი ცნებაა:

– **გეოპოლიტიკურ ძალთა ხაზები** ანუ „პოლიტიკური ძალების განვითარების სივრცითი მიმართულება“;

– **ზრდის ან გაფართოების წვერო, დასაბჯენი ადგილი** ანუ „რომელიმე სახელმწიფოს მიერ სხვა, უცხო საცხოვრებელ სივრცეში საკუთარი პოლიტიკური დასაყრდნობი წერტილი და მისი შექმნა“. ეს გაფართოების წვერო არის „საბოლოო პუნკტი გეოპოლიტიკურ ძალთა ხაზებისა და შესაფერ პირობებში გამოსავალი, დასაწყისი წერტილი ახალ ძალთა ხაზებისათვის“;

– **ძალთა ასპარეზი** – ის ქვეყანა, სადაც რომელიმე სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ძალთა ხაზები ერთდებიან ან ერთმანეთს შორდებიან და სხვა სახელმწიფოების ძალთა ხაზებს ხვდებიან ან ეჯახებიან (ნოზაძე, 1930, №55, გვ.9).

ზემოთ დასახელებული სამი გეოპოლიტიკური ცნება ვიქტორ ნოზაძეს კავკასიის გეოპოლიტიკური დახასიათებისთვის სჭირდება. ამასთანავე, ნოზაძე ემყარება მდიდარ ფაქტობრივ მასალას საქართველოსა თუ კავკასიის ძველი და ახალი დროის ისტორიიდან.

კავკასია – გეოპოლიტიკურ ძალთა ასპარეზი

ვიქტორ ნოზაძის გეოპოლიტიკური კონცეფცია მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ძველი და ახალი დროის იმპერიებისთვის (გეოპოლიტიკური სუბიექტებისთვის) კავკასია იყო „ზრდისა და გაფართოების არეალი“, „გეოპოლიტიკურ ძალთა ასპარეზი“, „გეოპოლიტიკურ ძალთა ხაზების გადაკვეთის“ ადგილი, „კავკასიაში ეჯახებოდენ ერთმანეთს ყველა საიმპერიო ძალები“, „კავკასია იყო და არის გეოპოლიტიკურ ძალთა ასპარეზი“ (ნოზაძე, 1930, №55, გვ. 9-10).

გაფართოების წვეროს როლს კავკასიაში ყოველთვის თბილისი ასრულებდა. თბილისის ხელში ჩაგდებით დამპყრობელი ძალა ბუნებრი-

ვად მიემართებოდა კავკასიის ყველა დანარჩენ მხარეზე გასაბატონებ-ლად.

ასე მოიქცა რუსეთის იმპერია მე-18 საუკუნის ბოლოს. თბილისის ხელში ჩაგდების შემდეგ „რუსეთის ზრდა ლოღიკურად მიმდინარეობდა კასპიისა და შავი ზღვისაკენ“. საბჭოთა რუსეთისთვის კი ძველი თბილისის ისტორიული როლი ბაქომ ითამაშა, გადაიქცა „უცხო იმპერიის დამპყრობელ ფუძედ“ (ნოზაძე, 1930, №55, გვ. 10).

ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავდა, რომ ახალ დროში გეოპოლიტიკური სუბიექტების კავკასიისკენ სწრაფვის მთავარი მოტივი ბაქოს ნავთობის საბადოების დაუფლების სურვილი გახდა.

ბრძოლა კავკასიის ნავთობისათვის

სტატიაში „ევროპა და კავკასია“ ვ. ნოზაძეს დაწვრილებით აქვს განხილული ნავთობის მრეწველობის განვითარება მე-19 საუკუნის ბოლოდან, რის შედეგადაც, კომერციული და ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, ნავთობმა შეიძინა სამხედრო მნიშვნელობაც. ნავთობი გახდა ბატონობის საფუძველი ზღვაზე, ჰაერსა და ხმელეთზე. პირველი მსოფლიო ომის დროს „ნავთობმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო“ (ნოზაძე, 1930 № 51, გვ. 4).

კავკასიამ, სადაც იყო ნავთობი ბაქოში და მისი ტრანსპორტირების გზა – ბაქო-ბათუმის მარშრუტი, მსოფლიო პოლიტიკაში სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ, კავკასიის ნავთობისათვის ბრძოლამ უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო. „შვიდი მხარე იბრძოდა ბაქოს გარშემო“, – წერდა ვიქტორ ნოზაძე (ნოზაძე, 1930, № 52, გვ.4).

ნოზაძე აღნიშნავდა, რომ 1918 წელს გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერის საფუძველი იყო კავკასიის ნედლეულის და, პირველ რიგში, ნავთობის მიღების შესაძლებლობა, ბაქო-თბილისი-ბათუმის რკინიგზის გაკონტროლების სურვილი.

ბაქოს ნავთობის დაუფლება სურდათ ინგლისელებსაც 1918 წლის დასაწყისში, როდესაც სამხედრო შენაერთი ბაქოში შეიყვანეს, თუმცა მაშინ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ დიდი ბრიტანეთი მთლიანად აკონტროლებდა ამიერკავკასიას და ბაქოს ნავთობს. ნოზაძე აღნიშნავდა, რომ კავკასიის კონტროლს ბრიტანეთის იმპერიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ანტანტა შეეცადა, ინგლისის ჯარი კავკასიაში იტალიურით ჩაენაცვლებინა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა (ნოზაძე, 1930, №52).

საბჭოთა რუსეთის ბაქოსკენ სწრაფვა, პირველ რიგში, ნავთობის მიმართ ინტერესით აიხსნებოდა, ისევე როგორც საქართველოს ოკუ-

პაცია 1921 წელს, რადგანაც მოსკოვს („მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას“) ესაჭირეობოდა ნავთობის სატრანზიტო გზა – ბაქო-ბათუმი. დასავლეთი, ნავთობის მაგნატების სახით, საბჭოთა რუსეთთან მიმართებაში თავიდან თითქოსდა ერთიანი იყო და არ ურიგდებოდა კავკასიის ოკუპაციას, მაგრამ სულ მალე, 1923 წლის მარტიდან, „საერთო ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ შესცვალა კავკასიის ნავთის გარშემო ატეხილ დავამ და ჯიბრმა კომპანიებსა და მთავრობებს შორის“ (ნოზაძე, 1930, № 57, გვ. 9).

დიდი ნავთობკომპანიები მალევე გაურიგდნენ საბჭოთა რუსეთს კავკასიის ნავთობის საკითხში. „საერთო ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ შესცვალა კავკასიის ნავთის გარშემო ატეხილ დავამ და ჯიბრმა“ და „ნავთის პოლიტიკოსების მიერ რუსეთისადმი პირის ბრუნებამ ლოღიკურად გამოიწვია კავკასიის ერების ინტერესების მივიწყება და მიჩქმალვა“.

ვიქტორ ნოზაძე მწარედ შენიშნავდა, რომ „ნავთის ინტერესები უფრო მაღლა სდგას, ვინემ ხალხთა თავისუფლების ინტერესები“ და კავკასიაში ნავთობის არსებობა „ხელს უშლის კავკასიის ხალხთა ეროვნულ გამათავისუფლებელ ბრძოლას“ (ნოზაძე, 1930, № 57, გვ.9).

საქართველოს გეოპოლიტიკა – კავკასიის ერთიანობისკენ სწრაფვა

ვიქტორ ნოზაძის აზრით, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ყოველთვის ესწრაფვოდა, კავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოსულიყო. ძლიერების ხანაში საქართველო ცდილობდა, ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცია კავკასია, „საქართველოს მეფენი ყოველთვის სცდილობდნენ და მუდმივად ეს მათ პოლიტიკაში შედიოდა, რომ კავკასია ხელში სჭეროდათ“ (ნოზაძე, 1930, №55, გვ. 10).

ნოზაძე აღნიშნავდა, რომ „საქართველოს მეფეების საკავკასიო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მიზანი“ განპირობებული იყო საქართველოს მდებარეობითა და კავკასიის გეოგრაფიული ვითარებით. ნოზაძის თქმით, ამიერკავკასია გეოგრაფიულად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა. ამიერკავკასიის ბუნებრივი გეოგრაფიული საზღვრებია ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, სამხრეთით კი – სომხეთის ზეგანი და მდინარე არაქსი.

ძლერების ხანაში საქართველო ცდილობდა, თავად გაეკონტროლებინა ეს საზღვრები თავდაცვითი პოლიტიკიდან გამომდინარე, თუკი დასუსტებული იყო, ცდილობდა კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას კავკასიის სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან, რომლებიც ამ საზღვრებს აკონტროლებდნენ. „ეს იყო აუცილებლობა, რომელსაც კარგათ ხედავდნენ საქართველოს მესვეურნი და სცდილობდნენ მის გზაზე სვლას“, – წერდა ვიქტორ ნოზაძე და აღნიშნავდა, რომ „ამის მიზეზი იყო კავკასიის გეოგრაფიული ვითარება“ (ნოზაძე, 1930, №55, გვ.10).

ვიქტორ ნოზაძისთვის იგულისხმებოდა, რომ საქართველომ იგივე როლი უნდა შეასრულოს მომავალშიც.

ვიქტორ ნოზაძის დახასიათებით, თბილისი კავკასიის გეოპოლიტიკური ცენტრია. იმპერიები, რომლებიც კავკასიის დაპყრობას ცდილობდნენ, ესწრაფვოდნენ თბილისის დაუფლებას, ამავე დროს თბილისი საყრდენი პუნქტი იყო საქართველოსა და კავკასიის გამაერთიანებელი ძალებისთვის.

კავკასიის ერთიანობა –
კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის საფუძველი

ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავდა, რომ კავკასიის ქვეყნები თავისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევდნენ, თუკი შედგებოდა „კავკასიის ხალხთა პოლიტიკური მთლიანობა“ (სხვა საკითხია თუ როგორი პოლიტიკური ფორმით). „კავკასია ისტორიულად, გეოგრაფიულად და ეკონომიურად და თუ გნებავთ, კუტურულადაც, ერთობას წარმოადგენს“, – წერდა ნოზაძე.

ამიერკავკასიის სეიმის დაშლის მიზეზად ვ. ნოზაძეს ესახებოდა გარეშე ძალთა „მიზიდვა“, შინაგანი სისუსტე, გაურკვევლობა და „საერთო პოლიტიკის გაუგებრობა“ (ნოზაძე, 1930 № 58, გვ. 8).

კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობის პერიოდში საქართველო ცდილობდა გადაედგა ნაბიჯები „კავკასიის ხალხთა კავშირისაკენ“[1], მაგრამ ამ მცდელობამ ძალზედ მცირე შედეგი მოიტანა და უნიადაგო აღმოჩნდა. „ამაში იყო კავკასიის ერების დამარცხების დასაწყისი“ (ნოზაძე, 1930 № 58, გვ. 8).

ვ. ნოზაძის შეფასებით, ობიექტურად, „თითქმის ყველა პირობა არსებობდა, რომელსაც უნდა გამოეწვია კავკასიის მთლიანობა“, მაგრამ, სუბიექტურად, თვით კავკასიის ერები „არ იყვნენ ამ დიდ საკითხში გარკვეულნი და მისთვის მომზადებულნი“ (ნოზაძე, 1930 № 58, გვ.8).

ნოზაძის თქმით, ისტორიის გაკვეთილი, რომ „კავკასია უნდა იყოს ერთი, ერთიანი, მთლიანი“, კავკასიის ხალხებმა ან ვერ ისწავლეს, ან დაივიწყეს. კავკასიის სახელმწიფოებმა ეს ვერ მოახერხეს 1918-1921 წლებში, ამიტომაც ერთიმეორის მიყოლებით ადვილად დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. „ასე უცბათ, ასე იოლად, ასე უბრძოლველად – არასოდეს, არც ერთ მტერს არ დაუპყრია კავკასია“, როგორს ეს მოახერხეს ბოლშევიკებმა 1920-1921 წლებში. „სამწუხაროდ, კავკასიის დამოუკიდებლობის მიჯნაზე“ კავკასიის ხალხებმა „ვერ მოახერხეს გამოენახათ სა-

[1] 1944 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის „ეროვნული ერთობის საფუძვლები“ ერთ-ერთ წერილში „ამიერკავკასიის ერთობისათვის. შაგარეო პოლიტიკის გეზი“ ვ. ნოზაძეს დაწვრილებით აქვს განხილული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ძალისხმევა ამიერკავკასიის ქვეყნების საერთო მოქმედების მისაღწევად (ნოზაძე ვ., 1944, გვ. 6-11).

ერთო ენა, გაეგოთ საკავკასიო პოლიტიკის აუცილებლობა და საჭიროება“ (ნოზაძე, 1930, №56, გვ. 4).

„კავკასიის მთლიანობის“ საკითხი მას შემდეგ წამოიჭრა, რაც ეს მხარე კვლავ დაიპყრო რუსეთმა (ნოზაძე, 1930, №58, გვ. 8). კავკასიის ქვეყნების ემიგრანტულ წრეებში გაჩნდა გამაერთიანებელი მოძრაობა, რომელიც „კავკასიის კონფედერაციის“ შექმნას ისახავდა მიზნად.

1930 წლის 6-12 თებერვალს ვარშავაში შედგა „პრომეთეიში“[1] შემავალი აზერბაიჯანის, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ნაციონალური ორგანიზაციების კონფერენცია. აღდგენილ იქნა კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი (იხ. Мамулиа, 2012, с. 211).

ორგანიზაცია მიზნად ისახავდა კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდას, მისი ძალების ორგანიზებას დამოუკიდებლობის აღდგენისა და დაცვისათვის და კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას კონფედერაციის საფუძველზე (იხ. Кавказская Конфедерация, 2012, с. 75).

ნაშრომით „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის“, რომელიც 1930 წლის ივნისში დაიბეჭდა, ვიქტორ ნოზაძე შეეცადა, მხარი დაეჭირა ამ გამაერთიანებელი მოძრაობისათვის და ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ კავკასიის ხალხები ცალ-ცალკე ვერ მოიპოვებენ დამოუკიდებლობას, კავკასიიდან წასული ემიგრანტული წრეების შეკავშირება აახლოებდა კავკასიის ხალხების განთავისუფლებას.

გარდა ამისა, ერთიან კავკასიას მეტი წონა და მნიშვნელობა ექნებოდა როგორც თავად კავკასიის ხალხების თვალში, ისე უცხოეთის გათვლებშიც.

ნოზაძეს კარგად ესმოდა, თუ რამდენად რთული იქნებოდა შეთანხმების მიღწევა „ერთიანი კავკასიის პოლიტიკური სახის“ თაობაზე. ეხებოდა რა ემიგრაციაში კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების მიერ დადებულ ხელშეკრულებას, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული „კავკასიის ხალხთა პოლიტიკური მთლიანობა“, ნოზაძე აღნიშნავდა, რომ ეს საკმარისი არ იყო. მისი აზრით, ამ მიმართულებით გადასაწყვეტი იყო „მრავალი რთული და მძიმე საკითხი“ და მათ სათანადო ყურადღება უნდა დათმობოდა. ნოზაძის თქმით, პირველ რიგში, სერიოზულ შესწავლას საჭიროებდა, თუ რა არის კავკასია, როგორი უნდა

[1] პრომეთეიზმი – პოლიტიკური პროექტი, რომელსაც პოლონელი პოლიტიკური მოღვაწე იუზეფ პილსუდსკის (1867-1935) ახორციელებდა. ის მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერას. 1926 წელს პარიზში დაფუძნდა ორგანიზაცია „პრომეთეი“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიის, ყუბანის, დონის კაზაკების, იდელ-ურალის, ინგრიის, კარელიის, კომის, ყირიმის, თურქმენეთისა და უკრაინის წარმომადგენლები.

იყოს კავკასიის პოლიტიკური სახე, რა ნიადაგზე და რა პირობებში უნდა მოხდეს „კავკასიის გამრთელება“ და ა.შ.

გარდა კვლევისა, ნოზაძის განცხადებით, საჭირო იყო თვით იდეის „დიდი ქადაგება“, „რათა ეს აზრი ძვალრბილში გაუჯდეს ყველას მათ, ვინც კავკასიის თავისუფლებით, კავკასიის ხალხთა და კერძოთ ქართველი ერის ბედით არის დაინტერესებული“.

ნოზაძე აღნიშნავდა, რომ კავკასიის ერთობაზე საუბარი საჭიროა არა ტაქტიკური მოსაზრებების გამო, „არამედ ერთობის სრული აუცილებლობისა და გარკვეულ მიზნადაღებულ შეგნების საჭიროებით“ (ნოზაძე, 1930, №58, გვ. 8).

ვიქტორ ნოზაძის გეოპოლიტიკური კონცეფციის ძირითადი დებულებები

გეოპოლიტიკური კონცეფციის ძირითადი დებულებები, რომლის დასაბუთებასაც ვიქტორ ნოზაძე აქტიურად ცდილობდა, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

– კავკასია ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და კულტურულადაც კი ერთობას წარმოადგენს;

– თითოეული ადგილობრივი ერის ინტერესები კავკასიის ინტერესებია;

– კავკასიას, როგორც მთლიან პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ერთეულს, მეტი წონა და მნიშვნელობა აქვს;

– საქართველოს ბედი მჭიდროდაა გადაჯაჭვული კავკასიის ბედთან და საქართველოს თავისუფლება დაკავშირებულია კავკასიის თავისუფლებასთან;

– განმარტოებული საქართველო, თუკი დანარჩენი კავკასია რუსეთის ხელში იქნება, ვერ აიტანს მასთან ომს.

ვ. ნოზაძეს კარგად ესმოდა, რომ კავკასიის გაერთიანებას ხელს უშლიდა კავკასიის ხალხებს შორის არსებული წინააღმდეგობები (განსაკუთრებით, სომხეთ-აზერბაიჯანის), ისევე როგორც ამ ხალხების განსხვავებული საგარეო ორიენტაციები, მაგრამ ძალისხმევა კავკასიის ერთიანობის მისაღწევად აუცილებლად მიაჩნდა და ამის დასაბუთებას გეოპოლიტიკის კანონების მოშველიებითაც შეეცადა.

ბიბლიოგრაფია
Referances

ნოზაძე ვიქტორ. კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო) – „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930 № 54, გვ.8-9; № 55, გვ. 9-10; № 56, გვ.3-4; № 57, გვ.8-9; № 58, გვ. 7-9.

ნოზაძე ვიქტორ. ევროპა და კავკასია (ბრძოლა ნავთისათვის) – „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930 № 51, გვ. 3-6; № 52, გვ. 3-5.

ნოზაძე ვიქტორ. ეროვნული ერთიანობის საფუძვლები. ამიერკავკასიის ერთობისათვის. შაგარეო პოლიტიკის გეზი – „ქართველი ერი“, ბერლინი, 1944 № 15, გვ. 6-11.

ობსტი ერიხი. საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი – კავკასიონი, X, 1964, პარიზი, გვ. 5-11.

შარაძე გურამ. უცხოეთის ცის ქვეშ, ტ.1, თბილისი, „მერანი“, 1991 – 605 გვ.

შარაძე გურამ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბილისი, 2001.

ჭავჭავაძე ილია. შინაური მიმოხილვა. 1879 წელი, იანვარი – თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი V საქართველოს მატიანე, თბილისი, 1955, გვ.17-26.

Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей»: Сборник документов. Сост., пред., пер., прим. Г.Г. Мамулиа. М.: Издательство «Социально-политическая МЫСЛЬ», 2012. – 240 с.

Мамулиа Георгий. Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945). Тбилиси-Париж, издательство «Меридиани», 2012. – 604 с.

Тихонравов Ю.В. Геополитика. М. ИНФРА-М, 2000. – 269 с.

Malkhaz Matsaberidze

Professor, TSU

CAUCASUS IN THE CONTEXT OF GEOPOLITICS

(Concept of Vicktor Nozadze)

Summary

The popularity of geopolitical studies did not remain unnoticed by the Georgian political emigration in the 1920s and the 1930s. The problems of Georgia and Caucasus were comprehended through the concepts and categories of the newly-emerging discipline of those times – *Geopolitics*. Vicktor Nozadze was one of the pioneers in this sphere, who, in 1930, published a work under the title – “For the Geopolitics of the Caucasus (A Struggle for Oil)”, in the journal *Independent Georgia*, №54-58. The above-mentioned work is not publicly known in Georgia, although it should be considered as one of the crucial works in the history of the Georgian political thinking.

Vicktor Nozadze analyzes the developments of Georgia and Caucasus in his other works as well. For example, on the same year, he published another work under the title “Europe and Caucasus” (The Journal *Independent Georgia,* 1930, N 51-

52) and “For the Geopolitics of the Caucasus” which is dedicated to the analyzes of the developments of the Caucasus through the scope of geopolitics.

He also sets geopolitics as a scientific discipline and provides definitions of its main concepts. Works of a German geopolitician Erich Obst weres of particular importance for him. Obst, after travelling in Georgia in 1924, published a work under the following title: “Georgia. A Geopolitical Study”. In his work Nozadze draws on splendid factual materials from the medieval and modern history of Georgia and the Caucasus.

The geopolitical concept of Vicktor Nozadze is formulated into the following propositions: for the medieval and modern empires (a subject of geopolitics) the Caucasus was an area of “growth and enlargement”, “an arena of competition of different geopolitical entities” and “a meeting point of different geopolitical powers”. In the contemporary era the desire to impose control on the oil deposits of Baku pushed geopolitical powers towards the Caucasus.

The countries of the Caucasus had gained freedom if they were united in a single “political entity of the peoples of the Caucasus” (the political structure was not discussed by him). The states of the Caucasus failed to accomplish this goal in 1918-1921, thus they were occupied by the Soviet Russia in 1918-1921. Other geopolitical powers decided not to oppose to the Bolshevik annexation. The fact that big oil companies made a deal with the Soviet Russia on oil depositories of the Caucasus played no last role in these affairs.

According to Viktor Nozadze, due to its geographic location Georgia has always aspired to a leading role in the unification of the Caucasus. In its Golden Age, Georgia tried to incorporate the entire Caucasus within its boundaries; if Georgia’s political positions were weak, it tried to have friendly relations with other political entities of the Caucasus. It was implied that Georgia should play the same role in the future as well.

Tbilisi is considered as a geopolitical center of the Caucasus by Nozadze. Empires, who strived to conquer the Caucasus, tried to seize Tbilisi, as “it was the top of growth and enlargement”. Meantime, Tbilisi was a stronghold for Georgia and for the forces aspiring unification of the Caucasus.

Through the above-mentioned work, Viktor Nozadze tried to support an unificatory movement, which emerged in the emigration circles, coming from the Caucasus and which was aimed at creation of the “Confederation of the Caucasus”.

გიორგი მელიქიძე
დოქტორანტი, თსუ

საარჩევნო ანგარიშვალდებულება: საქართველოს პარტიული სისტემის ანალიზი

კვლევის პროცესში გავეცანი საარჩევნო ანგარიშვალდებულების კუთხით არსებულ სხვადასხვა თეორიას. ამომრჩევლის მიერ საკუთარი წარმომადგენლის არჩევა წარმომადგენლობითი დემოკრატიის საფუძველია (Manin, 1997; Manin, Przesorski, And Stokes, 1999; Pitkin, 1967). სუსტი პარტიული ინსტიტუციონალიზაციის პირობებში ამომრჩეველი ვერ ახერხებს, თვალი ადევნოს პარტიების ანგარიშვალდებულებას მათი ხელისუფლებაში საქმიანობის მიხედვით (Birch, 2001; Mainwaring and Zoco, 2007, pp. 155-178; Thame, 2007, pp. 456-77).

დემოკრატიულ სისტემებში პოლიტიკური პარტიების მხრიდან ამომრჩევლების მიმართ ანგარიშვალდებულება განიხილება დამქირავებლისა (Principal – ელექტორატი) და დაქირავებულის (Agent – არჩეული პარტიის) ჭრილში. ამ კუთხით გამოიყოფა შემდეგი სახის ურთიერთკავშირი: პროგრამული, პერსონალური და კლიენტელისტური (Kitschelt and Willkinson, 2007). პროგრამული ანგარიშვალდებულება განვითარებულ დემოკრატიებს ახასიათებს, როდესაც ამომრჩეველს საკუთარი პრიორიტეტების მიხედვით აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული ხედვა პოლიტიკური ძალებთან დაკავშირებით და საარჩევნო ანგარიშვალდებულებაც საარჩევნო პროგრამას ეფუძნება. ამომრჩევლის გადაწყვეტილების გასამარტივებლად ხშირად ხდება წინასაარჩევნო პლატფორმის დაყოფა მემარჯვენეებად და მემარცხენეებად. პერსონალური ურთიერთკავშირი ვებერის ქარიზმატული ძალაუფლებიდან გამომდინარეობს (Weber, 1978), ემყარება კანდიდატს (ინდივიდუალურ პოლიტიკოსს) და ნაკლები ყურადღება ექცევა პარტიის იდეოლოგიას. ამ ვითარებაში პარტიის პლატფორმა და საარჩევნო ანგარიშვალდებულება ჩანაცვლებულია პირადი სიმპათიითა და ნდობით პოლიტიკოსის მიმართ. კლიენტელისტური კავშირი (Kitschelt, 2000, pp. 845-879; Wantchekon, 2003, pp. 399-422; Van de Walle, 2003, pp. 297-321) გულისხმობს ამომრჩევლის მოსყიდვას, ხმის მიცემას პატრონაჟის სანაცვლოდ და ნეპოტიზმს (Kitschelt, McGann, 1995; Stokes, 2005, pp. 315-325; Tomsa, 2012; Hamayotsu, 2012, p. 120).

საარჩევნო დაპირებების ნორმატიული (Schelder, 1998, p. 191-214) და მანდატის (Detry and Collette, 2008, p. 5) თეორიები წინასაარჩევნოდ გაცე-

მული დაპირებების შესრულებას მორალურ პასუხისმგებლობასა და პარტიული პლატფორმით გამოწვეულ აუცილებლობას უკავშირებს. ამგვარი მიდგომა გამართლებულია განვითარებული დემოკრატიისა და მყარი პარტიული ინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაში, თუმცა ჩვენი ინტერესის საგანია გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილება.

გარდამავალი დემოკრატიის პირობებში, ახლადშექმნილი პარტიები მოკლებულნი არიან საზოგადოებრივ ფესვებს, პარტიულ მხარდაჭერას და დგანან დაშლის საფრთხის წინაშე. აღნიშნული მიზეზები ამცირებს ამომრჩეველსა და არჩეულს შორის წარმომადგენლობით კავშირს. „კენჭისყრის რეტროსპექტული“ თეორია (Fiorina, 1981) მიუთითებს, რომ არ ხდება ამომრჩევლის ინტერესების რეპრეზენტაცია და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, რადგან არჩეული წარმომადგენელი ივიწყებს საკუთარ დაპირებას. საარჩევნო ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს შემდეგი ფაქტორები: საპრეზიდენტო ძალაუფლების დაბალანსება; ალტერნატიული პოლიტიკური ძალის არსებობა; ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის არსებობა; მმართველი ძალის გადარჩევის რეალური შესაძლებლობა (Linz, 1994; Roberts, 1995; Philip, 1998; Weyland, 2001; Samuels and Shugart, 2003).

კვლევის მეთოდი

ჩვენი კვლევის საგანია საარჩევნო ანგარიშვალდებულება საქართველოში – 1990-2012 წლების გამოცდილების ანალიზი. ჩვენ გვსურს არა მიღებული შედეგების განზოგადება, არამედ იმის სიღრმისეული ანალიზი, თუ „როგორ“ და „რატომ“ მუშაობს კონკრეტული სოციალური ფენომენი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მივმართეთ კვლევის თვისებრივ მეთოდებს. საჭირო იყო საარჩევნო ანგარიშვალდებულების სიღრმისეული ანალიზი, რაც მოითხოვს კვლევის არაერთ მეთოდს: „თვისებრივი მეთოდების კომპლექსური გამოყენება ყველაზე ხშირად Case-Study-ის („შემთხვევის შესწავლის“) ფარგლებში ხდება“ (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 7). „მონოგრაფიული გამოკვლევის მეთოდი (კვლევის მიდგომა) არ გვზღუდავს თვისებრივი კვლევის მეთოდების არჩევისას“. ეს მეთოდი რელევანტურია, თუკი კვლევითი კითხვები მოითხოვს სხვადასხვა სოციალური ფენომენის ფართო და სიღრმისეულ ანალიზს (Yin, 2014, p.4).

რადგან კვლევის მიზანი სიღმისეული ანალიზია და არა შედეგების განზოგადება, პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით გამოვიყენეთ ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები, შესაბამის სადისკუსიო გეგმაზე დაყრდნობით. სიღრმისეულმა ინტერვიუებმა საშუალება მოგვცა, გამოგვეყო ჩვენთვის საინტერესო ახალი მიმართულებები. კვლევის პროცესში მივმართეთ ტრიანგულაციას. კერძოდ, გარდა სირღმისეული ინტერვიუებისა, ანალიზის დროს ინფორმაციის მოსაპოვებლად და მეტი დამაჯერებლობისთვის გამოვიყენეთ დოკუ-

მენტების ანალიზის მეთოდი, რაც გულისხმობს ჩვენ მიერ შესასწავლი პერიოდის მანძილზე არსებული სტატიების, ანგარიშებისა და ინტერვიუების ანალიზს.

კვლევა

ძლიერი საპრეზიდენტო ძალაუფლება უპირისპირდება „ანგარიშვალდებულ“ პარტიულ სისტემას (Linz, 1994, In: Kitschelt, 1999, p. 56), რადგან ამბიციური პრეზიდენტი, როგორც პოლიტიკოსი, ცდილობს, ძალაუფლება მაქსიმალურად დაუქვემდებაროს პრეზიდენტის ფიგურას, ამ მიზნით კი იქმნება „პარტიაზე მაღლა მდგომი“ პოლიტიკოსის იმიჯი (Ames, 1994, pp. 95-111). 1991 წლის აპრილში საქართველო ჩამოყალიბდა საპრეზიდენტო რესპუბლიკად. 1995 წლის კონსტიტუცია გამოხატავდა შევარდნაძის სურვილს, მოეხდინა ეფექტური კონტროლი. „საქართველო ჩამოყალიბდა ამერიკული სტილის ძლიერ საპრეზიდენტო რესპუბლიკად, რადგან ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა 1990-იან წლებში არ მიიჩნეოდა შესაფერის წყობად. 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებით პრეზიდენტმა სააკაშვილმა კიდევ უფრო გააძლიერა პრეზიდენტის ძალაუფლება“ (Matsaberidze, 2014, p. 156). გარდა ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის გამოცდილებისა, „საქართველოს აქვს მესიასთან დაკავშირებული პრობლემა“ (de Waal, 2011), რაც გულისხმობს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ ელექტორატს აქვს განსაკუთრებული (გადაჭარბებული) პიროვნული ნდობა. ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში რჩეული პრეზიდენტის პარტია დომინანტურ პოზიციაშია, ხოლო ოპოზიციური პარტიები კი ფრაგმენტულია (Schofield, 2011, p. 332) და სუსტი.

ერთპარტიულ დომინანტურ საპრეზიდენტო სისტემებში ახალ მოთამაშეებს არ ეძლევათ საშუალება, მოახდინონ ამომრჩეველთა მობილიზება (Roberts, 1995, p. 82; Philip, 1998, p. 81-97; Weyland, 2001, p. 1-220) და ისინი გამოირჩევიან ალტერნატიული პოლიტიკური ძალის არარსებობით. საქართველოში გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ალტერნატიული პოლიტიკური ძალების მეტოქეობა საარჩევნო კონკურენციის ფარგლებს გასცდა და ყოფილი თანაგუნდელები ერთმანეთს იარაღით დაუპირისპირდნენ (Kuzio, 2014, p. 168). 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ოცდაოთხი გამარჯვებული პარტია გამოვლინდა, თუმცა საარჩევნო ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა და მომდევნო არჩევნებზე მათი უმრავლესობა არჩევნებშიც კი აღარ მონაწილეობდა. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ოპოზიცია იყო სუსტი და დანაწევრებული (Wooden, 2009, p. 115). მიუხედავად იმისა, რომ „მოქალაქეთა კავშირს“ ოპონირებას არაერთი პარტია უწევდა, ამომრჩევლს რეალური ალტერნატივა ისევ ყოფილი მმართველი პარტიის წიაღიდან გამოსულმა ძალამ – „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შესთავაზა (Wheatley, 2005). ვარდების რევო-

ლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების პირობებში სუსტი და მარგინალური ოპოზიცია აკრიტიკებდა ხელისუფლებას, თუმცა ამომრჩეველს არ სთავაზობდა ეფექტურ ალტერნატივას (Nodia, Scoltbach, 2006, p. 30). საქართველოში საარჩევნო ანგარიშვალდებულებასა და რეპრეზენტატულობას აფერხებს არჩევნებისას გამარჯვების მიზნით შექმნილი ეფემერული (არამყარი, ხანმოკლე) პოლიტიკური ბლოკები (Bader, 2007, p. 8), ასევე – მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობის მხოლოდ მმართველი პარტიისთვის დაკისრება (Nodia, Scoltbach, 2006, p. 111).

ხელისუფლების მიერ ელექტრონული მედიის კონტროლი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა (Mitchell, 2012, p. 160), თუმცა ტელევიზია ქვეყანაში პოლიტიკური ინფორმაციის მთავარი წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური ტელევიზიების მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ ითვლებოდა სარწმუნოდ, პოლიტიკური ინფორმაციის შეზღუდული რაოდენობის პირობებში ამომრჩეველი ინფორმაციას მაინც მათი მეშვეობით ღებულობდა, რადგან „როცა, რაღაც ხდება, ისინი იქ არიან პირველები“ (Caucasus Research Resource Center, 2009, p. 4).



წყარო: International Republican Institute;
A) *Georgian National Study,October 18 – 30, 2005, p. 37;*
B) *Georgian National Study, September 23 – October 1, 2008, p. 48;*
C) *Georgian National Study, April 26 – May 4 2011,* p. 76.

მედიასივრცის პოლარიზაცია ქართული მედიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან არ არსებობს ნეიტრალური მედია – ტელეარხები ემსახურებიან ან მთავრობის, ან ოპოზიციის ინტერესებს (Caucasus Research Resource Center, 2009, p. 10). საქართველო მიეკუთვნება ნაწილობრივ თავისუფალი მედიის მქონე ქვეყნების რიცხვს, სადაც მედიაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა აღინიშნება.



წყარო: Freedom House; Georgia / Freedom of the Press (2002-2012)
(შენიშვნა: რაც უფრო მაღალი ქულა აქვს მინიჭებული კონკრეტული გავლენის ფაქტორს, მით მეტია მისი გავლენა მედიის თავისუფლებაზე)

საქართველოში ინტერესი ტელევიზიების მიმართ შემცირდა, რადგან სხვადასხვა ტელევიზიისგან ალტერნატიული ინფორმაციის მიღება ვერ ხერხდება. საზოგადოებრივი უნდობლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად (მფლობელის ბიზნესინტერესების დასაცავად) სამთავრობო პოლიტიკური / კონკრეტული პოლიტიკური ძალის (Caucasus Research Resource Center, 2009) ხაზის გატარება და საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირების ნაკლებობა დასახელდა (ზურაბიშვილი, 2008). ამომრჩეველს საინფორმაციო საშუალებების ფართო არჩევანზე ხელი არ მიუწვდება, ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალების (ტელევიზიის) მიმართ ინტერესი დაეკარგა და მოწოდებულ ინფორმაციას ნაკლებად ენდობა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოში ამომრჩეველს წლების განმავლობაში არ ჰქონდა ინფორმირებული პოლიტიკური არჩევანის გასაკეთებლად საკმარისი ინფორმაცია (ზურაბიშვილი, 2008).



წყარო: Caucasus Research Resource Center; Georgia Comprehensive Media Research: Summary Findings – August-November, 2009, p. 6.

პოსტსაბჭოთა ჰიბრიდული რეჟიმები საკამოდ შორსაა ლიბერალური დემოკრატიისაგან (McFaul, 2002, pp. 212-244; Carothers, 2002, pp. 5-21). აღნიშნულ ქვეყნებში თანამედროვე სახელმწიფოებისა და ერი-სახელმწიფოს ფორმირე-

ბა ვერ დასრულდა, რაციონალურ-ბიუროკრატიული ტრანსფორმაცია კი წარუმატებლად წარიმართა და ამის საპასუხოდ საზოგადოებასა და მმართველობაში ნეოპატრიმონიალური ტენდენციები გაჩნდა. ნეოპატრიმონიალიზმი ერთგავრი სიმბიოზია პატრიმონიალიზმისა (ხელისუფლების მითვისება მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ; Weber, 1978, pp. 226-241) და თანამედროვე რაციონალურ-ბიუროკრატიული მმართველობისა. ნეოპატრიმონიალურ რეჟიმს საფუძველს უქმნის პატრონ-კლიენტელისტური კავშირები (Eisenstaft, 1981). თუკი პოლიტიკოსი ორიენტირებულია ხელისუფლების შენარჩუნებაზე, მაშინ ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა შეუძლებელია (Samuels and Shugart, 2003, p. 3). პოსტსაბჭოთა რეჟიმები ხასიათდებიან ძალაუფლების კონცენტრირებით ერთი ადამიანის (ადამიანთა ჯგუფის) ხელში, რომელიც ანაწილებს ძალაუფლებას „ჯილდოს მაძიებელთათვის". შიდაელიტური კონსოლიდაცია ქმნის კარტელურ გარიგებებს, რაც ზღუდავს თავისუფალ კონკურენციას და გამორიცხავს „გარეშე პირების" მიერ საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებას. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო მიეკუთვნება ბიუროკრატიულ ნეოპატრიმონიალიზმს (Fisun, 2012, p. 93).[1]

საქართველოში ოცი წლის მანძილზე ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლისა და ძალაუფლების ნებაყოფლობით გადაბარების პრაქტიკაზე უარის თქმის მავნე ტენდენცია ჩამოყალიბდა. დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში, არსებული ხელისუფლებით უკმაყოფილების შემთხვევაში, ამომრჩეველს საშუალება აქვს, შექმნას ალტერნატიული პოლიტიკური პარტია და არჩევნებში დაუპირისპირდეს მმართველ ძალას. საქართველოში მმართველი პარტია უმრავლეს შემთხვევაში არ თმობდა პოზიციას და რჩებოდა ხელისუფლებაში (Bader, 2009, pp. 100-120). გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურის განსაკუთრებულმა პერსონალიზაციამ (Kaufman, 2001, p. 114), ყოფილ მომხრეებთან (იოსელიანი, კიტოვანი, სიგუა) დაპირისპირებამ (Wheatley, 2005) და არსებულმა რადიკალიზმმა ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილება განაპირობა. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სახელმწიფოში ჩამოყალიბდა პატრონალისტურ-კლიენტელისტური (patron-client) კავშირები (King, 2001, pp.93-104; Jawad, 2006). ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული სააკაშვილი განსაკუთრებული პერსონალიზაციითა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაძლიერებით გამოირჩეოდა, თუმცა კლიენტელისტური კავშირები კვლავ შენარჩუნდა (Timm, 2010). პოსტსაბჭოთა საქართველოში 2012 წელს ხელისუფლების არჩევნების გზით გადაბარებამ დადებითი პრეცედენტი შექნა, თუმცა ეს მხოლოდ ცალკეული შემთხვევაა და ოპტიმისტური განწყობისთვის საკამრის საფუძველს ვერ ქმნის.

[1] ბიუროკრატიული ნეოპატრიმონიალიზმი სუპერ საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში ეფუძნება სახელმწიფო ბიუროკრატიის მონოპოლიზაციასა და ნახევრად იძულებით ცენტრალიზაციას, რასაც ზურგს უმაგრებს ძალოვანი/ფინანსური სტრუქტურები; მიმართავენ პოპულიზმსა და პატრიოტული ძალების მობილიზაციას.

ტრანზაციის პერიოდში პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში არჩეული პოლიტიკური ძალის მხრიდან ამომრჩევლის მიმართ ანგარიშვალდებულების სიმცირის გამო ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ გაქრა (Sapsford and Abbott, 2006, pp. 59-71; Stzompka, 1999). საქართველოში, პარტიული კავშირისა და იდეოლოგიური სისუსტის პირობებში, პოლიტიკოსებს უმცირდებათ დაპირებების შესრულების ვალდებულება, რადგან პარტიული და იდეოლოგიური ნიშა არ არის გამოკვეთილი. წინასაარჩევნო დაპირება, უმეტესწილად, ამომრჩეველთა მოზიდვაზეა ორიენტირებული და არ არის შეზღუდული ანგარიშვალდებულებით, ამიტომ იგი იშვითად გამოიყენება, როგორც კავშირის ეფექტური ინსტრუმენტი ამომრჩეველსა და არჩეულ პოლიტიკურ ძალას შორის (Ma, p. 726).

საქართველოში პარტიული აქტივისტები თანხმდებიან, რომ პარტიისთვის უმნიშვნელოვანესი რესურსია ლიდერის პერსონალური მახასიათებლები. აღნიშნული გარემოება ადასტურებს ლიდერის მნიშვნელობას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. ლიდერს უნდა ახასიათებდეს: ცნობადობა, ფინანსური რესურსები, კავშირები გავლენიან ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან (Nodia, Scoltbach, 2006, p. 193). ამ პირობებში პოლიტიკურ ლიდერს ეძლევა საშუალება, იმოქმედოს, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა მოთამაშემ და არა პარტიის წარმომადგენელმა. წლების მანძილზე მაღალი რანგის პოლიტიკოსები თავს არიდებდნენ, ასოცირებული ყოფილიყვნენ რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო დამახასიათებელი მხოლოდ საქართველოსთვის, ზოგადად საპრეზიდენტო რეჟიმები მიდრეკილი არიან პარტიების პერსონალიზაციისა და პარტიებში „გავლენიანი ადამიანების“ დომინირებისკენ (Bader, 2010, p. 92).



წყარო: **International Republican Institute**,
A) *Georgian National Study, October 20 to November, 3, 2004, p.20;*
B) *Georgian National Study,October 18 – 30, 2005, p. 37;*
C) Georgian National Study, April 8 – April 19, 2006, p. 37;
D) Georgian National Study, August 31 – September 10, 2007, p. 28;
E) Georgian National Study, June 16 – 25, 2009, p. 18;
F) Georgian National Study, April 26 – May 4 2011, p. 22

ლიდერთა პარტიები (Wolinetz, 2002, pp. 1-384) ელექტორატს იზიდავენ საკუთარი ქარიზმატული ლიდერების მეშვეობით, თუმცა მათი არსებობა დროში შეზღუდულია და ამგვარი პარტიები პოლიტიკური სცენიდან ლიდერის მიერ პარტიის დატოვების შემდეგ ქრებიან. პოსტსაბჭოთა საქართველოში არსებული სამივე სახელისუფლებო პარტია გახლდათ ლიდერის პარტია. 1990-1991 წლებში მმართველი კოალიცია „მრგვალი მაგიდა“ ძირითადად დაკავშირებული იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან. ლიდერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ დროისათვის გაჩენილი ტერმინი „ზვიადისტებიც“ მოწმობს. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში პარლამენტი პლურალიზმის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, მმართველი „მოქალაქეთა კავშირი“ მთლიანად ლიდერების ძალაუფლებას ეყრდნობოდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულ „ნაციონალურ მოძრაობაში“ მრავლად იყვნენ წარმოდგენილი გამოცდილი პოლიტიკოსები, თუმცა აღნიშნული პარტია ძირითადად მაინც ლიდერის პარტიად მოიაზრებოდა (Markozashvili, 2014, p.188).

სტაბილურობის ზედაპირული შთაბეჭდილების მიუხედავად, პარტიული სისტემა მოკლებულია რეპრეზენტატულობას და კონკურენტუნარიანობას. „პარტიების მიერ საზოგადოებრივ ინტერესებზე დაყრდნობილი პროგრამის წარმოჩენა მხოლოდ ფარდაა, რომელსაც იმისთვის იყენებენ, რომ საკუთარი მოსახლეობა დაარწმუნონ, თითქოს პარტია მართლა ზრუნავს მათზე“ (Wheatley, 2005, p. 158). იდეოლოგიური სისუსტე, თავის მხრივ, განაპირობებს პარტიული სისტემის მიდრეკილებას პარტიების დაშლისა და გაქრობისკენ, რაც უახლოეს მომავალში უცვლელად შენარჩუნდება (Stiftung, 2007, p. 10). საქართველოს მიაკუთვნებენ იმ იშვიათ გამონაკლის ქვეყნებს, სადაც პოლიტიკოსი, რომელსაც მხარს უჭერს ელექტორატის ¾, მცირე ხნის შემდეგ შესაძლოა, იძულებით გადააყენონ თანამდებობიდან (Jawad, 2006, p. 35).

საქართველოს პარტიული სისტემა, იდეოლოგიის თვალსაზრისით, დაბალი პოლარიზაციით ხასითდება (Nodia, Scoltbach, 2006, p. 85). აღსანიშავია, რომ ამომრჩეველს უჭირს პარტიებს შორის არსებული იდეოლოგიური განსხვავებულობის აღქმა. საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა 2004 წლის ივნისში ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანიც იყო, გამოევლინა რესპოდენტების აღქმის პარტიების მემარჯვენე-მემარცხენედ დაყოფასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 39%-ისთვის რთული აღმოჩნდა პასუხის გაცემა. რესპოდენტთა 12% კი ახალ მემარჯვენეებსა და მრეწველებს, საქართველოში ყველაზე მემარჯვენე ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ძალას, მემარცხენე პარტიებად მიიჩნევდა (International Republican Institute, Georgian National Voter Study, June 11-21, 2004, p. 29). ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პარტიების უმრავლესობა ერიდება, დაიკავოს მკვეთრად გამოხატული მემარცხენე ან მემარჯვენე პოზიცია, რაც განაპირობებულია საზოგადოებასთან სუსტი კავშირითა და იდეოლოგიური სიმყიფით.

პარტიებს შორის კონკურენცია მიმდინარეობს არა იდეოლოგიური შეჯიბრის ჭრილში, არამედ ემსგავსება დაპირისპირებას თამაშის წესებთან დაკავშირებით (Bader, 2008, p. 4). პარტიებისა და ამომრჩევლის განხილვის თემა უმეტესწილად არის საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები და არა იდეოლოგიური სხვადასხვაობა. ამომრჩეველსა და პარტიებს შორის სუსტ პროგრამულ-იდეოლოგიურ კავშირს პარტიების განსაკუთრებით დიდი რაოდენობაც განპირობებს. არაერთი პატარა პარტიის არსებობის გამო იფანტება იდენტური ინტერესების მქონე სოციალური ჯგუფების ხმები და ვერ ხდება შესაბამისი სოციალური ფენის ინტერესების წარმოდგენა.

საქართველოში პარლამენტარის სტატუსის მოპოვება პოლიტიკოსების მთავარი მიზანია, ხოლო პარტია კი ამ მიზნის მიღწევის უმთავრესი ბერკეტია. პოლიტიკურ ძალებს არ აქვთ სტაბილურობის განცდა და ისინი ორიენტირებულნი არიან მოკლევადიან (მიმდინარე წინასაარჩევნო) წარმატებაზე. საქართველოში მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური პოზიციის დაკავება პარტიებში დიდი რისკის შემცველ ნაბიჯად ფასდება. პარტიების მიერ დეკლარირებული იდეოლოგია და საარჩევნო პროგრამა მხოლოდ იმიტაციაა და პარტიების იდეოლოგია დაბალი პოლარიზაციით ხასიათდება. დანაწევრებული მრავალპარტიული სისტემა ხელს უწყობს ამომრჩეველსა და პარტიებს შორის კავშირის შესუსტებას, ხოლო პარტიული კონკურენცია კი ლიდერებისა და პროცედურული საკითხების დონეზე გადის. საქართველოში პოლიტიკურ პარტიებსა და ელექტორატს შორის კლიენტელისტური კავშირი და პოლიტიკის პერსონიფიკაცია განაპირობებს პროგრამული ანგარიშვალდებულებისა და რეპრეზენტატულობის ჩანაცვლებას პერსონალურ-კლიენტელისტური ინტერაქციით.

ბიბლიოგრფია
References

Ames, B. (1994), The Reverse Coat tails Effect: Local Party Organization in the 1989 Brazilian Presidential Election. In: *The American Political Science Review* (01) 88.

Bader, (2007), *Making parties fit for democracy: Georgia, Ukraine and the Challenge for democracy assistance.* Opleidging Europese Studies, Universiteit van Amsterdam.

Bader, M. (2009), Understanding Party Politics in the Former Soviet Union: Autoritarianism, Volatility and Incentive Structures; *Demokratizatsiya*, Vol. 17, No. 2.

Bader, M. (2010). *Against All odds; Aiding Political Parties in Georgia and Ukraine.* Amsterdam University Press.

Caucasus Research Resource Center; *Georgia Comprehensive Media Research: Summary Findings – August-November, 2009;*

Detry, F. and Collette, B. (2008), *Measuring How Political Parties Keep Their Promises.* Leval University.

de Waal, T. (2011), Georgia's Political Shake up: Enter the Oligarch. *Georgian Journal* (მოძიებულია 25 აპრილს, 2015 წ.): http://www.georgianjournal.ge/component/content/article/9-news/6278-the-national-interest--georgias-political-shake-up-enter-the-oligarch-.html

Eisenstaft, Sh. And Lemarchand, R. (1981), Political Clientelism: Patronage and Development. In: Eisenstaft, Sh. And Roniger, L. (1984), *Patrons, Clients and Friends: Interpersonal Relations and the Structure of Trust in Society.* Cambridge University Press.

Fiorina, M. (1981), *Retrospective Voting in American National Elections.* New haven: Yale University Press.

Fisun, O. (2012), Rethinking Post-Soviet Poltics from a Neo-patrimonial Perspective. In: *DEMOKRATIZATSIYA – The Journal of Post-Soviet Democratization*, vol. 20, no. 2, (2012).

International Republican Institute, A) *Georgian National Study, October 20 to November, 3, 2004, p.20;* B) *Georgian National Study,October 18 – 30, 2005, p. 37; C) Georgian National Study, April 8 – April 19, 2006, p. 37;* D) *Georgian National Study, August 31 – September 10, 2007, p. 28*; E) *Georgian National Study, June 16 – 25, 2009, p. 18;* F) *Georgian National Study, April 26 – May 4 2011,* p. 22;

Keil, S, I. and Gabriel, O, W. (2013), *Society and Democracy in Europe.* Routledge.

King, C. (2001), Potemkin Democracy: Four Myths about Post-Siviet Georgia. *The National Interest*, No. 64.

Kitschelt, H. (2000), Linkages between citizens and politicians in democratic polities. In: *Comparative political studies,* 33 (6-7).

Kitschelt, H. (2001). Divergent Paths of Postcommunist Democracies. In: *Political Parties and Democaracy*, ed. Larry Diamond and Richard Gunther, 299-326.

Kitschelt, H. (2003). ,,Party Competition in Latin America and Post-Communist Eastern Europe: Divergence of Patterns, Similarity of explanatory Variables." Paper prepared for delivery at the 100th *Annual Meeting of the American Political Science Association Philadelphia,* August 27-31.

Kitschelt, H. and Willkinson, S. I. (Eds.). (2007). *Patrons, clients and policies: Patterns od democratic accountability and political competition.* Cambridge University Press.

Linz, J. J., (1994), Presidential or Parliamentary Democracy: Does it Make a Difference? In: Kitschelt, H. (1999), *Post-Communist Systems: Competetion, Representation and Inter-Party Cooperation*. Cambridge University Press.

Ma, M., (2014). Effectual Linkages Between Campaign Promises and Electoral Accountability. In: *Journal of Parliamentary and Political Law* 8 (3).

Markozashvili, L., (2014), Transition toward Democracy – Georgia problems. In: *Przeglad Politologiczny* 3(14)

Matsaberidze, M. (2014). Search for the Georgian Model of Democracy. In: Jones, S. F. (2014), *The Making of Modern Georgia,* 1918-2012. Routledge.

Manin, B., (1997), Principles of Representative Government; Manin, B., Przesorski, Ad. And Stokes, S. C. (1999), In: Przesorski, Ad. And Stokes, S. C. and Manin, B., (eds) *Democracy, Accountability and Representation,* pp. 1-26; Pitkin, H. F., (1967), The Concept of Representation.

Nodia, G. and Scoltbach, A. P. (2006), *The Political Landscape of Georgia.*

Samuels, D. J. and Shugart, M. S., (2003), Presidentialism, Elections and Representation. In: . *Journal of Theoritical Politics* 15 (1).

Sapsford, R. and Abbott, P. (2006), Trust, Confidence and Social Enviroment in Post-Communist Societies; In: *Communist and Post-Communist Studies* (39).

Schelder, A., (1998), The Normative Force of Electoral Promises*. Journal of Theoritical Politics* 10 (2).

Schofield, N. and Gallego, M. (2011), *Leadership or Chaos: The Heart and Soul of Politics.* Springer.

Stockton, H. (2001). Political Parties, Party Systems, and Democracy in East Asia: Lessons From Latin America. *Comparative political Studies*, 34(1), 94-119.

Timm, C. (2010), Neo-patrimonialism by default: state politics and domination in Georgia after the Rose revolution. Hamburg, 23 August 2010, paper presented at *German Institute of Global and Area Studies* (GIGA).

Weyland, K. (2001), ,,Clarifying a Contested Concept: Populism in the Study of Latin American Politics," In: *Comparative Politics* 34(1).

Yin, R., K. (2014). *Case Study Research Design and Methods.* Printed in the United States of America.

ზურაბიშვილი, თ. (2008), *მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის* ანგარიში „მედია, როგორც ინფორმირებული არჩევანის საშუალება", წამყვანი ტელევიზიები და წინასაარჩევნო პერიოდი საქართველოში მედია (ზე)მოქმედებაში.

ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* თბილისი.

Giorgi Melikidze
PhD Student, TSU

ELECTORAL ACCOUNTABILITY: ANALYSIS OF GEORGIAN PARTY SYSTEM

Summary

In the Democracy systems the accountability from the side of parties to the electorate is considered within the contexts of Employer (Principal – (electorate)) and Employed (Agent – (elected party)). The following types of Mutual Feedback are distinguished in this regard: Program, Personal and Clientelistic. To elect perso-

nal representative by elector is the ground of the representative democratization. However in some cases the elective accountability is suspended. <Voting retrospective> theory shows, that electors interests representation and accountability insurance aren't crried out. Because the elected representative doesn't fulfill his/her own pre-elective promises.

The aim of this article is to study the experience of the elective accountability and representativeness. Research results will help us to analyze which factors cause the reality existed in the point of view of accountability.

During the research, we use Qualitative Research Methods (Case Study). Our goal is to reveal the causal link and to determine those reasons, what has led to existed electoral accountability / representation situation. Our case will be the model of electoral accountability in Georgia. <Expert> interviews with experts and in-depth interviews with the political parties will give us opportunity comprehensively study research matter. For the additional information, we have used interesting articles, interviews and document analysis method.

In the conditions of transitional democracy between the newly created parties and electors is appearing a weak representative link. Pre-election promises in Georgia mainly are oriented on the electors attraction and aren't restricted by the accountability, therefore it is rarely used as an affective instrument of relationship between electros and elected political power. Especial personalization of Gamsakhurdia's political figure, the confrontation with former supporters and existed radicalism led to the violent change of government. This created the precedent to change the government by non-elective way which hampered the Electoral Accountability. During the ruling period of Shevardznadze patronalistic – clientelistic relationship were established in the state. After Rose Revolution, Saakashvili who came into the government was distinguished with his distinct personalization and inclination to strengthen Presidential Institution. However, Clientelistic relationship was still served. In the Post-Soviet Georgia to transfer government via the election way created a positive precedent, but this is only a exceptionalcase and is not sufficient to create optimistic expectations.

Clientelistic relationship between political parties and electorate and political personalization leads to the software accountability and representative replacement by personal – clientelistic interaction. Dominant ruling party, insufficient informed electorate, patronalistic and clientelistic relationship in the politics hampers accountability and representation. To ensure electoral accountability it is important personal-clientelist relationship to be changed by the software interaction between voters and parties based on the political ideology.

ადა ნემსაძე
ფილოლოგიის დოქტორი,
თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ანა ლეთოდიანი
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

გლობალიზაციის პირველი ტალღა საბჭოური პერიოდის ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში

(XX საუკუნის 70-80-იანი წლები)

XX საუკუნეში საბჭოთა სისტემაში მოქცეული რესპუბლიკები გლობალიზაციის მსოფლიო პროცესებისაგან დახშულ სივრცეში აღმოჩნდა. „რკინის ფარდის“ მიღმა მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური თუ კულტურული პროცესები და სიახლეები (ერთეული შემთხვევების გარდა) საბჭოთა სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანებისათვის უცნობი იყო. 70-იანი წლებიდან (განსაკუთრებით მეორე ნახევრიდან) იდეოლოგიური დიქტატურა ოდნავ შესუსტდა, რაც მყისიერად აისახა კულტურაში. ნელ-ნელა თავისუფლდება საზოგადოებრივი აზრი, შედარებით მეტი ინფორმაცია შემოდის დასავლეთიდან, მაღლდება ინფორმირებულობის დონე, რაც პიროვნული თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვას აძლიერებს.

გამოღვიძება და ცვლილებები შემთხვევით არ დაწყებულა. ჯერ იყო 1956 წლის 9 მარტი... 70-იანი წლებიდან დაიწყო საზოგადოების განვითარების ე. წ. „უძრაობის“ ეტაპი. 80-იანი წლების დასაწყისიდან თანდათან გაძლიერდა ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფებები, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა, რაც 1976 წელს „ჰელსინკის კავშირის“ შექმნით დაგვირგვინდა. შემდეგი მნიშვნელოვანი საფეხური იყო სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული მოვლენები 1978 წელს, მაგრამ გარდამტეხი ეტაპი მაინც 80-იანი წლების მეორე ნახევარია, როდესაც მიხეილ გორბაჩოვმა კავშირის გადასარჩენად პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული რეფორმები დაიწყო. გარდაქმნის პროცესმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მძლავრი იმპულსი მისცა საქართველოში. იგი ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც მალე ლეგალურ მუშაობაში გადაიზარდა. საფინალო აკორდი კი ათწლეულის ბოლოს მომხდარი რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა: 1988 წლის ნოემბრის გაფიცვა, 1989 წლის ლიხნის კრება აფხაზეთში და 1989 წლის 9 აპრილი, რომელთაც საბოლოოდ განსაზღვრეს ქვეყნის მომავალი (კვესელავა, 2004).

ზოგად სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას მჭიდროდ უკავშირდება კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესი. სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის მიუხედავად, ჩამოყალიბდა ქართული პატრიოტული საზოგადოებრივი აზრი, რომელიც სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვას. ეს პროცესები კი, პირველ რიგში, ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში აისახა.

თავისუფლება იმთავითვე იგრძნო მუსიკამ. უპირველესი ხელისშემწყობი აქ ევგენი მაჭავარიანის მუსიკალური გადაცემები იყო, რომლებითაც იგი ქართველ მაყურებელს მისთვის აკრძალულ მუსიკალურ სამყაროში უწევდა მეგზურობას; 1986 წელს ანსამბლმა „ივერიამ“ გამოსცა თავისი უკანასკნელი ფირფიტა – როკოპერა „არგონავტები“; 1987 წელს ლადო ბურდულმა და ჯგუფმა „რეცეპტმა“ პირველი სიმღერების ჩაწერა დაიწყეს, რითაც ჩვენში როკმუსიკის ახალი ტალღა და პოსტპანკის ეპოქა დაიწყო; თავისუფლებამ მალე გაცილებით ფართო მასშტაბი შეიძინა – 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში ჩატარდა როკ-ფესტივალი, რომელმაც რამდენიმე საინტერესო ჯგუფი გამოავლინა, მათ შორის გამოირჩეოდა „ტაქსი“ (დადა დადიანი, ირაკლი ჩარკვიანი, კახა კიკაბიძე, ბორია ოსიპოვი). ჯგუფმა იმავე წელს ჩაწერა პირველი მაგნიტოალბომი „ტაქსი“; ქუთაისში შეიქმნა ჯგუფი „აუტსაიდერი“, რომელმაც საბჭოთა კავშირის არსებობის დროს დიდი პოპულარობა მოიპოვა რუსეთსა და ბალტიისპირეთში (გაბუნია, 2012). თავისუფლება არა მხოლოდ სასიმღერო სტილს, თემატიკასა და რიტმულ ნოვაციებს შეეხო, არამედ გამოიხატა გარეგნულ იმიჯში, ჩაცმულობაში, სიმღერის ტექსტებში, შესრულების აგრესიულ მანერაში და ა.შ., რაც, თავისთავად, პროტესტის გამოხატვის თავისებური ფორმა იყო.

ჯგუფი „რეცეპტი“.
გურამ წიბახაშვილის ფოტო

70-იანი წლებიდან შეინიშნება დაპირისპირება სახვით ხელოვნებაში წინა თაობის მხატვრების მიერ დანერგილ ინტენსიური ფერწერის ხაზთან (იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი). ახალი თაობა თანდათან ემიჯნება კანონიზებული სპექტრული ფერწერის ჩარჩოებს და უახლოვდება არაფიგურატულ ხელოვნებას – აბსტრაქცია, კოლაჟი (ალექსანდრე ბანძელაძე, ავთო ვარაზი). ასეთივე ტენდენციები შეინიშნება ქანდაკებასა (გია ჯაფარიძე, გიორგი შხვაცაბაია...) და მონუმენტურ-დეკორაციულ ხე-

ლოვნებაში (კოკა იგნატოვი). 70-80-იან წლებში სიახლეს წარმოადგენს თემო ჯაფარიძის მიერ შემოტანილი ხედვა. „სევდიანი, სნეული პერსონაჟებით დასახლებული ქალაქის ძველი ევროპული რაიონების სტილიზებული სამყარო. დაღლილობა, ირონიული სკეფსისი, ნიჰილიზმის ქადაგება, სენტიმენტალიზმი და მეტად თავისებურად აღქმული რელიგიურობა – ბანალურის მაღალ-ფარდოვნად გამეორების პათოსით – აი, ამ მხატვრული სისტემის ნიშნები, დამახასიათებელი მუქი, აქრომატული კოლორიტით“, – ასე აფასებდა კარლო კაჭარავა იმ დროისათვის ამ ახალ ტენდენციას 2012 წელს „ახალი საუნჯის“ I ნომერში. ამგვარი აზროვნება კი მაშინ დისიდენტობასთან იყო გაიგივებული. უფრო მეტი სიახლე და თავისუფლება შემოიტანა და დაამკვიდრა 80-იანელთა თაობამ. აქედან იღებს სათავეს პოსტმოდერნისტული ტენდენციების ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის პროცესი, იწყება ახალი მასალებისა და ფორმების ძიება, ექსპერიმენტები, პერფორმანსისა და ჰეფენინგის დემონსტრირება. ამ პერიოდის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: გია ბუღაძე თავისი თეორიული პუბლიკაციებითა და ინტენსიური საგამოფენო პრაქტიკით; ირაკლი ფარჯიანი რელიგიურ თემებზე შექმნილი ფერწერით; ლევან ჭოღოშვილი XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ქართული ინტელიგენციის პორტრეტული სურათებით (1985 წელს გ. ბუღაძემ და ლ. ჭოღოშვილმა მოაწყვეს ერთობლივი გამოფენა „ისტორიიდან“, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა); მამუკა ცეცხლაძე თავისი სადიპლომო პროექტით „სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში“... (კაჭარავა, 2015). ბუნებრივია, რომ ამგვარი სიახლეები ფართო მასებისა და ოფიციოზისათვის მისაღები არ იყო.

ავთო ვარაზი. კომპოზიცია Gitanes

ლევან ჭოღოშვილი. ბაქრაძეები

XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ქართულ თეატრში ნოვატორული ძიებებისა და განსხვავებული მიმართულებების დამკვიდრება უკავშირდება ისეთ გამოჩენილ რეჟისორებს, როგორებიც არიან: მიხეილ თუმა-

ნიშვილი, რობერტ სტურუა და თემურ ჩხეიძე. გარდატეხა ქართულ კინოში ცოტა ადრე დაიწყო, როცა რეზო ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის „მაგდანას ლურჯამ“ 1956 წელს კანის კინოფესტივალის უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. ამას მოჰყვა ახალი თაობა: ელდარ და გიორგი შენგელაიები, მერაბ კოკოჩაშვილი, ოთარ იოსელიანი, სერგო ფარაჯანოვი. მათ გარემოსთან და სტერეოტიპებთან მებრძოლი გმირი შემოიყვანეს კინოში, რის გამოც, ბუნებრივია, 60-70-იანი წლების ქართული კინო დისიდენტურად გამოცხადდა. იგავური ჟანრი, მატაფორები, სიმბოლოები არსებული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის მოხერხებული ფორმა იყო. ცხადია, ტოტალიტარული დიქტატურის პირობებში ადგილობრივ ხელისუფლებას არ შესწევდა ძალა, მხარი დაეჭირა ქართული ინტელექტუალური ფრთის პატრიოტული განწყობილებებისათვის, სააშკარაოზე გამოეტანა არსებული უსამართლობა და ნეგატიური პროცესები. ოთარ იოსელიანის წმინდა ფორმალისტური ხერხებით გადაწყვეტილი ნამუშევრის, „აპრილის“, გამოსვლა დაემთხვა ხრუშჩოვის ცნობილ კამპანიას აბსტრაქციონისტებისა და ფორმალისტების წინააღმდეგ, რამაც ასევე პრობლემები შეუქმნა ფილმს; უარყოფითად შეხვდა იმჟამინდელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვესაც“, რომელიც ღვინის მეწარმეთა შეურაცხმყოფელ, ცილისმწამებლურ და სინამდვილის გამყალბებელ ფილმად მიიჩნიეს (კვესელავა, 2004, 76). ამავდროულად, უვარგისი ღვინის 49-ე კასრით რეჟისორმა საბჭოთა სისტემის უვარგისობაზე მიუთითა (საბჭოთა კავშირს მაშინ სწორედ დაარსებიდან 49 წლისთავი შეუსრულდა). საბჭოთა იდეოლოგიისათვის შეუფერებელი იყო ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა“, გიორგი შენგელაიას „ალავერდობა“, მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველი“... ქართული კინოსკოლის განვითარებაში, ახალი გზებისა და ფორმების ძიებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რეჟისორებმა: ნანა მჭედლიძემ, რეზო ესაძემ, ნოდარ მანაგაძემ, ასევე 80-იანებში ასპარეზზე გამოსულმა ახალმა თაობამ: დიტო ცინცაძემ, ტატო კოტეტიშვილმა, ლევან ზაქარეიშვილმა, გოგიტა ჭყონიამ, თუმცა ამ თაობას საკუთარი ნიჭის გამოვლენაში ხელი შეუშალა 90-იანი წლებიდან დაწყებულმა კრიზისმა.

კადრი ფილმიდან „გიორგობისთვე“

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, არ ვიქნებით ტენდენციური, თუ ვიტყვით, რომ დომინანტი ქართულ კულტურაში ტრადიციისამებრ ისევ მწერლობა იყო. 60-იანი წლებიდან მოსულმა ახალმა თაობამ, რომელიც 1957 წელს დაარსებული ჟურნალ „ცისკრის“ ირგვლივ შემოიკრიბა, დიდი ხმაური გამოიწვია ლიტერატურულ ცხოვრებაში. 70-იანი წლებიდან

კი ქართული პროზის აღმავლობის ხანა დგება, როცა ზედიზედ იწერება ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ ჩხეიძის, გურამ დოჩანაშვილის, გურამ გეგეშიძის, არჩილ სულაკაურის და სხვათა საუკეთესო რომანები. ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცხადებული გარდაქმნისა და სიტყვის თავისუფლების პოლიტიკის პირობებში კომუნისტური ცენზურა დღითიდღე კარგავდა ძალას, დღის სინათლეზე გამოდიოდნენ დისიდენტური დაჯგუფებები, რაც მწერლობის, როგორც ერის მაჯისცემის უზუსტესი ამსახველის, განვითარებაზე გავლენას ახდენდა. წინა თაობის უკვე ცნობილი მწერლების გვერდით ჩნდება ახალი, ძირითადად 70-იანების ბოლოდან მომავალი, სახელები: მერაბ აბაშიძე, გია ლომაძე, მიკა ალექსიძე, თენგიზ ჩალაური, ჯემალ თოფურიძე, სოსო პაიჭაძე, ლაშა თაბუკაშვილი, ქეთი ნიჟარაძე, ანა მხეიძე, კოტე ჯანდიერი, გიორგი ბაქანიძე და ა. შ., რომელთაც ბევრი სიახლე შემოიტანეს როგორც სიუჟეტური, ისე ფორმის თვალსაზრისით. მათ შემოქმედებაში ჩანს ახალგაზრდული ენერგია, ტრადიციული გზიდან გადახვევის, გაბატონებული ლიტერატურული ფორმების მსხვრევისა და სიახლის შემოტანის სურვილი, იგრძნობა თავისუფლების იმპულსიც... ამ პერიოდის პროზის მთავარი თემატური მარკერი კი სამყაროში მარტოდ დარჩენილი ადამიანის ტრაგიკული ბედია, საზოგადოებრივი გულგრილობა, ტკივილამდე მისული მარტოობისა და მიუსაფრობის განცდა, რასაც ასე ებრძოდა საბჭოთა პროპაგანდა და იდეოლოგია. ამ ახალი ხედვისა და ტენდენციების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა *ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიამ,* რომელიც სწორედ ამ პერიოდში შემოდის ჩვენში.

XX საუკუნის 20-იან წლებში წინა პერიოდის მყარ ფილოსოფიურ საფუძველზე დაყრდნობით (მარტინ ჰაიდეგერი, სორენ კირკეგორი) ევროპულ ფილოსოფიაში ჩნდება ეგზისტენციალიზმის რელიგიური ფრთა, რომელიც გაბრიელ მარსელის სახელს უკავშირდება, ხოლო 40-იანი წლებიდან ვითარდება ათეისტური ეგზისტენციალიზმის ნაირსახეობები, რაც განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა სარტრის, კამიუს და მერლო-პონტის შრომებში. მალე ამ ახალმა ფილოსოფიურმა მიმართულებამ ლიტერატურაშიც შეაღწია, რაც დღეს ***ლიტერატურული ეგზისტენციალიზმის*** სახელითაა ცნობილი. იგი, როგორც მიმართულება მე-2 მსოფლიო ომის დროს აღმოცენდა ფრანგულ ლიტერატურაში და აერთიანებდა ორ ფრთას: რელიგიურსა (გაბრიელ მარსელი, კარლ იასპერსი, ნიკოლაი ბერდიაევი, ლევ შესტოვი, მარტინ ბუბერი) და ათეისტურს (ჟან პოლ სარტრი, სიმონა დე ბოვუარი, ალბერ კამიუ), ომის შემდეგ კი თითქმის მთელს ევროპაში გავრცელდა (Великовский, 1975). ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიაში ცენტრალური ცნება არის ეგზისტენცია (ადამიანური არსებობა), ხოლო ადამიანური არსებობის ძირითადი მოდუსებია – ზრუნვა, შიში, გადაწყვეტილების მიღება, სინდისი. ადამიანი საკუთარ ეგზისტენციას აცნობიერებს სასაზღვრო სიტუაციებში (ბრძოლა, ტანჯვა, სიკვდი-

ლი). როცა ინდივიდი ეგზისტენციას შეიცნობს, მოიპოვებს თავისუფლებას, რომელიც მისი არჩევანია და რომელიც მას პასუხისმგებლობას ანიჭებს იმ ყველაფერზე, რაც სამყაროში ხდება. ეგზისტენციალისტურმა ფილოსოფიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დასავლეთის ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

ბუნებრივია, ამ ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობის გავრცელებას ჰქონდა ობიექტური საფუძველი. იგი განაპირობა XX საუკუნის ბურჟუაზიული ცივილიზაციის კრიზისმა: გაცვდა სულიერი ღირებულებები, ცხოვრებამ კი ამის საპირწონედ ვერაფერი შესთავაზა ადამიანს, აზრდაკარგულმა არსებობამ ტრაგიზმი წარმოშვა, ადამიანი ღვთის ძალის ყოვლისშემძლეობასა და მის უპირობო სიკეთეშიც დაეჭვდა. *ადამიანი ზნეობრივად დაეცა, ღმერთმა მიატოვა და სოციუმისგანაც უღვთოდ გაიწირა* – ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ის უმოკლესი ფორმულა, რამაც ლიტერატურაში ეგზისტენციალიზმის განვითარებას შეუწყო ხელი. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ისტორიული ნიადაგიც კვებავდა (მეორე მსოფლიო ომისშემდგომი ხანა).

ამ ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ უსაზღვრო თავისუფლება მიანიჭა ადამიანს. სარტრი მიიჩნევს, რომ ადამიანს შეუძლია ყველაფერი, თუკი იგი ამას მოისურვებს და ეცდება. არ არსებობს შეუძლებელი. რეალობა მოქმედებაშია. „ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა მისი პროექტი საკუთარ თავზე. იგი არსებობს იმდენად, რამდენადაც თავის თავს განახორციელებს. ის არაფერს წარმოადგენს გარდა საკუთარი ცხოვრებისა“ (სარტრი, 2006, 42). სარტრი კატეგორიულია და ადამიანის დამსახურებად მხოლოდ იმას მიიჩნევს, რისი გაკეთებაც მან შეძლო და არა იმას, რისი გაკეთებაც შეეძლო. ამის საუკეთესო მაგალითად ეგზისტენციალიტებს მოჰყავთ სიზიფე, რომელიც არ ემორჩილება ღმერთს და თავის არსებობას მთლიანად თვითონ განსაზღვრავს.

ტიციანი. სიზიფე

ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში უმნიშვნელოვანესია სიკვდილის პრობლემა. ესაა კამიუს ფილოსოფიური ნაშრომის „სიზიფეს მითის“ ცენტრალური საკითხი: „არსებობს მხოლოდ ერთი სერიოზული ფილოსოფიური პრობლემა: ესაა თვითმკვლელობა. მსჯელობა იმის შესახებ, ღირს თუ არა სიცოცხლე – ესაა ფილოსოფიის უმთავრესი საკითხი. ყველა დანარჩენი – აქვს თუ არა სამყაროს სამი განზომილება, აქვს თუ არა გონებას ათი ან თორმეტი კატეგორია – მოდის შემდეგ. ეს უკვე თამაშია, დასაწყისში კი საჭიროა პასუხი“ (Кузнецов, 1970, 277). ასევე უმნიშვნელოვანესი კატეგორიებია: არსებობის აბსურდულობა, იმედგაცრუება, შიში, მარტო-

ობა, ბრძოლა სოციუმთან, საზოგადოებასთან და გარემოსთან, რომელიც მტრულადაა განწყობილი.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თითქმის ოთხი ათეული წლის დაგვიანებით შემოვიდა ეგზისტენციალისტური შეხედულებები. ამის უპირველესი ხელისშემწყობი კი „რკინის ფარდის“ შესუსტება და ევროპისკენ გაღებული სარკმელი იყო, რომელიც დღითი დღე ფართოვდებოდა. ეგზისტენციალური ლიტერატურისა და ფილოსოფიის შემოსვლამ თავისთავად მოიტანა სიახლეებიც: ასახვის განსხვავებული ფორმები, წერის თავისებური ტექნიკა, ტრადიციული ეპიკური სიუჟეტური სქემის დემონტაჟი და ყურადღების გადატანა ამბიდან პერსონაჟის შინაგანი, სულიერი მდგომარეობის აღწერაზე, მის არაცნობიერში მიმდინარე პროცესების გამომზეურების სურვილმა ქართულ პროზაში „ცნობიერების ნაკადის“ შემოსვლა და დამკვიდრება გამოიწვია. ეს ყველაფერი კი ლიტერატურის ასპარეზზე ახლადგამოსული ნიჭიერი თაობის შემოქმედებაში აისახა. უკვე 70-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევრიდან, იწყება ეგზისტენციალური პრობლემატიკის დამუშავება. ამ ყველაფერს, ბუნებრივია, იდეოლოგიური წნეხის რამდენადმე შესუსტებამაც შეუწყო ხელი. ესაა საკმაოდ მასშტაბური პროცესი, რომელიც არა მხოლოდ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, არამედ ზოგადად კულტუროლოგიაში, სისტემურად არ არის შეფასებული. ლიტერატურაში მიმდინარე სიახლეები, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არ იყო (ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ), ეს იყო ერთიანი დიდი კულტურული გარდატეხა, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა იმ პროცესებს, რომლებიც 90-იანი წლებიდან დაიწყო ჩვენში. სტატიაში შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ეგზისტენციალიზმის მახასიათებლები და ნიშნები ამ პერიოდის რამდენიმე მოთხრობის მიხედვით, ესენია: მერაბ აბაშიძის „აქეთ მაშხლები, კვაზიმოდო!“ (1975), ჯემალ თოფურიძის „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“ (1978) და თენგიზ ჩალაურის „ნაცრისფერპალტოიანი კაცი“ (1981).

ეგზისიტენციალიზმის ძირითადი საგანია ადამიანი და მისი პრობლემები, ურთიერთობა გარესამყაროსთან, საკუთარი თავის ძიება. აქ განსაკუთრებით აქტუალური ხდება პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება. საზოგადოება უპიროვნო ძალაა, თრგუნავს ადამიანის ინდივიდუალობას, ართმევს მას თავისუფლებას და უზღუდავს ბედნიერების განცდას. დაპირისპირება და სამყაროს მიმართ გაჩენილი უნდობლობა სათაურებიდანვე იწყება, რაც შემდეგ თანდათანობით ღრმავდება ტექსტებში. პერსონაჟის სულიერ მარტოობაზე მიუთითებს ზღვაში ჩაძირული და სამუდამოდ დაკარგული ქალაქი დიოსკურია ჯემალ თოფურიძესთან. ეს მარტოობა კიდევ უფრო მძაფრდება და თვითირონიით ინიღბება მერაბ აბაშიძესთან, როცა პერსონაჟი საკუთარ თავს კვაზიმოდოსთან აიგივებს, ოღონდ ეს კვაზიმოდო უკვე არა კეთილი, არამედ დაუნდობელი და შურისმაძიებელია. ჩაცმულობაში იხატება გაურკვევლობა და ბუნდოვანება

„ნაცრისფერპალტოიან კაცში“, სადაც ძნელადმისანდობი სამყაროსაგან პერსონაჟს ნაცრისფერი სამოსი მიჯნავს, რაც მისთვის ერთგვარი თავდაცვის იარაღია.

სამყარო გაუსაძლისია, იგი აუტანელი ბოროტებითაა სავსე. ამიტომაც ადამიანის არსებობის აზრი აბსურდულობამდე დადის. მას ცხოვრებაში არაფერი კარგი და სასიამოვნო არ ელოდება. ეს ტენდენციები დომინანტურია „დიოსკურიაში“.

„ბიჭის ლოგინი ცარიელია“.

„მარინა წასულია“.

„კოტიკა მოკვდება“. – ამ ფრაზების რამდენჯერმე განმეორება მოთხრობაში ქმნის სწორედ უსიყვარულობისა და მარტოობის სივრცეს, რომელშიც აღარ არის არც შვილი, არც ცოლი და არც მეგობარი. გურამი მარტო რჩება დაუნდობელი სამყაროს წინაშე. იმედგაცრუება კრიზისს იწვევს, რაც თავისთავად არის ეგზისტენციალური შიშის სათავე. გურამისთვის უკვე აღარ არსებობს არანაირი ტრადიციული ღირებულება, რომელსაც თავს შეაფარებდა განწირული და შეშინებული ადამიანი. ბაბუა ბოროტია, მამა საშიში, ბიძა მიტოვებული და გალოთებული, ერთადერთი კეთილი ძაფი სამყაროში დედაა, რომელსაც შეიძლება მოეჭიდოს შვილი, ოღონდ ეს ძაფი მეტისმეტად სუსტია იმედისა და გადარჩენისათვის. ასეა „კვაზიმოდოშიც“. მთავარი პერსონაჟისთვის საზოგადოებასთან დაპირისპირების მიზეზი მისი ფიზიკური სიმახინჯე ხდება. ე. წ. კვაზიმოდო (პერსონაჟს საკუთარი სახელი არ აქვს) პირველ პირში მოგვითხრობს თავის ამბავს. იგი თავს მიტოვებულად გრძნობს, რადგან საზოგადოების ნაწილისგან (საკუთარი და, მისი მოსწავლეები სკოლაში) სიბრალულს იღებს, ნაწილისაგან კი (მღვდლის შვილი ანდრო და მისი ამფსონები) – დაცინვას და ძალადობას, ვერც და ნინკა, ვერც თანამშრომელი გივი და ვერც „უმანკო კრავები“, მოწაფეები, ვერ ამსუბუქებენ ამ ტვირთს, რადგან ადამიანი მუდმივად ბრძოლის ველზეა და მისი მტერი ეს სამყაროა.

გაუცხოებისა და მარტოობის ერთ-ერთ მიზეზად იქცა ტექნიკური პროგრესიც, რაც ეგზისტენციალურმა ფილოსოფიამ ასევე ბედნიერების შემაფერხებელ ფაქტორად დასახა. როცა ადამიანის ცხოვრების გასაუმჯობესებლად შექმნილი შრომის პროდუქტები პირიქით დანიშნულებას იძენენ და ხელს უშლიან მას. „ტექნიკური გაუცხოება“ – ესაა ადამიანის თვითგაუცხოება, რომელიც წარმოიშობა იმის გამო, რომ კაცობრიობა თავის ძირითად საქმიანობად ტექნიკურ საქმიანობას მიიჩნევს და ავითარებს მას. „ტექნიკური გაუცხოება“ ნიშნავს ადამიანის თვითგაუცხოებას ტექნიკის კულტისა და ფეტიშიზაციის საფუძველზე“, – წერს ზურაბ კაკაბაძე წერილში „ეგზისტენციური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“ (კაკაბაძე, 2011). სწორედ ეს პრობლემატიკაა ძირითადი თენგიზ ჩალაურის „ნაცრისფერპალტოიანი კაცისათვის“. მას შემდეგ, რაც *გაზაფხულის ქუჩა პროგრესის პროსპექტად* გადაკეთდა, ქალაქმა რადიკალურად იცვალა სახე. მთავარი გახდა, „არ ჩა-

მოვრჩეთ ტექნიკურ პროგრესს“ და მეორე პლანზე გადაიწია ადამიანის ბედნიერების საკითხმა, რაც ფეხით მოსიარულეებისთვის დაწესებულ შეზღუდვებში გამოიხატა. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი სწორედ ამის წინააღმდეგ მიდის და ქუჩას ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს კვეთს ისევ ისე, როგორ წინათ, როდესაც ქუჩაში „რკინისცხვირიანი კენტავრები“ არ დადიოდნენ. ეს მოთხრობა საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უქმნის საფრთხეს ადამიანის არა მარტო ბედნიერებას, არამედ სიცოცხლესაც ტექნიკური საქმიანობის აბსოლუტიზაცია. არ შეიძლება, ყველა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პრობლემა გადაწყდეს მხოლოდ ტექნიკის საფუძველზე, იგი არ არის ადამიანის სიცოცხლისა და ბედნიერების გარანტი.

ეგზისტენციალიზმში ერთ-ერთი მთავარი კატეგორიაა დრო. მარტინ ჰაიდეგერს იგი განხილული აქვს ნაშრომში „ყოფიერება და დრო“ (1927). სათაურიდან გამომდინარე, ავტორისათვის ყოფიერების გასაღები სწორედაც რომ დროშია, ოღონდ ეგზისტენციალისტების მიერ დროის გააზრება ცოტა განსხვავებულია. ეგზისტენციალური დრო არ შედგება წარსულის, აწმყოსა და მომავლისაგან, იგი ერთიანი დროა, რომელიც სამ ექსტაზად იშლება. ამ სამ ექსტაზში ჰაიდეგერი მომავალს ანიჭებს უპირატესობას. ოღონდ ეს არაა ტრადიციული გაგებით მომავალი. თუკი ტრადიციულად წარსული ისაა, რაც უკვე აღარ არსებობს, მომავალი ჯერ კიდევ არ დამდგარა და აწმყო არის მარად განმეორებადი ახალი, ეგზისტენციალური გაგებით, წარსულიც და მომავალიც ისევე ნამდვილად არსებობენ აწმყოში, როგორც თვით აწმყო, რომელიც არის არა განმეორებადი ახალი, არამედ გარკვეული ხანიერების მქონე განუმეორებელი წამი (ქუმსიშვილი, 1990). ეს ტენდენცია შეინიშნება ეგზისტენციალურ პროზაშიც. ჯემალ თოფურიძის „დიოსკურიაში“ დროის გააზრება უაღრესად რთულია, არადანაწევრებული. ტექსტში აწმყო, წარსული (სხვადასხვა ეპიზოდი ბავშვობის ხანიდან: დედის შესაშინებლად ფანჯარაში ვითომ გადასაგდებად გადაწეული გურამი, ბათუმში მამასთან ერთად გატარებული დრო, ბიძისა და მისი ლამაზი ცოლის მედიკოს სიყვარულის ტრაგიკული ისტორია...) და მომავალი (ყველაფერი კარგად იქნება) ერთი მთლიანობაა, თხრობა გაბმულია და ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული მოგონებები თუ ოცნებები, ეს ერთი მთლიანი ტრაგიკული ცხოვრების გზაა. ასევეა თენგიზ ჩალაურის „ნაცრისფერპალტოიან კაცშიც“, გაზაფხულის ქუჩა წარსულია, პროგრესის პროსპექტი კი – აწმყო და მომავალი ერთად. აქაც თხრობა უწყვეტია, ეგზისტენციალური დროის სხვადასხვა ექსტაზში მომხდარ ამბებს წარსულ-მომავლის ნიშნით არ ანაწევრებს ავტორი და როგორც მთლიანობას, ისე გადმოგვცემს. ამავე დროს, ჰაიდეგერისათვის დრო სასრულია და არა უსასრულო. იგი მუნყოფიერებასთან ერთად არსებობს, შესაბამისად, მისი სიკვდილის შემდეგ დრო მთავრდება, თუმც იგი იარსებებს სხვა მუნყოფიერებასთან ერთად, რადგან დრო მუნყოფიერების სამყაროა. ჰაიდეგერი დროს აღიარებს, როგორც მხოლოდ სუბიექ-

ტურად არსებულს, უფრო ზუსტად, გარკვეული სუბიექტის ყოფიერებაში არსებულს. და რადგანაც ნებისმიერი ყოფიერი დროში სასრულია, ამიტომ დროც სასრულია. დროის დასრულებულობის ამგვარი ტრაგიკული განცდა შეინიშნება „დიოსკურიის“ ფინალში: „მანქანები წავიდ-წამოვიდნენ. ხალხი გაიფანტა. აღარავინ და აღარაფერი არ იყო გარშემო, თოვლის გარდა. დედამიწას თეთრი და სისხლიანი პერანგი ეცვა“ (თოფურიძე, 2014, 55).

მარტინ ჰაიდეგერის მოძღვრების (შესაბამისად, ეგზისტენციალური ფილოსოფიის) უმთავრესი პოსტულატებია ყოფიერების არსის წვდომისაკენ სწრაფვა და მუნყოფიერების მიღწევა. საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანი მუდმივად განიცდის გავლენასა და ზეწოლას. ეს ზეწოლა მოდის ვიღაცისგან (ჰაიდეგერი ამის აღსანიშნავად იყენებს განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს man – ვიღაც ანუ არავინ). Man აიძულებს ადამიანს, ისევე იფიქროს, დაინახოს, შეაფასოს, როგორც ამას აკეთებენ სხვები. Man-ის გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანს ახასიათებს გაუცხოება, იგი კარგავს პიროვნებას და განზოგადებულ უფერულ არსებად იქცევა. მაგრამ თუ ადამიანმა შეძლო და man-ის ყოველდღიურობისგან გათავისუფლდა, მაშინ ის იძენს საკუთარ თავს, ყოველი დღე მისთვის განუმეორებელ მოვლენად იქცევა და ყოველი წამი აღმოჩენაა (ქუმსიშვილი, 1990). პიროვნება მოიპოვებს რა ეგზისტენციას, ხდება ინდივიდი, მის ცხოვრებას უკვე აქვს საკუთარი არსი („არსებობა წინ უსწრებს არსებას“). ეს პროცესი შესასრულებლად ურთულესი და ძალიან მტკივნეულია ფრანგულ ეგზისტენციალურ ლიტერატურაში (ალბერ კამიუს „უცხო“, ჟან-პოლ სარტრის „გულისრევა“) და ძირითადად ტრაგიკულად მთავრდება. ეგზისტენსი, შეიცნობს რა სამყაროს სრულ აბსურდულობას, მიდის თვითმკვლელობამდე ან არ ეწინააღმდეგება ადამიანებს, რომელთაც მისი მოკვდინება სურთ. ეს, ძირითადად, ათეისტური ფრთის დამახასიათებელი ნიშანია და ქართული სინამდვილე რამდენადმე განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. ჩვენ მიერ განსახილველ სამივე ავტორთან შეიმჩნევა man-ის ყოველდღიურობასთან დაპირისპირება და მისგან გამოყოფის სურვილი, რაც ეგზისტენციის მოპოვებით სრულდება. „კვაზიმოდოს“ მთავარი პერსონაჟიც, გურამიც და ნაცრისფერპალტოიანი კაციც მკვეთრად გამორჩეული ინდივიდუალობით ხასიათდებიან: ეწინააღმდეგებიან საზოგადოებას, აქტიურად გამოდიან მის წინააღმდეგ და ზოგჯერ მორალის ნორმებსაც არღვევენ ამისათვის, არ განიცდიან სხვათა უარყოფით შეხედულებას მათზე და ა.შ. ამრიგად, ისინი იძენენ საკუთარ თავს, თუმც ეს ხანა მალევე სრულდება ტრაგიკული სიკვდილით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიკვდილის პრობლემა ერთ-ერთი მთავარია ეგზისტენციალიზმში. კირკეგორი მიიჩნევს, რომ ოპტიმისტი ადამიანები ღრმად ცდებიან. ცხოვრება არაა სიხარული, იგი მწუხარებაა. ადამიანი საკუთარი ნებით არაა მიტოვებული და გაუცხოებული პირქუშ სამყაროში. ეს მისი ხვედრია. ამ პირობებში სად უნდა იპოვოს ადამიანმა გამოსავალი, არის კი იგი საერთოდ? ყოფნა თუ არყოფნა იმ პირობებში, როცა

ცხოვრება საშიში, მოსაწყენი და აბსურდულია? ამ საკითხში იყოფა ეგზისტენციალისტთა აზრი. რელიგიური ფრთის წარმომადგენელთათვის გამოსავალი ღმერთის არსებობაშია. სუბიექტი გახსნილია და მიისწრაფვის სხვისკენ, ეს სხვა კი ღმერთია. ათეისტური ფრთის წარმომადგენლებს ამ სიტუაციაში შემოაქვთ აბსურდის კატეგორია, მაგრამ ეს არაა გამოსავალი. ერთადერთი გამოსავალი აქ თვითმკვლელობა ან პასიურობაა. სიკვდილის თემა დომინანტურია ამ პერიოდის ლიტერატურისთვის. ჩვენ მიერ განსახილველ სამივე მოთხრობაში სიკვდილის მოლოდინი უმაღლეს რეგისტრშია აყვანილი, სიკვდილს თვალებში უყურებენ გურამი, კვაზიმოდო და ნაცრისფერპალტოიანი კაცი, თუმც თვითმკვლელობის სურვილი არცერთ მათგანს არ უჩნდება. ტრაგიკული სიკვდილი თვითმკვლელობის ნაცვლად – ესაა ყველა მოთხრობის ფინალი. სხვა ადამიანთა გაუფრთხილებლობის გამო კატასტროფას ემსხვერპლება გურამი: „დედამიწას თეთრი და სისხლიანი პერანგი ეცვა“ (თოფურიძე, 2014, 55); ქუჩაში იღუპება ნაცრისფერპალტოიანი კაცი: „პარალელურად მიმავალ ორ თეთრ ხაზს შუა გულაღმა ეგდო ნაცრისფერპალტოშემობდღვნილი ბერიკაცი, რომელიც ბინდგადაკრული და უკვე სიცივეშეპარული თვალებით რატომღაც მშვიდად იყურებოდა მარადიული სამყოფლისკენ...“ (ჩალაური, 1987, 46); სიკვდილი მთავარი ტრაგედიაა „კვაზიმოდოში“, სადაც ქმრისგან ნაცემი შვიდი თვის ფეხმძიმე, სრულიად უდანაშაულო ნინკა იღუპება, რაც მთავარ პერსონაჟს ანდროს მოკვლისკენ უბიძგებს: „გადაწყვეტილი მაქვს, პირველი ტყვია მუცელში ვხეთქო, როცა იგი დაეცემა, ტკივილებისაგან მთლად დაკრუნჩხულს მკერდზე ფეხი დავადგა, დავაჭირო და აუღელვებლად, მშვიდი ღიმილით დავცხრილო! მაშ... გავაჩირაღდნოთ ეშაფოტი! აქეთ მაშხლები... კვაზიმოდო!“ (აბაშიძე, 1978, 139).

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ, მიუხედავად დასავლეთისგან განსხვავებული რეალობისა, მიუხედავად იმ პოლიტიკური და კულტურული იზოლაციისა, რომელსაც საბჭოეთში მოქცეული ქვეყნები განიცდიდნენ, გლობალიზაციის პირველი ნიშნები მაინც გამოვლინდა 70-80-იანი წლების ქართულ ხელოვნებაში გარკვეული ტენდენციებისა და მიმართებების სახით.

ბიბლიოგრაფია
References

აბაშიძე, მ. (1978). *აქეთ მაშხლები, კვაზიმოდო!* ბათუმი: საბჭოთა აჭარა.

გაბუნია, ლ. (2012. 05. 20). ლაშა გაბუნიას საავტორო გაზეთი „ანარეკლი“. *ქართული ალტერნატიული მუსიკის ისტორია.* ნაწილი IV. მოძიებულია 20. 05. 2015. მისამართი: http://anarekly.blogspot.com/2012/05/iv.html

თოფურიძე, ჯ. (2014). „დიოსკურია *ზღვაში ჩაძირული ქალაქია“ და სხვა მოთხრობები.* თბილისი: ინტელექტი.

კაკაბაძე, ზ. (2011. 07. 05). ბურუსი. *„ექსისტენციური კრიზისის "პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდნტალური ფილოსოფია.* მოძიებულია 20. 05. 2015. მისამართი: https://burusi.wordpress.com/2011/07/05/kakabadze-3/

კაჭარავა, კ. (2015. 03. 14). ჟურნალი „ახალი საუნჯე". *მე-10 სართულის ისტორიიდან.* მოძიებულია 20. 05. 2015. მისამართი: http://axalisaunje.blogspot.com/2015/03/10.html

კვესელავა, ი. (2004). *საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990). საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა.* წ. 1. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სარტრი, ჟ. პ. (2006). *ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია.* თბილისი: ჯეოპრინტი.

ქუმსიშვილი, მ. (1990). ყოფიერება, დრო, სივრცე, ადამიანი ჰაიდეგერის ფილოსოფიაში. *მნათობი,* №8, 144-148.

ჩალაური, თ. (1987). *ნაცრისფერპალტოიანი კაცი.* თბილისი: მერანი.

Кузнецов, В. (1970). *Французская Буржуазная Философия XX века*. Москва: Мысль.

Великовский, С. (1975). Экзистенциализм в литературе. *Краткая литературная энциклопедия*. т. 8. Москва: Советская энциклопедия. მოძიებულია 20. 05. 2015. მისამართი: http://feb-web.ru/feb/kle/kle-abc/default.asp.

Ada Nemsadze

Doctor of Philology, TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Anna Letodiani

Assistant Professor, TSU

FIRST WAVE OF GLOBALIZATION IN THE XX CENTURY GEORGIAN ARTS AND LITERATURE (1970s-1980s)

Summary

The republics which were part of the soviet system in the 20th century appeared in a space isolated from the world globalization processes. The social-political and cultural innovations (aside from few exceptions) underway behind the <Iron Curtain> were unknown. Ideological dictatorship slightly weakened in 1970s, which was immediately reflected in the culture. From 1980s the public opinion started freeing, more information started coming in from the west and the level of youth education and awareness increased, which empowered the aspiration to personal self-realization.

Freedom was initially felt in music: E. Machavariani's musical programs; Iveria's rock-opera *Argonauts;* Lado Burduli and his band *Recipe;* The bands: *Taxi; Outsider;* which started the new wave of rock music and post-punk era here. Innovations are also observed in fine arts: alongside of the canonized spectral painting appears the afigurative arts – abstraction, collage (Alexander Bandzeladze, Avto Varazi) and

the similar tendencies appear in sculpture (G. Jafaridze, T. Kikalashvili...) and monumental-decorative arts (Nikoloz Ignatovi). 1960s-1970s were the period of introduction of innovative searches and diverse directions in Georgian theatre (Mikheil Tumanishvili, Robert Sturua, Temur Chkheidze). Georgian movies of the given period were directly announced as dissident, as the directors of the given period (Eldar Shengelaia, Giorgi Shengelaia, Merab Kokochashvili, Otar Ioseliani, Sergo Farajanovi) introduced characters fighting with the existing situation and stereotypes: Otar Ioseliani's *Giorgobistve* and *April*; Giorgi Shengelaia's *Alaverdoba;* Eldar Shengelaia's *Extraordinary Exhibition;* Merab Kokochashvili's *Great Green Valleyp*

Traditionally literature still remained dominant in Georgian culture. The young generation of the 1960s caused great changes in the literary life. The young generation engaged in the given process along with already celebrated writers a little later. Main topic of our report is the analysis of innovations introduced by them, namely the existential tendencies.

Existentialism, as philosophical movement first appeared in France in the 1920s; atheistic existentialism trends were added to it in the 1940s (Jean Paul Sartre, Albert Camus, Maurice Merleau-Ponty). Quite soon the given new philosophical movement affected literature and nowadays it is known as **literary existentialism.**

The reason for the appearance of European existentialism was the crisis of the beginning of the 20th century; spiritual values wore out, a man doubted the almightiness of god and life did not propose any counterbalance to a man, which resulted in tragedy. In Georgian reality, the given global problematic was added with the protestant attitude, which was the result of communist regime and impairment of national-Christian values.

Existentialism introduced innovations to literature: different forms of reflection, specific writing technique, demolishing of the traditional epic plot scheme, psychologism, introduction of the "stream of consciousness". In late 1970s the given literature innovations were met by new and talented generation: Merab Abashidze, Gia Lomadze, Mika Aleksidze, Tengiz Chalauri, Jemal Topuridze, Katie Nijaradze, Anna Mkheidze, Kote Jandieri... "Demolished *world", suspended communication with it and due to that a lonely man: sadness, fear, loneliness, hopelessness* – are the features characterizing the Georgian literature works of the given period.

ნანული ტალახაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ეროვნული პოლიტიკისა და ლიტერატურის ორგანო „გუშაგი“

ემიგრანტული მედია უმდიდრეს მასალას მოიცავს, როგორც ისტორიული, ლიტერატურული თუ კულტუროლოგიური, ისე ჟურნალისტიკათმცოდნეობის თვალსაზრისითაც. ქართულმა პოლიტიკურ-კულტურულმა ემიგრაციამ, გასული საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, უამრავი პერიოდული ორგანო დააარსა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და, გამორჩეულად, საფრანგეთში, სადაც 1921 წლის საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები კომპაქტურად დაფუძნდნენ და მრავალმხრივი პოლიტიკური, მეცნიერული თუ ლიტერატურული საქმიანობა პერიოდიკის ფურცლებზე გაშალეს. ემიგრაციაში მყოფ თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიას ჰქონდა საკუთარი მედიასაშუალება, ასევე გამოდიოდა არაპარტიული ჟურნალ-გაზეთები და სამეცნიერო თუ მხატვრულ-ლიტერატურული პროფილის პერიოდიკაც.

სწორედ ემიგრანტული ბეჭდური მედიის შესწავლის საშუალებით გახდა შესაძლებელი, გააზრებულიყო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი, რომელიც სამი ათეული წელია, ხელმისაწვდომი გახდა ქართველი საზოგადოებისათვის და საკმაო მოცულობის მასალაში გამოიკვეთა ორი ძირითადი ასპექტი: ერთი მხრივ, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ როგორ ხედავდნენ და აღიქვამდნენ ემიგრანტები ქართულ რეალობას, რამდენად იყვნენ ინფორმირებულები და რა ღირებულებითი კატეგორიებით აფასებდნენ საბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესებს, მეორე მხრივ კი, ემიგრანტული მედია მრავლისმეტყველ მასალას გვაწვდის ქართველი პოლიტემიგრანტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მათ პოლიტიკური, კულტურული თუ სოციალური მდგომარეობის შესახებ და, იმ პრობლემებზეც, რომლებიც მწვავედ იჩენდა თავს ემიგრაციის შიდა ცხოვრებაში და გრძელდებოდა გასული საუკუნის 80-90-იან წლებშიც. შეიძლება ითქვას, რომ ემიგრანტული პრესა პოლიტიკური პარტიების თვალთახედვათა დაპირისპირებების ასპარეზად იყო ქცეული, რაც პიროვნულ ურთიერთობებზეც აისახებოდა. მკვლევარი ავ. ნიკოლეიშვილი შენიშნავს: „სამწუხაროდ, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები განსხვავებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების

მქონე პარტიები და ჯგუფები აღმოჩნდნენ დაქსაქსულნი, რაც ასუსტებდა მცირერიცხოვან ემიგრაციას და იკარგებოდა მთლიანი ეროვნული მიზანი, ქართულმა ემიგრაციამ ამგვარი პარტიული მსოფლმხედველობრივი დაქსაქსულობის გამო ბოლომდე ვერ გამოავლინა თავისი ეროვნული ენერგია“ (ნიკოლეიშვილი 2006: 22).

ქართული ემიგრანტული პერიოდიკის შესწავლას, საარქივო მასალების მოძიებასა და სისტემატიზაციას დიდი ამაგი დასდო მკვლევარმა გურამ შარაძემ, რომელმაც ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის რვა ტომი შემატა სამამულო ჟურნალისტიკას და ბევრი უცნობი მედიასაშუალების ისტორია გახადა ხელმისაწვდომი. ეს ტომები მოიცავს მონაკვეთს ემიგრაციის პირველი ტალღიდან 60-იან წლებამდე. ხოლო შემდგომი პერიოდის – 70-90-იან წლების – ემიგრანტული მედია ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. ამ მხრივაც არაერთი მეცნიერული ნაშრომი გამოქვეყნდა.

ჩვენი კვლევის საგანია, განვსაზღვროთ გასული საუკუნის 80-90-იანი წლების დღემდე შეუსწავლელი, ერთ-ერთი არაპარტიული ხასიათის ბეჭდური მედიის – ჟურნალ „გუშაგის“ როლი და ადგილი ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში, ის სტრატეგიები, რომელსაც განაპირობებდა არსებული ისტორიულ-პოლიტიკური სივრცე და ჟურნალის დამაარსებლისა და რედაქტორის – გიორგი წერეთლის – სარედაქციო პოლიტიკა, მკაცრად ორიენტირებული ანტისაბჭოთა პროპაგანდასა და საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერაზე.

ჟურნალი „გუშაგი“ სწორედ იმ პერიოდში დაარსდა, როდესაც მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში ე.წ „პერესტროიკის“ ხანაში კულტურულ-იდეოლოგიური გარემოს შედარებით ლიბერალიზაციასა და რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა გააქტიურებას. მათ შორის, საქართველოშიც გაიღვიძა ქვეყნის განახლებისა და დაკარგული ნაციონალური იდენტობის აღდგენის სურვილი. აღნიშნულმა ვითარებამ პირდაპირი გავლენა იქონია ქართულ ემიგრაციაზე და მათი სანუკვარი ოცნების – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის – იმედი ჩაუსახა. ემიგრანტულ მედიაში კიდევ უფრო ინტენსიურად გაიშალა ანტისაბჭოთა პროპაგანდისტული მუშაობა, ერთი მიზნით გაერთიანდა პარტიული სპექტრი, თუმცა თავისუფლების მიღწევის განსხვავებული ხედვები ისევ რჩებოდა დავის საგნად.

აღნიშნულ მოვლენებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ჟურნალი „გუშაგიც“ – „ქართული ეროვნული პოლიტიკისა და ლიტერატურის ორგანო“, რომელიც გამოდიოდა 1984-1994 წლებში პარიზში და, მისი დამფუძნებლისა და რედაქტორის – გიორგი წერეთლის ცნობით, გაგრძელება იყო 1974 წლიდან მისივე რედაქტორობით გამომავალი უპარტიო გაზეთისა „თავისუფალი ტრიბუნა“, რომლის დაარსების მიზეზიც, როგორც სათაურიდანაც

ჩანს, პარტიული პლურალიზმი იყო – იგი სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე აპელირებდა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის იდეოლოგიურად დაშორიშორებულ და მწვავედ დაპირისპირებულ პოლიტიკურ პარტიებს შერიგებისა და ურთიერთპატივისცემისკენ მოუწოდებდა. მართალია, „თავისუფლების ტრიბუნამ“ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მხილებას დიდი ენერგია შეალია, თუმცა მედიატორის ფუნქცია ვერ შეასრულა. პირიქით, 1984 წელს გაზეთი დატოვეს თანამშრომლებმა, ძირითადად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა (მ. ქავთარაძემ, გ. ნოზაძემ, თ. გუდავამ და სხვებმა) და ამის საფუძველიც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებისადმი მათი რედაქტორისაგან განსხვავებული დამოკიდებულება გახდა. ფაქტობრივად, სარედაქციო მუშაობის მთელი ტვირთი გიორგი წერეთელს დააწვა მხრებზე და მან ერთპიროვნულად გადაწყვიტა გაზეთის ფორმატისა და სათაურის შეცვლა. მისივე თქმით, „გუშაგის“ სახელწოდებაში იგი გულისხმობდა შემდეგს: „ვდარაჯობ ქართველ ერს“ (გუშაგი 1993: №30, 64). ხოლო ჟურნალის მიზანი პირველივე ნომრის სარედაქციო წერილში ასე გამოხატა: „ჟურნალი უნდა ემსახუროს და ხელი შეუწყოს საქართველოს განთავისუფლებას უცხო დამპყრობლებისგან. იქ დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სინდისისა და პოლიტიკური თავისუფლების პატივისმცემელი წესწყობილების აღდგენას“ (გუშაგი 1984: №1, 2).

გიორგი წერეთელი იმ პოლიტიკურ-კულტურული ემიგრაციის ტალღას ეკუთვნოდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდა დევნილობაში, ძირითადად გერმანიაში. თუმცა რეალობის გაცნობიერების შემდეგ, მათმა ნაწილმა დატოვა გერმანია და სხვა ქვეყნებში გადასახლდა. მათ შორის იყო გ. წერეთელი, რომელიც საფრანგეთის პოლიტემიგრაციას შეუერთდა და აქტიურად ჩაება პოლიტიკურ, კულტურულ, საგამომცემლო და პუბლიცისტურ-ლიტერატურულ საქმიანობაში. თავისი მოღვაწეობის მთავარი კრედო მან ასე დაახასიათა: „დღიდან ემიგრაციაში დარჩენისა, ჩემი მოწოდება იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. ამ ჩემთვის წმიდათაწმინდა საქმეს ყველაფერ სხვას ვანაცვალებდი“ (წერეთელი 1987: 92).

წლების განმავლობაში ელოდებოდა ქართული ემიგრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და მედიის საშუალებით ცდილობდა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებისა და საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, მათ ინფორმირებას საქართველოს მიმართ რუსული აგრესიისა და კომუნისტური რეჟიმის სისასტიკის შესახებ. ამავე დროს, ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები განკუთვნილი იყო ქართველი ხალხისთვის, რომელიც ცენზურის გამო სრულ ვაკუუმში იმყოფებოდა და საბჭოთა პროპაგანდისტული მასმედია ემიგრანტებს საქართველოს მტრებად წარმოსახავდა. საზღვარგარეთ ფუნქციონირებად ქართულ პე-

რიოდიკას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით, იქ არსებული პლურალისტური მედიაგარემო განაპირობებდა მედიასაშუალებების ფართო პროფილს და სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას. ამდენად, მაშინდელი ემიგრანტული პრესა, მათ შორის „გუშაგიც“, თავისუფალი იყო ცენზურისა და ყოველგვარი შეზღუდვებისაგან. თუმცა პრობლემად რჩებოდა მათი მოღწევა საქართველომდე, რაც არალეგალური გზებითა და დიდი რისკის ფასად მაინც ხერხდებოდა. ამ მხრივ, დასაფასებელია დისიდენტების წვლილი, რომელთა პოლიტიკური ხედვები არსებული საბჭოთა რეჟიმისადმი და, ზოგადად, ღირებულებითი კატეგორიებისადმი სრულად შეესაბამებოდა ემიგრანტების ინტერესებს. მათ შორის არაფორმალური კავშირები ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან არსებობდა, როდესაც ე.წ. თვითგამოცემები – „ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“, „ჯვარი ვაზისა“ და სხვანი – ბეჭდავდნენ ემიგრანტების პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწარმოებებს და, პირიქით, ემიგრანტული მედია უმეტესად დისიდენტების მიერ მიწოდებულ მასალებს ეყრდნობოდა. ემიგრანტები ინფორმაციებს ეცნობოდნენ უცხოური პრესის საშუალებითაც, რომელიც სსრკ-ისა და, მათ შორის, საბჭოთა საქართველოს შესახებ ალტერნატიული ინფორმაციის მიღებისა და გააზრების შესაძლებლობას იძლეოდა. ხშირ შემთხვევაში საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ემიგრანტებმა უფრო მეტი სიმართლე იცოდნენ, ვიდრე საქართველოს მოსახლეობამ.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ 80-90-იან წლების საქართველოში, აღზევებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში, ქვეყანაში მომრავლებული პოლიტიკური პარტიების მესვეურებიც აქტიურად ცდილობდნენ პოლიტემიგრანტების მხარდაჭერის მოპოვებას, მათ „მიმხრობას“ და არ ერიდებოდნენ პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას, ხშირად უსაფუძვლო ურთიერთბრალდებებსა და შეურაცხყოფასაც კი, რაც ემიგრანტებში გაურკვევლობას იწვევდა და საქართველოში შექმნილი პოლარიზაცია მათზე სერიოზულ გავლენას ახდენდა.

„გუშაგიც“ სწორედ ამ პოლიტიკურ ველში აღმოჩნდა და 1984 წლიდან მოყოლებული, ვიდრე დახურვამდე, თითქმის არც ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა მხედველობიდან არ გამორჩენია. ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებითა და ჟურნალის პუბლიკაციების კონტექსტური ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ის პრიორიტეტები, რომლებიც ნაციონალური იდენტობის პრობლემატიკითა და ანტისაბჭოთა ნარატივით არის აღბეჭდილი. ასევე გამოვყავით ის „შრეებიც“, რომლებიც ფოკუსირებულია საკაცობრიო დემოკრატიულ ღირებულებებზე – ადამიანის უფლებების დაცვასა და მედიის თავისუფლებაზე, ერთა შორის ურთიერთპატივისცემაზე და ა. შ.

„გუშაგის“ ეროვნულ-პატრიოტულ მოტივაციას ხელი შეუწყო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ და ჟურნალის ფურცლებზე ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისა და ეროვნული იდენტობის თემატიკა მჭიდროდ დაუკავშირდა იმ რეალობას, რომელიც იდეოლოგიურ-პოლიტიკური კონფრონტაციის სიმწვავით გამოირჩეოდა.

ჟურნალმა ფართოდ წარმოაჩინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპები, მათი ლიდერების ბიოგრაფიები, პოლიტიკური აქტივობები თუ თვალთახედვები. გარდა ოპერატიული შეტყობინებებისა, ამ თემებზე იბეჭდებოდა კვალიფიციური ანალიზური სტატიები, მიმოხილვები თუ სარედაქციო წერილები, რომელთა უმრავლესობა „გუშაგის“ რედაქტორისა და პუბლიცისტის გიორგი წერეთლის კალამს ეკუთვნოდა და რომელშიც მკაფიოდ გამოიკვეთა ავტორის პოლიტიკური სიმპათიები მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მიმართ. მერაბის გარდაცვალების შემდეგ კი, გ. წერეთელმა ეროვნული მოძრაობის უპირობო ლიდერად ზვიად გამსახურდია აღიარა და საჯაროდ გამოხატა მისი პოლიტიკური პლატფორმისადმი მხარდაჭერა. ამის გამო მას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა ემიგრაციაში, მაგ., აკაკი რამიშვილი წერდა, რომ „დამოუკიდებლობა ყველას უნდა, მაგრამ ის ადამიანები, ვინც აიძულა მამარდაშვილი სამშობლო დაეტოვებინა ან აკაკი ბაქრაძე გადამდგარიყო რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობიდან, ანტიეროვნული ელემენტები არიან. ამას მოჰყვება არა დემოკრატია, არამედ დიქტატურა“ (გუშაგი 1990: №22,58). მსგავს ბრალდებებს გ. წერეთელი არ ეთანხმებოდა და ოპონენტებს მოუწოდებდა კორექტულობისაკენ, რომ ზ. გამსახურდიასა და მის მომხრეებს ფაშისტებად და ექსტრემისტებად არ მოეხსენიებინათ. სწორედ ზ. გამსახურდიას გავლენით გაწყვიტა თანამშრომლობა გ. წერეთელმა ზვიადის მიერ „სუკის აგენტებად“ მონათლულ თამაზ გუდავასთან და ზაქარია ლაშქარაშვილთან, რომლებიც საბჭოთა საქართველოდან გააძევეს ანტისაბჭოთა ქმედებებისთვის და ემიგრაციაში ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელთან მიხეილ ქავთარაძესთან უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მ. ქავთარაძემ ზვიად გამსახურდიას შეურიგებელ პოლიტიკურ მეტოქეს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს, გია ჭანტურიას მიანიჭა უპირატესობა და მას 20-იანი წლების ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რეგალიები გადასცა.

გ. წერეთელი საფუძვლიანად იცნობდა გ. ჭანტურიას მოღვაწეობასაც და „გუშაგის“ ფურცლებზე ხშირად აშუქებდა მის პოლიტიკურ პოზიციებს. 1990 წლის ივნისის ნომერში კი ფრანგული პრესიდან – „კოტიდიან დე პარიდან“ გადმობეჭდა გია ჭანტურიასთან ვრცელი ინტერვიუც სათაურით „რატომ ბლეფობენ რუსები“. გ. წერეთელმა ამავე ნომერში გააანალიზა ედპ-ის ლიდერის პასუხები და კომენტარებში გააკრიტიკა სახელმწიფო

მოწყობის ჭანტურიასეული თეოკრატიული მოდელი. მისი აზრით, „გ. ჭანტურია თეოკრატიული რეჟიმის დამყარების მომხრეა, რომ საეკლესიო იერარქია უნდა წარმართავდეს და აკონტროლებდეს ხელისუფლებას, ეს იგივეა, რაც ირანში დამკვიდრებული აიათოლების „დემოკრატია““ (გუშაგი 1991: №26, 86). ამავე დროს, როდესაც გ. ჭანტურია დააპატიმრეს, გ. წერეთელმა პასუხისმგებლობა ქვეყნის პირველ პირს ზ. გამსახურდიას დააკისრა და ისიც ივარაუდა, რომ ამ ფაქტმა შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობის გამწვავება და საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება შინ და საზღვარგარეთ“ (გუშაგი 1991: №26, 41), რაც მოხდა კიდეც.

„გუშაგმა“ ვრცელი მასალები მიუძღვნა ზვიად გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეპიზოდებს. მის პოლიტიკურ, სამეცნიერო, ლიტერატურულ თუ მთარგმნელობით საქმიანობას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ზვიად გამსახურდიას ლიდერულ თვისებებზე და მის წვლილზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. გ. წერეთელი დიდად აფასებდა მას, როგორც საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის თავმჯდომარეს, ანტისაბჭოთა მასობრივი აქციების ორგანიზატორს, არჩევნებში კომუნისტური ბლოკის დამამარცხებელსა და საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს. გ. წერეთელმა მხოლოდ ერთხელ დაარღვია თავისი ცხოვრების მთავარი პრინციპი – „არავითარი თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან“ და ერთადერთი გამონაკლისი დაუშვა, როცა მხარი დაუჭირა ზ. გამსახურდიას მიერ არჩეულ „ლიტვის გზას“. „მართალია, არჩევნები საბჭოთა კავშირის კანონებით ჩატარდა, მაგრამ ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო – არჩევნების მოგება და ამ გზით მოპოვებული ხელისუფლების გამოყენება საქართველოს სსრკ-ის შემადგენლობიდან კანონიერი, ლეგიტიმური გასვლისთვის“ (გუშაგი 1990: №23, 6), – წერდა გ. წერეთელი და ეს თემა განავრცო სტატიაში „როგორია ჩემი განსჯა“, სადაც ეკამათებოდა იმ ოპონენტებს, რომლებიც ეროვნული კონგრესის პლატფორმას იცავდნენ და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ კომუნისტური ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში საქართველოს ეროვნული ძალების მონაწილეობას. ავტორი მოუწოდებდა ეროვნული ფორუმის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და მრგვალი მაგიდის მესვეურებს, რომელთა „მტრობა ემიგრაციაშიც კი სწამლავს ატმოსფეროს, არამც თუ სამშობლოში“ (გუშაგი 1990: №22, 54), როგორმე შეთანხმებულიყვნენ და ერთიანი ფრონტით შეეტიათ კომუნისტებისთვის, რაც ავტორის რწმენით, „მერაბ კოსტავას ანდერძის აღსრულებაც იქნება, რომლის სახელიც ამ მოძრაობის წევრებისთვის ძვირფასიაო“ (გუშაგი 1990: №22: 54). მართალია, შერიგება არ მოხდა, მაგრამ ეროვნულმა ძალებმა მაინც გაიმარჯვეს 1990 წლის 28 ოქტომბერს, საბჭოთა საქართველოში გამართულ უზენაესი საბჭოს პირველ მრავალპარტიულ და დემოკრატიულ არჩევნებში, რასაც აღფრთოვანებით გამოეხმაურა ემიგრაცია: „მოულოდ-

ნელად აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა კოალიციამ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ეროვნული მოძრაობის ლიდერის ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. კომუნისტური პარტია ოპოზიციაში აღმოჩნდა. აღნიშნული პროცესების შემდეგ ჩამოყალიბდა ეროვნული ხელისუფლება, რომელმაც გეზი აიღო ეროვნული და სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაზე“ (გუშაგი 1990: №23, 48) – იმედიანად წერდა „გუშაგის“ რედაქტორი.

როგორც ჟურნალის პუბლიკაციებიდან ჩანს, გ. წერეთლის ზეაღმატებული პოზიტიური დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიასადმი გამოწვეული იყო იმ ეპოქალური მოვლენებით, რომელშიც, მისივე თქმით, ზვიადსა და მერაბს ლომის წილი მიუძღვოდათ და ეს იყო კომუნისტური იდეოლოგიის კრახი და თითოეული ქართველი ემიგრანტის მრავალწლიანი ოცნების აღსრულება – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1990 წლის ივნისის ნომერში გ. წერეთელი სიამაყით აღნიშნავდა, რომ „წელს 26 მაისობის ზეიმობაში პირველობა სამშობლომ ჩამოგვართვა, ჩვენ თავს აღარ ვგრძნობთ ობლად, სამშობლოდან მოწყვეტილად“ (გუშაგი 1990: №22, 3). სწორედ „გუშაგის“ ფურცლებზე გაჟღერდა პირველად, 26 მაისის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ემიგრაციის სურვილი და მიმართვა პირველი პრეზიდენტისადმი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ 26 მაისი დაწესებულიყო. ეს სურვილი დაკმაყოფილდა კიდეც.

სამწუხაროდ, ემიგრანტების სიხარული ხანმოკლე გამოდგა და ქვეყნის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის წარმოშობილი კონფრონტაცია „გუშაგის“ ცენტრალურ თემად იქცა, რომელსაც ძირითადად გ. წერეთელი აშუქებდა. იგი ქრონოლოგიური სიზუსტით აღადგენდა ეროვნული ძალების დაპირისპირების პერიპეტიებს. მსჯელობდა საზოგადოების პოლარიზაციის მიზეზებზე და მეზობელი ქვეყნის – რუსეთის სპეცსამსახურების – კვალზე ამახვილებდა ყურადღებას. არ იზიარებდა ოპოზიციის ბრალდებებს პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას „მიუღებელი დიქტატორული ქცევის გამო“, დიდ უგუნურობას უწოდებდა თავდაცვის მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის გადადგომასა და ოპოზიციასთან „გარიგებას“, რომელსაც არაფორმალური გაერთიანებების შექმნა, „მხედრიონის“ თავგასულობა და ქალაქში ბარიკადების აღმართვა მოჰყვა. გ. წერეთელმა პირად ტრაგედიად აღიქვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა, ზ. გამსახურდიას დევნა და მის გარდაცვალება. ამ პრობლემების მიზეზების კვლევისას დაასკვნა, რომ „ზვიად გამსახურდიას უბედურება მოდის არა მისი მმართველობის ტირანული ბუნებიდან, არამედ უმთავრესად იქიდან, რომ ის ერთგული დარჩა ერისთვის მიცემული დაპირების – შელახული ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის. ის დონ-კიხოტივით, გაძვალტყავებული როსინანტით შეეცადა შეწინააღმდეგებოდა უზარმაზარ ფარულ და აშკარა შეთქმულებას. დამარცხება მისი გარდუვალი იყო“ (გუშაგი 1991: №29,

89). ავტორმა აღნიშნული მოვლენები მსოფლიო პოლიტიკის ნაწილად გაიაზრა და სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელად ედუარდ შევარდნაძის მოწვევა დადგმულ სპექტაკლად შეაფასა. თანაც ეჭვი გამოთქვა, რომ „კრემლის მსახური ქართველი ე. შევარდნაძე მზადაა, რომ საქართველოს პრეზიდენტის განთავისუფლებულ სავარძელს დაეპატრონოს“ (გუშაგი 1991: №26, 8), რაც ასრულდა კიდეც.

„გუშაგმა“ ვრცელი ადგილი დაუთმო ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ვერსიებს. ხოლო 1993 წელს, როცა პრეზიდენტი გროზნოდან საქართველოში გადმოასვენეს, მთელი ნომერი მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის პოზიტიურ შეფასებას მიეძღვნა.

ზვიად გამსახურდიასადმი დამოკიდებულება გ. წერეთელმა გამოხატა მოგონებების წიგნშიც „ერთი ცხოვრება – ემიგრანტის თავგადასავალი“, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, 2004 წელს, დაიბეჭდა მისი მეუღლის, ეთერ შენგელიას, რედაქციით. მასში ერთ-ერთი ეპიზოდი ეთმობა 1991 წელს გ. წერეთლის სამშობლოში ჩამოსვლასა და ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრას: „1976 წელს პარიზში უკვე მივიღე მისი პირველი თვითგამოცემები, მისი ლექსები და ლიტერატურული კრებული „ჯვარი ვაზისა“, ის მუდამ ჩემი მზერის არეში იმყოფებოდა. მისმა მღელვარე ცხოვრებამ თითქმის ჩემ თვალწინ გაიარა. მის აზრებს და სვლებს ზოგს ურევიზიოდ ვიზიარებდი, ზოგზე სერიოზული შენიშვნები მქონდა და მაქვს ამჟამადაც. ახლა პირველად ვხედავ მას“ (წერეთელი 2004: 136). ხოლო ქვეყანაში შექმნილი რეალობის გაცნობიერების შემდეგ, გ. წერეთელმა გულისტკივილით განაცხადა: „ნეტავ არ მენახა, ჩემი თვალით არ დავრწმუნებულიყავი, თუ სადამდე შეიძლება დამდაბლდეს რეჟიმიცა და საზოგადოებაც“ (წერეთელი 2004: 15).

ჟურნალ „გუშაგის“ ეროვნულ-პატრიოტულმა მოტივაციამ და ნაციონალური იდენტობის პრობლემატიკამ კიდევ უფრო მძაფრად გამოკვეთა ანტისაბჭოთა დისკურსი, რომელიც ჟურნალის ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიად უნდა მივიჩნიოთ. „არავითარი თანამშრომლობა საბჭოთა რუსეთთან“ – ეს ის მთავარი გზავნილია, რომლითაც გაჯერებულია ჟურნალის მასალები და იმ თემებს მოიცავს, სადაც მხილებულია საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ტოტალიტარული და ანტიჰუმანური პოლიტიკა, დაპყრობილი ერებისადმი მათი ბარბაროსული დამოკიდებულება და ის უმკაცრესი კონტროლი, რომელიც ცივილიზებული სამყაროსთვის ყოვლად მიუღებელი მეთოდებით ხორციელდებოდა.

ჟურნალის ნაციონალურ ნარატივში ყურადღება გამახვილდა ეროვნული იდენტობის ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა ენა, მწერლობა, ისტორიული მახსოვრობა, ტრადიციები და ა.შ. „გუშაგის“ ყოველ ნომერს წითელი ხაზივით გასდევს 1921 წლის ტრაგედიის გამოძახილი, სადაც შეუღამაზებლადაა წარმოჩენილი იმდროინდელი ეპოქის უმძიმესი მოვლენები

და ფაქტები. სისტემატურად ქვეყნდებოდა ისტორიები 1921, 1924 წლების ამბებზე, „დამკომის“ ოქმების ამონაბეჭდები, დოკუმენტები, ეროვნულ მოღვაწეთა მოგონებები, რეჟიმის მსხვერპლთა ჩანაწერები და ა.შ. ამ მიზნით, ჟურნალი ფართოდ იყენებდა 20-50-იანი წლების ქართული ემიგრანტული პრესიდან ამოკრეფილ პუბლიკაციებს, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებსა და მემუარული ხასიათის მასალებს. ფოკუსირება ქვეყნის დიდებულ წარსულზე, მის ტრადიციებზე, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილების ღვაწლზე ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებასა და მომავალ თაობებში ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაღვიძებას ემსახურებოდა.

ისტორიული თემატიკა მჭიდროდ დაუკავშირდა ნაციონალური იდენტობის ისეთ გამოხატულებას, როგორიცაა ქართული ენა და მხატვრული სიტყვიერება. წერილში „14 აპრილი ქართული ენის დღე, გ. წერეთელი შეეხმიანა 1978 წლის იმ დიდმნიშვნელოვან მოვლენას, როდესაც „სახელოვანმა ახალგაზრდობამ სამახსოვრო ბრძოლა გადაიხადა კრემლის მთავრობასთან მშობლიური ენის დასაცავად. მათ ქართული ენის მტრებს უკან დაახევინეს. ქართულმა ენამ თავისი კონსტიტუციური უფლება შეინარჩუნა“ (გუშაგი 1984: №1, 50) და თანადგომა გამოხატა ეროვნული ემიგრაციის სახელით: „ჩვენ უცხოეთში მიმოფანტული მისი შვილები, მთელი ჩვენი სულიერი და ფიზიკური არსებით ვუერთდებით ღირსეულ მამულიშვილთა წარმომადგენლებს და უკვე მეორედ აღვნიშნავთ მას. ამავე დროს არ გვავიწყდება, რომ საბოლოოდ ქართველი ერის უსაფრთხოების ერთადერთი საწინდარია ქართველი ერის თვითხელმწიფება – ე.ი. 26 მაისის საქართველოს აღდგენა-აღდგომა“ (გუშაგი 1984: 1: 39). ამავე დროს ჟურნალი ყურადღებას ამახვილებდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის სავალალო მდგომარეობაზე, მისი შევიწროვების ხარჯზე რუსული ენის პოპულარიზაციაზე და წერდა, რომ ისტორიკოსი, 70 წლის ნიკოლოზ სამხარაძე, დააპატიმრეს და სულით ავადმყოფად გამოაცხადეს იმის გამო, რომ იგი „მოითხოვდა ქართული ენის სწავლების გაძლიერებას და საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად შემოღებას საშუალო სკოლებში“ (გუშაგი 1984: №2, 33).

„გუშაგი“ ემიგრანტების შთამომავლებსაც, რომლებმაც არ იცოდნენ ქართული ენა, მოუწოდებდა დაინტერესებულიყვნენ და შეესწავლათ მშობლიური ენა და ლიტერატურა. ამ მიზნით შემეცნებითი დანიშნულება ჰქონდა რუბრიკას „რაც ყველა ქართველმა უნდა იცოდეს“, სადაც ქვეყნდებოდა მასალები ქართველი მწერლებისა და ისტორიული თუ ლიტერატურული გმირების შესახებ, მაგალითად, ვინ იყო იაკობ ხუცესი, სად მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელი, როგორ იბრძოდა პატარა კახი და ა. შ. ჟურნალს ჰქონდა მხატვრული ნაწილიც, რომელიც მხოლოდ პოეზიით იყო წარმოდგენილი და თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ემიგრანტი

მწერლების – გ. ტოგონიძის, ს. ბერეჟიანის, გ. ყიფიანის, თავად გ. წერეთლის, რომელიც პერევისელის ფსევდონიმით წერდა და სხვათა ეროვნულ-პატრიოტული მუხტითა და პოლიტიკური მიზანდასახულობით აღბეჭდილი ლექსები, რაზეც სათაურებიც მეტყველებს: „თებერვლის ორი ცოდვა“, „ვინც თებერვალში თქვას გაზაფხული“, „შეფიცულებს“, „მშობელო მიწავ“ და სხვ.

ანტისაბჭოთა ნარატივი მიზანმიმართულადაა გამოხატული რუბრიკაში „იუბილეები“, რომელთა ადრესატები ძირითადად ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც თავიანთი მამულიშვილური ღვაწლით ქვეყანას კეთილი კვალი დააჩნიეს და ანტისაბჭოთა ხედვით გამოირჩეოდნენ, თუმცა ამის შესახებ საბჭოთა მოქალაქეებმა სრული სიმართლე არ იცოდნენ. მაგალითად, როგორც ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით „გუშაგი“ წერდა, საბჭოთა ბიოგრაფები მალავდნენ იმ ფაქტს, რომ ექვთიმე თაყაიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო და ქართველი ხალხის მიერ არჩეული დეპუტატი ეროვნულ საკრებულოში, რომ მან პროტესტის ნიშნად დატოვა საქართველო. „იგი ღირსია არა მხოლოდ ძეგლის, რომელიც სოფელ ლიხაურში აუგეს, არამედ უფრო მეტის“ (გუშაგი, 1984: №2, 27) – წერდა ავტორი. 1984 წლის 7 თებერვალს ჟურნალი გამოეხმაურა ლეო ქიაჩელის 100 წლის იუბილეს და ისიც აღნიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურის თეორეტიკოსებს სურთ, იგი წარმოაჩინონ საბჭოთა წყობილების მეხოტბედ და ჩქმალავენ მწერლის ბიოგრაფიის იმ მონაკვეთს, როდესაც ქიაჩელი მენშევიკებთან თანამშრომლობდა: „ლეო ქიაჩელმა ნარეკლიანი გზა განვლო, მას ბერიაც დაესხა თავს კომპარტიის მეათე ყრილობაზე როგორც რეაქციონერს, მაგრამ მაინც გატეხეს და ბოლოს „გვადი ბიგვა“ დააწერინეს“ (გუშაგი 1984: №2, 24). ასეთი ფაქტები უხვადაა ჟურნალის ფურცლებზე.

მრავალმნიშვნელოვანი აქცენტებია გამოკვეთილი პაპუნა ლუბაშვილის (გ. წერეთლის ფსევდონიმი) წერილში „პირველი მაისობა – თამარობა, პირველი მაისობა – შრომის ზეიმი“, სადაც კონტრასტის მეთოდით შედარებულია ორი მოვლენა სხვადასხვა რაკურსით – როგორ აღნიშნავენ ემიგრანტები თამარობას და როგორ ზეიმობენ საბჭოთა ადამიანები მშრომელთა საერთაშორისო დღეს. გამასხარავებულია საბჭოთა ლოზუნგები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, „მსოფლიო ხალხებო, მტკიცედ იბრძოლეთ იმპერიალისტური აგრესიისა და ძალადობის წინააღმდეგ აზიაში, აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში“, „შეწყდეს აშშ აგრესიული მოქმედება ნიკარაგუას წინააღმდეგ“ (გუშაგი 1984: №1, 45). ავტორი ირონიულად შენიშნავს: „ვერსად ნახავთ ლუზუნგებს, სადაც საუბარი იყოს ხელფასის მომატებაზე, ბინებით უზრუნველყოფაზე, ანდა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარის გამოყვანაზე, რომლებიც ბევრად საინტერესო უნ-

და იყოს საბჭოთა მშრომელებისათვის, ვიდრე ლათინური ამერიკის გასაბ-ჭოება“ (გუშაგი 1984: №1, 51).

გასული საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში გააქტიურდა უფ-ლებადაცვითი მოძრაობები, რომელმაც ემიგრანტულ მედიაშიც ჰპოვა გა-მოხმაურება. თავისთავად ბრძოლა ეროვნული იდენტობის შენარჩუნების-თვის ნიშნავდა ბრძოლას დემოკრატიული ღირებულებებისადმი. ამ მხრივ, დასაფასებელია ჟურნალ „გუშაგის“ ღვაწლი, რომელიც სისტემატურად აწ-ვდიდა მკითხველს ინფორმაციას „ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგან-დისთვის“ გასამართლებული და დასჯილი ადამიანების შესახებ – საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლ პოლიტპატიმრებზე – მ. კოსტავას, ზ. ლაშქარაშვილის, ნ. ფაილოძის, ვ. ჩიტაიასა და სხვათა შესახებ, ასევე იმ ახალგაზრდების და-კავებაზეც (პ. საღინაძე, დ. ბერძენიშვილი, თ. ჩხეიძე, ლ. შაკიაშვილი და სხვ.), რომლებმაც „გააპროტესტეს რუსეთ-საქართველს ხელშეკრულების 200 წლისთავის აღნიშვნა და ნაბეჭდი ფურცლები გაავრცელეს“ (გუშაგი 1984: №2, 33). ამ ტიპის ინფორმაციას ჟურნალი ბეჭდავდა რუბრიკით „თვითგამოცემათა ახალი მასალები საქართველოდან“, რომელიც თვით სა-ქართველოს მოსახლეობისთვისაც უცნობი იყო. ბევრი მათგანი სწორედ ემიგრანტული პერიოდიკის საშუალებით იგებდა სიმართლეს. „გუშაგი“ გა-ჯერებული იყო საბჭოთა ხელისუფლების ანტიჰუმანური პოლიტიკის მამ-ხილებელი ფაქტებით – თუ რა ტიპის სადამსჯელო ღონისძიებებს იყენებ-და რეჟიმი სხვაგვარად მოაზროვნეების მიმართ. შემაშფოთებელი მასალე-ბი გავრცელდა იმ უფლებადამცველებზე, რომლებიც ღიად უპირისპირდე-ბოდნენ საბჭოთა სახელისუფლებო ორგანოებს და ამისთვის მათ ფსიქი-ატრიულ საავადმყოფოებში ათავსებდნენ, ანუ ე.წ. „სპეციალურ“ ან „ციხე საავადმყოფოებში“. მაგალითად, ჟურნალი წერდა, რომ ფსიქიატრიულში გარდაიცვალნენ უკრაინელი ჟურნალისტი ვალერი მარჩენკო და 58 წლის პოეტი ვალენტინ სოკოლოვი, რომელმაც 34 წელი გაატარა ჩვეულებრივ ციხეებში და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ანტისაბჭოთა პროპაგან-დისთვის“ (გუშაგი 1985: №4, 22). ხოლო ექიმ ფსიქიატრ ალექსი კორიაგინ-სკის არ აპატიეს იმ საბუთების საქვეყნოდ გამომზეურება, რომლებიც „მოწმობდა, რომ საბჭოთა კავშირში ფსიქიატრიას იყენებენ როგორც პო-ლიტპატიმრების დასჯის საშუალებას“ (გუშაგი 1985: №4,34).

ადამიანის უფლებების უგულებელყოფს ჭრილში განიხილა „გუშაგმა“ 1984 წლის 18 ნოემბრის თვითმფრინავის გატაცების ამბები და ვრცელი სტატია მიუძღვნა სათაურით „თვითმფრინავის გზიდან გადახვევის ცდა საქართველოში“. მისი ავტორი, გ. წერეთელი, ხაზს უსვამს ახალგაზრდე-ბის კარგ ოჯახიშვილობას და აღნიშნავს, რომ მათ „მიზნად არ ჰქონიათ ცუდის ჩადენა, მაგრამ უნდოდათ თავიანთი თვალით ეხილათ კაპიტალის-ტური და იმპერიალისტური ქვეყნები, რომელთა სიძულვილსაც ბავშვობი-დანვე უნერგავდნენ, მაგრამ სახიფათო გზა აირჩიეს, არა მარტო საკუთარ

სიცოცხლეს შეუქმნეს საფრთხე, არამედ მგზავრებსაც“ (გუშაგი 1984: №1, 3). ავტორი აკრიტიკებს საბჭოთა პრესას, რომელიც ჩქმალავს სიმართლეს და ახალგაზრდებს ნარკომანებად და ბანდიტებად წარმოაჩენს და, სამწუხაროდ, იმავეს იმეორებს ევროპული პრესაც. ამავე თემას ეხმიანება გულბათ გულბათიშვილის (გ. წერეთლის ფსევდონიმი) „წერილი ყველა მეცნიერს“. წერილის ავტორი მკითხველს აუწყებს, რომ სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გამართული კრებაზე „ერთხმად“ მიიღეს გაზეთ „კომუნისტში“ გამოსაქვეყნებელი ტექსტი სათაურით „მეცნიერმა უნდა აღზარდოს მოქალაქე“. ამის შემდეგ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. წერეთელი იძულებული გახდა, თსუ-ის პროფესორობაზე უარი ეთქვა „შვილის ცუდი აღზრდის გამო“. „ჩვენი ეროვნული მეცნიერების არეოპაგთა კრება, ჩვენდა სამწუხაროდ, თუთიყუშივით იმეორებს საბჭოთა პროპაგანდის გაცვეთილ ფრაზებს ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით და საბჭოური ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით აღზრდის შესახებ. ამ პრინციპებით ახალგაზრდების აღზრდამ კრახი განიცადა“ (გუშაგი 1984: №1, 31), – ნიშნის მოგებით წერს ავტორი და საბჭოთა მეცნიერთა „დასაგმობ-დასაძრახი“ წერილის შემკვეთის ვინაობასაც ასახელებს – ეს საბჭოთა სისტემაა, რომელიც ძალადობასა და შიშზეა დაფუძნებული, „საშინელი შიშის სუნი ასდის აკადემიკოსთა კრების ამ წერილს, შიშით ბატონობს და მბრძანებლობს საბჭოთა ხელისუფლება და სანამ საბჭოთა ადამიანები შიშის ამ გრძნობას არ დაძლევენ, მანამდე არც თავისუფლება და არც კაცური კაცობა არ ეღირსებათ“ (გუშაგი 1984: №1, 32).

„სახელმწიფო მკვლელობა“ – ამ სათაურით გამოქვეყნდა „გუშაგის“ 1984 წლის სექტემბრის ნომერში მასალა, რომელიც იუწყებოდა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს განაჩენის – თვითმფრინავის გატაცების მონაწილეების დახვრეტის აღსრულებას. ამ ტრაგედიაში გ. წერეთელმა დაადანაშაულა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც „თავის მოქალაქეებს უკრძალავს თავისუფლად მოგზაურობასა და ცხოვრებას იქ, სადაც მათ სურთ. 260 მილიონიანი საბჭოთა კავშირი ერთი დიდი ტყვეთა ბანაკია და რა გასაკვირია, იქ დროდადრო თავი იჩინოს გაბოროტებამ, მოუფიქრებელმა აჯანყებებმა და გაქცევებმა“ (გუშაგი 1984: №3, 69).

გ. წერეთლის თვალთახედვა 1984-94 წლების ქართული რეალობის გაშუქებითა და გაანალიზებით არ შემოიფარგლება. ფართოა მისი ინტერესთა სფერო. მისი პოლიტიკური მიმოხილვები, რეცენზიები თუ მეთაური წერილები დოკუმენტური სიზუსტითა და ემოციური შთამბეჭდაობით ასახავს თანადროულ ეპოქალურ მოვლენებს, იკვლევს პრობლემების მიზეზებსაც და იმ დასკვნამდე მიდის, რომ თუკი საბჭოთა კავშირის მანკიერი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული სისტემა არ დაინგრევა და ქართველი ხალხი არ დაუბრუნდება დასავლურ, ევროპულ

ფასეულობებს, რაც პირველი დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტი იყო, საქართველოს წინსვლისა და განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია.

ინფორმაციული დატვირთულობითა და პრობლემების სწორი აქცენტირებით გამოირჩევა გ. წერეთლის საერთაშორისო მიმოხილვები, ამავე დროს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს იგი განიხილავს პრაგმატულად, ძირითადად საქართველოს ჭრილში, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია საერთაშორისო პროცესებს მისი „დამონებული ქვეყნის“ მომავალზე. ასეთი მიდგომა ზოგადად დამახასიათებელია ემიგრანტული მედიისთვის, რომელსაც თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა, მთელი კაცობრიობის გასაგონად ემხილებინა საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული სისტემა, ადამიანის უფლებების უგულებელყოფა და ის სოციალური და ფსევდოკულტურული გარემო, რომელიც თანამედროვეობის ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებისგან ძალიან შორს იდგა. გ. წერეთელი სწორედ ამ მისიას უსვამდა ხაზს, როცა წერდა: „რაც ჩვენ უცხოეთში გადმოხვეწილებს შეგვეხება, როგორც წარსულში, ახლაც არ დავაკლებთ ცდას, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობასა და მთავრობებს მოვაგონოთ ჩვენი უმიზეზოდ დაპყრობილი და წამებული ერის ბედი“ (გუშაგი 1991: № 34, 8). „გუშაგში“ დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობათა ამსახველი ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, იმ მიმართვების ტექსტები, სადაც ქართველი ემიგრანტები მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებისაგან და ლიდერებისგან ითხოვდნენ თანადგომას. მათი მზერა ძირითადად მიმართული იყო ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებისკენ, რომლებიც დემოკრატიასთან, თავისუფლებასთან და განვითარებასთან ასოცირდებოდნენ. 1984 წელს, როდესაც აშშ-ში გაიმართა მორიგი საარჩევნო კამპანია, რომელშიც რეიგანიც მონაწილეობდა, გ. წერეთელმა პოლიტიკურ მიმოხილვაში „ამერიკის არჩევნები“ მას „მსოფლიო კომუნიზმისა და საბჭოთა სტრატეგიების ყველაზე დიდი საფრთხობელა“ უწოდა (გუშაგი 1984: №1, 56). არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კი მილოცვა გაუგზავნა, სადაც შეახსენა „1921 წლის საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმის მსხვერპლთა ამბავი“ და ასე მიმართა: „საბჭოთა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ თქვენ ხართ მთავარი ციხესიმაგრე, რომელსაც შეუძლია, წინ აღუდგეს თავისუფლების ძირგამომთხრელ ძალებს“ (გუშაგი 1985: № 4, 39).

მოგვიანებით, საქართველოში კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ემიგრაციის ერთი ნაწილი, მათ შორის გიორგი წერეთელიც, იმედგაცრუებული აღმოჩნდა. მათი აზრით, ახალმა რეალობამ საფრთხის ქვეშ დააყენა ქვეყნის ორიენტაციის საკითხი – ევროპა თუ ისევ რუსეთი: „იმის მაგივრად, რომ კაცობრიობა განთავისუფლებულიყო ბოლშევიკური საბჭოთა საშიშროებისგან, საჭირო იყო მისი პარტიული და სახელ-

მწიფოებრივი სტრუქტურების სრული დამსხვრევა და განადგურება. პირიქით კი მოხდა. ყველა რუსპუბლიკაში, არსებობენ სახეშეცვლილი კომპარტიები და პრეზიდენტები კომპარტიის პირველი მდივნების ადგილას. დემოკრატიული დასავლეთის დიპლომატიამაც მათ აუბა მხარი“ (გუშაგი 1991: №26, 102) – წერდა გ. წერეთელი. ხოლო რუბრიკაში „უცნაური პარადოქსები“ იგი გულისწყრომას გამოხატავდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მთავრობების უმაღლესი დონის მოღვაწეების თბილი დამოკიდებულების გამო მიხეილ გორბაჩოვისადმი, რომელთანაც „ბოლომდე მეგობრობენ და ერთგულებას ეფიცებიან, ხოლო კანკალებენ მისი მესაფლავის იმპერიის ხალხთა თავისუფლების, ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის აჩრდილის წინაშე“ (გუშაგი 1991: №24, 103).

„გუშაგი“ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ეროვნული ემიგრაციის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე, მაგრამ ყველაზე მეტი მასალა პოლიტემიგრაციის შეურიგებელ იდეოლოგიურ თუ პარტიულ კონფრონტაციას ეხება, განსაკუთრებით კი, ეროვნულ-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატების „ისტორიულ შეუთავსებლობას“. გ. წერეთლის ცნობით, პოლიტიკური სპექტრის გაერთიანების არაერთგზის მცდელობა ყოველთვის კრახით მთავრდებოდა, რადგან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები „ლევან ზურაბიშვილი და მიხეილ ქავთარაძე შეურიგებელ პოზიციაზე იდგნენ, რომ არ ითანამშრომლებდნენ სოციალ-დემოკრატებთან“ (წერეთელი 1987: 32). ჟურნალის პუბლიკაციებიდან გ. წერეთლის პოლიტიკური სიმპათიებიც ვლინდება. იგი ცნობილი იყო ანტისოციალისტური შეხედულებებით, ხშირად აკრიტიკებდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პლატფორმას იზიარებდა, თუმცა პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა. თავადაც აღნიშნავდა, „სოციალისტები მე მებრძოდნენ, როგორც ნოე ჟორდანიას მტერსო“, მაგრამ პროფესიული ეთიკის პრინციპების დარღვევად შეაფასა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესვეურებისგან პრესის ფურცლებზე სოციალისტების თავკაცის შეურაცხყოფა და მათ პოლიტკორექტურობისკენ მოუწოდა: „ნ. ჟორდანიას პარტიის იდეურ მოწინააღმდეგეებს უფლება აქვთ აკრიტიკებდნენ მის თეორიებსა და პრაქტიკას, მაგრამ არა უშვერი ლანძღვა-გინებით, არა ბოროტი ცილისწამებით, მისი პიროვნების აბუჩად აგდებითა და უპატივისმცემლობით. ეს საერთოდ გამორიცხული უნდა იყოს იმ მოღვაწის მიმართ, რომელიც ერთ დროს ერის სუვერენობას ახორციელებდა მის პიროვნებაში“ (წერეთელი 1987: 8).

ილიასეული „მართლის თქმის“ პრინციპით ხელმძღვანელობდა გ. წერეთელი, როდესაც მკაცრად გააკრიტიკა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელი და მისი თანამოაზრე მიხეილ ქავთარაძე „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილისთვის „წმინდანები ჯოჯოხეთში“, სადაც მ. ქავთარაძე აქებდა მწერალ ნოდარ დუმბაძეს, მას „პატიოსან ქარ-

თველ პატრიოტს“ უწოდებდა და ამტკიცებდა, რომ კომუნისტურ პარტიაშიც შეიძლება შევიდეს პატრიოტი, როგორც ეს „მარადისობის კანონშია“. გიორგი წერეთლისთვის ეს შეხედულება იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ ქავთარაძის პოლიტიკური მრწამსის მდგრადობაშიც კი შეიტანა ეჭვი და წერდა, რომ „ამ აზრებით იგი ზღვაში ძირავს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გემს“ (გუშაგი 1986: №8, 34). გიორგი წერეთელმა „გუშაგის“ ორ ნომერში გაგრძელებებით დაბეჭდა სტატია სათაურით „მარადისობის კანონი და მ. ქავთარაძე“, სადაც ვრცლად მიმოიხილა ნ. დუმბაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარი მახასიათებლები. მან ისიც აღიარა, რომ ნ. დუმბაძე თავის ნაწერებში „ამჟღავნებს არაკომუნისტურ იდეებს, გვხვდება საბჭოთა სინამდვილის ცალკეული ეპიზოდების ნიჭიერი მხილება“ (გუშაგი 1986: №8, 28), მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა. ავტორის ღრმა რწმენით, „ნოდარ დუმბაძე არ არის პატიოსანი ქართველი პატრიოტი – იგი იარაღი იყო საბჭოთა რეჟიმისა, რადგან მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა პოლიტიკური თანამდებობაა“ (გუშაგი 1986). ასეთი რადიკალური ანტისაბჭოთა მიდგომებით გამოირჩეოდა გ. წერეთლის პუბლიცისტიკა, რომლის მთავარი სამიზნე კომუნისტური რეჟიმი და მისი არადემოკრატიული მმართველობის სისტემა იყო და რომლის დამარცხებას მოესწრო კიდეც.

1993 წლის გაზაფხულზე მკითხველმა მიიღო ჟურნალ „გუშაგის“ 30-ე ნომერი წარწერით „გამოსათხოვარი გამოცემა“, რომელსაც რედაქტორის რანგში ხელს აწერდა სანდრო თუშმალიშვილი და იუწყებოდა გიორგი წერეთლის გარდაცვალებას 1993 წლის 28 მაისს პარიზში. როგორც წერილშია ნათქვამი, „საქართველოს დიდუბის პანთეონი და ერისთვის თავდადებულ გმირთა ძმური სავანე, – ლევილის სასაფლაო სამუდამო განსასუფევლად იბარებს გიორგი წერეთელს – კაცს, საქართველოსთვის დაბადებულს და საქართველოისვე ჭრილობებით დალეულს; კაცს – ერთგულ გუშაგს თავისი მიწა-წყლის. კაცს, – ჭირისუფალს საქართველოსი“ (გუშაგი 1993: №30, 68).

ამავე ნომერშია დაბეჭდილი გ. წერეთლის წერილი „მშობელო მიწავ“, სადაც იგი ემშვიდობება მკითხველს და გამოხატავს ერთგულებას მის მიერ არჩეული ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი: „მშვიდობით მკითხველებო, თქვენ ყველა ჩემი ახლობელი-მესაიდუმლე ხართ. მე წინააღმდეგი ვარ რასებისა და ხალხების აღრევისა, რამდენადაც ბუნება მრავალფეროვანია, კაცობრიობაც ასე უნდა იყოს. ერები უნდა ავითარებდნენ საკუთარ ენას და ვითარდებოდნენ საკუთარ დედაენაზე. ჯერ ეს სრულყოფილად არ ჩანს“. ამავე დროს იგი იმედს გამოთქვამს, რომ „გაეროს მაგალითზე ნელ-ნელა შეიქმნება მსოფლიოს ხელისუფლება, რომელიც ჰარმონიულად შეათავსებს, მოარიგებს სახელმწიფოებისა და ერების ურთიერთობას, მგელს და ცხვარს ერთად ეძოვოს, ეს საუკუნო და სანუკვარი ოცნება ამხდარიყოს“ (გუშაგი 1993: №30, 65).

1994 წლის იანვარში გამოვიდა ჟურნალის 31-ე ნომერი იმავე ფორმატით, ამჯერად ორენოვანი (ქართულ-ინგლისური), უცვლელი სარედაქციო პოლიტიკით, წერეთლისეული უკომპრომისო შემართებით. ახალმა რეალობამ ისევ ის თემები და პრობლემები წარმოაჩინა, რომლებზეც ჟურნალი წლების წინ წერდა და ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ხელახლა იწყებდა ბრძოლას: „1994 წლის 1 მარტის „იმედის არჩევნებში“ გამარჯვებულმა პარლამენტარებმა გზა დაულოცეს თავის სამშობლოს ახალ იმპერიაში“ (გუშაგი 1993: №31, 46) – ასე იწყება ჟურნალის რედაქტორის სანდრო თუშმალიშვილის საპროგრამო წერილი და მთელი ნომერი გაჯერებულია მასალებით, სადაც საუბარია საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხესა და მიზეზებზე, ასევე საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ღვაწლზე, როგორც საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ გმირზე და ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებელ პოლიტიკოსზე. ჟურნალი ქართულ-ინგლისურ ენებზე აქვეყნებს აწ უკვე 90-იანი წლების ემიგრაციის ახალი ტალღის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების, მიმართვებს დასავლეთის თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობებისადმი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, რომლებსაც მოუწოდებენ, წინ აღუდგნენ რუსეთის ჯარის ძალადობას სუვერენულ ქვეყანაში. აპროტესტებენ საქართველოში ანტიდემოკრატიულ პროცესებს – სამსახურებიდან ხალხის განთავისუფლებას პოლიტიკური ნიშნით, პოლიტპატიმრებისა და ზვიადის მომხრეებისადმი სასტიკ მოპყრობას და ა.შ. ამჯერად ჟურნალის პრიორიტეტად შევარდნაძის რეჟიმის მხილება იქცა, თუმცა შემდეგი ნომრები აღარ გამოსულა. 1994 წელს „გუშაგმა“ არსებობა შეწყვიტა.

ათი წელი ემსახურებოდა ჟურნალი „გუშაგი“ ქართულ საქმეს (სულ გამოვიდა 31 ნომერი) და მისი დაარსება და დახურვა სიმპტომატურად დაემთხვა XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და მღელვარე – 80-90-იანი წლების პერიოდს. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ, როგორც ნაციონალიზმის იდეოლოგიის პოპულარიზატორმა და ანტისაბჭოთა პროპაგანდისტმა, „გუშაგმა“ სხვა ემიგრანტულ პერიოდიკასთან ერთად ერთგვარი კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა სსრკ-ის დაშლასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში.

ამასთანავე, კვლევიდან გამომდინარე, „გუშაგი“ უნდა განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი აკადემიური გამოცემა. ის წინამორბედისგან – „თავისუფლების ტრიბუნისგან“ – განსხვავდებოდა ახალი ფორმატითა და სახელწოდებით, ხოლო სარედაქციო პოლიტიკას წარმართავდა ერთი ადამიანი – ცნობილი მოღვაწე და მამულიშვილი გიორგი წერეთელი. იგი იყო რედაქტორიც, რიგითი ჟურნალისტიც, პოლიტიკური მიმომხილველიცა და

ავტორიც პუბლიცისტური წერილებისა, რომელთა უმრავლესობას ფსევდონიმებით (მაგ., „მამულს განშორებული“, „გულბათ გულბათიშვილი“, „გ. ლუბაშვილი“, „გ. პერევისელი“, „პაპუნა“ და სხვ.) აწერდა ხელს (გუშაგი 1993: №30, 64). მას მხარში ედგა მეუღლე, ეთერ შენგელია-წერეთლისა, რომელიც გარდა საგამომცემლო საქმეებისა, ჟურნალისთვის მოკლე ინფორმაციებსაც წერდა. „გუშაგი“, როგორც კერძო გამოცემა, შემოწირულობებით ფინანსდებოდა. ყოველ ნომერში იბეჭდებოდა „გუშაგის“ ფონდის ანგარიშები, შემოსავალი, გასავალი და იმ ადამიანების ვინაობა, ვინც ფინანსურად ეხმარებოდა ჟურნალს.

ამრიგად, ჟურნალი „გუშაგი“ 1984 – 1994 წლებში ქართველ ემიგრანტებს, მათ შთამომავლებსა და საქართველოს მოსახლეობას აწვდიდა მრავალფეროვან ინფორმაციას საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ და იგი, როგორც მედიასაშუალება, თავისი ისტორიულ-კულტურული ღირებულებით იმსახურებს, კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკისა და, ზოგადად, სამამულო ჟურნალისტიკის ისტორიაში.

ბიბლიოგრაფია
References

გუშაგი: – ჟურნალი „გუშაგი“, 1984-1994 წწ. პარიზი.

ნიკოლეიშვილი 2006: – ნიკოლეიშვილი ავ., ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქუთაისი, 2006.

წერეთელი 2004: – წერეთელი გ., ერთი ცხოვრება, ემიგრანტის თავგადასავალი 1917-1993, თბ., 2004.

წერეთელი 1987: – წერეთელი გ., ჩვენი სატკივარი, პარიზი, 1987.

Nanuli Talakhadze
Associate Professor, TSU

EMIGRANT JOURNAL “GUSHAGI” – “GEORGIAN NATIONAL POLICY AND LITERARY PRINTE MEDIA OUTLET”

Summary

The work addressesthe history of the establishment of Georgian emigrate printed media outlet “GUSHAGI” that was published in Paris in 70-90s, its Editorial Policy, which was oriented on the Anti-Soviet propaganda and the support of the development of National Education Movement in Georgia, as well as the editorial and journalistic activity of Georgian emigration prominent representative, founder of “GUSHAGI” – Giorgi Tsereteli.

Cover of the Journal “GUSHAGI” ndicated its course – “Body of Georgian National Policy and Literature”, and was issued in 1984-1993 yearsincluding rich informational and analytical materials about ongoing events in the 70-80s Georgia and on Georgia emigrant activities, their attitude toward the ongoing acute political and social issues in Georgia.

Its course and political platform, was a continuation of the magazine “Freedom Tribune” issued in Paris in 1974-1984 years, the editor being Giorgi Tsereteli. The face of the magazine was altered 1984, it was turned into a journal and was given the name “GUSHAGI”. In accordance with the description of the editor – the name implied “I guard Georgian nation”.

The journal had some sections: political, cultural, poetry, memoirs and so on. Also it had a section or obituaries. This later spread the information about the merits of those Georgians who died abroad in emigration. The journal was a private edition and was funded mainly by donations. Each edition included the “accounts of “GUSHAGI” Foundation” and the names of those who actively supported the journal. The main part of “GUSHAGI” was dedicated to the analytical articles, most of them were written by its editor and publicist Giorgi Tsereteli. The articles of Giorgi Tsereteli, which were mostly poitical analyzed thoroughly and reasonably the political and social processes which were going on in Georgia. Tragedy of 9 April, reasons for anti-soviet demonstrations, positions of the leaders of political parties and to recognition of Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava as an unquestionable leaders of National Liberation Movement by “GUSHAGI”. Their works, letters, references, records speeches were often published in the journal.

“GUSHAGI” excitedly responded to the restoration of the independent Democratic Republic of Georgia in 9 April of 1991 year and expressed its wish not to forget 26 May and to announce it as a National Holiday of modern Georgia.

The editor of the journal Giorgi Tsereteli died in 1993 and the publication of the journal was suspended the same year. The journal ocupies the rightful place in the history of Georgian emigrate journalism. For many years it provided Georgian emigrants and their descendants with variety of information on the ongoing political, economical and social problems in Georgia. It also widely covered issues of history, culture, art and literature of Georgia. “GUSHAGI” as a periodical printed media outlet of the emigration , with its history and culturalvalues is an important part of Georgian journalism.

ალექსანდრე წურწუმია
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

ერთიანი ევროპული სივრცე

(ინტეგარციის სირთულეები)

პოლიტიკურმა პროცესებმა ხელი შეუწყო, მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი სკოლის, ნეოლიბერალიზმის, იმ ხედვის ფორმირებას, რომლის მიხედვით, თანამშრომლობით სახელმწიფოები გაცილებით მეტ მოგებას ნახულობენ, ვიდრე დაპირისპირებითა და ომებით. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სულ რაღაც შვიდიოდე წელიწადში ორმა ევროპულმა სახელმწიფომ (გერმანიამ და საფრანგეთმა), რომელთაც 75 წლის განმავლობაში სამჯერ იომეს ერთმანეთის წინააღმდეგ, გადადგეს ნაბიჯი თანამშრომლობისკენ. ევროპულმა თანამეგობრობამ, რომელიც შემდგომში 1993 წელს გარდაიქმნა ევროპის კავშირად, ხელი შეუწყო ევროპულ სივრცეში ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. თუმცა ევროპული თანამეგობრობა არ ეყრდნობოდა მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებს, რაც მკაფიოდ გამოჩნდა დე გოლის მმართველობის პერიოდში, როდესაც 60-იან წლებში საფრანგეთმა დაბლოკა დიდი ბრიტანეთის გაწევრიანება ორგანიზაციაში, ამ უკანასკნელის მჭიდრო ურთიერთობის გამო აშშ-სთან.

ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებას პოლიტიკურმა კრიზისმა შეუწყო ხელი, რომლის თანამდევი მეტწილად არის ეკონომიკური კრიზისი. XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ეს ორი, კაცობრიობის ყოველდღიური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მიმართულება, კიდევ უფრო ურთიერთდამოკიდებული გახდა. თუმცა XX საუკუნის რეალიზმის სკოლის ცნობილი წარმომადგენელი ჰანს მორგენთაუ ამტკიცებს, რომ პოლიტიკის სფერო, სხვა სფეროების მსგავსად, ავტონომიურია და არ არის დამოკიდებული სხვა სფეროებზე (გარეშე ფაქტორებზე).

„ინტელექტუალური თვალსაზრისით, პოლიტიკური რეალიზმის მიმდევარი ამტკიცებს, რომ პოლიტიკის სფერო ავტონომიურია. ამასვე ამბობენ ეკონომისტები, იურისტები და მორალისტები თავიანთი სფეროების შესახებ“ (არტი, ჯერვისი, 2011, 19-20).

თუმცა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვანწილად აქარწყლებს ამ მოსაზრებას. მეცნიერებას ასუსტებენ, აკნინებენ და მის განვითარებას აფერხებენ ავტორიტეტები, კერძოდ, როდესაც ესა თუ ის მეცნიერი ხდება ავტორიტეტი თავის დარგში და მკვიდრდება მოსაზრება, რომ მისი ყველა მოსაზრება უცილობე-

ლია და ყველა პროგნოზი ასრულებადია. ასეთი მიდგომა აფერხებს მეცნიერების განვითარებას და ეს განსაკუთრებით ეხება სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებებს, სადაც მტკიცებულებათა ბაზისი უფრო მწირია, ვიდრე ტექნიკური დარგის მეცნიერებებში, სადაც ბევრი რამ აქსიომატურია და შესაძლებელია, ფორმულის სახით გამოისახოს. მეცნიერებაში არ არსებობენ ავტორიტეტები. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ სხვა მეცნიერის მოსაზრებას, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ ბრმად გავიზიაროთ ანდა ასევე ბრმად, სათანადო არგუმენტაციის გარეშე უარვყოთ და გავაკრიტიკოთ ის.

დავუბრუნდეთ კვლავ ევროპულ სივრცეს. ყურადღება უნდა მიექცეს, ერთი შეხედვით, ცხად და უცილობელ გარემოებას: არსებობს ევროპული – პოლიტიკური (უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ევროკავშირი), ეკონომიკური, დემოგრაფიული, ცივილიზაციური (კულტურული) და გეოპოლიტიკური – სივრცეები, რომელთა საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა.

გეპოლიტიკის ფუძემდებლად აღიარებულმა გერმანელმა მეცნიერმა ფრიფრიჰ რატცელმა (1844-1904) ჩამოაყალიბა რამდენიმე ტერმინი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სივრცეს: სივრცითი აზრი, სასიცოცხლო სივრცე და სასიცოცხლო ენერგია.

გვინდა, რატცელის მიერ 1901 წელს გამოცემული წიგნიდან „სახელმწიფოთა სივრცული ზრდის კანონების შესახებ“ გამოვყოთ ორი კანონი:

„1) სახელმწიფოს მოცულობა იზრდება მისი კულტურის განვითარების შესაბამისად...

4) საზღვარი ეს არის სახელმწიფოს განაპირას არსებული ორგანო“ (დუგინი, 1999, 27).

ნებისმიერი მეცნიერი ფასდება იმის მიხედვით, რამდენად სწორ ანალიზსა და პროგნოზებს აკეთებს. პირველი კანონი მკაფიოდ წარმოაჩენს ფრიდრიჰ რატცელის ჭვრეტის უნარს. ამ კანონის აქტუალურობა განსაკუთრებით ნათელი და მკაფიო გახდა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც გამოყოფენ გლობალიზაციის პროცესის სამ უმთავრეს მიმართულებას – პოლიტიკურს, ეკონომიკურსა და კულტურულს.

1915 წელს გამოცემულ წიგნში „შუაგული ევროპა“ ფრიდრიჰ ნაუმანი აყალიბებს ხედვას ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით (შუაგული ევროპის კონცეფცია). აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი 1916 წელს ითარგმნა ინგლისურად და გამოიცა ბრიტანეთში, ხოლო 1918 წელს დაიბეჭდა რუსულად.

ფრიდრიხ ნაუმანი აყალიბებს იმ მიმართულებებს, რომელმაც უნდა გაამყაროს შუაგული ევროპის ერთობა და მეტად დააკავშიროს ამ სივრცის ქვეყნები (წურწუმია, 2015, 83). ეს მიმართულებებია: „საერთო კომერციული და სავაჭრო სამართალი, საერთო საბაჟო ტარიფი, საერთო სამუშაო კანონმდებლობა, საერთო მონეტარული სისტემა, საერთო სამხედრო ინსპექტირება, საერთო საბჭო გზებისა, საერთო უზრუნველყოფა სა-

ხელმწიფო ვალისა, საგარეო საქმეთა საერთო საბჭო“და ა.შ. (Науман, 1918, 30). ამ მიმართულებით ურთიერთობის გაღრმავება დაიწყო ევროპის თანამეგობრობამ და აგრძელებს ევროკავშირი.

ამგვარი ხედვა და ამ მიმრთულებით გადასადგმელი ნაბიჯები თვალნათლივ მეტყველებს ნაუმანის უნარზე, წინასწარ განჭვრიტოს პოლიტიკური პროცესები. ამავე დროს იგი აცნობიერებს, რომ ასეთი ურთიერთობის დამყარებასა და ამ მიმართულებებით მუშაობის წამატებით განხორციელებას წლები ესაჭიროებოდა. ფრიდრიხ ნაუმანმა, პრაქტიკულად, ზუსტად გაიანგარიშა, როდესაც თქვა, რომ ერთობის შექმნას სულ ცოტა 50 წელი დასჭირდებოდა. ასეც მოხდა, 1966 წელს შეიქმნა ევროპის თანამეგობრობა, წინამორბედი ევროკავშირისა.

საზღვრის საკითხთან დაკავშირებით, გვსურს მოვიყვანოთ გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის კიდევ ერთი წარმომადგენლის რუდოლფ კელენის მოსაზრება:

„...ცუდი საზღვარი ყოველთვის ისე გამოიყურება, როგორც ღია ან ნახევრად ღია კარი ძველ სახლში“ (Челлен, 2008, 129).

ევროპისათვის საზღვრის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა „არაბული გაზაფხულის“ კონტექსტში, როდესაც, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მწვავე პროცესების ფონზე, ევროპის საზღვარს ათასობით მიგრანტთა ტალღა მიაწყდა. ამ პრობლემამ უფრო მწვავედ იჩინა თავი წელს (2015 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე), რის გამოც ევროპა მწვავე კრიზისის წინაშე აღმოჩნდება.

რა გვაძლევს ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს?

ერკავშირი და, საერთოდ, ევროპული სივრცე დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. ამ გამოწვევებს ძალუძს, შეარყიოს ევროპისა და, ზოგადად, ევროკავშირის ერთობა.

ეკონომიკური კრიზისის ფაქტორები, რომლებმაც ძლიერ შეარყია ევროპა განსაკუთრებით 2006-2007 წლებში, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ნეიტრალიზებული. განსაკუთრებით მწვავე კრიზისია საბერძნეთში. ქვეყნის საგარეო ვალი შეადგენს 320 მილიარდ ევროზე მეტს.[1] თუკი გადავიანგარიშებთ ამ ციფრს ერთ სულ მოსახლეზე (ქვეყნის მოსახლეობა 12 მილიონამდე ადამიანს შეადგენს), გამოდის 20 000 ათასზე მეტი. ზოგადად, საინტერესო ტენდენციასთან გვაქვს საქმე – ეკონომიკური კრიზისი განსაკუთრებით შეეხო ევროკავშირის წევრ სამხრეთ ქვეყნებს. პროცესმა შესაძლოა სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის ურთიერთობის გაუარესება გამოიწვიოს.

ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება მის საზღვრებთან მიმდგარი 120 ათასი მიგრანტის მიღების შესახებ. ასეთი რაოდენობის მიგრანტების-

[1] http://www.interpressnews.ge/ge/msoflio/315148-angela-merkeli-saberdzneths-sagareo-vali-ar- chamoetsereba.html?ar=A

თვის აუცილებელია დიდი ოდენობის ფინანსების გამოყოფა. გამოითქვა ეჭვი, რომ მიგრანტთა შორის მინიმუმ 5 ათასი არის ისლამური სახელმწიფოს მებრძოლი, რაც თავისთავად გაამწვავებს ევროპის უსაფრთხოების საკითხს.

კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მიგრანტთა ინტეგრირება ერვოპულ საზოგადოებაში.

უსაფრთხოების საკითხი ეროკავშირისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაა, რომელმაც შესაძლოა, დაარღვიოს ევროკავშირის ერთობა.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ გამოითქვა ვარაუდი, რომ ახალ მსოფლიო წესრიგს აშშ-ისა და ევროკავშირის თანამშრომლობით ჩაეყრებოდა საფუძველი (ჩემპილე, 2003, 101), მაგრამ შემდგომ პერიოდში ევროკავშირის ლიდერმა სახელმწიფოებმა (პირველ რიგში, საფრანგეთმა და გერმანიამ), მოიწადინეს თავიანთი საკუთარი პოლიტიკის განხორციელება და რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა, რასაც აშშ-ის სამთავრობო წრეების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. თუმცა რუსეთ-საფრანგეთ-გერმანიის სწრაფვა ევროპაში ახალი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისაკენ 2011 წელს ვერ განხორციელდა. ამ გეგმის განხორციელებას ასევე უშლის ხელს დაძაბული ვითარება უკრაინის გარშემო.

უკრაინაში ვითარების დაძაბვამდე იყო კოსოვოს კრიზისი. სერბეთის ამ რეგიონისადმი ევროკავშირის მესვეურთა (უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთ-გერმანიის) პოზიციამ გამოიწვია ჯაჭვური რეაქცია და ევროპულ ქვეყნებს „გადაედო“ „კოსოვოს სინდრომი“. შოტლანდიაში დიდი ბრიტანეთისაგან გამოყოფის სურვილმა იმძლავრა და კატალონიაში – ესპანეთისაგან. ამავე დროს, დიდ ბრიტანეთში აქტიურად განიხილება რეფერენდუმის ჩატარების საკითხი, რომელზეც გადაწყდება ევროკავშირისგან გამოყოფა.

კოსოვოს საკითხი ასევე მჭიდროდ გადაეჯაჭვა საქართველოს საკითხს. ამ ვითარებასთან დაკავშირებით, რუსეთის ხელისუფლება, კერძოდ, პრეზიდენტი ვ. პუტინი, მუდმივად აღნიშნავდა, რომ როგორც კი დასავლეთის ქვეყნების კოსოვოს დამოუკიდებლობას ცნობდნენ, რუსეთი ცნობდა საქართველოს შემადგენელი ნაწილების – აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთი – დამოუკიდებლობას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამდა რონალდ ასმუსი:

„დიპლომატიაც ჰიპოკრატეს ფიცის მთავარ პრინციპს უნდა იცავდეს: არ ავნო! პოლიტიკოსებიც და დიპლომატებიც, ექიმების მსგავსად, მუდამ უნდა აცნობიერებდნენ, რა შეიძლება მოჰყვეს მათ ქმედებებს და რა ზიანი – მათ გადაწყვეტილებებს. ეს იმის გააზრებას ნიშნავს, რომ დიპლომატიურმა ქმედებებმა ერთ კონკრეტულ სივრცესა თუ რეგიონში, შეიძლება ძალზე ცუდად იჩინოს თავი სულ სხვაგან და ამიტომაც ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ შესაძლო რისკების გათვალისწინე-

ბით უნდა ხდებოდეს. უნებლიე შედეგების კანონზომიერება საერთაშორისო პოლიტიკაშიც ისევე მოქმედებს, როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში“ (ასმუსი, 2011, 95).

არადა, ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები პოზიცია კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებაში ვ. პუტინმა უსაფრთხოების პრობლემებისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ კონფერენციაზე ჯერ კიდევ 2007 წლის თებერვლის თვეში (მიუნჰენი, გერმანია) დააფიქსირა (Путин, 2007).

„2008 წლის გაზაფხულზე კოსოვოს აღიარებით დასავლურმა დიპლომატიამ ეს პრინციპი (არ ავნო! – ა. წ.) არ დაიცვა და, უნებლიეთ, იმავე წლის ზაფხულში საქართველოში ომის გაჩაღებას შეუწყო ხელი. დასავლეთი ისე უჭერდა მხარს კოსოვოს დამოუკიდებლობას, რომ არავითარ კოორდინირებულ მცდელობას არ ახორციელებდა ამ ნაბიჯით საქართველოს გაყინულ კონფლიქტებზე „გავლენის“ თავიდან ასაცილებლად“ (ასმუსი, 2010, 95).

კოსოვოს საკითხის გადაწყვეტისას დასავლურმა ქვეყნებმა დაუშვეს ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა: კოსოვოს ძირითად მოსახლეობას შეადგენენ ეთნიკური წარმომავალობით ალბანური ეთნოსის წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთი საცხოვრისი სივრცის სახელწოდება ეთნიკური ჯგუფის კუთვნილების განმსაზღვრელ (მაიდენტიფიცირებელ) სახელწოდებად აქციეს. არადა კოსოვოს დასავლეთის მხრიდან უშუალოდ ესაზღვრება ალბანეთის სახელმწიფო. ჩვენი აზრით, კოსოვოს შემთხვევაში, ერთად-ერთი, რაზეც უნდა ყოფილიყო საუბარი, კოსოვოს მაცხოვრებელთა უსაფრთხოების დაცვაა.

შესაძლოა, უახლოეს მომავალში პიკარდიაში მცხოვრებმა ალჟირელებმა ან მაროკოელებმა და ჰესენში მცხოვრებმა თურქებმა, კოსოვოელ ალბანელთა მსგავსად, ავტონომიის შექმნა მოითხოვონ, რაც შემდგომში ალბათ ამ ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოყოფისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი გახდება.

რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის ანექსიამ რამდენიმე აქტუალური კითხვა დაბადა: ხომ არ მოხდა დაინტერესებულ მხარეებს შორის რაიმე სახის ფარული გარიგება, მსგავსად მიუნჰენისა (1938 წ.)? არის კი ევროკავშირი ერთიანი ორგანიზაცია? ხომ არ მიმართავენ საფრანგეთი და გერმანია რუსეთთან დაკავშირებით ძალთა დაბალანსების პოლიტიკას სუსტი სახელმწიფოების ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე?

ჩვენს ეჭვს მეტად აღვივებს ყირიმის რუსეთისადმი კუთვნილების ისტორიული საფუძვლების შესახებ გამოთქმული პოზიცია, რომელიც საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტებმა ჟისკარ დ’ ესტენმა და ნიკოლა სარკოზიმ დააფიქსირეს (Жискар д’ Эстен, 2015; Саркози, 2015).

მსგავსმა პოზიციამ, რუსეთისადმი ლოიალურმა დამოკიდებულებამ შესაძლოა, შეარყიოს ევროკავშირის ერთობა, ვინაიდან მის რიგებში არიან

წარმოდგენილი ქვეყნები, რომელთაც ისტორიულად ჩამოუყალიბდათ უნდობლობა რუსეთის პოლიტიკის მიმართ. პოლიტიკოსებს, როდესაც გამოთქვამენ პოზიციას და აფიქსირებენ თავიანთ ხედვას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მეტი პასუხისმგებლობა მართებთ.

ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია, უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, უმთავრესი პრობლემა კი – რუსეთთან დამოკიდებულების გართულება – 2004 წლიდან იღებს სათავეს. სწორედ ამ წელს განხორციელდა ევროკავშირის ისტორიაში ყველაზე დიდი გაფართოება. იმავე წელს ევროკავშირმა განაცხადა სამეზობლო პოლიტიკის ამოქმედების შესახებ. ამ ეტაპამდე კრემლი აცხადებდა, რომ მისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, გაწევრიანდებოდნენ თუ არა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ევროკავშირში, მთავარი იყო, არ მომხდარიყო მათი გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. თუმცა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ და საქართველო-უკრაინა-მოლდოვას შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ მკვეთრად დაძაბა ურთიერთობა რუსეთთან. ცალსახაა, რომ დემოკრატიისა და ევროინტეგრაციისაკენ გადადგმული თითოეული ნაბიჯი კიდევ უფრო აშორებს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს კრემლისგან და ზრდის მათი სუვერენიტეტის ხარისხს.

ევროკავშირის ერთიანობა და შედეგიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადეკვატური იქნება მისი რეაქცია საგარეო პოლიტიკურ გამოწვევებზე. ასევე უმნიშვნელოვანეს საკითხად რჩება წევრ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის უზრუნველყოფა. თუკი რომელიმე წევრი სახელმწიფო ეცდება, საკუთარი გავლენა და პოზიცია თავს მოახვიოს სხვა წევრ სახელმწიფოს, ასეთი ქმედება ხელს შეუშლის ევროპული საზოგადოების ერთობას და დააჩქარებს ევროკავშირის დეზინტეგრაციას. გამოსავალი და ორგანიზაციის განვითარების ფორმულა მარტივია – ძალა ერთობაშია. მხოლოდ ერთიანი ძალებით შეძლებს ევროკავშირი არსებული და მომავალში წამოჭრილი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის პრობლემებთან გამკლავებასა და მათ გადაჭრას.

ბიბლიოგრაფია
References

საერთაშორისო პოლიტიკა. რედ-ბი რ. არტი და რ. ჯერვისი. თბ., 2011.

ა. დუგინი. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბ., 1999.

ა. წურწუმია. გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში. თბ., 2015.

Ф. Науман. Срединная Европа. Спб., 1918.

Р. Челлен. Государство как форма жизни. М., 2008.

Выступление и дискуссия на Мюнхенской конференции по вопросам политики безопасности. http://archive.kremlin.ru/appears/2007/02/10/1737_type63374type63376type63377type63381type82634_118097.shtml

მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ., 2010.

Французский политик Валери Жискар д'Эстен выступил с лекцией в Московском университете. Смотрите оригинал материала на http://www.1tv.ru/news/polit/284836

Саркози признал псевдореферендум в Крыму легитимным. http://news.liga.net/news/politics/5053343sarkozi_priznal_psevdoreferendum_v_krymu_legitimnym.htm

Alexander Tsurtsumia
Assistant Professor, TSU

THE UNITED EUROPEAN SPACE

(Difficulties of Integration)

Summary

Political processes promoted formation of ideas of one of the schools of world politics – neoliberalism. The essence of idea implies that by cooperation the state will receive more benefit, than through opposition and wars. Only in seven years after the end of World War II, two European states (Germany and France) who within 75 years were at war against each other three times, took a step to cooperation. The European Communities which in 1993 trasformed into the European Union, promoted deepening of economic cooperation in the European space. Though the European Communities didn't rely only on economic factors that were accurately shown in the period of de Gaulle's board when in the 60s France blocked the accession to the organization of Great Britain, because of its close relationship with the USA.

After the end of cold war, the opinion was expressed that the foundation of a new world order will be laid by cooperation of the USA and the European Union. Though, during the further period leading countries of the European Union (first of all France and Germany), wanted to carry out their own policy and establish close relationship with Russia that caused sharp reaction from government circles of the USA. The aspiration of Russia-France-Germany to create a new security system in Europe in 2011 wasn't realized. Implementation of this plan is also disturbed by an intense situation around Ukraine.

Annexation by Russia of the Crimea generated some urgent questuions. Do we have the secret arrangement similar to Munich that took place between interested parties (1938)? Is the European Union the uniform organization? Do France and Germany use policy of balance of forces, through ignoring of interests of the weak states?

The doubt stated by us is strengthened even more by the recorded position of the former presidents of France Giscard d'Estain and Nicolas Sarkozy about historical bases of ownership of the Crimea of Russia.

The similar position, the loyal relationship withRussia, will perhaps break unity of the European Union as in its ranks the states which historically had a mistrust to policy of Russia are presented.

The European Union as the organization, faces a set of calls. The main problem, complications of the relations with Russia, originates since 2004. This year the biggest expansion in the history of the European Union was carried out. The same year the European Union declared the beginning of policy of the neighbourhood. To this stage, the Kremlin declared that it considered no problem the integration of the former Soviet Repubics into the European Union as long as they wou not become the members of the North Atlantic union. Though the politicy of a neighbourhood of the European Union and signing of the association agreement strained the relationships between Russia and Georgia, Ukrania and Moldova. . It is clear that each step taken to democracy and European integration distances the post-Soviet republics from the Kremlin even more and increases quality of their sovereignty.

The unity of the European Union and its productive functioning depends on, how adequately it will be able to react to foreign policy calls. Also the major question is providing the sovereignty of the member countries.. If any state tries to impose the influence and a position on other state, such action will prevent unity of the European society and will accelerate a dezintegraation of the European Union. The exit and a formula of development of an organization is simple – force is in unity. Only together it will be able to consult and solve allthe economic and political problems existing within the European Union.

გამომცემლობის რედაქტორები: მარიკა ერქომაიშვილი
მარინა ჭყონია

დაკაბადონება მარიკა ერქომაიშვილი

გარეკანის დიზაინერი ნინო ებრალიძე

TSU Press Editors: Marika Erkomaishvili
Marina Chkonia

Compositor Marika Erkomaishvili

Cover Designer Nino Ebralidze

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: 995(32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge